



**კავკასიის  
არქეოლოგიის საკითხები**

---

**PROBLEMS OF THE ARCHAEOLOGY OF  
CAUCASUS**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი „თრიალეთი“  
Centre for Preservation and Studies of Antiquities - Trialeti

კავკასიის არქეოლოგიის საკითხები  
PROBLEMS OF THE ARCHAEOLOGY OF CAUCASUS

თბილისი  
Tbilisi  
2021



კრებული ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გელა გამყრელიძის დაბადებიდან 70-ე წლის იუბილეს. სარედაქციო კოლეგია და ავტორები ულოცავენ ბატონ გელას საიუბილეო თარიღს და წარმატებას უსურვებენ.

The volume is dedicated to the 70<sup>th</sup> anniversary of professor, doctor Gela Gamkrelidze. The Editorial board and authors congratulate Mr. Gela Gamkrelidze on his jubilee and wish him success.

მთ. რედაქტორი

Editor-in-Chief

გოდერძი ნარიმანიშვილი

Goderdzi Narimanishvili

რედაქტორები:

Editors:

ზურაბ ბრაგვაძე

Zurab Bragvadze

მარინე კვაჭაძე

Marina Kvatchadze

ნინო შანშაშვილი

Nino Shanshashvili

ვახტანგ შატბერაშვილი

Vakhtang Shatberashvili

ISBN 978-9941-490-48-4

© სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი - თრიალეთი

© Centre for Preservation and Study of Antiquities - Trialeti





## შინაარსი

გელა გამყრელიძე - ნარიმანიშვილი გ., კვაჭაძე მ., შანშაშვილი ნ. ....	7
გელა გამყრელიძე 70 - ბრაგვაძე ზ. ....	12
გელა გამყრელიძის ნაშრომები .....	18

### სტატიები

Akhundov T. I. Ethnical Traditions of the Mugan steppe in the 5 <sup>th</sup> – 3 <sup>rd</sup> Millennia BC .....	26
Ахундов Т. И. Этнотрадиции Муганской степи в V-III тыс. до н.э. ....	35
Бадалян Р., Арутюнян А. Куро-аракское поселение Гехарот (Некоторые результаты раскопок 2013 – 2015 гг.).....	45
Badalyan R., Harutyunyan A. Excavations of the Early Bronze Age layer at Gegharot settlement (2013 - 2015). ....	54
Narimanishvili G., Shanshashvili N. House and Household in South Georgian Highlands (Trialeti) in 5 <sup>th</sup> – 4 <sup>th</sup> cc. B.C.....	66
ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ. სახლი და სახლ-კარი ძვ.წ. V-IV საუკუნეების სამხრეთ საქართველოს მთიანეთში (თრიალეთი).....	73
Narimanishvili G., Kvatchadze M., Poporadze N., Seskuria O. White beads of Trialeti Bronze Age .....	92
ნარიმანიშვილი გ., კვაჭაძე მ., ფოფორაძე ნ., სესკურია ოლ. თრიალეთის ბრინჯაოს ხანის თეთრი ფერის მძივები. ....	96
ბრაგვაძე ზ. საირხის სკეპტუხია.....	107
Bragvadze Z. Sairkhe's Skeptukhia. ....	115
გაგოშიძე დ. ბრინჯაოს პატერა დედოფლის გორის სასახლიდან.....	119
Gagoshidze D. Bronze <i>Patera</i> from the Palace of <i>Dedoplis Gora</i> . ....	123
გოგოჭური გ., შატბერაშვილი ვ. მოხატული კერამიკა ნორიოს ნამოსახლარიდან. ....	128
Gogochuri G., Shatberashvili V. Painted Pottery from Norio Settlement. ....	135
თამაზაშვილი ქ. ლითონის ნივთების გამოსახულებები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე .....	146
Tamazashvili K. Images of Metal Objects on Kura-Araxes Culture Ceramic Ware. ....	149



კაჭარავა დ. ბრინჯაოს ჭურჭელი ვანის №24 სამარხიდან.....	155
Kacharava D. Bronze Vessels from Grave N 24 in Vani. ....	160
კახიძე ა., კახიძე ე. ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლისის ბოლოდროინდელი კვლევა-ძიების შედეგები.....	167
Kakhidze A., Kakhidze E. Results of Recent Researches at the Pichvnari 4 <sup>th</sup> century BC Greek necropolis.....	179
მინდიაშვილი გ. ლეჩხუმის არქეოლოგიური შესწავლისათვის. ....	187
Mindiashvili G. For the Archaeological Study of Lechkhumi.....	194
მინდორაშვილი დ., მურვანიძე ბ., გოგოჭური გ. არქეოლოგიური ძიებანი მარნეულის მუნიციპალიტეტში.....	203
Mindorashvili D., Murvanidze B., Gogochuri G. Archaeological Searches in Marneuli Municipality. ....	211
ნიკოლაიშვილი ვ. დედაქალაქობისდროინდელი „დიდი მცხეთა“.....	228
Nikolaishvili V. Great Mtskheta - Ancient Capital. ....	235
პატარიძე მ., მიქელაძე დ. არისტარხე მმართველი კოლხეთისა.....	238
Pataridze M., Mikeladze D. Aristarchus, the Ruler of Colchis (numismatic research).....	249
ფირცხალავა მ. წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან.....	259
Pirtskhalava M. The Set of the Pre-ancient Colchian Pottery from the Vani Archaeological Site. ....	257
ფუთურიძე მ. თრიალეთის კულტურა – ცვლილებები ძვ.წ. III-II ათასწლეულების გზისგასაყარზე და მისი მიზეზები.....	164
Puturidze M. The Trialeti Culture – Changeovers at the Turn of the III - II Millenniums BC.....	278
შანშაშვილი ნ. მტკვარ-არაქსის კულტურის კვლევის პრობლემები.....	284
Shanshashvili N. Problems of Study of the Kura-Araxes Culture.....	293
ჯალაბაძე მ. არქეოლოგიური გათხრები გადაჭრილ გორაზე - შედეგები და პერსპექტივა.....	302
Jalabadze M. Archaeological excavations at <i>Gadachrili Gora</i> – results and perspective. ....	306
ჯიბლაძე ლ., ჩხარტიშვილი ნ. ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა მუხრანიდან.....	318
Jibladze L., Chkartishvili N. Bronze Anthropological Figurine from Mukhrani Village. ....	322

## გელა გამყრელიძე

რთულია სრულყოფილად შეაფასო ადამიანის მიერ განვლილი გზა. ამოცანა უფრო რთულდება როდესაც გამორჩეულ ადამიანზე წერ, ადამიანზე რომლის ინტერესების სფერო დიდია, თვალსაწიერი კი ფართო.

გელა გამყრელიძემ პროფესიული არჩევანი ისტორიის დარგს დაუკავშირა. მან ერუდიცია და განათლება საქართველოს უცნობი, ან ნაკლებად შესწავლილი ისტორიის კვლევას მოახმარა და არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევის ავტორიც გახდა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გელა გამყრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, მიღწეულ წარმატებებზე, ნაშრომები და მის მიერ განხორციელებული პროექტები მიუთითებენ. ჩვენ სხვა კუთხით გვსურს გაგაცნოთ ის.



დაულალავმა და მოუსვენარმა ბუნებამ, თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდა გელა გამყრელიძე მთებზე აიყვანა. ღმერთებთან ახლოს მისვლის სურვილი იყო ეს, თუ დედამიწის ღრუბლებიდან დანახვის წადილი, დღემდე ჩვენთვის გამოცანად რჩება. ერთი ცხადია, რომ ალპინიზმმა მის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა – მრავალი ადამიანის ერთ გუნდად მოქმედების პრინციპი მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, რაც მის სამეცნიერო მუშაობაშიც აისახა. გელა გამყრელიძე სათავეში ედგა ორ დიდ პროექტს, რომელთა განხორციელებას მრავალი მეცნიერის

შეწონასწორებულმა შრომამ შეუწყო ხელი. შედეგად მომზადდა და გამოიცა შესანიშნავი კრებულები „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“ და „საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ. V – ახ.წ. V საუკუნეებში)“.



თანადგომასა და ურთიერთნდობაზე იყო დამყარებული მისი მეორე გატაცება – წყალქვეშა არქეოლოგია. სრულიად ახალგაზრდა გელა გამყრელიძემ მთის მწვერვალებიდან ზღვის სიღრმეებს მიაპყრო მზერა. ლეგენდარული ფაზისის ძიებამ შავი ზღვისა და პალიასტომის ტბის ფსკერზე ჩაიყვანა. მან არაერთი ექსპედიცია მოაწყო, და დიდი ენერგიაც შეაღწია, ანტიკური ხანის კოლხეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქის მოძიებას. ძნელია როდესაც მოქმედებაში ხარ შეზღუდული – ჯერ კომუნისტური კარჩაკეტილობა, შემდეგ კი ღარიბი ქვეყნის მოქალაქეობა გელობება წინ. ადამიანის შესაძლებლობებს და იდეებს არ, ან ვერ მიყვება ხან იდეოლოგია, ხანაც მატერიალური ბაზა.

გელა გამყრელიძემ მთელი ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს წარსულის კვლევას. სწორედ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა მიიყვანა გელა გამყრელიძე

ეროვნულ მოძრაობაში. სამშობლოს სიყვარული კი მშობლების ეთერ არჯევანიძის და ალექსანდრე გამყრელიძისაგან დაეხდა. ქვეყნის დამოუკიდებლობა, დემოკრატიული განვითარება და ერის კეთილდღეობა იყო ის მიზანი, რომელიც გელა გამყრელიძეს ამოძრავებდა. იგი ეროვნულ მოძრაობაში თავდაუზოგავად მოქმედებდა და ეროვნულ სულისკვეთებას არასოდეს ღალატობდა.



არქეოლოგის ბარის, საველე ანგარიშების და სამეცნიერო სტატიების მიღმა ხშირად იმალება რომანტიული და თავგადასავლების მოყვარული და, კარგი გაგებით, ავანტიურისტული სული. უშიშარი რაინდის ვაჟი, ალპინისტი და წყალქვეშ ჩაძირული უძველესი ქალაქების მაძიებელი, რომანტიკოსი და სკრუპულოზური მეცნიერი, საქართველოს უძველესი წარსულის მკვლევარი და სამშობლოზე შეყვარებული, ის, 1989 წლის აპრილში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლების რიგებში იდგა. დღევანდელი გადასახედიდან უფრო კარგად ჩანს ის წარმატებები თუ ლაფსუსები, რაც ჩვენ გვქონდა ეროვნული მოძრაობის დროს. თუმცა, 80-იანი წლების მიწურულს ერის წინაშე დასმული მთავარი ამოცანა წარმატებით დაძლიეთ – სამშობლოს დამოუკიდებლობა მოპოვებულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ იყო მძიმე ომები, სამოქალაქო დაპირისპირება და სამოქალაქო ომი, გვყავდა და გვყავს უძლიერესი, უცბიერესი და კაცთმოძულე „დიდი“ მეზობელი, ქვეყნის დამოუკიდებლობა შენარჩუნებული იქნა. იმპერია მაინც ვერ აღუდგა წინ ვერც ჩვენს და ვერც თავისუფლების მოყვარე სხვა ერებს, დე-





მოკრატული განვითარების გზაზე. ამ შეუქცევად პროცესში თავისი მოკრძალებული წვლილი გელა გამყრელიძემაც შეიტანა.

გელა გამყრელიძემ დაარსა და დღემდე რედაქტორობს ჟურნალს, რომელსაც მან სიმბოლურად „იბერია-კოლხეთი“ უწოდა.

ცოდნის და გამოცდილების გაზიარება არასდროს ეზარება ბატონ გელას. განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა თაობის მიმართ. შავი ზღვის აღელვებულ ტალღებსაც შეეჭვიდა ორი მოზარდის გადარჩენის მიზნით და გამარჯვებულად გამოვიდა. შემდეგში იყო სახელმძღვანელოები და პოპულარული ნაშრომები, მაგრამ გამორჩეულად მაინც პოპულარული ჟურნალის - „აია“ - გამოცემის დაწყება უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც უშუალოდ მოზარდ თაობაზე იყო გათვლილი.

გელა გამყრელიძის ნაშრომები ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესწავლას ეძღვნება. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები, რომლებიც ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას ეხება.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას გელა გამყრელიძის სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელობაზე. თუმცა, ერთი რამ საზგასმით უნდა აღინიშნოს, ის რომ ქვეყნის ერთიანობის იდეა ყოველთვის გასდევს მის ყველა სტატიასა თუ მონოგრაფიას.

საქართველოს ისტორიას ბატონი გელა მსოფლიო ისტორიის ფონზე განიხილავს ყოველთვის და ეს იყო და არის მიზეზი იმისა, რომ იგი ბევრს მოგზაურობს იმ ქვეყნებში, რომელთა ისტორია ასე თუ ისე საქართველოსთან იყო დაკავშირებული.



არ შეიძლება ორი სიტყვა არ ვთქვათ მის ოჯახზე, შესანიშნავ და ლამაზ ქალ-ბატონ ნათელა ჯაბუაზე, რომელიც განუყრელი გვერდში დგომით აძლიერებს და ამხნეებს გელა გამყრელიძეს. შვილები სანდრო და ქუჯი მისი ოცნების გმირები არიან, შვილიშვილები ლიზუ და ნიკო კი, გელა გამყრელიძის სიცოცხლეს ახანგრძლივებენ და სიძლიერეს მატებენ.

კიდევ დიდხანს სიცოცხლე და არაერთი წარმატება ბატონო გელა. მომავალ, საიუბილეო შეხვედრამდე.

გოდერძი ნარიმანიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მარინე კვაჭაძე, ისტორიის დოქტორი.

ნინო შანშაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## გელა გამყრელიძე 70

ცნობილ ქართველ მეცნიერს, ისტორიკოსს და არქეოლოგს გელა გამყრელიძეს 70 წელი შეუსრულდა. 70 წელი საკმარისი დროა იმისთვის, რათა შეფასდეს ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა და სათანდო ფაქტების დამოწმებით დადგინდეს, რამდენად სწორედ იცხოვრა ადამიანმა და რა შემატა იმ საქმეს, რისთვისაც ხელი მოუკიდებია.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდთან გელა გამყრელიძემ ორ საყვარელ საქმიანობას მიუძღვნა საკუთარი ცხოვრება. ესენია ალპინიზმი და არქეოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ მის სახელთან არის დაკავშირებული კავკასიონისა და პამირის რამდენიმე მწვერვალზე ასვლა, უფრო მნიშვნელოვანი სიმალეები მეცნიერებაში დაიპყრო. როდესაც ადამიანი ალპინიზმით და არქეოლოგიით ხარ გატაცებული, ე.ი. თავგადასავლებს ეძებ და ცდილობ საინტერესოდ იცხოვრო. და თუ ამ ყველაფერს მოგზაურობისადმი დაუოკებელი სურვილიც ემატება, განვლილი 70 წლით უკმაყოფილო ნამდვილად არ უნდა იყო და შეგიძლია თამამად თქვა, რომ საინტერესოდ გიცხოვრია. მით უმეტეს, როდესაც გვერდს გიმშვენებს მოსიყვარულე ოჯახი, სათნო მეუღლე, ვაჟაკი შვილები და ბაბუზე შეყვარებული შვილიშვილები. თუ ამ ყველაფერს მეგობრების სიყვარულს და კოლეგების პატივისცემას დაამატებ, მეტი რაღა გინდა კაცს სრული ბედნიერებისათვის.








გელა გამყრელიძე იყო დიდი არქეოლოგის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ერთ-ერთი პირველი ასპირანტი და მისი ხელმძღვანელობით საკმაოდ ადრეულ ასაკში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და პირველი მონოგრაფიაც საკმაოდ ახალგაზრდამ გამოსცა. ამ წიგნს, „ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები“, რომელიც შორეულ 1982 წელს გამოქვეყნდა, დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და სამაგიდო ნაშრომია ყველასთვის, ვინც იკვლევს კოლხეთის ისტორიას და არქეოლოგიას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, მის მიერ გათხრილი და შესწავლილი ძეგლის, მთისძირის შედეგების ანალიზის მნიშვნელობა ვანის ქვეყნისა და ზოგადად, კოლხეთის ისტორიისთვის.

შემდეგ იყო ფაზისის საძიებო სამუშაოები და იმ დროის ქართული არქეოლოგიური სინამდვილისთვის ნამდვილი გარღვევა და სრული ნოუ ჰაუ - წყალქვეშა გათხრები შავი ზღვის შელფსა და პალიატომის ტბაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გელა გამყრელიძე გვევლინება საქართველოში წყალქვეშა არქეოლოგიის ერთ-ერთ პიონერად და ისიც გასათვალისწინებელია, რომ მის შემდეგ ამ საქმეს, ერთ ან ორ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, თითქმის არავინ გააჰყვია. მან დიდი დრო შეაღწია ფაზისის ძიებას და ამ თემაზე რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც შექმნა. ბაქოს ნავთობის („მედეას ზეთი“) ანტიკურ სამყაროში ტრანსპორტირება ფაზისის გავლით რომ ხდებოდა, ესეც პირველმა მან დაასაბუთა.

ვანის ექსპედიციაში მიღებულ დიდ გამოცდილებას, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია. აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი ვანის არქეოლოგიური სკოლა გამოირჩეოდა განსაკუთრებული აკადემიზმითა და საქმისადმი მაღალპროფესიული დამოკიდებულებით. სწორედ აკადემიზმი და მაღალი პროფესიონალიზმი გამოარჩევს გელა გამყრელიძის სამეცნიერო ნაშრომებს. მისი ყველა (თითქმის!)





სტატია თუ მონოგრაფია წაკითხული მაქვს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე რთულ სამეცნიერო პრობლემებზე დაწერილი მისი ნაშრომებიც კი საოცრად ადვილად იკითხება და გრძნობ, რომ კარგი ქართული ენით დაწერილს კითხულობ, რაც დასამალი არაა და არც თუ ხშირი მოვლენაა ჩვენ საქმეში. კაცმა რომ თქვას, ცნობილი ფილოლოგის, ალექსანდრე გამყრელიძის შეილისგან ნაკლებსაც არ უნდა ელოდე, რადგან გინდა თუ არა, გენეტიკა მაინც თავისას შვრება.

ქართული არქეოლოგიის ისტორიასაც გელა გამყრელიძემ მიუძღვნა რამდენიმე გამოკვლევა. „ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ“ ალბათ ყველა ქართველმა არქეოლოგმა უნდა წაიკითხოს, რადგან იგი შეიცავს დიდ ინფორმაციას საქართველოში არქეოლოგიის ჩასახვა-განვითარების შესახებ და იმას წარმოაჩენს, რასაც მივადწიეთ ისტორიის მანძილზე. ეს წიგნი თავისებური სამადლობელია ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ჩვენში იღვა არქეოლოგიის სათავეებთან და ვინც საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ პროფესიულ არქეოლოგიას.

გელა გამყრელიძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო კოლხეთის არქეოლოგიის შესწავლას. მისი წიგნები „კოლხეთი“ და „კოლხოლოგიური ნარკვევები“ წარმოა-



დგენს ნათქვამის მკაფიო დასტურს. კოლხეთის პარალელურად მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა იბერიის ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემები. ძალზე მნიშვნელოვანია მისი კვლევები, რომლებიც შეეხება რომისა და იბერია-კოლხეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების საკითხებს და ზოგიერთი მათგანი სრულიად ახლებურად არის გააზრებული. ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან უდაოდ აღსანიშნავია ვრცელი ფუნდამენტური ნარკვევი „რომანული გლობალიზაცია და იბერია-კოლხეთი“. მასში სიღრმისეულად და რაც მთავარია, ახლებურად არის გააზრებული ძველი ქართული სახელმწიფოების როლი საერთო რომაულ გლობალურ კონტექსტში და ნაჩვენებია ის ინოვაციები, რაც რომის იმპერიასთან ურთიერთობებით გაჩნდა ქართულ მატერიალურ კულტურაში. საერთოდ, გელა გამყრელიძის ნაშრომებისთვის დამახასიათებელია არქეოლოგიური მასალის ისტრიულ ჭრილში გააზრება და ზოგადად, არქეოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის გენეზისის შესწავლის საქმეში. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი გამოკვლევაც „სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია“ სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება და ავტორის სწორი შენიშვნით, არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე საკმაოდ გაძნელებული ისეთი ურთულესი საკითხის კვლევა, როგორცაა წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის პერიპეტიები.

გელა გამყრელიძე გვევლინება როგორც რამდენიმე დიდი სამეცნიერო პროექტის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა პროექტები „ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები“, „იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V - ახ.წ. IV საუკუნეების საქართველოში“ (ორი ტომი), „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, „ქართ-

ლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“. ამჟამად მისივე ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ასევე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის მიზანი ძვ.წ. V - ახ.წ. V საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის შესახებ ვრცელი მონოგრაფიის გამოცემაა.

ცალკე უნდა აღინიშნოს გელა გამყრელიძის ინიციატივით დაფუძნებული სამეცნიერო ჟურნალი „იბერია-კოლხეთი“, რომელმაც საკმაო პოპულარობა მოიპოვა საქართველოსა და უცხოეთში და დღემდე რჩება ანტიკური და ადრემედიევისტური ეპოქის ერთადერთ პერიოდულ გამოცემად საქართველოში. ჟურნალის პოპულარობასა და ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი ყველა ნომერი განთავსებულია ონლაინ პორტალზე „ანტიკური სამყარო“ (AWOL). მისივე ინიციატივით დაარსდა საყმაწვილო არქეოლოგიური ჟურნალი „აია“ და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა მომავალ თაობებს შეაფაროს საქართველოს უძველესი ისტორია და კულტურა.

მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება მისი მონოგრაფიები – „Archaeology of the Roman period of Georgia (Iberia-Colchis) essay and catalog“ და „I Romani nella terra del Vello d'Oro. La Colchide e l'Iberia in età romana“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ-ჯერობით მაინც ქართველი ავტორების ნაშრომები არც თუ ბევრი გამოდის დასავლეთ ევროპულ ენებზე, გელა გამყრელიძის ამ ნაშრომებს შეუძლიათ დაინტერესებულ მკვლევარებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას კოლხეთის და იბერიის არქეოლოგიის ირგვლივ.

გელა გამყრელიძის მოღვაწეობა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი მუდამ სიახლის ძიებაშია და არასდროს სჯერდება მიღწეულ შედეგს. ბევრი სიახლე შემატა მან ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებას. მის სახელს უკავშირდება არქეოლოგიურ ლიტერატურაში ისეთი ტერმინების შემოტანა, როგორებიცაა „ბიო-ეკო გარემო“, „ტოპოარქეოლოგია“, „კოლხურ-იბერიული ხანა“ და სხვ.

ისე გამიბატა მისი მეცნიერული მეტკვიდრეობის მიმოხილვამ, თითქმის არაფერი მითქვამს გელა გამყრელიძის სამსახურეობრივი კარიერის შესახებ. არადა, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგზარდა იყო, როდესაც არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ახალმშენებლობების არქეოლოგიის განყოფილების გამგე გახდა. შემდეგ იყო ანტიკური არქეოლოგიის გაყოფილების ხელმძღვანელი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. თუმცა, ის სიმართლევ უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ყოფნა არასდროს ხიბლავდა, რადგან წუხდა ხოლმე, ბიუროკრატიული საქმეები დიდი დროს მართმევსო. ამის მიუხედავად, მისი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა ორასს აჭარბებს, რომელთაგან 15 მონოგრაფიაა.

უაღრესად წიგნიერი ადამიანია გელა გამყრელიძე. სამეცნიერო ლიტერატურის გარდა მას აქვს კიდევ ერთი გატაცება და ესაა მხტვრული ლიტერატურა. ამ რამდენიმე წლის წინათ თვითონაც მოსინჯა კალამი მხატვრულ პროზაში და დაწერა მშვენიერი ისტორიულ-სათავგადასავლო რომანი „ოდიშელი აზნაური ქუჯი ტფილისში“. მოქმედება XII საუკუნის საქართველოში ვითარდება და მკითხველს გლის ბევრი საინტერესო თავგადასავალი.

აი, თითქოს დავასრულე გელასადმი მიძღვნილი ეს მცირე ნარკვევი და საკუთარ თავს ვეკითხები, ვთქვი კი ყველაფერი? რაზე ხომ არ გამოძრჩა? იმდენად მრავალ-

მხრივი ადამიანია გელა გამყრელიძე, რომ არ არის გამორიცხული, რაღაც მართლა გამომჩნა მისი მდიდარი ბიოგრაფიიდან. და თუ ეს ასეა, იმედი მაქვს მომიტყეებს და ჩვეული ღიმილით შემიხსნობს.

70 წლიანი ბარიერიც გადალახულია. თუმცა, წინ კიდევ არაერთი მწვერვალია დასაპყრობი. წინამდებარე კრებულის ავტორების სახელით კიდევ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი მწვერვალების დაპყრობას ვუსურვებ ძვირფას მეგობარს და უფროს კოლეგას.

მომავალ შეხვედრამდე ბატონო გელა, 80 წლისთავზე!

**ზურაბ ბრაგვაძე**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი



**გელა გამყრელიძის ნაშრომები  
წიგნები / Monographs:**

- ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. *მეცნიერება*, თბილისი, 1982, 176 გვ., 15 ტაბ.
- К археологии долины Фасиса. *Мецниереба*, Тбилиси, 1992, 240 стр., 52 таб.
- ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი. *მეცნიერება*, თბილისი, 1993, 98 გვ., 2 ტაბ.
- კოლხოლოგიური ნარკვევები, II, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრი*, თბილისი, 2002, 262 გვ.
- ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი). *არტანუჯი*, თბილისი, 2005, 231 გვ., 38 ტაბ. (თანაავტორი).
- რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. *საუნივერსიტეტო გამომცემლობა*, თბილისი, 2006, 191 გვ., 13 ტაბ. (თანაავტორი).
- In the path of Georgian archaeology. *Georgian National Museum*, Tbilisi, 2009, 144 pages.
- ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში. *სულაკაურის გამომც.*, 2010, თბილისი, 214 გვ.
- Researches in Iberia-Colchology. *Georgian National Museum*, Tbilisi, 2012, 277 pages.
- I Romani nella Terra del Vello d'Oro (La Colchide e l'Iberia in età romana). *Rubbettino*. 2012, Roma, 145 pages. (co-author: Livio Zerbin).
- Archaeology of the Roman period of Georgia (*Iberia-Colchis*): essay and catalog. 2012, Tbilisi, 139 pages. <http://www.dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/40056/1/ArchaeologyOfTheRomanPeriodOfGeorgia.pdf>
- ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. *სულაკაურის გამომც.*, თბილისი, 2013, 740 გვერდი (თანაავტორ. ზ. ბრაგვაძე, დ. მინდორაშვილი და სხვ.).
- იარალ-საჭურველი ძვ.წ. V – ახ.წ. IV სს-ის საქართველოში, ტ. I, თბილისი, 2018, 296 გვ. (თანაავტ. ვ. შატბერაშვილი, მ. ფირცხალავა და სხვ.).
- იარალ-საჭურველი ძვ.წ. V – ახ.წ. IV სს-ის საქართველოში, ტ. II, (კატალოგი), თბილისი, 2018, 267 გვ. (თანაავტ. ვ. შატბერაშვილი, მ. ფირცხალავა და სხვ.), [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266882/1/IaragSachurveliDzv.C.VAx.C.IVSaukunisSaqartvelos hiKatalogi\\_Tomi\\_II.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266882/1/IaragSachurveliDzv.C.VAx.C.IVSaukunisSaqartvelos hiKatalogi_Tomi_II.pdf)

**სტატიები / Articles & Essays:**

- 1976 - მთისძირის ყანწ-რიტონის იკონოგრაფიისათვის. - ძველის მეგობარი, № 41, *საბჭოთა საქართველო*, თბილისი, გვ. 17-27, 1 ტაბ.
- Итоги работ Ванской археологической экспедиции 1974г. - Полевые археологические исследования в 1974 году (соавтор), *Мецниереба*, Тбилиси, с. 41-49, 5 таб.
- 1977 - მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები. – ვანი, ტ. III, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 58-78, 15 ტაბ.

- მასალები XIX ს-ის მეორე ნახევარის არქეოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში. - ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო კრებული, ტ. VIII, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 288-309.
- არქეოლოგიური გათხრები სოფ. მთისძირის მიდამოებში. - არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა I სამეცნიერო სესიის მასალები), *მეცნიერება*, თბილისი, გვ.74-88.
- К изучению древнекохидских оборонительных сооружений. – *Моамбе* (Сообщения Академии наук Грузии), № 2 (88), *Мецниереба*, Тбилиси, с.501-509.
- 1978 - ვანის მთისძირის ახალაღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობა, - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ... სერია, №3, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 109-128, 1 ტაბ.
- 1979 - Древние поселения в среднем течении р. Риони (*Автореферат канд. диссертации*), -*Мецниереба*, Тбилиси, 20 с.
- Итоги работ Ванской археологической экспедиции 1975г. - Полевые археологические исследования в 1975 году, (соавтор), *Мецниереба*, Тбилиси, с. 67-78, 4 таб.
- Итоги работ Ванской археологической экспедиции 1976г. - Полевые археологические исследования в 1976 году, *Мецниереба*, Тбилиси, с.137-149, 6 таб. (соавтор).
- 1980 - Работы Ванской археологической экспедиции 1977г. - Полевые археологические исследования в 1977 году, *Мецниереба*, Тбилиси, с. 146-159, 7 таб. (соавтор)
- 1982 - ადრეშუასაუკუნეების სამშენებლო კერამიკა ადგიშვილების გორიდან. - არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიების მასალები), *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 115-128.
- 1983 - ანტიკური (ბერძნული) იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში. – ვანი, ტ. VII, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 7-136, 62 ტაბ. (თანავტორი)
- 1984 - Основные итоги работ археологической экспедиции Абхазии в 1981г. - Полевые археологические исследования в 1981 году, *Мецниереба*, Тбилиси, с.28-38. (соавтор).
- 1985 - ანტიკური ხანა თუ იბერიულ-კოლხური ხანა. - საქართველოს არქეოლოგიური საკითხები, III, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 123-129.
- აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ... სერია, №3, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 86-99.
- 1986 - Вопросы развития подводной археологии в Грузии. - *Моамбе* (Сообщения Академии наук Грузии), *Мецниереба*, Тбилиси, №3 (122), с. 657-664.
- 1987 - Работы причерноморской подводно-археологической экспедиции в 1985г. - Полевые археологические исследования, *Мецниереба*, Тбилиси, с. 60-67. 3 таб.
- Экспедиция на оз. Палеастроми. - Археологические открытия, Наука, Москва, с. 626-629.
- წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ... სერია, №1, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 97-119.

- 1988 - Работы гидроархеологической экспедиции. - Археологические открытия, Москва, Наука, с. 523- 529.  
 წყალქვეშ მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები. - ძეგლის მეგობარი, საბჭოთა საქართველო, თბილისი, № 4, გვ. 44-57, 1 ტაბ.
- 1989 - მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ... სერია, №2, მეცნიერება, თბილისი, გვ. 59-69, 1 ტაბ.
- 1990 - Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis, - Le Pont-Euxin vu par les Crechs, Annales Litteraires de l'Universite de Besançon, 427, Paris, p.223-229.  
 On the history of the inception and development of archaeology in Georgia. Centre for Archaeological Studies. Tbilisi, 13 pages.  
 From Colchian mythology (Ochopintre, a Pan-type god), Centre for Archaeological Studies. Tbilisi, 14 pages.  
 Underwater archaeology in the Colchian littoral. Centre for Archaeological Studies. Tbilisi, 12 pages.  
 Историко-Топоархеологические вопросы Колхиды V в. до н.э. – V в. н.э. (Автореферат диссертации ученой степени доктора Исторических наук), Мецниереба, Тбилиси, 50 ст.  
 Гидроархеологические работы в зоне предполагаемого расположения древнего Фасиса. - Причерноморье в VII-Vвв. д.н.э., V симпзюм в Вани; Мецниереба, Тбилиси, 1990, с. 215-227, 1 таб.  
 ღვთაების ქანდაკება ვანიდან. - ძეგლის მეგობარი, №1, საქართველო, გვ. 52-58, 1 ტაბ.
- 1991 - О работе причерноморской гидроархеологической экспедиции. - Полевые археологические исследования в 1986 г., Мецниереба, Тбилиси, с. 77-79, 5 таб.  
 Рекомендации по составлению отчетов. - Полевые археологические исследования, Мецниереба, Тбилиси, с. 112-119.  
 Указатель археологических памятников, раскопанных на территории Грузии в 1952-1986гг. - Полевые археологические исследования, Мецниереба, Тбилиси, с. 114-128 (соавтор).  
 საქართველოს არქეოლოგია (რვა ტომად), ტ. I, მეცნიერება, თბილისი, გვ. 12-45. (თანაავტორი)
- 1992 - Hydro archaeology in the Georgian Republic (the Colchian littoral), - The International Journal of Nautical Archaeology, New-York, 1992, vol, 21, # 2, pp.101-119, 7 Fig.
- 1995 - ებრაული მენორას გამოსახულება საქართველოდან. - ქართული ხელოვნება, სამშობლო, თბილისი, № 1-3, გვ. 125-129, 1 ტაბ.
- 1996 - კოლხურ-მოსუნიკური კომპის რეკონსტრუირების ცდა. - ძეგლის მეგობარი, № 1 (92), თბილისი, № 1, გვ. 25-29, 4 ტაბ.  
 ჰიდროარქეოლოგიური კვლევა პალიასტომსა და შავ ზღვაში. - გურია, მხარის

- კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, *მეცნიერება*, თბილისი, გვ. 148-159, 4 ტაბ.  
ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან (ორგანიზაციული განვითარების გზა).  
*არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 35 გვ.
- 1997 - О работе причерноморской гидроархеологической экспедиции, - Полевые археологические исследования в 1988г., *Мецნიერება*, Тбилиси, с.79-87, 3 таб.  
კოლხი მედეას სახე სოხუმის სტელადან, - ძეგლის მეგობარი, №4 (99), თბილისი, გვ. 3-19, 4 ტაბ.
- 1998 - Ein Rhyton mit Götterdarstellung aus der Kolchis, - *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, Band 30, Berlin, 1998, S. 211-219, 2 Abb.  
ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის. *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 31 გვ. 2 ტაბ.
- 1999 - ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ისტორიაზე. - სამეგრელო-კოლხეთი, თბილისი, გვ. 12-29.  
დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი (1815-1878), ანტიკური ხანის უფლისციხის პირველი გათხრები (მელვინეთუხუცესიშვილის ახალადმოჩენილი სურათით). - ძიებანი, №4, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, გვ. 91-98.  
ქ. ფოთის ისტორიისათვის. - სამეგრელო-კოლხეთი, თბილისი, 1999, გვ. 122- 129.
- 2000 - დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890), არქეოლოგიის ისტორიიდან; - ძიებანი, №5, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 2000, გვ. 96-99.  
ერთი კერამიკული ნივთის ინტერპრეტაციისათვის ადგიშვილების გორის ნაგებობიდან (სანათი). - ძიებანი, №6, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, გვ. 54-59, 2 ტაბ.
- 2001 - ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). - ანტიკური ხანის კოლხეთის საკითხები; ძიებანი, დამატებანი, IV, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, გვ.26-39, 2 ტაბ.
- 2002 - Zur Identifikation der Kolcherin Medea auf einem Stelenrelief von *Suchumi*, - *Mitteilungsbatt des Internationalen Kaukasiologischen Forschungsinstitutes - Amira*, VI, Montreal-Tbilisi., S. 20-37, 1 Taf.  
კოლხოლოგია (კულტურულ-ისტორიული ნარკვევები), 2, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 264 გვერდი,  
ვერსია ბრძოლის სიუჟეტიანი ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან. - *ძიებანი, №10, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, გვ. 39-49, 2 ტაბ.
- 2003 - ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის. - იბერია-კოლხეთი, №1, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 2003, გვ. 170-189, 3 ტაბ.  
ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების მოკლე ისტორია. - იბერია-კოლხეთი, №1, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, გვ. 3-7.

- 2004 - იბერიულ-კოლხური ხანის საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიის წყაროები. - ძველი ისტორია, V, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 2004, გვ. 50-79.  
საქართველოს არქეოლოგიის ისტორიიდან. *დიოგენე*, თბილისი, 25 გვერდი, 3 სურ.
- On the History of Archaeology in Georgia (Part I). - *Journal of Georgian Archaeology, Centre for Archaeological Studies*. Tbilisi, 2004, # 1, pp. 208-218.
- 2005 - ნაოსნობის ისტორიისათვის ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. - იბერია-კოლხეთი, №2, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 2005, გვ. 181-189, 3 ტაბ.  
ქსენოფონტი კოლხურ-მოსინიკური საომარი ტრადიციების შესახებ (ფალანგა, მოსუინი). - ძველი ისტორია, VI, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი,
- 2006 - Stamps of Roman Military Units from the Eastern Black Sea Littoral (Colchis), - *Ancient West and East*, Brill, Leiden-Boston. vol.5, #2, pp. 225-238. Tab.1. (co-author),  
К историко-археологическому изучению Западной Грузии в эпоху античности, - Сб. *Археология Кавказа*, №1, изд. Инст. Археол. Грузии, с. 165-179.  
Version about Proto Jews and One More Diaspora in Georgia. - *Works of D. Baazov Museum of Jews in Georgia*, vol. IV, Tbilisi, pp. 26-37.  
საზოგადოების ისტორიული განვითარების მოდელი (ბიოგეოგრაფიკა და სოციოგრაფიკა); - გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, ტ. IV, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა, თბილისი, გვ.145-168.
- 2007 - საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიის პრობლემატიკა და პერსპექტივები. - იბერია-კოლხეთი (საქ. კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), №3, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, 2007, გვ. 5-18.
- 2008 - About the military-political situation in Georgia in the 4<sup>th</sup> cent. BC – 2<sup>nd</sup> cent. AD (Written Sources and Archaeological evidence). - *Iberia-Colchis (Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and early Medieval Period)*, # 4, Tbilisi, pp. 144-158.  
რეცენზია გიორგი დუნდუას წიგნზე „ქართული ნუმისმატიკა“ - იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), №4, *არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გამოცემა*, თბილისი, გვ. 130-139, (თანავტორი),
- 2009 - The Process of Globalistic Romanization and Ancient Georgia. - *Iberia-Colchis*, № 8, *National Museum of Georgia*, Tbilisi, pp. 183-192.  
The land of Colchis and the city of Phasis (Towards a historical-archaeological study of western Georgia in the Classical period). - *Iberia-Colchis (Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and early Medieval Period)*, № 5, *National Museum of Georgia*, Tbilisi, pp. 175-194.



- On the evolution the *colchian amphorae* (the 4<sup>th</sup> cent. BC to the 3<sup>rd</sup> cent. AD). - Iberia-Colchis, № 5, *National Museum of Georgia*, Tbilisi, pp.195-203.
- Two silver *rhytons* from west Georgia (*Mtisdziri & Gomi*). - Iberia-Colchis, № 5, *National Museum of Georgia*, Tbilisi, 2009, pp. 204-214.
- 2010 - The Development Archaeology in Georgia. - *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines*, Tbilisi, 2010, pp.15-51.
- Colchian amphora with stamp from *Poti-Phasis*. - Iberia-Colchis, № 6, *National Museum of Georgia*, Tbilisi, pp. 186-198.
- Оборонительное сооружение IV в. до н.э., из с. *Mtisdziri* в контексте сведений Ксенофонта и Витрувия - კულტურულ-საისტორიო ძიებანი (მიძღვნილი პროფ. გ. ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი), თბილისი, გვ. 53-81.
- ანეპიგრაფიკული ჯვრიანდამლიანი კოლხური ამფორა ფოთი-ფასისიდან. - ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამომცემა*, თბილისი, გვ. 176-189.
- 2011 - Sinopean Amphoras with Greek Graffiti in the Context of the Town of Phasis. - Iberia-Colchis, № 7, *National Museum of Georgia*, Tbilisi, p. 175-194.
- ბერძნულ გრაფიტიოანი სინოპური და კოლხური ამფორები ქალაქ ფოთი-ფასისის კონტექსტში. - ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამომცემა*, თბილისი, გვ. 172-181.
- რომანიზაციის გლობალისტური პროცესი და იბერია-კოლხეთი. - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. B (2), თბილისი. გვ. 76-91.
- 2013 - იბერიის სამეფო და რომანიზაციის პროცესი. - გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე, №1, თბილისი, გვ. 99-121.
- ხის კოლხური არქიტექტურა და მისი სოციალური არსის შესახებ. - გურია, მხარის კვლევის შედეგები, ტ. VII, თბილისი, გვ. 65-79.
- 2014 - Petroleum transportation in Georgia according to the archaeological data. - Iberia-Colchis (Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period), №10, *Georgian National Museum*, Tbilisi, p.197-200.
- 2015 - გრაფიტიოანი სინოპური და კოლხური ამფორები ქალაქ ფოთი-ფასისის კონტექსტში. - ონლაინ არქეოლოგია № 2, გვ.106-124.
- 2016 - Geschichte der archäologischen Forschung im 19. und 20. Jahrhundert; *Die vor- und frühgeschichtlichen Funde aus Georgien*; Museum für Vor- und Frühgeschichte Staatliche Museen zu Berlin; Bestandskataloge Band 13. S. 21-34.
- არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებ ძველ საქართველოში (ძვ.წ. VI – ახ.წ. VI ს.). - იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), №12, გვ. 5-67, (თანავტორი).
- 2018 - Typological Analysis of Weapons from Georgian Archaeological Sites of Classical Period (Spears, Battle-axes), - BULLETIN of the Georgian national

academy of sciences, vol. 12, no.4. p. 172 – 179. (co-author)

For the military history of *Georgia* of the classical period. - *Iberia-Colchis* (Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period), Tbilisi, #14. 177-211.

2019 - სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია. - იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), *საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემა*, №15, თბილისი, 9-40. [http://museum.ge/index.php?lang\\_id=-GEO&sec\\_id=95](http://museum.ge/index.php?lang_id=-GEO&sec_id=95)



## სამეცნიერო-პოპულარული სტატიები Popular Scientific Articles

პირველი ქართველი არქეოლოგი; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1981, 27.II. 10.

საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან; ჟურ. „ცისკარი“, თბილისი, 1982, №8, 137-145.

სოფ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები; „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 6, თბილისი, 1983, 672.

წყალქვეშა არქეოლოგიის პერსპექტივები საქართველოში; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1983, 8. VII. 12.

წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიცია; „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1986, 7.X. 14.

საქართველოს არქეოლოგიის ნაკვალევზე; საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო-პოპულარული აღმანახი - აია, №1, თბილისი, 2008.

წყალქვეშა არქეოლოგია და ფასისის საიდუმლო; საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო-პოპულარული აღმანახი - აია, №1, თბილისი, 2008,

ღვინის სასმისები საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან; საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო-პოპულარული აღმანახი - აია, №1, თბ., 2008.

## სახელმძღვანელოები/Textbooks:

მასწავლებლის წიგნი, საქართველოს ისტორიაში, ლოგოს პრესი, (თანაავტორი), თბილისი, 2008, 120 გვერდი.

საქართველოს ისტორია, 9 კლასის სახელმძღვანელო, ლოგოს პრესი, (თანაავტორი ზ. კიკნაძე). თბილისი, 2008, 505 გვერდი.

История Грузии (учебник, 9 класса), *Логос прес*, Тбилиси, 2009, 585 стр. (соавтор. М. Сулгуладзе, Г. Анчабадзе).

Gürcüstan tarixi (co-author G. Anchabadze). Tbilisi, 2010, 578 pages (in Azerbaijanian).

ისტორია, 7 კლასის სახელმძღვანელო, (ზოგადი ისტორია), ლოგოს პრეს., თბილისი, 2019, 169 გვერდი (თანაავტორები მ. სულგულაძე, ზ. კიკნაძე).

### **Ethnical Traditions of the Mugan steppe in the 5<sup>th</sup> – 3<sup>rd</sup> Millennia BC**

The Mugan steppe is an independent ecological niche, whose eastern part is located in the southeast of the Azerbaijan Republic and western part is located in an adjacent territory of the Republic of Iran. Studies carried out in the Eastern Mugan make it possible to trace the process of development and change of traditions within this territory, starting from the 5<sup>th</sup> millennium BC. We have no full information of Western Mugan sites; however, indirect data concerning the development of landscapes allow us to think it was inhabited a bit earlier than the Eastern one was. Generally speaking, the Mugan steppe is interesting for that it is located at the junction of the Southern Caucasus and the Middle Asia and has almost always been the most suitable section of interconnections at the line of their contact.

Archaeological studies have revealed that the Eastern Mugan started being settled in the middle of the second half of the 5<sup>th</sup> millennium BC. They were the bearers of Late Neolithic ethnical tradition we call the Mugan Neolithic tradition.

In the series of Southern Caucasus's Neolithic traditions, the Mugan Neolithic tradition is the youngest one, primarily due to the change of geo-climatic processes of development of Southern Caucasian plains. In the eastern part of the Mugan plain, conditions favoring the development of Neolithic traditions occurred a bit later than that in the rest plains of the Southern Caucasus. That was a narrow ridge strip locked by not high spurs of the Bravar ridge in the west and the Caspian Sea in the east, and cleaved by a number of small rivers and dry banks going down from the mountains toward the sea.

At present, there have been registered more than 20 remnants of Neolithic settlements in the Mugan (eastern) plain. Excavations were carried out at two of them (Alikomektepe and Polutepe), whereas one settlement – Fettepe – was explored by stratigraphic prospect hole. The rest sites were investigated only visually. The collected lifted material proves that they are wholly identical to materials obtained as a result of the excavations and indicates that they belong to a single archaeological tradition of the Mugan Neolithic.

The remnants of settlements have been conserved in the form of tepe located most often at the edge of shore terraces or in the form of a shore cape. Their area oscillates from 0.25 hectares to 6 hectares per one tepe. In some cases, the remnants of settlements are situated on practically smooth portions of a plain, with no visible traces of water arteries. However, study of geomorphological processes in the Mugan plain indicates that, at a time when these settlements were in operation, near them there were passing water arteries, which are currently overlapped by later alluvial sediments that partially covered the lower part of the tepe as well.

The thickness of Neolithic cultural sediments on the three excavated settlements oscillates from 4 meters (Alikomektepe) to 6 meters (Polutepe).

At Alikomektepe, hilly remnants of a settlement located on the Right Southern Bank of River Indjachay, in the territory of settlement Uchtepe, were later used for the Middle Bronze, antic and medieval graves. The remains of a Neolithic settlement at Polutepe located 1 kilometer east of Alikomektepe, on the same Bank of River Indjachay, were later inhabited, for a short period

of time, by the bearers of the Kura-Arax and post-Kura-Arax burial mound traditions, used for Middle Bronze graves with glazed ceramics and settled for a long period of time in the 9<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries AD. Within a considerable part of a river shore strip adjacent to the two settlements above, there are often found Early Iron materials; however, this period is no way presented on the very remnants of the settlements.

Neolithic sediments on settlement Fettepe located 4 kilometers north of Polutepe are overlapped only by a thin medieval (9<sup>th</sup> -11<sup>th</sup> centuries AD) layer; however, just 200 meters west of it, behind the supposed water artery, there are located the remnants of Leylatepe settlement Alkhan-tepe. Not far from the visually investigated settlement Pashatepe located 5 kilometers west of Polutepe, also on the Right Bank of River Indjachay represented only by Neolithic sediments, there are remnants of a Middle Bronze settlement with decorated ceramics. All the rest known Neolithic settlements of the Mugan plain are single-layer ones.

Architectural remains have been found on the excavated sites. They include rectangular, oval, and round buildings of tile brick. A rectangular brick is laid mostly on a thin clay mortar. However, there have also been found buildings where the bricks were laid with no clay mortar between them.

The walls are overwhelmingly one-brick thick, with bricks put along the length. However, there have also been revealed remains of walls with two longitudinal bricks thickness and, in one case, with two transversely put bricks thickness.

In the upper thickness of cultural sediments of settlement Polutepe, no remnants of brick buildings with expressed “construction” horizons have been found; however, there has been detected an insignificant quantity of fragments of burnt brick, which makes it possible to think light-construction buildings were also used in the Neolithic architecture of the Mugan plain.

In the studied settlements of bearers of the Mugan Neolithic tradition, there have also been detected the remnants of their graves. They were put onto various sections of cultural layers in inexpressive not deep hollows. The dead bodies were put in to various extents writhed positions on their right or left side, rarer on the back. The age distribution of the dead bodies was also not stable. There were the graves of either adults or infants. In the majority of cases, the dead bodies and their graves were covered by dark red ochre. Some of those buried, including infants, had the accompanying implements, most often a small cup or various beads.

Along with that, the number of those buried is too small compared to the period of the settlement’s existence, which makes us think the Mugan Neolithic tradition bearers had other forms of treating the dead bodies as well.

The archeological tradition is most of all determined by the ceramic production that to a significant extent reflects the tradition’s ethnical essence and identity. For Mugan Neolithic sites, there is typical a great saturation of ceramic discoveries several times exceeding the traditions of other Caucasian regions. These hand-made ceramic works of clay with vegetative admixture, usually covered with a quality engobe and burnt evenly, rather well. The surfaces were smoothed, some were glazed. There prevailed engobe of various tints of brown; however, there also were lots of specimens of other colors, ranging from whitish to brown-black.

The upper thickness of layers of settlement Polutepe revealed fragments of large wicker cups. The wicker prints are well preserved on the whole outside surface, except for a 3-5-centimeter strip at the upper cut, over the wicker edge.

Unlike the rest Neolithic traditions of the Caucasus, the Mugan Neolithic is generally speaking typical for the existence of a substantial number of decorated ceramic works. The decorations were put onto an engobe surface, including that of wicker vessels. Depending on a form and functional

designation, a decoration was put onto an inner or outer surface or on both. Sometimes, especially in the case of miniature vessels, the surface was preliminarily painted before it was decorated.

A decoration was usually put before the surface was burnt with brown or dark brown or rarer red paint. In single instances, they used the yellow color. Seldom, there are found fragments of vessels painted in red after they were burnt. Decoration motifs are geometrical. They are mostly drooping hollow or poured triangles, rarer rhombs, stairs, etc.

They made vessels of different sizes, ranging from miniature 5-6-centimeter (diameter) “saucers” to vessels with the diameter and height exceeding 1.2 meters, with their crock 4-5 centimeters thick. Except for small bowls, the dishes are flat-bottomed. The bottom’s transition to the wall could be sharply expressed or, on contrary, be soft, with a slightly concave middle. Depending on their form and functional designation, there were either wide-bottom or narrow-bottom vessels. The bottoms of the latter were sometimes thickened in the form of a small heel, and their outer surface bore the prints of a concentric wicker.

As for forms, there were outlined small semi-spherical bowls, flat-bottomed bowls, whose sizes oscillated from miniature ones to large ones with diameters exceeding 50 centimeters, wide-bottomed kazans (pots) with slightly turned ledges, large barrel-shaped vessels narrowing to the bottom and edge, or almost cylindrical vessels. These vessels had no handles. Only kazans were equipped with small handles that apparently were attached a certain magical importance. Among them, there were often found specimens modeled in the form of head of an animal or female or male sexual organs.

The crowns were mostly inexpressive, while the edges were simply smoothed roundly. However, there have also been found vessels with their smoothed edges formed as a thickened cylinder, or vessels with a slightly bent upper edge of the wall.

Narrow-neck vessels with the cylindrical neck and expressed shoulder are a form of a vessel typical for the Mugan Neolithic. They are usually equipped with a loop-shaped handle (also typical for the Mugan area) linking the neck’s edge to the vessel’s shoulder. There is a single specimen of a cup equipped with the same handle. At Polutepe, there are often found cylindrical cauldron-shaped vessels with a groove in the basement.

Apart from having decorations, the Mugan Neolithic tradition ceramic items were decorated with various kinds of models that were probably also attached a magical importance. They were mostly little nipples under the edge. They had different numbers of little nipples, ranging from a single one to a chain going all over the upper section of a vessel, regardless from the latter’s form. There were rarer found little nipples fastened, in different combinations, to a vessel’s shoulder, closer to its upper edge. There were also models in the form of squint and straight sleepers, or in the form of a crescent with its edges up, or in the form of small rings.

Apart from vessels, Mugan Neolithic settlements revealed fragments of flat disk-shaped braziers, lids, and small trihedral cones. The latter are sometimes painted red and, probably, represented certain individual or family altars.

The making of such quantity, quality, and variety of sizes and forms of ceramic products is hard to imagine without respective kilns. Archaeological studies in settlements Alikomektepe and Polutepe revealed several dozens of kilns used to burn the ceramic materials. They are of three forms, all are two-tier ones.

In terms of quantity, there prevail kilns with a stretched groove dug in the ground and overlapped at the level of horizon by a wattle and daub platform, a ground of the upper chamber. Several pairs of holes are stretched from the kiln chamber’s longitudinal walls toward both sides onto the surface into the upper chamber contoured by a tile-brick wall and, probably, overlapped

by a tile-brick vault. On its both ends, the kiln chamber had oval-expanded edges stretched to a horizon outside the upper chamber's walls. The burning chambers of these kilns were 2.4 meters long and 1.8 meters wide, though the majority of chambers were smaller.

Settlement Polutepe also revealed kilns of a more complex construction of a square form where the holes were interconnected and separated under the upper ground and led onto the surface throughout the chamber's perimeter. Finally, on settlement Polutepe, there have been investigated small kilns, of which there has been preserved only the lower tier in the form of a round hollow with an attached little groove. Their total length was around 0.8 meters.

In cultural layers of Alikomektepe, there have been found round "platforms" with the diameter of 0.4-0.6 meters placed in the form of crocks of ceramic vessels. They were made of relatively thick crocks, with their ribs put one to one throughout the crock's height, put into clay mass. The formed surface was slightly concave to the center.

At Alikomektepe, at its lowest horizon, there have been found anthropomorphous figures of unbaked clay. At Polutepe, also mostly in the lowest layers, there have been found unbaked stylized figures of women. In addition, there has been detected a small number of zoomorphic figures.

For all Neolithic sites of this region, there is typical a large number of clay cannon bullets, found in either single specimens or accumulations of several dozens.

The existence of a large number of bone and horn things is typical for the Neolithic. Of no exception are the Mugan Neolithic settlements where a large number of bone things and a smaller number of horn things were found as well.

As for functional designation, there prevail pricks made mostly of tubular bones of sheep and goats. In the majority of cases, for this purpose there was used a longitudinally split bone with the epiphysis head remained or removed, and the contrary end pointed. Rarer, the end of a tubular bone was sidelong cut off and pointed.

There are very many polishers. They are of two kinds. Some of them are made of a tubular bone, one end of which is sidelong cut off as the working surface. However, there prevail knife-shaped polishers made of a longitudinally cut shoulder bone of sheep and goats.

Apart from the above-described ones, other items found on the settlements included bone ponds, stone ranges, "scoops" made of shoulder bone of sheep and goats, hoe-shaped tools, beads, etc.

There were discovered two types of altars in the settlement. One type is clay made and another one is constructed from the stones. The best preserved altar is from the house # 1. It has prolonged form with length 2.72. m width 1.12 m and height 0.48 m. The altar is constructed from stones and clay and its surface is plastered with clay. A shelf (bench) is attached to the altar from the northern side. The shelf (bench) is set against the western wall. Similar benches were discovered in every room. In the part where the floor is paved with stone slabs is placed a bed, its length is 2.5 m and width 1.2 m. Bed is constructed from the more massive stones than those of the floor slabs.

In the corner of the room there is placed two-leafed oven for bread baking. The best preserved oven was discovered in house # 5. Length of its façade is 1.3 meters, height 0.75 meters and width 0.9 meters. The oven is made of stone slabs with clay mortar and is covered with big stone slab which is placed on three vertical stone slabs. Floor in the fire-chamber and baking place is plastered with clay. Cut of the baking place show us that the lower level was filled with clay and pebble. This level was plastered with clay and covered with ceramic pieces of different sizes and forms. In the oven there were three levels of thermo-insulation. Darakoi houses were renewed. During the renovation the damaged part of wall was left in its place and the new wall was built at the expanse of the interior. As it seems the floor was renovated in the same time.

The main part of the discovered materials are clay vessels. Only several metal objects were discovered on the site. During the excavations many agricultural tools were discovered, what indicates the high level of agricultural development of the population. In every house there were discovered hand-mills, grind stones and mashers made of tuff, basalt and cobblestone.

Darakoi settlement contained two cultural layers and several horizons. Upper layer is represented with cult buildings, living houses and storages as well as several storage pits. Big part of storage pits is in the lower layer. The upper layer of the settlement, basing on the materials discovered in houses and storage pits, is dated from the middle of the 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C. and the lower layer is dated from the 6<sup>th</sup> c. B.C.

**Sakdrioni settlement** is situated south from the Darakoi settlement, on the opposite side of Tsalka reservoir. The settlement is situated on a slope which sets against the right bank of Ktsia

---

5. Narimanishvili, „Darakois namosaxlari“, 94-125.

river from the northern side. Settlement is situated on 1520 meters above sea level, west from the village Sakdrioni (Edi Kilisa in the past). The length of the settlement on the east-west line is 1000 meters and on the north-south one 800 meters. Three buildings were excavated on the settlement.

Houses are built from big and middle sized basalt stones. There are preserved 5-6 rows of the walls. Floors of the buildings are plastered with clay or paved with big stone slabs. At the western wall of the house #1 were discovered two full skeletons of sacrificed piglets, one was placed on a bench (altar?) and another one in a nearby hollow. At the necks of the piglets clay pendants were discovered.

At the eastern wall of the same house a strongly damaged oven, its proportions are 0.8 X 0.8 meters. On the oven a small oil-lamp was discovered and fragments of pen like vessel were found near it. Four storage pits were excavated in the house. Along with the ceramics in the houses were discovered: obsidian nucleus, pendant made from a phalanx of a small cattle, bronze bracelet, bronze ring, clay pendant, obsidian flakes, cobblestone grind stones and basalt hand-mills.

Osteological materials indicate that that the main food of the local population used to be meat and animal products. Here were discovered remnants of bones of different animals like chicken, pig, sheep, goat and cattle and well as fish bones. Sakdrioni settlement contains two cultural layers and several horizons. Upper layer belongs to the Hellenistic Period (3<sup>rd</sup> – 1<sup>st</sup> cc. B.C.) and the lower one is dated from the 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C.

**Ai-Ilia settlement** is situated in Trialeti in 3 km west from the village Beshtasheni, on Ai-Ilia mountain range. This range lies between Beshtasheni and Santa villages along the Tsalka reservoir. On the top and slopes of the mountain “cyclopean” stronghold, settlement and man-made terraces are situated. The “cyclopean” stronghold is surrounded by a Late Bronze Age settlement. West from the stronghold the oldest layers were discovered; they do belong to the Late Mesolithic or Early Eneolithic periods.

A big architectural complex of 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C. is situated in the southern part of the top of the mountain, in 150 meters south from the “cyclopean” stronghold and 200 meters east from the Early Eneolithic site. Supposed length of the complex was 70 meters and width 25 meters. Complete area of the building is 1700 – 1800 square meters. Complex contains 15 storages (number of the storages was determined only by visual observation), 8 of them are well preserved and another 7 ones are strongly damaged. It is important to mention the regular disposition of the complex planning.

The complex was built according to one, preliminarily worked out plan. From the all four sides it is surrounded by massive 4 – 5 meters thick walls. Thickness of the walls between the storages reaches 2 – 3 meters. Walls are built from big, partly treated basalt stones. One sided laying is constructed from several rows of horizontally placed stones. Room between the side stones was filled with small stones and as it seems with mud as well. Exactly this is the main difference between the building technique of Ai-Ilia big complex and Trialeti “cyclopean” buildings which are built with dry masonry.

There are not discovered any remnants of other buildings near the complex. In 2005 one storage was excavated, it is 9.0 meters long and 9.0 meters in width. Preserved height of the walls reaches 1.5 – 1.8 meters. The house had a flat roof, which was based on stone walls and four pillars in the center of the house. Floor of the house used to be plastered with clay. Along the northern wall of the room, in its central part, a bench with high back was constructed from the big stone slabs. The bench is placed 0.5 meter far from the northern wall and is separated from the floor with one stepped podium. Length of the bench is 3.5 meters and the width reaches 1.75 meters. Width of the sitting place is 0.8 meter and the height of the back reaches 0.4 – 0.5 meter.



Height of the sitting place from the podium is 0.4 – 0.45 meter, the height of the podium from the floor level is 0.2 – 0.25 meter and its width 0.95 meter. It is possible for four, maximum five persons to sit on the bench.

Along the eastern and western walls there are narrow “benches” or “chairs” constructed from stone slabs. Unlike the central bench they are directly attached to the walls and do not have podiums and backs. Persons who sit on these benches have to lean against the wall and place their feet on the floor. These benches are similar to each other, their length is 4.7 meters and width 0.4 – 0.6 meter. On each one 7 – 8 persons can sit in the same time.

North-western and south-eastern corners of the room are constructed differently. In the north-western corner a short bench with back is placed, in the opposite, north-eastern corner an oven is constructed. Bench in the north-western corner lies along the western wall, its length is 2.25 meters and the height of the back reaches 0.5 meter. This bench does not have a podium. Three or four persons can sit on it in the same time. Direct extension of this bench along the wall is another bench without back. In the north-eastern corner of the room, there is constructed a big oven with two sections. Both sections are built with big basalt slabs. The oven was covered with one big basalt slab. Thermo-insulation of the oven was made with high quality clay and pieces of ceramics. Chimney was built inside the wall, thus could not be seen from the interior. Length of the oven is 1.8 meter, its deep 1.5 meter and the height supposedly was 1.0 – 1.1 meter. From the south an ash box is attached to the oven. The length of the box is 1.1 meter, width 0.8 meter and its height reaches 0.5 meter. A sitting bench is attached directly to the oven and the ash box.

As we have mentioned, on the top of the Ai-Ilia mountain there was built only one complex and not a settlement. It is important that the building, which we have excavated is different from other contemporary buildings not only in Trialeti or Kvemo Kartli, but also in whole South Caucasus. This fact indicates the different function of the site.

Today it is hard to discuss the function of Ai-Ilia complex, because its main part is not studied yet. Though, it must be mentioned that the interior of the room is directed to the bench at the northern wall, which dominates the whole interior. The inner space is organized in the way that the central part of the room is totally free. Benches along the walls are directed to the centre of the room, where supposedly, the main actions had place. Basing on the abovementioned facts we can say that the room was not used as a living space.

We believe that the building, which was excavated in 2005 used to be place of public meetings. Special sitting places and benches along the walls indicate that some number of people used to gather here. It is important to mention that the organization of the interior indicate the existence of complex social hierarchy. It seems, that in the society, which used to gather in Ai-Ilia complex, the highest rank holds persons who set on the benches with podium and back at the northern wall, persons with next, lower rank set on the bench with back at the north-western corner, person who hold third place in the hierarchy set on the benches at the eastern and western walls.

It hard to say why there were no benches at the southern wall, what was placed there or who used to occupy this place. Also it is hard to say what was the function of the center of the room. Excavation of only one room of Ai-Ilia complex does not answer many questions. Though the discovered materials and the received information is very important for study of history of Trialeti and South Caucasus of 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C.

Basing on the data received from the 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C. settlements in Trialeti we can say that the settlements of this period occupied 2 – 5 hectares. Houses were placed on a low terrace (Darakoi, Sakdrioni). Living area used to be represented with one big room. Interior of the houses was simple. In one corner an oven used to be constructed, along one of the walls there was a bed made from clay or stones and the floor was plastered with clay. Ceramics discovered in the houses is kitchenware and the number of household vessels is small.

It must be mentioned, that in each house was constructed small or middle sized altar. As it seems some rituals were conducted in the houses. One part of the houses (Ai-Ilia, Darakoi house # 1) used to be places for public meetings. In these houses long benches are constructed along the walls. As it seems Darakoi house used to be some kind of chapel, in the center is placed a big altar and a fire was burnt on it. In the building excavated in Ai-Ilia complex no altar was discovered, neither there were found fragments of ceramic vessels (they were used only in thermo-insulation of the oven). Though it was place for public meetings for sure. Its exact function, supposedly, will be defined after complete excavation of the complex.

Interesting information about household of 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C. Trialeti was received after paleozoological and palynological studies. It was found out that main food of the Darakoi population used to be meat and animal products. Here were discovered remnants of bones of different animals like chicken, pig, sheep, goat, buffalo and cattle and well as bones of wild animals like fox, badger, bear, roe deer and stag. Also there were discovered several bones of a bird, lower jaw of a field vole and one fish bone. Discovery of donkey and horse bones in the settlement indicate that these animals were used as a draught animal. Also it is interesting that a skeleton of a dog was discovered in the cultural layers of the settlement.

Settlements which we excavated do not answer the question: where and in what conditions were the animals kept, but we can say that they were far from the houses.

Palynological research indicate the intense agricultural activities of Darakoi population. Several breeds of wheat, barley, rye, oat, millet and Italian millet used to be sowed there. Though the most popular was wheat. Population did also cultivate a flax. Palynological spectrum did not find any sign of vine-growing or gardening. Along with arable farming a cattle breeding seems to be well developed there. This fact is indicated by discovery of big amount of weeds typical for pastures and dung mushrooms as well as leather beetles, indumenta of moth larva and sheep fleece. Composition of palynological complex and heart wood cells of trees and plants show us that in the discussed period a forest was growing around Darakoi. The forest was mainly composed from pine-trees, but also included oaks, maples, and elms. Along the rivers alders were growing. Palynological study showed us that in this period the climate was not too warm, which made difficult to develop vine-growing and gardening.

Most of the artifacts discovered in the settlements Darakoi, Sakdrioni and Ai-Ilia, are pottery. Ceramics is distinguished by its abundance and diversity. One group of ware is made of well-sedimentary clay, thin-walled and produced on a potter's wheel. It is black. The second group of ceramics is also made of well-sedimentary clay and is thin-walled. This pottery is red. The surface of the ware of this group is well processed, polished, or decorated with relief ornament. Part of this pottery is painted in red, or ornamented.

Among the materials discovered in Ai-Ilia, Darakoi and Sakdrioni settlements a special attention must be paid to the red-clay pottery. Part of this pottery is painted or ornamented in red. Spread of "triangle ware" style pottery in Kartli is explained by the influence of Achaemenid Iran.

At the Darakoi settlement, like the sites of 5th-4th cc. BC of Kartli (Iberia), the specific, kettle-like vessels, typical for the Iranian world were found, the red colored and ornamented pottery begins to spread at the same period.

The vast majority of pottery found at the settlements is painted in red. Among the materials discovered in Darakoi settlement, special attention deserves vessels, painted and ornamented in red. They were produced under influence of pottery “painted with triangles”, which was spread on the territory of Achaemenid Iran.

The oldest specimens of painted ceramics on the territory of Georgia were found on the sites of Kura-Arax culture<sup>6</sup>. At the beginning of the 2<sup>nd</sup> millennium B.C. painted pottery widely spread on the sites of Trialeti culture<sup>7</sup>. In the later period, for almost a thousand years, there is no signs of such pottery. After a long pause in the territory of Kartli painted pottery appeared in the Achaemenid era and in the 4<sup>th</sup> – 3<sup>rd</sup> centuries. B.C. spread so widely, that in scientific literature this period is defined as the era of painted ceramics<sup>8</sup>. Since the 2<sup>nd</sup> century B.C. number of this ceramics start to decrease and in the 2<sup>nd</sup> century A.D. practically disappears.

The vessels, painted in red, discovered at Darakoi and Sakdrioni settlements is similar to the style of the triangles. Archaeologists believe, that the pottery painted with triangles, appears in Kartli from the 5<sup>th</sup> or 4<sup>th</sup> centuries B.C. The opinion of scientists is divided on the origin and the ways of distribution of painted pottery. We believe that, the spread of this ornament on the territory of Kartli was determined by two conditions. Distribution of pottery painted and or ornamented in red is certainly a consequence of relations with Achaemenid Iran<sup>9</sup>. Although local production of such ceramics was contributed by the gray and black ware, which existed in the era of the Late Bronze - Early Iron. These ware was ornamented with glossy or scratched triangles. In our opinion, painted, as well as red ceramics in Kartli appears during the Achaemenid era, when the Achaemenids paid special attention to strengthening the northern borders of the young empire.

In our opinion, the spread of Achaemenid culture in the South Caucasus started after 522-521. B.C, when the military activity of the Achaemenids in this direction reached its climax. As it seems in 515 B.C. when Darius captured Thrace and began a campaign in Scythia, the political influence of Achaemenid Iran in the South Caucasus had already been established. It was in this period of time that settlements appeared at the villages of Sakdrioni, Darakoi and on Mount

---

6. Shanshashvili, Nino and Narimanishvili, George, “Painted Pottery of the Kura-Araxes Culture from the South Caucasus” in International Symposium on East Anatolia South Caucasus Cultures. Proceedings, I (2015), edited by Mehmet İşikli and Birol Can. Cambridge:132-144.

7. Japaridze, Otar, *Arkeologiuri gaxrebi Trialetshi* (Archaeological Excavation in Trialeti). (Tbilisi: Metsniereba, 1969) 122-147.

8. Gagoshidze, Iulon, *Samadlo. Arkheologicheskie raskopki.* (Samadlo. Archaeological Excavations) (Tbilisi: Metsniereba, 1979) 90.

9. Goderdzi Narimanishvili, *Keramika Kartli V-I vv. do n.e.* (Keramiks of Kartli V-I cc. B.C.) Tbilisi: Metsniereba, 1991. Goderdzi Narimanishvili, “Iberia da Iranuli samkaro” (Iberia and Iranian World). Scientific Session “World cultural and historical process and Georgia” (1993). Abstracts. Tbilisi, 39-41. Goderdzi Narimanishvili, “Agmosavlet amierkavkasia da iranuli samkaro dzv.ts. V-I ss. (Eastern Transcaucasus and Iranian World in V-I cc. B.C.) II Scientific Session “World cultural and historical process and Georgia” (1994). Abstracts. Tbilisi, 19-22. Goderdzi Narimanishvili, “Darius’s campaign to Scythia and Eastern Transcaucasus.” III Scientific Session “World cultural and historical process and Georgia” (1995). Abstracts. Tbilisi, 17-20. Goderdzi Narimanishvili, “Die Keramik Kartlis (Iberiens) in achaimenidischer und postachaimenidischer Zeit“. *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 32* (2000): Berlin. 227-242. Goderdzi Narimanishvili and Vakhtang Shatberashvili, „Red-Painted Pottery of the Achaemenid and Post-Achaemenid Periods from Caucasus (Iberia): Stylistic Analysis and Chronology.“ *Ancient Near Eastern Studies XLI* (2004):120-166.

Ai-Ilya Mountain., which existed until the middle of the 4<sup>th</sup> century. B.C. The stratigraphy of Darakoi settlement and the stylistic-typological analysis of Kartli ceramics showed that the upper layer of the Darakoy settlement dates from the 5<sup>th</sup> and the middle of the 4<sup>th</sup> centuries B.C, and the lower layer dates from the 6<sup>th</sup> century B.C.

The artifacts found in the settlements of Sakdrioni, Darakoi and Ai-Ilya clearly indicate that the painted pottery in Kartli appears if not at the end of the 6<sup>th</sup> century. B.C, then in the early 5<sup>th</sup> century B.C. already was in use.

Existence in South Caucasus of strong settlements and strongholds (Erebuni, Benyamin, Karajamirli, Sari-Tepe, Gumbati, Tsikhia-Gora etc.) and other sites, where many Achaemenid and Achaemenid style artifacts were discovered indicates a cultural, economical and political influence of Achaemenid Iran.

Achaemenid influence is clearly noticeable in Trialeti settlements dated to the 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C. There in the houses, along with the foreign red and painted pottery, appears new elements of the interior. As it seems religion and beliefs started to change that which had an effect on everyday life.

*ვოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
(საქართველო, თბილისი)*

**სახლი და სახლ-კარი ძვ.წ. V-IV საუკუნეების  
სამხრეთ საქართველოს მთიანეთში  
(თრიალეთი)**

ძვ.წ. V-IV საუკუნეებში თრიალეთი სამხრეთ საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა. ამ ეპოქის ძეგლები პირველად შესწავლილ იქნა ბ. კუფტინის მიერ, რომელმაც XX ს. 30-40-იან წლებში გათხარა სამაროვნები სოფ. ბეშთაშენში, კუშჩიში, კარიაკში, დაშ-ბაშში და ავრანლოში. სინქრონული ნამოსახლარები დიდხანს არ იყო ცნობილი. მხოლოდ 1998 წელს თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. დარაქოისთან და აი-ილიას მთაზე აღმოაჩინა ძვ.წ. V-IV სს. ნამოსახლარები. სამ ნამოსახლარზე (დარაქოი, აი-ილია, საყდრიონი) არქეოლოგიური გათხრებიც ჩატარდა.

თრიალეთში სამოსახლოს შერჩევას მნიშვნელოვნად განაპირობებდა ლანდშაფტი და ბუნებრივი პირობები. ძვ.წ. I ათასწლეულში თრიალეთში სულ მცირე ორი ლანდშაფტური ტიპი - მთის ველები და ტყე არსებობდა. ამგვარი ლანდშაფტი კი მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონის თანამედროვე ლანდშაფტური პირობებისაგან, რომელიც ტყის ბიოტიპების აშკარა სიღარიბით ხასიათდება.

პალეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, წალკის პლატოზე უკანასკნელი 15000 წლის განმავლობაში ლანდშაფტის განვითარების 10 ეტაპი გამოიყო. ძვ.წ. XV-VI სს. შეესაბამება მერვე ეტაპს, როდესაც ხდება კლიმატის დათბობა. კლიმატის დათბობა გრძელდება ძვ.წ. V საუკუნემდე, როდესაც დაიწყო სუბატლანტიკური პერიოდის აცივება, რომელიც ასევე გლობალურ ხასიათს ატარებდა. ძვ.წ. V საუკუნიდან დაწყებული პერიოდი ხასიათდება კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესებით, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არქეოლოგიური ძეგლების რაოდენობა ძვ.წ. V საუკუნიდან თანდათან მცირდება. ნიშანდობლივია, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მიწურულის მხოლოდ ორი ნამოსახლარია (ბეშთაშენი, სანთა) მიკვლეული.

კლიმატური პირობების გაუარესება კარგადაა ნაჩვენები აი-ილიას მთის ნამოსახლარის პალეოსპექტრებში. ხე-მცენარეებს შორის არ არის სითბოს მოყვარული ისეთი მცენარე, როგორიცაა ცაცხვი, ნაკლებია სათესი მარცვლეული და საერთოდ არ არის კულტურული ვაზი. მეურნეობაში წამყვანი როლი ეკუთვნის მესაქონლეობას.

პალეოზოოლოგიური და პალეოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ თრიალეთის ძვ.წ. I ათასწლეულის დასახლებების ფუნქციონირება და თანამედროვე პერიოდის ლანდშაფტური პირობები გარკვეულწილად შეცვლილია.

თრიალეთის ლანდშაფტი სამოსახლო სივრცის შერჩევასაც განაპირობებდა. დღეს არსებული დასახლებული პუნქტები მდინარეთა ნაპირებზე, დაბალ ფერდობებზე ისეა განთავსებული, რომ მათ ერთის მხრივ საძოვარი და სათიბი, მეორე მხრივ კი სახნავ-სათესი ფართობები აკრავს.



უძველესი დასახლებებიც მდინარეთა ნაპირებზე ყოფილა განთავსებული. პალეონოლოგიური კვლევა გვიჩვენებს, რომ დასახლების ახლომდებარე მინდვრების ნახევარი სახნავ-სათესად, ნაწილი კი საძოვრად გამოიყენებოდა; ნამოსახლარის სიახლოვეს იზრდებოდა არყის ხეები, კაკალი და თხილი; რეგიონში კი იყო ტყეები ან დიდი კორომები, სადაც მუხა, მურყანი და თელა იზრდებოდა. ძვ.წ. V-IV სს-ის სამოსახლოები ძირითადად მდინარისპირა მეორე ან, უფრო მაღალ, მესამე ტერასაზეა გამართული. თუმცა, იშვიათად, უშუალოდ მდინარეულ პირველ ტერასაზეც უცხოვრიათ.

2003-2008 წლებში წალკა-თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული დარაქოის, საყდრიონის და აი-ილიას ნამოსახლარები.

**დარაქოის ნამოსახლარი.** სოფელი დარაქოი მდებარეობს ქვემო ქართლში, თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქ წალკიდან ჩრდილო-დასავლეთით, 15 კმ-ზე.

დარაქოის ნამოსახლარი იკავებდა 2.5 ჰა-ს. გაითხარა 300 კვმ ფართობი, რომელზეც განლაგებული იყო 9 სახლი, 20 სამეურნეო ორმო და 2 ხარო. სახლების კედლები აგებული იყო დაუმუშავებელი, ან ოდნავ დამუშავებული ქვით. სახლების კედლების სიგრძე 5-7 მ უდრის, ხოლო სიგანე 4-6 მ. კედლებში შემორჩენილია წყობის 2-8 რიგი, რომლებიც აშენებულია დიდი და საშუალო ზომის ქვებისგან. კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1.8 მ უდრის.

სახლებს ბანური გადახურვა ჰქონდათ, რომელიც ეყრდნობოდა ხის ბოძებს. საყრდენი ბოძები იდგა კედლების გასწვრივ და შენობის ცენტრში. დარაქოში გათხრილი სახლების ინტერიერი მარტივია. იატაკის ერთი ნაწილი ბაზალტის ფილებით არის მოვებული, მეორე ნაწილი კი – თიხატკეპნილია. საკურთხეველი დგას შენობის ცენტრში, ან კედელთანაა მიდგმული.

ნამოსახლარზე გათხრილი საკურთხეველები ორი ტიპისაა. ნაწილი თიხითაა აგებული, მეორე ნაწილი კი შედგენილია ქვის ფილებით. ყველაზე უკეთ შემორჩენილია საკურთხეველი №1 სახლიდან. მას წაგრძელებული ფორმა აქვს, რომლის სიგრძე 2.72 მ, სიგანე 1.12 მ, სიმაღლე კი 0.48 მ-ის ტოლია. საკურთხეველი ქვითა და თიხითაა ნაგები. ზედაპირი ალიზის ხსნართაა შელესილი. საკურთხეველს ჩრდილოეთიდან თარო („მერხი“) ებჯინება, რომელიც დასავლეთ კედელზეა მიდგმული. თაროზე რიყის ქვის სანაყები იყო დაწყობილი. მსგავსი თაროები ყველა სახლშია დადასტურებული. სახლების იმ ნაწილში, სადაც იატაკი ქვის ფილებითაა მოვებული, დადასტურებულია სარეცელი, რომლის სიგრძე 2.5 მ, სიგანე 1.2 მ-ია. ის ნაგებია გაცილებით უფრო მასიური ქვებით, ვიდრე იატაკის ფილებია.

შენობების კუთხეში განლაგებულია პურის საცხობი ორგანყოფილებიანი ღუმელები. ყველაზე უკეთ შემორჩენილია ღუმელი №5 სახლიდან. მისი ფასადის სიმაღლე 0.75 მ, სიგანე კი 0.9 მ-ია. ღუმელი ნაგებია ქვის ფილებით თიხის ხსნარზე. გადახურული იყო ქვის ერთიანი ფილით, რომელიც ეყრდნობოდა ვერტიკალურად ჩადგმულ ქვის სამ ფილას. საცეცხლე და საცხობი განყოფილებების იატაკი თიხითაა მოლესილი. ღუმელის საცხობ ნაწილში გაკეთებული ჭრილი გვიჩვენებს, რომ ქვედა ღონე თიხით და რიყის წვრილი ქვითაა შევსებული. ეს ღონე გადალესი-

ლია ალიზით, რომელზეც სხვადასხვა ზომის და ფორმის კერამიკის ფრაგმენტებია დაწყობილი. ლუმელში ამ ტექნიკით გაკეთებული თერმოიზოლაციის სამი დონე დაფიქსირდა. დარაქოის სახლები არაერთხელ იყო განახლებული. რეკონსტრუქციის დროს ძველი კედლის დაზიანებულ ნაწილს ადგილზე ტოვებდნენ და ინტერიერის შემცირების ხარჯზე აგებდნენ ახალ კედლებს. როგორც ჩანს, ამავე დროსაა განახლებული იატაკიც.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი არტეფაქტების უმრავლესობას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს; ლითონის იარაღი მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. ნამოსახლარის გათხრისას მრავლად იქნა აღმოჩენილი სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღები, რაც სოფლის მეურნეობის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს; ყველა სახლში დაფიქსირდა ხელსაფქვაკვები, სანაყები და სასრესები. ისინი ძირითადად ტუფის, ბაზალტის და რიყის ქვისაგანაა დამზადებული.

დარაქოის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს. ზედა ფენა საკულტო, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებსა (ხარობები) და სამეურნეო ორმოების ნაწილითაა წარმოდგენილი. ქვედა ფენას სამეურნეო ორმოების დიდი ნაწილი მიეკუთვნება. ნამოსახლარის ზედა ფენა, სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხარობებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს შუა ხანებით თარიღდება. ქვედა ფენა კი ძვ.წ. VI ს-ს მიეკუთვნება.

**საყდრიონის ნამოსახლარი** მდებარეობს დარაქოის ნამოსახლარის სამხრეთით, წალკის წყალსაცავის მოპირდაპირე მხარეს, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე. რელიეფი, რომელზეც განლაგებულია ნამოსახლარი, წარმოადგენს ქანობს, რომელიც დაფერდებულია ჩრდილოეთისაკენ და მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს ებჯინება. ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1520 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, დღევანდელი სოფ. საყდრიონის (ძველი ედი-ქილისა) დასავლეთით, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მისი სიგრძე უდრის 1000 მეტრს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 800 მეტრს აღემატება. ნამოსახლარზე გაითხარა სამი შენობა.

სახლები ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ფლეთილი ქვებით. შემორჩენილია კედლის წყობის 5-6 რივი. ნაგებობებს აქვს თიხატკეპნილი და ბრტყელი მასიური ქვებით მოგებული იატაკი.

№1 სახლის დასავლეთ კედელთან გაითხარა შეწირული ორი გოჭის სრული ჩონჩხი, ერთი მოთავსებული იყო ბაქანზე (საკურთხეველი ?), ხოლო მეორე იქვე არსებულ ჩაღრმავებაში. გოჭების ყელთან დაფიქსირდა თიხის საკიდები.

ამავე სახლის აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირდა ძლიერ დაზიანებული ლუმელი, რომლის ზომებია: 0.80 X 0.80 მ-ზე. ლუმელზე აღმოჩნდა მცირე ზომის ჭრაქი, იქვე დაფიქსირდა კეცისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები. სახლში გაითხარა 4 სამეურნეო ორმო.

კერამიკის გარდა სახლებში აღმოჩნდა: ობსიდიანის ნუკლეუსი; წვრილფეხა საქონლის ფალანგისაგან დამზადებული საკიდი; სამაჯური, ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვითიანი, რკალგახსნილი; ბრინჯაოს რგოლი, საკიდი თიხის, ობსიდიანის ანატკეცები, რიყის ქვის სასრესები და ბაზალტის ხელსაფქვაკვები.

ოსტეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც

მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე დადასტურებულია: ქათამი, ღორი, ცხვარი, თხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და თევზის მალა.

საყდრიონის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს. ზედა ფენა ელინისტურ ეპოქას (ძვ.წ. III-I სს) მიეკუთვნება. ქვედა ფენა კი ძვ.წ. V-IV სს თარიღდება.

**აი-ილიას ნამოსახლარი** მდებარეობს თრიალეთში, სოფ. ბეშთაშენის დასავლეთით, 3 კმ-ის დაცილებით, აი-ილიას ქედზე. მთის თხემი და ფერდობები უკავია „ციკლოპურ“ სიმაგრეს, ნამოსახლარს და ხელოვნურ ტერასებს. „ციკლოპურ“ სიმაგრეს გარშემო გვიანბრინჯაოს ხანის დასახლება აკრავს. „ციკლოპური“ სიმაგრის დასავლეთით მიკვლეული უძველესი ფენები გვიანმეზოლითურ, თუ ადრენეოლითურ ხანას მიეკუთვნება.

ძვ.წ. V-IV სს დიდი არქიტექტურული კომპლექსი აი-ილიას მთის თხემის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ის „ციკლოპური“ სიმაგრის სამხრეთით 150 მ-ის და ადრენეოლითური ხანის სადგომის აღმოსავლეთით 200 მ-ის დაცილებით არის გამართული. კომპლექსის სავარაუდო სიგრძე 70 მ-ია, სიგანე 25 მ. ნაგებობების მთლიანი ფართობი 1700-1800 კვ. მ-ია. კომპლექსი 15 სათავსოს შეიცავს (სათავსოთა რაოდენობა მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების შედეგადაა გარკვეული), რომელთაგან 8 კარგადაა შემორჩენილი, 7 კი ძლიერაა დაზიანებული. აღსანიშნავია კომპლექსის გეგმარების რეგულარული ხასიათი.

კომპლექსი წინასწარ შემუშავებული, ერთიანი გეგმის მიხედვით არის აგებული. მას ოთხივე მხრიდან მასიური 4-5 მ სისქის კედლები საზღვრავს. სათავსოთა გამყოფი ტიხრების სისქე კი 2-3 მ-ია. კედლები ბაზალტის დიდი ზომის ნაწილობრივ დამუშავებული ლოდებითაა ამოყვანილი. ცალპირა წყობები ჰორიზონტალურად დალაგებული ქვების რამდენიმე რიგისგან შედგება. საპირე ქვებს შორის არსებული სივრცე მცირე ზომის ქვებით და როგორც ჩანს, ტალახითაა შევსებული. სწორედ ეს უკანასკნელი განასხვავებს აი-ილიას დიდი კომპლექსის მშენებლობის ტექნიკას თრიალეთის „ციკლოპური“ ნაგებობებისაგან, რომლებიც მხოლოდ მშრალი წყობითაა ნაგები.

კომპლექსის მახლობლად სხვა ნაგებობების კვალი არ შეიმჩნევა. 2005 წელს გაითხარა ერთი სათავსო, რომლის სიგრძე და სიგანე 9.0 მ-ს, კედლების შემორჩენილი სიმაღლე კი 1.5 – 1.8 მ-ს უდრის. სახლს ბრტყელი გადახურვა ჰქონდა, რომელიც ყვრდნობოდა ქვით ნაგებ კედლებს და სახლის ცენტრში მდგარ ხის ოთხბოძს. ნაგებობის იატაკი თიხატკეპნილია.

სათავსოს ჩრდილოეთ კედლის გასწვრივ, მის ცენტრალურ ნაწილში, ქვის ფილებით მოწყობილია გრძელი მერხი, მაღალი საზურგით. მერხი ჩრდილოეთი კედლიდან 0.5 მ-ითაა დაშორებული. იატაკიდან კი გამოყოფილია ერთსაფეხურიანი პოდიუმი. მერხის საერთო სიგრძე 3.5 მ-ია, მთლიანი სიგანე 1.75 მ-ს უდრის. დასაჯდომის სიგანე 0.8 მ-ია, საზურგეს სიმაღლე 0.4-0.5 მ-ია. დასაჯდომის სიმაღლე პოდიუმის იატაკიდან 0.45-0.5 მ-ია. თვით პოდიუმის სიმაღლე იატაკის დონიდან 0.2-0.25 მ-ს უდრის, სიგანე კი 0.95 მ-ია. ამ მერხზე ოთხი, მაქსიმუმ ხუთი პერსონის განთავსებაა შესაძლებელი.

აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლის გასწვრივ ქვის ფილებითა და კვადრებით მოწყობილია ვიწრო „მერხები“, თუ „სკამები“. ცენტრალური მერხისაგან განსხვავებით, ისინი უშუალოდ კედლებზეა მიდგმული. მათ არ აქვთ ცალკე ფორმირებული საზურგე და პოდიუმი. ამ მერხებზე განთავსებულმა პერსონებმა საზურგედ კედელი უნდა გამოიყენონ, ფეხები კი პირდაპირ იატაკზე მოათავსონ. კედლების გასწვრივ გამართული მერხები ერთმანეთის მსგავსია. მათი სიგრძე 4.7 მ-ია, სიგანე 0.4-0.6 მ-ს უდრის. თითოეულზე 7-8 პერსონის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი.

განსხვავებულადაა მოწყობილი სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეები. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოკლე, ზურგიანი მერხია მოწყობილი, მის საპირისპირო, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი ღუმელია გამართული.

ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოწყობილი ზურგიანი მერხი დასავლეთ კედელს მიუყვება. მისი სიგრძე 2.25 მ-ია, საზურგეს სიმაღლე 0.5 მ-ს უდრის. ამ მერხს პოდიუმი არ გააჩნია. ამ მერხზე სამი ან ოთხი პერსონის განთავსება შესაძლებელია. ზურგიანი მერხის უშუალო გავრძელებას წარმოადგენს კედლის გასწვრივ გამართული უზურგო მერხი.

ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი ორგანოფილებიანი, დიდი ღუმელია გამართული. ორივე განყოფილების კედლები ბაზალტის დიდი ფილებით არის შედგენილი. ღუმელი გადახურული ყოფილა ბაზალტის ერთი ფილით. ღუმელის თერმოიზოლაცია მაღალი ხარისხის თიხითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო მოწყობილი. საკვამლე მილი კედელშია ამოყვანილი ისე, რომ ინტერიერიდან არ ჩანს. ღუმელის სიგრძე 1.8 მ-ია, სიღრმე 1.5 მ, სიმაღლე 1.0-1.1 მ. უნდა ყოფილიყო. სამხრეთიდან მიდგმული აქვს ბაზალტის თითო ფილით გამართული სანაცრე. მისი სიგრძე 1.1 მ-ია, სიგანე 0.8 მ. სიმაღლე 0.5 მ-ს უდრის. ღუმელსა და სანაცრეზე უშუალოდ მიდგმული დასაჯდომი მერხი.

როგორც აღვნიშნეთ, აი-ილიას მთის თხემზე ერთი კომპლექსია განლაგებული და არა ინტენსიური ნამოსახლარი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ გათხრილი ნაგებობა განსხვავდება არა მარტო თრიალეთში და ქვემო ქართლში გათხრილი სათავსოებისაგან, არამედ ცენტრალური კავკასიის თანადროული სახლებისაგან, რაც ამ ძეგლის განსხვავებულ ფუნქციაზე უნდა მიუთითებდეს.

დღეს ძნელია მსჯელობა აი-ილიას კომპლექსის ფუნქციაზე, რადგან ძეგლის დიდი ნაწილი შეუსწავლელია. თუმცა, საზგასასმელია, რომ სათავსოს შიდა სივრცე ორიენტირებულია ჩრდილოეთის კედელთან გამართული ზურგიანი მერხისკენ, რომელიც დომინირებს მთელ ინტერიერში. შიდა სივრცე ისეა ორგანიზებული, რომ სათავსოს ცენტრალური ნაწილი სრულიად თავისუფალია. კედლების გასწვრივ გამართული მერხები ისეა ორიენტირებული, რომ მათი ყურადღება სათავსოს ცენტრისაკენ არის მიმართული, სადაც ალბათ ძირითადი მოქმედება მიმდინარეობდა. ყოველივე ზემოთქმული ნათლად აჩვენებს, რომ სათავსო არასაცხოვრებელი სივრცეს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, 2005 წელს გათხრილი ნაგებობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. განსაკუთრებული დასაჯდომი ადგილები და კედლების გასწვრივ გამართული სკამები მიუთითებენ, რომ ამ შენობაში იკრიბებოდა ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ ინტერიერის მოწყო-

ბა რთულ სოციალურ იერარქიაზე მიუთითებს. ჩანს, რომ საზოგადოებაში, რომელიც აი-ილიას კომპლექსში იყრიდა თავს, მაღალი მდგომარეობა ეკავათ ჩრდილოეთის კედელთან გამართულ ზურგიან და პოდიუმიან მერხებზე მსხდომ პერსონებს, შემდეგი ადგილი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამართულ ზურგიან მერხზე მსხდომთ ეკავათ, იერარქიის მესამე რიგს აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებთან არსებულ სკამებზე მსხდომნი იკავებდნენ. რთული სათქმელია, რატომ არ იყო სამხრეთ კედელთან სკამები გამართული და ვინ ან რა იკავებდა ამ ადგილს. ასევე რთულია იმის თქმა, თუ ამ სცენარში რა ადგილი ეკავა სათავსოს ცენტრს.

აი-ილიას კომპლექსის მხოლოდ ერთი სათავსოს გათხრა არ იძლევა ბევრ კითხვაზე პასუხს. თუმცა, მოპოვებული მასალები და ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია ძვ.წ. V-IV სს. თრიალეთის და კავკასიის ამ ეპოქის ისტორიის შესასწავლად.

**დასკვნა.** თრიალეთის ძვ.წ. V-IV სს ნამოსახლარებზე მოპოვებული მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის დასახლება 2 – 5 ჰა ფართობს მოიცავდა. სახლები დაბალ ტერასებზე იდგა (დარაქოი, საყდრიონი). საცხოვრებელი ფართობი წარმოადგენდა ერთ დიდ სათავსოს. სახლების ინტერიერი მარტივია. კუთხეში გამართულია ღუმელი, ერთ-ერთი კედლის გასწვრივ თიხით ან ქვით მოწყობილია სარეცელი, იატაკი თიხატექანილია. სახლებში აღმოჩენილი კერამიკა ძირითადად სამზარეულო და სუფრის ჭურჭელს წარმოადგენს, სამეურნეო ჭურჭელი კი პრაქტიკულად არ გვხვდება.

საზგასამელია ისიც, რომ ყველა სახლში მცირე ან მოზრდილი საკურთხეველია გამართული. როგორც ჩანს, რიტუალების ნაწილი სახლებში იმართებოდა. სახლების ერთი ნაწილი (აი-ილია, დარაქოის № 1 სახლი) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს წარმოადგენდა. ამ სახლებში, კედლების გასწვრივ გრძელი დასაჯდომი მერხებია გამართული. დარაქოის სახლი სამლოცველო უნდა ყოფილიყო. მის ცენტრში დიდი საკურთხეველია გამართული, რომელზეც ცეცხლი ენთო. აი-ილიას კომპლექსის გათხრილ სათავსოში საკურთხეველი არ დაფიქსირდა. სათავსოში არც თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა (ისინი მხოლოდ ღუმელის თერმოიზილაციაში დაფიქსირდა). თუმცა, ის ნამდვილად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. მისი ფუნქცია, ალბათ, კომპლექსის სრულად გათხრის შემდეგ გაირკვევა.

თრიალეთის ძვ.წ. V-IV სს-ის სოფლის მეურნეობის შესახებ საინტერესო შედეგები მოგვცა პალეოზოოლოგიურმა და პალინოლოგიურმა კვლევამ. გაირკვა, რომ დარაქოის ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე დადასტურებულია: ქათამი, ღორი, ცხვარი, თხა, კამეჩი და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. აგრეთვე გარეული ცხოველების ნაშთებიც: მელა, მაჩვი, დათვი, შველი და კეთილშობილი ირემი, ასევე დაფიქსირებულია რომელიღაც ფრინველის რამდენიმე წვრილი ძვალი, მემინდვრიას ქვედა ყბა და თევზის ერთი ძალა. ნამოსახლარზე ვირისა და ცხენის ძვლებიც დაფიქსირდა, რაც მოწმობს მათ გამოყენებას გამწვევ ძალად. გარდა ამისა, დარაქოის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა ძაღლის ჩონჩხი.

ჩვენს მიერ გათხრილი დასახლებები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ სად და რა პირობებში ჰყავდათ შინაური ცხოველები. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საქონელი სახლებდან მოშორებით ყავდათ.



პალინოლოგიური კვლევა მიუთითებს, რომ დარაქოის მოსახლეობა ინტენსიურ მიწათმოქმედებას ეწეოდა. ითესებოდა რამოდენიმე ჯიშის ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი და ღომი. უპირატესობა კი მაინც ხორბალს ჰქონდა. მოსახლეობას სელიც მოჰყავდა. პალინოსპექტრმა მებაღეობისა და მევენახეობის არანაირი კვალი არ გამოავლინა. მეძინდვრეობის გარდა მეცხოველეობაც საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული. ამაზე მეტყველებს საძოვრებისთვის დამახასიათებელი სარეველები და ნაკელის სოკოს საკმაოდ დიდი რაოდენობა. ტყავიჭამია ხოჭოს, ჩრჩილის მატლის ბუსუსების და ცხვრის ბეწვის აღმოჩენა ასევე მეცხოველეობის არსებობის მაჩვენებელია. პალინოლოგიური კომპლექსის და ხემცენარეთა მერქნის უჯრედების შემადგენლობა მოწმობს, რომ დარაქოის მიდამოებში განხილულ პერიოდში ტყე იყო გავრცელებული. ტყის შემადგენლობაში ფიჭვი ჭარბობდა. აქ, როგორც შენარევი, მაღალმთის მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, წიფელი და თელა იზრდებოდა. მდინარის პირას მურყნარები იყო გავრცელებული. პალინოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ განხილულ პერიოდში კლიმატი არც თუ ისე თბილი იყო, რაც მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას ხელს უშლიდა.

დარაქოის, საყდრიონის და აი-ილიას ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკა მრავალრიცხოვნებით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, ის თხელკედლიანია და ჩარხზეა დამზადებული; გამომწვარია შავად. მეორე ჯგუფის კერამიკაც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან; ის თხელკეციანია და წითლადაა გამომწვარი. ამ ჯგუფის კერამიკის ზედაპირი კარგადაა დამუშავებული, გაპრიალებულია, ან შემკულია რელიეფური ორნამენტით.

აი-ილიას, დარაქოის და საყდრიონის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წითელკეციანი კერამიკა, რომელთა ნაწილი შეღებილი ან მოხატულია წითელი საღებავით. ქართლში სამკუთხედების სტილის კერამიკის გავრცელება აქემენიდური ირანის გავლენით არის ახსნილი. დარაქოის ნამოსახლარზე, ისევე როგორც ქართლის (იბერიის) ძვ.წ. V-IV სს ძეგლებზე გვხვდება ირანული სამყაროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური, ჩაიდნისებური ჭურჭელი. ვრცელდება წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული თიხის ჭურჭელი.

მოხატული კერამიკის უძველესი ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე გვხვდება. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში მოხატული კერამიკა საკმაოდ გავრცელებულია სამხრეთ კავკასიაში. შემდგომში, დაახლოებით ათასი წლის მანძილზე ის აღარ გვხვდება. ამ დიდი პაუზის შემდეგ, ქართლის ტერიტორიაზე მოხატული კერამიკა აქემენიდურ ხანაში გამოჩნდა და ძვ.წ. IV-III საუკუნეებში იმდენად გავრცელდა, რომ ამ პერიოდს მოხატული კერამიკის ხანასაც უწოდებენ. ძვ.წ. II საუკუნიდან მოხატული კერამიკის რაოდენობა თანდათან მცირდება და ახ.წ. II საუკუნისათვის ის პრაქტიკულად ქრება.

დარაქოის და საყდრიონის ნამოსახლარებზე ნაპოვნი წითელი საღებავით მოხატული კერამიკა ე.წ. სამკუთხედების სტილის კერამიკას შეესაბამება. სამკუთხედებით მოხატული კერამიკის გამოჩენას ქართლში მეცნიერები ძვ.წ. V, ან IV საუკუნიდან ვარაუდობენ. აზრთა სხვადასხვაობაა მოხატული კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების შესახებაც. ჩვენი აზრით, ამ ორნამენტის ქართლის ტერიტორიაზე

დამკვიდრებას ორი პირობა განსაზღვრავდა. წითელკეციანი კერამიკის წითელი საღებავით მოხატვა და შეღებვა უთუოდ აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის შედეგია, თუმცა სამკუთხედების სტილის ფართოდ გავრცელებას და ადგილობრივ წარმოებას ხელი შეუწყო გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ქართლში დამკვიდრებულმა ნაცრისფრად, ან შავად გამომწვარი კერამიკის შემკობის ადგილობრივმა სამკუთხედების სტილმა, რომლისთვისაც ნაკაწრი, ან ნაპრიალები ბადისებური ორნამენტით, ან ირიბი ხაზებით შევსებული სამკუთხედებია დამახასიათებელი.

ვფიქრობთ, რომ მოხატული და საერთოდ წითელკეციანი კერამიკა ქართლში აქემენიდური ეპოქის იმ მონაკვეთში უნდა გავრცელებულიყო, როდესაც აქემენიდებმა ახლად ჩამოყალიბებული იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრების გამაგრებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. აქემენიდური კულტურის გავრცელება სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. 522-521 წლების შემდეგ უნდა დაწყებულიყო, როდესაც აქემენიანთა სამხედრო აქტივობამ ამ მიმართულებით პიკს მიაღწია. როგორც ჩანს, ძვ.წ. 515 წლისათვის, როდესაც დარიოს I-მა თრაკია დაიპყრო და სკვითიაში ლაშქრობა წამოიწყო, აქემენიდური ირანის პოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიაზე უკვე დამყარებული იყო. სწორედ ამ პერიოდს უნდა ემთხვეოდეს დასახლებების გაჩენა საყდრიონში, დარაქოისა და აი-ილიას მთაზე, რომლებმაც ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებამდე იარსებეს. ამ ნამოსახლარების სტრატეგრაფია და კერამიკის სტილისტურ-ტიპოლოგიური ანალიზი მიუთითებს, რომ ამ ნამოსახლარების ზედა ფენა ძვ.წ. V ს-ით და ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით თარიღდება, ქვედა ფენა კი ძვ.წ. VI საუკუნეს მიეკუთვნება.


საყდრიონის, დარაქოის და აი-ილიას ნამოსახლარებზე მოპოვებული არტეფაქტები აშკარად მიუთითებს, რომ მოხატული კერამიკა ქართლში ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულს თუ არა ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში უკვე უნდა შემოსულიყო ქართლში.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე დაფიქსირებული მძლავრი ნამოსახლარები და სასიმაგრო სისტემები (ერებუნი, ბენიამინი, ყარაჯამირლი, სარი-თეფე, გუმბათი, ციხია-გორა და სხვ.) და სხვა არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მრავლად შეიცავენ აქემენიდურ, ან აქემენიდური სტილის არტეფაქტებს აქემენიდური ირანის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მაჩვენებელია.

აქემენიდური ირანის გავლენა კარგად შეინიშნება თრიალეთის ძვ.წ. V-IV საუკუნის სოფლებშიც, სადაც უცხო, წითელი და მოხატული კერამიკის გარდა სახლების ინტერიერში ჩნდება ახალი ელემენტები. როგორც ჩანს, გარკვეულწილად იცვლება რელიგია, რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები, რაც ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე აისახა.

## Bibliography:

- Gagoshidze, Iulon.** *Samadlo. Arkheologicheskie raskopki.* (Samadlo. Archaeological Excavations) Tbilisi: Metsniereba, 1979.
- Japaridze, Otar.** *Arkeologiuri gatxrebi Trialetshi* (Archaeological Excavation in Trialeti). Tbilisi: Metsniereba, 1969.
- Kvavadze, Eliso; Narimanishvili, Goderdzi; Konor, Simon.** „Pozdnepleistocenovaya i golo-cenovaya istoria razvitiia landshaftov Tsalki (Ujnaya Gruzia) po palinologicheskim dannim ozernikh i pochvennikh obrazovanii (Late Pleistocene and Holocene History of Landscapes of Tsalka Plateau (Southern Georgia), based on palynological Analysis of Lake and soil Formations) Problems of Paleobiology, II (2007), Georgian National Museum: 12-22.
- Kvavadze, Eliso and Narimanishvili, Goderdzi.** “The palaeolandscapes of the Tsalka Plateau in the Late Pleistocene and Holocene”, in *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceihan and South Caucasian pipelines*, editor in-chief Gela Gamkrelidze. (Tbilisi, Georgian National Museum, 2010), 573-606.
- Kuftin, Boris.** *Arkheologicheskie raskopki v Trialeti* (Archaeological Excavation in Trialeti). Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 1941.
- Kuftin, Boris.** *Arkheologicheskie raskopki v Tsalkskom raione* (Archaeological excavation in Tsalka region). Tbilisi: Izdatelstvo akademii nauk gruzinskoi sssr, 1948.
- Narimanishvili, Goderdzi.** *Keramia Kartli V-I vv. do n.e.* (Keramics of Kartli V-I cc. B.C.) Tbilisi: Metsniereba, 1991.
- Narimanishvili, Goderdzi.** “Iberia da Iranuli samkaro” (Iberia and Iranian World). Scientific Session “World cultural and historical process and Georgia” (1993). Abstracts. Tbilisi, 39-41.
- Narimanishvili, Goderdzi.** “Agmosavlet amierkavkasia da iranuli samkaro dzv.ts. V-I ss. (Eastern Transcaucasus and Iranian World in V-I cc. B.C.) II Scientific Session “World cultural and historical process and Georgia” (1994). Abstracts. Tbilisi, 19-22.
- Narimanishvili, Goderdzi.** “Darius’s campaign to Scythia and Eastern Transcaucasus.” III Scientific Session “World cultural and historical process and Georgia” (1995). Abstracts. Tbilisi, 17-20.
- Narimanišvili, Goderdzi.** „Die Keramik Kartlis (Iberiens) in achaimenidischer und postachaimenidischer Zeit“. *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 32* (2000):. Berlin. 227-242
- Narimanishvili, Goderdzi.** „Darakois namosaxlari da samkhret kavkasiis akemeniduri khandis istoriis zogierti sakitxi“ (Daraqoi Settlement and some Patterns of History of Achaemenid Epoch Transcaucasus). *Iberis-Colchis. Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period.* 5 (2009): 94-125.
- Narimanishvili, Goderdzi and Shatberashvili, Vakhtang** `Red-Painted Pottery of the Achaemenid and Post-Achaemenid Periods from Caucasus (Iberia): Stylistic Analysis and Chronology~. *Ancient Near Eastern Studies XLI* (2004) :120-166.
- Shanshashvili, Nino and Narimanishvili, George.** “Painted Pottery of the Kura-Araxes Culture from the South Caucasus” in *International Symposium on East Anatolia South Caucasus Cultures. Proceedings, I* (2015), edited by Mehmet İşikli and Birol Can. Cambridge: 132-144.



1



2

1. Map of Caucasus with markings of sites dated from the 5<sup>th</sup> – 4<sup>th</sup> cc. B.C.  
 კავკასიის რუკა ძვ.წ. V – IV სს. ძეგლების აღნიშვნით.

2. Darakoi settlement: General view from the north;  
 დარაკოის ნამოსახლარი. საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.






1



2

1. Darakoi settlement. In the foreground house #5.  
 დარაკოი ნამოსახლარი. წინა პლანზე №5 სახლი.

2. Darakoi settlement. Houses ## 1-7, Plan. დარაკოი. №№1-7 სახლები. გეგმა.



Darakoi settlement: 1. House #1, Plan; 2. View of house #1 from the north.  
 დარაკოის ნამოსახლარი: 1. №1 სახლი. გეგმა; 2. №1 სახლის ხედი ჩრდილოეთიდან.





1



2

Darakoi settlement: 1. House #1, altar. 2. House #5, altar, drawing.

დარაკოის ნამოსახლარი: 1. №1 სახლი. საკურთხეველი; 2. №1 სახლი. საკურთხეველი.  
ჩანახატი.



1



2




3

Darakoi settlement: 1. House #5; 2. House # 5, stratigraphy of the oven; 3. House # 5, oven, reconstruction.

დარაკოის ნამოსახლარი: 1. №5 სახლი; 2. № 5 სახლი. ღუმელის სტრატეგრაფია; 3. № 5 სახლი. ღუმელი. რეკონსტრუქცია.





Sakdrioni settlement: 1. General plan; 2. House #1, plan and cut.

საყდრიონის ნაშენობები: 1. გენგეგმა; 2. №1 სახლი. გეგმა და ჭრილი.

VII



1




2




3

Sakdrioni settlement. 1,2. Altar and skeletons of two piglets; 3. House #1, details.

საყდრიონის ნამოსახლარი. 1,2. საკურთხეველი და ორი გოჭის ჩონჩხი; 3. №1 სახლი.  
დეტალები.



1



2

Ai-Ilia settlement: 1. General Plan. 2. House # 1, plan.

აი-ილიას ნამოსახლარი: 1. გენგეგმა; 2. № 1 სახლი. გეგმა.





1



2

Ai-Ilia settlement: 1. House #1, bench and oven at the northern wall, view form the north-west. 2. House #1, view form the north-west, in the background Tsalka reservoir.

აი-ილიას ნამოსახლარი: 1. №1 სახლი. ჩრდილოეთ კედელთან გამართული სავარძელი და ღუმელი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; 2. №1 სახლი.





1



2

Ai-Ilia settlement: 1. House # 1, oven, reconstruction. 2. House # 1, bench and oven at the northern wall.

აი-ილიას ნამოსახლარი: 1. № 1 სახლი. ღუმელი. რეკონსტრუქცია; 2. № 1 სახლი. ჩრდილოეთ კედელთან გამართული მერხ და ღუმელი.

Goderdzi Narimanishvili, Marina Kvatchadze  
Georgian National museum  
(Georgia, Tbilisi)

Nodar Poporadze, Olga Seskuria  
Georgian Technical University  
(Georgia, Tbilisi)

## White beads of Trialeti Bronze Age

Trialeti is one of the historic regions of Georgia. It is located in the central part of South Caucasus, on the high mountain plateau, in the North-East part of Minor Caucasus (Pl. I).

The intensive archaeological study of Trialeti has begun from the 30-ies of the XX century under B. Kuftin's guidance. He studied numerous sites and based on the obtained data developed the periodization and chronology of archaeological sites of Caucasian Bronze Age. Since 1989, archaeological research has been carried out by the Center for Archaeological Research of Georgian National Museum (the head – G. Narimanishvili).

This time, the object of our research is the beads made of white mineral. In Trialeti such kind of beads, dated back to the III millennium BC, are confirmed on the Early Bronze Age sites of Kura-Araxes culture<sup>1</sup> in Early Bronze Age. They are presented as small size cylinders. Mainly, the beads of the same shapes are found in the assemblages of Middle and Late Bronze Ages<sup>2</sup>.

The white beads discovered at the sites of the first half of the 1<sup>st</sup> millennium BC are distinguished by the diversity of shapes and ornaments; along with already existing beads of cylindrical shapes, triangular and rhomboid shape artifacts are found. So-called domino-like beads were discovered in the same period. In Trialeti the white colour beads are found on most of these sites<sup>3</sup>.

In the scientific literature is mainly indicated that white beads are made from paste<sup>4</sup>. Rarely, they are considered to be bone items<sup>5</sup>. B. Kuftin first described the white beads, including the so-called domino-like items and considered that one of the kinds of talc was used for their manufacture<sup>6</sup>.

Sapar-Kharaba cemetery is one of the most interesting archaeological sites of Trialeti in Late Bronze Age, which dates back to the XV-XIV centuries BC<sup>7</sup>. The beads made of quartz group

1. Nino Shanshashvili, "Sites of the Kura-Araxes Culture in Trialeti", in *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines*, ed. Gela Gamkrelidze (Tbilisi, 2010), 294-297; Lamara Zhorzhikashvili and Elguja Gogadze, *Pamyatniki Trialeti v epokhu rannei i sredneu bronzi* (Monuments of the Trialeti in the Early and Middle Bronze Age) (Tbilisi, 1974), 36, 39-40.

2. Zhorzhikashvili and Gogadze, *Pamyatniki Trialeti*, 83-98; Goderdzi Narimanishvili et al "Die Grabungskompanie in Zalka 1990-1992", *Archäologische Geländearbeiten in Georgien 1989-1992* (2004), 123-128; Goderdzi Narimanishvili, "Saphar-Kharabas samarovani" (Saphar-Kharaba Burial Ground), *Dziebani, Journal of the Georgian Archaeology*, 17-18 (2006), 92-126.

3. Boris Kuftin, *Arkheologicheskie raskopki v Trialeti* (Archaeological Excavations in Trialeti) (Tbilisi, 1941), 56-57; Boris Kuftin, *Arkheologicheskie raskopki v Tsalka v 1947 godu* (Archaeological Excavations in 1947 in the Tsalka district). (Tbilisi, 1948), 10; Medea Menabde and Tsisana Davlianidze, *Trialetis samarovnebi* (Trialeti Cemeteries) (Tbilisi, 1968); Tsisana Davlianidze, *kvemo kartlis kultura dz.ts. I aTastsleulis pirvel nakhevarshi* (Lower Kartli (Trialeti) Culture in the Second half of the 1<sup>st</sup> Millenium BC). (Tbilisi, 1983); Narimanishvili et al, "Die Grabungskompanie in Zalka", 125-126.

4. Menabde and Davlianidze, *Trialetis samarovnebi*; Davlianidze, *Kvemo Kartli*.

5. Vladimer Nikolaishvili and Eduard Gavasheli, *Narekvavis arqeologiuri dzegelebi* (Narekvavi Archaeological Sites) (Tbilisi, 2007), 39, 173.

6. Kuftin, Trialeti, 56-57.

7. Narimanishvili, "Saphar-Kharaba", 92-103; Goderdzi Narimanishvili, "Trialeti in the 15<sup>th</sup> and 14<sup>th</sup> centu-

minerals (cornelian, agate, sardonyx), faience and glass are discovered there, one part of which shows a definite similarity to Mediterranean analogous artefacts<sup>8</sup>. The white colour small size beads of cylindrical shape were also discovered on this cemetery.

Eli-Baba cemetery dates back to the VII-V centuries. Among the beads and jewelry found there the most numerous are white colour beads (Pl. I,2; II,1-6). Cylindrical, triangular, rhomboid and rectangular shape beads are attested at this beads<sup>9</sup>.

The cylindrical beads are presented as the tubules of different length, from which a part has a plain surface and a part is decorated with grooved lines or small-sized concentric circles; on some tubules the small cylinders located in several queues are attached from four sides; on the sides of cylindrical beads of small height different number of grooves are located and they have flower-like shape. Except of cylindrical tubules, rectangular transverse tubules are met, the edges of which are decorated with indirect notches.

The beads of rhomboid and triangular shapes are decorated with small circles with notches on their sides; also the items with smooth surface are found.

Rectangular beads have a parallelepiped shape. The both surfaces of such type beads are decorated with one or two small sized circles, while longitudinal and transverse sides –with notches; conditionally they were named as domino-like beads.

The types of beads, which we have already mentioned are attested on most of the sites of Trialeti; Avranlo is one of them. Cemetery was studied in 1947 by Kuftin and is dated back to middle ages of the 1<sup>st</sup> millennium BC. Like white beads found on Eli-baba cemetery, ones found on Avranlo are distinguished with variety (Pl. III). Except Trialeti, white color beads, including separate samples of the so-called domino-like ones are discovered on the excavated sites on the territory of both East and West Georgia, which are dated back to VIII-VII centuries<sup>10</sup>.

Such types of beads are discovered in Armenia, on the territory of historic Tashiri, which borders Trialeti from the south. In Armenia these beads are dated back to XI-VI centuries<sup>11</sup>. Several items of domino-like beads are found on the territory of Azerbaijan at Palidlin necropolis<sup>12</sup>.

---

ries BC”, in *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi- Ceyhan and South Caucasian Pipelines*, ed. Gela Gamkrelidze (Tbilisi. 2010), 312.

8. Rebecca S. Ingram, *Faience and Glass Beads from the Late Bronze Age Shipwreck at Uluburun*, Ma thesis, Texas A&M University (2005). Marina Kvachadze and Goderdzi Narimanishvili, “Late Bronze – Early Iron Ages Beads from Trialeti”, *Aegean World and South Caucasus*, (Tbilisi, 2016), 180-209

9. Narimanishvili et al, “Die Grabungskompanie in Zalka”, 125-126; Bidzina Murvanidze, “Eli-Babas samarovani” (The Eli-baba Burial Graund), *Dziebani, Journal of the Georgian Archaeology*, 15-16, (Tbilisi, 2005), 147-163; Marina Kvachadze, “Mdzivebi Eli-Babas samarovnidan” (The Beads from Eli-Baba Cemetery). *Iberia-Colchis*, 8, (Tbilisi, 2012), 116-126.

10. Kuftin, Trialeti, 56-57; Elguja Gogadze et al, ”Nosiri-Mukhurchis arqeologiyuri eqspediciis savele kvleva 1974-1975” (The Field Research of the Nosiri-Mukhurcha Archaeological Expedition in 1974-1975), *Archaeological Expeditions of Georgian National museum V*, (1977), 60-78; Nikolaishvili and Gavasheli, *Narekva-vi; Otar Japaridze, Shida Kartlis udzvelesi istoria* (The Ancient History of Shida Kartli). (Tbilisi. 2009), 167, 190-192; Revaz Papuashvili, “Kolkhuri kolektiuri samarkhebis datarigebisatvis” (For Dating of Colchian Collective Burial Grounds), *Journal of Archaeology*, V ( 2010), 32-43, Tab. III, 84.

11. Kuftin, Trialeti, 56-57; Telemek Khachatyan, *Drevnaya kultura Shiraka* (Ancient Culture of Shirak) (Yerevan, 1975); Hayk Avetisyan, Pavel Avetisyan, *Culture of the Ararat Plain XI - VI centuries BC* (Yerevan, 2006), (In Armenian); Arutiun Martirosyan, *Armenia v epokhu bronzi i rannevo jeleza* (Armenia in the Bronze and Early Iron Age) (Yerevan, 1964); Nora Engibaryan, *Urartian Burials from Noratus*. - Abstracts of the conference dedicated to the results of field archaeological work in the Republic of Armenia in 1989-1990. (1991), 68 (in Armenian); Levon Petrosyan, *Raskopki v Ketu i Voskeask* (Excavations in Ketu and Voskeask), Yerevan, 1989. Pavel Avetisyan et al, “Newly discovered archaeological monuments of Armenia”, *HandesAmsorya*. (1998), 1-12, tab. 14, (in Armenian).

12. Gidaiat Jafarov, Diana Jafarova. “Predvaritelnie rezultati polevikh issledovaniy Karabakhskoi arkeologicheskoi ekspedicii” (Preliminary Results of Field Research of the “Karabakh Archaeological Expedition”),



Also several items of domino-like beads are found in Turkey, at Karagonduz cemetery, which is located at the east coast of Vani Lake. This site is dated back to Urartu Age<sup>13</sup>; several domino-like beads are exhibited at Ankara Museum, but the place of their discovery is not known.

Thus, the so-called domino-like beads are mainly distributed in the central part of the South Caucasus: in Georgia – historic Trialeti and in north part of modern Armenia – the territory of historic Tashiri. In the specified Territory the so-called domino-like beads are discovered in large numbers and are distinguished by the diversity of shapes.

The researchers place the domino-like beads in a large period of time and generally date them to XI-V centuries. Although B. Kuftin noted that the beads of such type existed only in a short period of time<sup>14</sup>.

We also consider that the manufacturing the beads of such types took place in a short period of time. Supposedly their manufacturing center was located in the north-east part of Minor Caucasus, in particular in Trialeti.

Based on the results of researches carried out on Eli-Baba and Knole cemeteries in recent years and a new re-understanding the cemeteries previously excavated in Trialeti give us the basis to attribute these beads and the complexes containing them to VII-VI centuries.

Proceeding from this, we considered it necessary to find out from which material the above-mentioned artefacts were manufactured. For the mineralogical research one small size bead of cylindrical shape was selected from Sapar-Kharaba cemetery (inv. N192), and some fragments of two beads of cylindrical shape and two domino-like beads (inv. N797, 798, 949, 1045) were chosen from Eli-Baba cemetery (Pl. IV, 1b-d).

Mineral analysis of beads found in Trialeti were carried out at the Department of Applied Geology of the Georgian Technical University (the head – Doctor of Geological and Mineralogical Sciences N. Poporadze), there were carried out mineral analysis of beads found in Trialeti.

The sequence of the conducted researches is the following: after visual inspection, there was applied a polarization microscope as the beads of small sizes and fine-grained phases containing them made it difficult to identify doubtlessly talc and enstatite. The univocal result (phases) was recorded by the X-ray diffraction analysis of beads samples, as well as by the data of optical-photometry.

The optical-photometric, X-ray phase, chemical and X-ray fluorescent analyses were conducted on the experimental material and based on it, the interesting results were obtained. Some samples are really represented almost by talc (Pl. IV, 3a), in some samples along with talc the enstatite phase is noted (Pl. IV, 3b) in various percentage ratio and in some – only enstatite (Pl. IV, 3c).

It turned out that in certain grains of one bead the independent phases of talc and enstatite are noted, two phases are observed together in one grain in different numbers, so that chemical content of grains practically does not change. There was expressed a doubt that natural material of talc was subjected to thermal processing at different temperatures. The initial phase was talc and under temperature impact it transformed into denser material (enstatite).

Macroscopically, the samples are mostly of white color, fine-grained and equigranular. As the material was fine-grained it was impossible to determine certain phases microscopically. According to results of the X-ray diffraction analysis the presented material corresponds to enstatite and talc (Pl. IV, 2a). As the result of the conducted X-ray fluorescent analysis show the chemical composition of the beads are practically the same. An average value of the conducted analysis is represented in Table (Pl. IV, 1a).

---

Archaeological Research in Azerbaijan. (Baku, 2011), 93-94.

13. Veli Sevin, *An Early Iron Age Cemetery* (Istanbul, 1996), 42.

14. Kuftin, Trialeti, 56-57.

According to the data of optical photometry it is presented by pyroxene (enstatite) and talc. The next sample is mostly represented only by enstatite according to X-ray diffraction analysis (Pl. IV, 2b). The research of visually identical experimental samples by means of optic, X-ray diffraction and optic photometry methods gives us the opportunity to explain the simultaneous presence of talc and enstatite phases by the thermal effect on talc. So, the following experiment was carried out: in normal conditions the X-ray picture of talc completely corresponds to talc (Pl. IV, 4a). Then the X-ray picture of the sample heated at 600° C was taken (Pl. IV, 4b), in which an independent phase of enstatite along with talc occurred.

After heating of a new sample at 900° C it turned out that the amount of talc phase was drastically reduced, while that of enstatite – increased (Pl. IV, 4c). Consequently it turned out that talc mineral was used as a raw material for the beads, which in the process of manufacturing was subjected to different temperature regimes. By heating talc above 5000°C it gradually transforms into enstatite and the higher is temperature, the more transformation takes place and sometimes it fully transforms into enstatite.

In Georgia a talc stone is mainly related to the Lopaniskhevi and Cheratkhevi (khevi – the ravine) (the left tributary of river Suramula, Khashuri region) serpentine ultramafic rocks in the peripheral part of the river Dzirula in contact with other rocks<sup>15</sup>.

In nature talc is found as talc stone (admixture of carbonate or chloride) or as purer talcite, which is fine-grained talc rock and contains 90% of talc. There are two types of talc: dense - steatite and shale-like – talc shale.

Steatite appears to be a massive diversity of talc. It is hidden crystal-like, white, light green, dark green, slightly yellowish, or grey color talc. Because of a low density, while touching it seems to be fatty. The name – steatite comes from it.

The ores of industrial value, by their origin, are related to ultrabasites and magnesium carbonate rocks (dolomite, magnesite). Talc is formed from ultramafic rocks (peridotites, serpentines, etc.), under the influence of hydrothermal solutions, the contact-metasomatic changes in flinty carbonated rocks and the metamorphism of clay rocks.

The small-sized deposit of steatite is located in the gorges of the riv. Bzhineura (the left tributary of the riv. Dzirula) and Lopanistskali (the right tributary of the riv. West Prone, the municipality of Znauri and Kareli). Talc deposits of White Field, Kvashava and Cheshura (Lopaniswyali gorge) practically are very important. Among more or less changed serpentine talc is found in the form of certain veins and nest-like bodies. There are two types of talc in Georgia: light gray color and greenish steatite. The deposit mainly consists of gray variety, green variety is found in negligible quantity (about 10%).

Iron-containing steatite is used for manufacturing of jewelry, switchboards, tables, jewelry boxes, the handles for tobacco pipes, also it is a perfect material used in applied arts.

Thus, on the territory of the South Caucasus the white color beads in small numbers are met from the Early Bronze Age, and its wide production takes place in the middle of the first millennium BC.

---

15. George Maghalashvili, Non-metallic mineral ores Industrial Types (Tbilisi, 2000).



*გოდერძი ნარიმანიშვილი, მარინე კვაჭაძე,  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
(საქართველო, თბილისი)*

*ნოდარ ფოფორაძე, ოლღა სესკურია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
(საქართველო, თბილისი)*

## **თრიალეთის ბრინჯაოს ხანის თეთრი ფერის მძივები**

თრიალეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარეა. ის მდებარეობს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მაღალმთიან პლატოზე, მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. I,1).

თრიალეთის ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით. მან არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეისწავლა და ამ მონაცემების საფუძველზე შეიმუშავა კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია და ქრონოლოგია. 1989 წლიდან თრიალეთში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. ნარიმანიშვილი).

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს თეთრი ფერის მასალისა თუ მინერალისაგან დამზადებული მძივები. თრიალეთში ასეთი სახეობის მძივები ძვ.წ. III ათასწლეულიდან, ადრებრინჯაოს ხანიდან მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე გვხვდება. ისინი მცირე ზომის ცილინდრების სახითაა წარმოდგენილი. ძირითადად ასეთივე ფორმის მძივები გვხვდება შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კომპლექსებში.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარის ძეგლებზე აღმოჩენილი თეთრი ფერის მძივები ფორმებისა და ორნამენტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა; უკვე არსებული ცილინდრული ფორმების მძივების გვერდით გვხვდება სამკუთხა და რომბისებრი ფორმის არტეფაქტები. ამავე ხანაში ჩნდება ე.წ. დომინოსებური მძივები. თრიალეთში თეთრი ფერის მძივები ორ ათეულამდე ძეგლზეა აღმოჩენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად აღნიშნულია, რომ თეთრი ფერის მძივები პასტისაგან არის დამზადებული, იშვიათად მათ თვლიან ძვლის ნივთებად. ბ. კუფტინმა პირველმა აღწერა თეთრი ფერის მძივები, მათ შორის ე.წ. დომინოსებრი მძივები და მიიჩნია, რომ მათ დასამზადებლად ტალკის ერთ-ერთი სახეობაა გამოყენებული. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ გაგვერკვია თუ რა მასალისგან მზადდებოდა აღნიშნული არტეფაქტები. მინერალოგიური კვლევისათვის საფარ-ხარაბას სამაროვნიდან შეირჩა ერთი მცირე ზომის ცილინდრული მძივი (ინვ. №192), ხოლო ელი-ბაბას სამაროვნიდან ორი ცილინდრული ფორმისა და ორი დომინოსებური მძივის ფრაგმენტი (ინვ. № 797, 798, 939, 1045)

საფარ-ხარაბას სამაროვანი თრიალეთის გვიან ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც ძვ.წ. XV-XIV სს—ით თარიღდება. აქ აღმოჩენილია კვარცის ჯგუფის მინერალების (სარდონი, აქატი, სარდონიქსი), ფაიანსისა და მინისაგან დამზადებული მძივები, რომელთა ერთი

ნაწილი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ანალოგიურ არტეფაქტებთან. აქვე აღმოჩნდა თეთრი ფერის მცირე ზომის ცილინდრული ფორმის მძივები. ელი-ბაბას სამაროვანი თარიღდება ძვ.წ. VII-V სს-ით. აქ მოპოვებულ მძივ-სამკაულს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია თეთრი ფერის მძივები – დომინოსებური, ცილინდრული, სამკუთხა, რომბისებრი და მართკუთხა ფორმის მძივები (ტაბ. I,2; II,1-6). ზემოთაღწერილი ტიპის მძივები თრიალეთის უმეტეს ძეგლებზეა აღმოჩენილი; ერთ-ერთი მათგანია ავრანლოს სამაროვანი, რომელიც 1947 წელს შეისწავლა ბ. კუფტინმა და ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებით დაათარიდა. ელი-ბაბას სამაროვანზე მოპოვებული მძივების მსგავსად, ავრანლოს ანალოგიური არტეფაქტები მრავალფეროვნებით გამოირჩევა (ტაბ. III).

თრიალეთის გარდა, თეთრი ფერის მძივები და მათ შორის ე.წ. დომინოსებრი მძივების ცალკეული ეგზემპლარები აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ძეგლებზე, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება

ასეთივე ტიპის მძივები აღმოჩენილია სომხეთში, ისტორიული ტაშირის ტერიტორიაზე, რომელიც თრიალეთს სამხრეთიდან ესაზღვრება. სომხეთში ეს მძივები ძვ.წ. XI-VI საუკუნეებით თარიღდება. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დომინოსებრი მძივების რამდენიმე ეგზემპლარი დაფიქსირებულია პალიდლინის ნეკროპოლზე. რამდენიმე ცალი დომინოსებური მძივია ცნობილი ჩვენთვის თურქეთის ტერიტორიიდან: კარაგონდუზის სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ძეგლი თარიღდება ურარტული ხანით, და ანკარის მუზეუმის გამოფენაზე წარმოდგენილია რამდენიმე დომინოსებრი მძივი, რომელთა აღმოჩენის ადგილი არ არის ცნობილი.

ამრიგად, ე.წ. დომინოსებრი მძივები ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში: საქართველოში – ისტორიული თრიალეთისა და თანამედროვე სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში – ისტორიული ტაშირის ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე ე.წ. დომინოსებრი მძივები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი და ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

დომინოსებრი მძივებს მკვლევარები დროის დიდ მონაკვეთში ათავსებენ და ზოგადად ძვ.წ. XI-V საუკუნეებით ათარიღებენ, თუმცა ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ ამ ტიპის მძივები არსებობდა მხოლოდ დროის განსაზღვრულ მოკლე მონაკვეთში. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ამ ტიპის მძივების წარმოება დროის მოკლე მონაკვეთში მიმდინარეობდა. ასევე ვფიქრობთ, რომ მათი საწარმოო ცენტრი მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ თრიალეთში მდებარეობდა.

უკანასკნელ წლებში ელი-ბაბასა და კნოლეს სამაროვნებზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე, და თრიალეთში ადრე გათხრილი სამაროვნების ხელახალი გააზრება საფუძველს გვაძლევს, „დომინოსებრი“ მძივები და მათი შემცველი კომპლექსები ძვ.წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ გაგვეჩვენა, თუ რა მასალისგან მზადდებოდა ზემოხსენებული არტეფაქტები. მინერალოგიური კვლევისათვის შეირჩა საფარ-ხარაბას სამაროვნიდან ცილინდრული ფორმის ერთი მცირე ზომის მძივის (ინვ. № 192) და ელი-ბაბას სამაროვნიდან ორი ცილინდრული ფორმის და ორი დომინოსებური მძივის ფრაგმენტები (ინვ. №№ 797, 798, 949, 1045) (ტაბ. IV, 1b-d).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტში (ხელმძღვანელი გეოლოგია-მინერალოგიის მეც. დოქტ. ნ. ფოფორაძე) ჩატარდა თრიალეთში მოპოვებული მძივების მინერალოგიური ანალიზი. ჩატარებული კვლევის თანმიმდევრობა ასეთია: ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, პოლარიზაციული მიკროსკოპით სარგებლობისას, მძივების მცირე ზომებისა და მათი შემადგენელი ფაზების წვრილმარცვლოვნების გამო ცალსახად იდენტიფიცირება, როგორც ტალკისა და ენსტატიტისა, გამწვანებულია. ანალიზის ერთმნიშვნელოვანი შედეგი (ფაზები) დაფიქსირდა მძივის ნიმუშების რენტგენოფაზური ანალიზით და ოპტიკური ფოტომეტრიის მონაცემებით.

საკვლევ მასალაზე ჩატარდა ოპტიკურ-ფოტომეტრული, რენტგენოფაზური, ქიმიური და რენტგენოფლოუორესცენტული ანალიზი, რომელთა საფუძველზე საინტერესო შედეგებია მიღებული. ზოგიერთი ნიმუში, მართლაც, თითქმის მთლიანად ტალკითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV, 3a), ზოგში ტალკთან ერთად ენსტატიტის ფაზა გვხვდება სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობით (ტაბ. IV, 3b) და ზოგიც თითქმის მთლიანად ენსტატიტითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV, 3c). გაირკვა, რომ ერთი მძივის ცალკეულ მარცვლებში გვაქვს ტალკის ან ენსტატიტის დამოუკიდებელი ფაზები, ასევე ერთ მარცვალში ორივე ფაზა ერთად სხვადასხვა რაოდენობით, ისე რომ მარცვლების ქიმიური შედგენილობა პრაქტიკულად არ იცვლება. გაჩნდა ეჭვი, რომ ტალკის ბუნებრივ მასალას ჩატარებული აქვს თერმული დამუშავება სხვადასხვა ტემპერატურაზე. საწყისი ფაზა იყო ტალკი და ტემპერატურული ზემოქმედებით იგი უფრო მკვრივ მასალად (ენსტატიტი) გარდაიქმნა.

ნიმუშები მაკროსკოპულად, ძირითადად, თეთრი ფერისაა, წვრილ და თანაბარმარცვლოვანი. მიკროსკოპში ცალკეული ფაზის განსაზღვრა ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია მათი წვრილმარცვლოვნების გამო. რენტგენოსტრუქტურული ფაზური ანალიზის საშუალებით, წარმოდგენილი მასალა, ძირითადად, შეესაბამება ენსტატიტს და ტალკს (ტაბ. IV, 2a). მძივების რენტგენოფლოუორესცენტული ანალიზით მათი ქიმიური შედგენილობა პრაქტიკულად ერთნაირია. ანალიზის მონაცემების გასაშუალოებული მნიშვნელობა წარმოდგენილია ცხრილში (ტაბ. IV, 1a). ოპტიკური ფოტომეტრიის მონაცემებით მასალა წარმოდგენილია პიროქსენითა (ენსტატიტით) და ტალკით.

ვიზუალურად ერთნაირი საკვლევი ნიმუშების ოპტიკური, რენტგენოსტრუქტურული და ოპტიკური ფოტომეტრიის მეთოდებით კვლევამ საშუალება მოგვცა ზოგიერთ ნიმუშში ტალკისა და ენსტატიტის ფაზების ერთდროულად არსებობა აგვესნა ტალკზე ტემპერატურული ზემოქმედებით. ამდენად, ჩატარებული იქნა ექსპერიმენტი: ჩვეულებრივ პირობებში გადაღებული ტალკის ნიმუშის რენტგენოგრამა მთლიანად ტალკს შეესაბამება (ტაბ. IV, 4a). შემდეგ გადავიღეთ  $600^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე გახურებული ნიმუშის რენტგენოგრამა, სადაც უკვე ტალკთან ერთად გამოჩნდა ენსტატიტის დამოუკიდებელი ფაზა (ტაბ. IV, 4b).

ახალი ნიმუშის  $900^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე გახურების შემდეგ გადაღებულ რენტგენოგრამაზე ტალკის ფაზის რაოდენობა კატასტროფულად შემცირებულია, ხოლო ენსტატიტისა – გაზრდილი (ტაბ. IV, 4c). აქედან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ მძივების ნედლეულად გამოყენებულია მინერალი ტალკი, რომელსაც დამზადების

პროცესში გამოწვევადნენ სხვადასხვა ტემპერატურაზე. ტალკი 500°C-ზე ზემოთ გახურებით თანდათან გარდაიქმნება ენსტატიტად და რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი რაოდენობით გადადის იგი ენსტატიტში და ზოგჯერ მთლიანად ენსტატიტად გარდაიქმნება.

საქართველოში ტალკის ქვა, ძირითადად, დაკავშირებულია ლოპანისხევისა და ჭერათხევის (სურამულას მარცხენა შენაკადი, ხაშურის რაიონი) სერპენტინიზებული ულტრაფუძე ქანებთან – ძირულის მასივის პერიფერიულ ნაწილში, სხვა ქანებთან კონტაქტის ზონაში.

ბუნებაში ტალკი გვხვდება ტალკის ქვის (კარბონატის ან ქლორიტის მინარევით) ან უფრო სუფთა ტალკიტის სახით. ტალკიტი წვრილმარცვლოვანი ტალკიანი ქანია, შეიცავს 90%-მდე ტალკს. არჩევენ ტალკიტის ორ სახესხვაობას: მკვრივს – სტეატიტსა და ფიქლებრივს – ტალკიან ფიქალს.

სტეატიტი ტალკის მასიური სახესხვაობაა. იგი ფარულკრისტალური, თეთრი, ღია მწვანე, მუქი მწვანე, ოდნავ მოყვითალო, ან ნაცრისფერი ტალკია. დაბალი სიმკვრივის გამო, შეხებისას გვეჩვენება ცხიმოვანად, აქედანაა მისი სახელწოდებაც – სტეატიტი.

სტეატიტის სამრეწველო მნიშვნელობის საბალოები წარმოშობით დაკავშირებულია ჰიპერბაზიტებთან და მაგნიუმიან კარბონატულ ქანებთან (დოლომიტი, მაგნეზიტი). ტალკი წარმოიქმნება მაგნიუმით მდიდარ ულტრაფუძე ქანებზე (პერიდოტიტები, სერპენტინიტები და სხვ.) ჰიდროთერმული ხსნარების ზემოქმედებით, კაჟიანი კარბონატული ქანების კონტაქტურ-მეტასომატური ცვლილებებით, თიხიანი ქანების მეტამორფიზმით.

სტეატიტის მცირე ზომის ბუდობი ცნობილია მდ. ბჟინურასა (ძირულას მარცხენა შენაკადი) და ლოპანისწყლის (დასავლეთ ფრონეს მარჯვენა შენაკადი, ზნაურისა და ქარელის მუნიციპ.) ხეობებში. პრაქტიკულად მნიშვნელოვანია თეთრი მინდვრის, ქვაშავასა და ჭეშურას (ლოპანისწყლის ხეობა) ტალკის ბუდობები. მეტ-ნაკლებად შეცვლილ სერპენტინიტებს შორის ტალკი გვხვდება ცალკეული ძარღვებისა და ბუდისებრი სხეულების სახით. ჩვენში ტალკი ორი ტიპისაა: ღია ნაცრისფერი და მომწვანო სტეატიტი. ბუდობი, ძირითადად, ნაცრისფერი სახესხვაობისგან შედგება, მწვანე სახესხვაობა უმნიშვნელო რაოდენობითაა (10%-მდე).

რკინის შემცველი სტეატიტი სანახელავო ქვაა. მისგან ამზადებენ სამკაულს, გამანაწილებელ დაფებს, მაგიდეებს, ზარდახშებს, ჩიბუხის ტარებს. იგი საუცხოო მასალაა გამოყენებით ხელოვნებაში.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მცირე ზომის თეთრი ფერის მძივები ჩნდება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან და მისი ფართო წარმოება ხდება ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში.

## Bibliography:

- Avetisyan, Hayk, and Avetisyan, Pavel.** *Culture of the Ararat Plain XI - VI centuries BC.* Yerevan, 2006 (In Armenian).
- Avetisyan, Pavel, Engibaryan, Nora, and Sarkisyan, Hamlet.** “Newly discovered archeological monuments of Armenia”, *Handes Amsorya*, 1-12, tab. 14, Fig. 40 (1998) (in Armenian).
- Davlianidze, Tsira.** *Kvemo Kartlis kultura dzv. ts. II atastsleulis meore nakhevarshi* (Lower Kartli (Trialeti) Culture in the Second half of the I<sup>st</sup>Millenium BC.), Tbilisi, 1983.
- Engibaryan Nora.** “Urartian Burials from Noratus”, Abstracts of the conference dedicated to the results of field archaeological work in the Republic of Armenia in 1989-1990, (Yerevan, 1991), 68 (in Armenian).
- Gidaiat Jafarov, Diana Jafarova.** Predvaritelnie rezultati polevikh issledovaniy Karabakhskoi arkhologicheskoi ekspedicii (Preliminary Results of Field Research of the “Karabakh Archaeological Expedition”). *Archaeological Research in Azerbaijan.* Baku 2011.
- Gogadze Elguja, Pantskhava Leila, and Darispanashvili Mikheil.** ”Nosiri-Mukhurchis arqologiuri eqspediciis savele kvleva 1974-195” (The Field Research of the Nosiri-Mukhurcha Archaeological Expedition in 1974-1975), *Archaeological Expeditions of Georgian National museum V*, 1977, 60-78.
- Ingram, Rebecca S.** *Faience and Glass Beads from the Late Bronze Age Shipwreck at Uluburun*, Ma thesis, Texas A&M University (2005).
- Japaridze Otar.** *Shida Kartlis udzvelesi istoria (The Ancient History of Shida Kartli (Inner Kartli))*. Tbilisi, 2009.
- Khachatyan Telemek.** *Drevnaya istoria Shiraka* (Ancient Culture of Shirak). Yerevan, 1975.
- Kuftin Boris.** *Arkheologicheskie raskopki v Trialeti* (Archaeological Excavations in Trialeti). Tbilisi, 1941.
- Kuftin Boris.** *Arkheologicheskie raskopki v 1947 godu v Tsalke* (Archaeological Excavations in 1947 in the Tsalka district). Tbilisi, 1948.
- Kvachadze Marina.** “Mdzivebi Eli-Babas samarovnidan” (The Beads from Eli-Baba Cemetery), *Iberia-Colchis* 8, 2012, 116-126.
- Kvachadze Marina, and Narimanishvili Goderdzi.** “Late Bronze – Early Iron Ages Beads from Trialeti”, *Aegean World and South Caucasus*. Tbilisi 2016, p.180-209
- Maghalashvili George.** *Non-metallic mineral ores Industrial Types*, (Tbilisi, 2000).
- Martirosyan Arutiun.** *Armenia v epokhu pozneu bronzi i pannego jeleza* (Armenia in the Late Bronze and Early Iron Age). Yerevan, 1964.
- Menabde Medea, and DavlianidzeTsira.** *Trialetis samarovnebi (Trialeti Cemeteris)*. Tbilisi, 1968.
- Murvanidze Bidzina.** “Eli-Babas samarovani” (The Eli-baba Burial Graund), *Dziebani, Journal of the Georgian Archaeology.* # 15-16, Tbilisi, 2005, 147-163. (in Georgian).
- Narimanishvili Goderdzi.** “Sapar-kharabas samarovani” (“Saphar-Kharaba Burial Ground”), *Dziebani, Journal of the Georgian Archaeology.* # 17-18, Tbilisi, 2006, 92-126. (in Georgian).
- Narimanishvili Goderdzi.** “Trialeti in the 15<sup>th</sup> and 14<sup>th</sup> centuries BC”, *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines*. Tbilisi. 2010, 312-369.
- Narimanishvili Goderdzi; Makharadze Zurab; Shanshashvili Nino; and Melikidze Shalva.** “Die Grabungskompanie in Zalka 1990-1992”, *Archäologische Geländearbeiten in Georgien 1989-1992*. Tbilisi, 2004, 123-128.



- Nikolaishvili Vladimer, and Gavasheli Eduard.** *Narekvavis arkeologiuri dzegelebi (Narekvavi Archaeological Sites)*. Tbilisi, 2007.
- Papuashvili Revaz.** “Kolkhuri kolektiuri samarkhebis datarigebisatvis” (For Dating of Colchian Collective Burial Grounds), *Journal of Archaeology V*, Tbilisi. 2010. 32-43 (in Georgian).
- Petrosyan Levon.** *Raskopki v Keti i Voskeask* (Excavations in Keti and Voskeask). Yerevan. 1989.
- Sevin Veli.** *An Early Iron Age Cemetery*. Istanbul, 1996.
- Shanshashvili Nino.** “Sites of the Kura-Araxes Culture in Trialeti”, *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines*. Tbilisi. 2010, 161-184.
- Zhorzhikashvili Lamara, and Gogadze Elguja.** *Pamyatniki Trialeti v epokhu rannei i sredneu bronzi* (Monuments of the Trialeti in the Early and Middle Bronze Age). Tbilisi. 1974 (in Russian).

### Illustrations:

- I - 1. Location of Trialeti; Eli-baba cemetery: 2. Burial 38, inv. 798; 3. Burial 56, inv. 938.
- II - Eli-baba cemetery: 1. Burial 38, inv. 802; 2. Burial 38, inv. 799; 3. Burial 38, inv. 797; 4. Burial 38, inv. 796; 5. Burial 38, inv. 800; 6. Burial 56, inv. 939.
- III - Avranlo cemetery: 1,2. Burial 3, inv. 33-65: 37; 3. Burial 10, inv. 33-65: 70; 4. Burial 1: inv. 33-65:5; 5. Burial 1: inv. 33-65:4; 6,7. Burial 1: inv. 33-65:7; 8-10. Burial 1: inv. 33-65:6.
- IV - 1, a. Chemical composition of beads; b. The bead from Sapar-kharaba cemetery (inv.192); c,d. The beads from Eli-baba cemetery (inv. 1045, 797)
- IV - 2, a. X-ray pattern of bead from Eli-baba cemetery, inv. 797; b. X-ray pattern of bead from Eli-baba cemetery, inv. 949.
- IV - 3, a. X-ray pattern of talc bead (Eli-baba cemetery, inv. 1045); b. X-ray pattern of talc and enstatite phases (Sapar-kharaba cemetery, inv. 192); c. X-ray pattern of enstatite (Eli-baba cemetery, inv. 798).
- IV - 4, a. X-ray pattern of a natural sample; b. X-ray pattern of a natural sample heated at 600°C temperature; c. X-ray pattern of a natural sample heated at 900°C temperature.

### ტაბულების აღწერილობა:

- I – 1. თრიალეთის მდებარეობა; მძივები ელი-ბაბას სამაროვნიდან: 2. სამარხი №38, ინვ. 798; 3. სამარხი №56, ინვ. 938.
- II – მძივები ელი-ბაბას სამაროვნიდან: 1. სამარხი №38, ინვ. 802; 2. სამარხი №38, ინვ. 799; 3. სამარხი №38, ინვ. 797; 4. სამარხი №38, ინვ. 796; 5. სამარხი №38, ინვ. 800; 6. სამარხი №56, ინვ. 939.
- III – მძივები ავრანლოს სამაროვნიდან: 1,2. სამარხი №3, ინვ. 33-65: 37; 3. სამარხი №10, ინვ. 33-65: 70; 4. სამარხი №1, ინვ. 33-65: 5; 5. სამარხი №1, ინვ. 33-65: 4; 6,7. სამარხი №1, ინვ. 33-65: 7; 8-10. სამარხი №1, ინვ. 33-65: 6.
- IV - 1,ა. მძივების ქიმიური შედგენილობა, %; ტალკის მძივები: 1,ბ. საფარ-ხარაბას სამაროვნიდან (ინვ. №192); 1,ც,დ. ელი-ბაბას სამაროვნიდან (ინვ. №1045, 797).
- IV - 2,ა. ელი-ბაბას სამაროვნის მძივის რენტგენოგრამა (ინვ. №797); 2,ბ. ელი-ბაბას სამაროვნის მძივის რენტგენოგრამა (ინვ. №949).
- IV - 3,ა. ტალკის მძივის რენტგენოგრამა (ელი-ბაბას სამაროვანი, ინვ. № 1045);

3,b. ტალკისა და ენსტატიტის ფაზების რენტგენოგრამა (საფარ-ხარაბას სამაროვანი, ინვ. №192); 3,c. ენსტატიტის რენტგენოგრამა (ელი-ბაბას სამაროვანი, ინვ. №798).

IV - 4, a. ტალკის ბუნებრივი ნიმუშის რენტგენოგრამა; 4,b. ტალკის 600°C ტემპერატურაზე გახურებული ნიმუშის რენტგენოგრამა; 4,c. ტალკის 900°C ტემპერატურაზე გახურებული ნიმუშის რენტგენოგრამა.



1



2




3



1



2



3




4




5



6







SiO <sub>2</sub>	57.57
Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	0.38
MgO	29.42
FeO+ Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	0.41
MnO	0.013
NiO	0.051
CuO	0.037
TiO	0.013
CaO	0.28

1a




1b




1c




1d




2a




2b




3a




3b




3c



4a



4b



4c

## საირხის სკეპტუხია

წერილობითი წყაროებით (სტრაბონი) და არქეოლოგიური მონაცემებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნავარაუდებია რამდენიმე ქვეყნის (სკეპტუხიის) არსებობა<sup>1</sup>. თუმცა, ეჭვს გარეშეა, რომ ვანის გარდა, აღნიშნული პრობლემის კვლევის საქმეში არც ერთ სხვა ძეგლს ჯერ-ჯერობით არ მოუცია ისეთი ხელშესახები მასალა, როგორც საირხეს.

ძვ.წ. V-IV საუკუნეები საირხეში წარმოდგენილია მდიდრული სამარხებით, სარიტუალო მოედნით და ნამოსახლარი ფენებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ პერიოდში საბადურის ბორცვი წარმოადგენდა ადგილობრივი არისტოკრატიის საძვალეს<sup>2</sup>. სამარხეული ინვენტარის დეტალური შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ მოსაზრების შემდგომი განვითარება და კოლხეთის ერთიან სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში საირხის როლისა და ფუნქციის გარკვევა. ამ კონტექსტში სავსებით ვიზიარებ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკეპტუხიების წარმოქმნა კოლხეთის სამეფოს თავდაპირველ ეტაპზე მოხდა და ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა მართვა-გამგეობის მოწესრიგებას<sup>3</sup>. ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით ლეონტი მროველის ცნობაში ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს საერისთაოებად დაყოფის შესახებ<sup>4</sup>. ადრეანტიკური ხანის კოლხეთის სკეპტუხიები თავისი გენეზისით იბერიის საერისთაოების მსგავსნი იყვნენ და კოლხეთშიც, ისევე როგორც იბერიაში, საგამგეო ერთეულებად დაყოფას საფუძველად ედო ტერიტორიული პრინციპი. ძველი კოლხეთის პოლიტიკური ვითარების ამსახველი წერილობითი წყაროების სიმწირე საშუალებას არ იძლევა ამომწურავად განვავითაროთ ეს ვარაუდი, მაგრამ ერთი მხრივ, არქეოლოგიური მონაცემები და მეორე მხრივ, ქართული საისტორიო ტრადიციის (ლეონტი მროველი) ცნობა შედარებით მოგვიანო ხანის ქართლის სამეფოში განხორციელებული რეფორმების შესახებ, იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კოლხეთსა და იბერიაში საქმე უნდა გვექონდეს ადმინისტრაციული დაყოფის მსგავს მოვლენებთან. სკეპტუხიების გაჩენას თავისთავად თან სდევდა ამ საგამგეო ცენტრების წარმოქმნა-განვითარებაც. აღნიშნული ცენტრები სკეპტუხიის შიგნით თავის გარშემო აერთიანებდნენ გარკვეულ მიწა-წყალს, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებული იყო ამ ცენტრებზე. სკეპტუხიის მთავარ ცენტრებს უპირატესი როლი უნდა შესრულებინათ როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მართვაში, ასევე - საგარეო სავაჭრო ურთიერთობებშიც. არქეოლოგიური აღმოჩენები საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ცალკეული სკეპტუხიების

1. გელა გამყრელიძე, „მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ... სერია, 2 (1989), 59.  
2. ჯურხა ნადირაძე, საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი, (თბილისი, 1990), 22-90.  
3. მერი ინაძე, „კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (1961), 783-790.  
4. ქართლის ცხოვრება (თბილისი, 1955), 24.

მთავარი ცენტრები ამავდროულად მთავარი რელიგიური და სავაჭრო-გამანაწილებელი დატვირთვის მქონე დასახლებებიც იყვნენ (ვანი, საირხე). ასე რომ, ჩემი აზრით, არაერთი საფუძველი არსებობს, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. V-IV საუკუნეების საირხე წარმოვიდგინოთ, როგორც კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის (სკეპტუხიის) ცენტრი და იმპორტის გამანაწილებელი მთავარი კერა აღმოსავლეთ კოლხეთში.

საირხის ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული უფლებებით, რაც ქმნიდა სოციალური განცალკევებისა და კოლხ წარჩინებულთა კიდევ უფრო გამდიდრების მტკიცე საფუძველს, რამდენადაც სამეფოს მიერ ბოძებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას მოჰქონდა ახალი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრებოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ასევე ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთების სახითაც<sup>5</sup>. ამ მხრივ საყურადღებოა საბადურის გორის ძვ.წ. V-IV საუკუნეების სამარხეული ინვენტარი. ძვ.წ. V საუკუნეს საირხეში მიეკუთვნება ორი მდიდრული სამარხი, №13 (ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევარი) და №5 (ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარი). თავისი გარეგნული ფორმით, მეხუთე სამარხი ტოვებდა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას. მასში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული და ხუთი ცხენი. სამარხეულ მასალას წარმოვადგენ ცალკ-ცალკე, თითოეულ მიცვალებულთან მიმართებაში, რადგან როგორც ქვემოთ შევეცდები ვაჩვენო, ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საირხის საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის დადგენის საქმეში.

პირველ მიცვალებულთან აღმოჩნდა გრეხილრკალიანი ვერცხლის დიადემა და ცვარათი შემკული მთვარისებური ფორმის ოქროს საყურეები. მეორე მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის დიადემა, ოქროს ორი საყურე, არწივის ორი ოქროს ფორფიტა და ლეკითოსი. მესამე მიცვალებულს ეკუთვნოდა ვერცხლის დიადემა, ვერცხლის სამაჯურები, ოქროს საკიდი, ოქროს საყურეები, მძივი და ვერძის თავების ოქროს ყელსაბამი<sup>6</sup>. მეხუთე სამარხის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს მიცვალებულთათვის ვერცხლის დიადემების ჩაყოლების ფაქტი<sup>7</sup>. თუმცა, იგი არ არის ერთადერთი სამარხი, რომელშიც გამოვლენილი იქნა ეს არტეფაქტები. ოქროს დიადემა აღმოჩენილია მეცამეტე სამარხში (ტაბ. II,1). დიადემების ჩატანება ძვ.წ. V საუკუნის კოლხეთის საზოგადოებაში დაწინაურებულ პირთათვის განკუთვნილი წესია. ანალოგიური სიტუაცია დადასტურებულია ვანის მეთერთმეტე სამარხშიც<sup>8</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული ქალები წარმოადგენდნენ პირად მოახლეებს და შესაბამისად, სოციალურად უუფლებო ადამიანებს<sup>9</sup>. მაგრამ ის გარემოება, რომ მათაც მთავარი მიცვალებულების მსგავსად ჩატანებული აქვთ დიადემები, უნდა მიანიშნებდეს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს ეკონომიკურად და სოციალურად საკმაოდ დაწინაურებული ფენის წარმომადგენლებთან. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, დაკრძალვის ეს თავისებური წესი უნდა აიხსნას მისი საკულტო ხასიათით. დაკრძალვის ამ რიტუალის შესრულების

5. ოთარ ლორთქიფანიძე, „ვანის ნაქალაქარი“. ვანი, III (1977), 16.

6. ნადირაძე, საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი, 30-37

7. ნადირაძე, საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი, 36

8. ლორთქიფანიძე, „ვანის ნაქალაქარი“, 16

9. მერი ინაძე, „სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში“. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ... სერია 4(1986), 43.

დროს ყველაფერი ხდება უზენაესი ღვთაების-ღმერთების დიდი ღელის სახელით და ემსახურება მის შემდგომ განახლებას და გაძლიერებას<sup>10</sup>. ასე რომ, საირხის მეხუთე სამარხში დაკრძალული თანმხლები მიცვალებულების სახით საქმე უნდა გვქონდეს წარჩინებული გვარის წარმომადგენლებთან, რომლებიც ქალღვთაების მსახურებისთვის იყვნენ შეწირულნი. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად მხარს უჭერს სტრაბონის ცნობაც ანატიდას ტაძრებში ქალღვთაებისთვის ქალწულთა შეწირვის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ამ ღვთაებისადმი სამსახურს<sup>11</sup>. იმისათვის, რათა ერთ ასპექტში გავიაზროთ ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხეთის წარჩინებულთა წრეში არსებული დიფერენციაცია და იერარქიული განსხვავებულობა, აუცილებელია განვიხილოთ საირხის საბადურის გორის დანარჩენი მდიდრული სამარხების ინვენტარი.

ძვ.წ. IV საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება №8 და №10 სამარხები. მათე სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. სამარხში აღმოჩნდა ასზე მეტი ყვავილის ფორმის ოქროს ფირფიტა, ოქროს საყურეები, ხარის გამოსახულებიანი ოქროს მედალიონი, ოქროს ყელსაბამები, ოქროს ბეჭდები, ოქროს ბალთა, ოქროს სამაჯურები, ოქროს ჩამჩა და კოვზი, ვერცხლის ფიალა და სურა<sup>12</sup>.

საირხეში გათხრილი ძვ.წ. IV საუკუნის სამარხებიდან შედარებით უკეთ იყო შემორჩენილი მერვე სამარხის მიწისზედა ნაგებობა (ტაბ. I,1). სამარხი ორკამერიანი იყო. ჩრდილოეთის კამერაში დაკრძალულ სამ მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის საკისრე როლები და ნახევარმთვარისებური ფორმის ოქროს საყურეები. სამხრეთის კამერაში იდგა დიდი ზომის ბრინჯაოს სიტულა. აქვე, აღმოჩნდა ვერცხლისა და ოქროს სამაჯურები, ოქროს საყურე, ოქროს საკიდები, კოლხური მონეტები, საბეჭდავი ბეჭდები და ლეკითოსის ფრაგმენტები<sup>13</sup>.

საირხის მდიდრული სამარხები ნაგებია ხის მორებით, დიდი ზომის რკინის ლურსმნებით, ქვის მშრალი წყობით და ყველა მათგანი დაცულია ქვყარილებით<sup>14</sup>.

აღმოსავლეთ კოლხეთში არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმობაა ითხვისისა და მოდინახეს ადრეანტიკური ხანის სამარხები, რომლებიც ინვენტარის მხრივ მკვეთრად განსხვავდება საბადურის გორის მდიდრული კომპლექსებისგან. მოდინახეზე ამ ეპოქის ოთხი სამარხია აღმოჩენილი და მათი აღნაგობა არაერთგვაროვანია. გვხვდება ქვყარილიანი, ქვის კედლებიანი და იატაკმოკირწყლული სამარხები, რომლებშიც დაკრძალულია თითო მიცვალებული. სამარხეული არტეფაქტები ძირითადად კერამიკაა, თუმცა გვხვდება ოქროსა და ვერცხლის ნივთებიც და მონეტები<sup>15</sup>. საფიქრებელია, რომ მოდინახეზე დაკრძალულთა სახით საქმე უნდა გვქონდეს მწარმოებელ ფენასთან, რომელთა შემოსავლის ნაწილი წარმოადგენდა დიდებულთა საკუთრებას. არქეოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე, ასეთი დიდებულები უნდა ყოფილიყვნენ საირხეში, საბადურის გორის მდიდრულ სამარხებში დაკრძალული პიროვნებები. აქედან კი იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეებში საირხე, როგორც სკეპტუხიის მთავარი ცენტრი, თავის გარშემო აერთიანებდა დასავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი მთის წინა ზო-

10. ინაძე, „სატადრო ცენტრები ძველ კოლხეთში“, 45.

11. თინათინ ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (თბილისი 1957), 198.

12. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, 88-90.

13. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, 45-46

14. გიორგი მახარაძე და მანანა წერეთელი, საირხე, (თბილისი 2007), 43.

15. ჯურხა ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, (თბილისი, 1975), 90-117.

ლის მოსახლეობასაც, რომელთაც მოდინახეზე გამოვლენილი სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მწარმოებელი ბუნების მიუხედავად, არც თუ დაბალი ადგილი უნდა სჭეროდეთ ძველი კოლხეთის სოციალურ იერარქიაში. ყოველ შემთხვევაში, არ გამოირიცხება უფრო დაბალი საზოგადოებრივი ფენის არსებობაც.

განსხვავებულ სოციალურ წრეს მიეკუთვნება ითხვისის ძვ.წ. V-IV საუკუნეების მდიდრულ სამარხებში დაკრძალული პიროვნებები. მათ ინვენტარში ყურადღებას იპყრობს საომარი ცული, ისრისპირები და რაღა თქმა უნდა, ვერცხლის დიადემა და ატიკური შავლაკიანი კილკი, რომელზედაც ამოკაწრულია მისი მფლობელის ვინაობა<sup>16</sup>. ითხვისის №2 სამარხი იმდენად იმსახურებს ყურადღებას, რამდენადაც ყვრილის ხეობის ზემო წელზე ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი იარაღიანი სამარხია, ხოლო მასში დაკრძალული მიცვალებულის წარჩინებულობაზე მეტყველებს ვერცხლის დიადემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, დიადემა სახელისუფლებო ინსიგნიაა და მისი დანიშნულება არ შემოიფარგლება მხოლოდ დაკრძალვის რიტუალში მონაწილეობით<sup>17</sup>. ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდები, ახლა კი აღვნიშნავ, რომ ითხვისის აღნიშნულ სამარხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი კოლხეთის საზოგადოების იერარქიული კიბის შესწავლის თვალსაზრისით.

კოლხეთის სამეფოს მოსახლეობის შინაგანი სტრუქტურის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო ღრმავდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების წარმოქმნის პროცესი. იზრდება მოთხოვნილება მწარმოებელ თუ მეომარ საქმეში დასაპეციალურად ადამიანებზე. ხშირი ომიანობის პირობებში თანდათან შეუძლებელი ხდება მიწათმოქმედისა და მეომრის ფუნქციების შეთავსება, რაც ესოდენ ახასიათებს წინარე ანტიკური ხანის კოლხეთს. გვიანანტიკური ხანის ქართლის სახელმწიფო წეს-წყობილების დახასიათებისას გ. მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება იქცა შეძლებული მეთემეების პრივილეგიად და ამ გზით ისინი თანდათან ყალიბდებიან მხედრების სამხედრო ფენად, მათგან იქმნება სამხედრო რაზმები და ინიშებიან სამხედრო მოხელეები<sup>18</sup>. ბოლო ათწლეულების არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ანალოგიური ფენა კოლხეთშიც არსებობდა და ამ პროცესს აქვს საკმაოდ ღრმა ფესვები. მიმაჩნია, რომ სწორედ ითხვისში აღმოჩენილი სამარხით შეიძლება დავადასტუროთ ვარაუდი ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხეთში მეომარი ზედაფენის არსებობის შესახებ. ნათქვამს მხარს უჭერს ვანში და დაბლაგომში მიკვლეული მეომრების სამარხებიც. ითხვისის წარჩინებული მხედარი შესაძლოა, სკეპტუხისის შიგნით სკეპტუხის შემდეგ მეორე პირსაც წარმოადგენდა. მას რომ რაღაც მსგავსი ფუნქცია ექნებოდა, დასტურდება ითხვისის სამაროვანზე რიგითი ორმოსამარხების აღმოჩენის ფაქტითაც<sup>19</sup>, რაც მიუთითებს, რომ იგი არ იყო უზენაესი მმართველი არისტოკრატის საგვარეულოს წარმომადგენელი, თუმცაღა საზოგადოებაში უნდა სჭეროდა დაწინაურებული ად-

16. იულონ გაგომიძე, „ითხვისის სამარხი“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 15 (1976), 31-45.

17. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, 43.

18. გიორგი მელიქიშვილი, „ახ.წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები (თბილისი 1970), 580.

19. იულონ გაგომიძე და სხვები, „ითხვისის სამაროვანი“, არქეოლოგიური ჟურნალი, 4 (2006).



გილი. ამ თვალსაზრისით საყურადღებო პარალელებს წარმოადგენს ვანის ქვეყნის ფარგლებში აღმოჩენილი დაბლაგომისა და მთისძირის სამარხები. როგორც ვარაუდობენ, მათში დაკრძალული პიროვნებები გარკვეულ როლს ასრულებდნენ ვანის ქვეყნის სასოფლო რაიონების მართვა-გამგეობაში<sup>20</sup>. აქედან კი, იმ ზოგადი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ვანისა და საირხის სკეპტუხიებში საგამგეო ხელი-სუფლება დიფერენცირებული იყო. ასე რომ, ჩემი აზრით, ითხვისს ზუსტად ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა საირხის ქვეყნისთვის, როგორც მთისძირს და დაბლაგომს ვანის სკეპტუხისთვის.

ახლა მოკლედ შევეხები საირხის მმართველი ზედაფენის, საგვარეულო არისტოკრატიის, სოციალურ-პოლიტიკურ არსს. მიმოხილული სამარხეული არტეფაქტებიდანაც ჩანს, რომ დაკრძალულ მიცვალებულთა შორის ქონებრივი განსხვავება აშკარაა და ამ მხრივ ეს სამარხები არაერთგვაროვანია. სხვადასხვანაირია საკუთრივ სამარხების აღნაგობაც. მაგალითად, მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხები ორ-ორ კამერიანი ნაგებობებია, მაშინ როდესაც მეათე სამარხს აქვს მხოლოდ ერთი კამერა. სხვადასხვანაირია მთავარ მიცვალებულთათვის ჩაყოლებული თანმხლები პირების რაოდენობაც და თუ მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხების მთავარ მიცვალებულებთან ერთად სამ-სამი პირია დაკრძალული, მეათე სამარხში - მხოლოდ ერთია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საირხის დიდებულები მიეკუთვნებიან კოლხეთის უზენაეს მმართველ ზედაფენას და მათ ხელში თავმოყრილია სასულიერო და საერო ფუნქციები. ის რეალობაც უნდა აღინიშნოს, რომ საბადურის გორაზე დაკრძალულ წარჩინებულ პირთა შორისაც შესაძლებელი ხდება იერარქიული საფეხურის გამოყოფა და ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს სამარხთა აღნაგობა და ინვენტარის თავისებურება. ამ მხრივ ცალკე უნდა გამოიყოს მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხები.

ძვ.წ. V-IV საუკუნეების კოლხეთის სამეფოში ძირეული ძვრები ხდება. ვითარდებიან და საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ნაყოფიერი მიწებით გარშემორტყმული სატაძრო თემები<sup>21</sup>, რომლებიც თავიანთ გარშემო აერთიანებენ გარკვეულ მიწა-წყალს და ამით მტკიცე საფუძველს ქმნიან მართვა-გამგეობაში ჰეგემონობის მისაღწევად. ამდენად, ქურუმთა ზედაფენა ხდება სკეპტუხიის შიგნით საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი ძალა. საირხის საბადურის გორის მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხები გვიხატავენ ამ ვითარების ამსახველ სიტუაციას. სამივე სამარხი მოზრდილი ნაგებობაა და მათში ადამიანების გარდა დაკრძალული არიან ცხენებიც. ცხენების შეწირვის შემთხვევას და სამარხთა აღნაგობას კვლევის ამ ეტაპზე ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან როდესაც ერთი და იგივე საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელთა შიგნით არსებულ იერარქიის დადგენას ვცდილობთ, დახმარება შეიძლება გავვიწიოს სწორედ ამ ფაქტმა. ამ კუთხით მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხების უპირატესობა დანარჩენ სამარხებთან შედარებით აშკარად ჩანს. აშკარაა განსხვავება სამარხეული ინვენტარის მხრივაც. მაგალითად, მეათე სამარხში არ გვხვდება სხენებული კომპლექსებისთვის

20. გელა გამყრელიძე, „მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები“, ვანი, III, (თბილისი, 1977): 66

21. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, 43.

დამახასიათებელი სახელისუფლებო ინსიგნიები (დიადემები). თვით მეთე სამარხის აგებულებაც (მხოლოდ ერთი დასაკრძალავი კამერა) მიანიშნებს, რომ მასში დაკრძალული პიროვნება სოციალური სტატუსით ჩამოუვარდება მეხუთე, მერვე და მეთე სამარხების დიდებულებს. შედარებისთვის აღვნიშნავ, რომ მეთე სამარხის მოცულობა უდრიდა სულ 4მ<sup>2</sup>-ს (ტაბ. I,2), მაშინ როდესაც მეხუთე და მერვე სამარხების ფართობი იყო 20 მ<sup>2</sup>, ხოლო მეცამეტე სამარხის - 16 მ<sup>2</sup>. ერთი გვარის შიგნით სამარხთა განსხვავებული აღნაგობა და ფართობი უნდა აიხსნას მათში დაკრძალული მიცვალებულების სოციალურ-პოლიტიკური სტატუსით. ამ თვალსაზრისს ერთგვარად მხარს უჭერს ცხენების თანდაკრძალვის ფაქტიც. მეხუთე და მერვე სამარხებში ხუთ-ხუთი ცხენი იყო დარძალული, ხოლო მეცამეტე სამარხში - სამი. ცხენების შეწირვა უკავშირდება მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას და მეთე სამარხში ცხენის ჩაუყოლებლობის ფაქტი არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. მთავარ მიცვალებულთან ერთად შეწირული ერთად-ერთი მიცვალებულიც (მაშინ როდესაც მეხუთე და მერვე სამარხებში სამი-სამი ქალია შეწირული), უნდა მიანიშნებდეს, რომ მეთე სამარხში დაკრძალული პიროვნება ვერ ამაღლდა მმართველის სტატუსამდე და ის გარემოება, რომ მას არ აღმოაჩნდა სახელისუფლებო ინსიგნია, ნიშანდობლივი ჩანს. დიადემებით იყვნენ შემკულნი მეხუთე სამარხის მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული ქალები. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მათი სახით საქმე გვაქვს მთავარ სასულიერო და რელიგიურ ხელისუფლისადმი ნებით შეწირულ ღვთით შთაგონებულ ქალებთან, რომელთაც ძველი კოლხეთის საზოგადოებაში ეკავათ საკმაოდ დაწინაურებული მდგომარეობა. ამიტომ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ მეხუთე სამარხში ჩაყოლებულ ქალებს დიადემებით შემკობის უფლებას რთავდა საირხის უმაღლესი ხელისუფლებისადმი სამსახური. ამის საპირისპიროდ, მეთე სამარხში დაკრძალული ქალისთვის, როგორც ჩანს, ასეთი პრივილეგია ხელმისაწვდომი არ იყო. ამრიგად, საირხის მმართველ ზედაფენაშიც შესაძლებელი ხდება დიფერენციაცია. მიმაჩნია, რომ სკეპტუხის უმაღლეს ხელისუფლებას საბადურის გორაზე დაკრძალული პირველ, მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხებში დაკრძალული წარჩინებული პიროვნებები ახორციელებდნენ. განსაკუთრებით გამოსაყოფია მეცამეტე სამარხში დაკრძალული მთავარი მიცვალებული. მეცამეტე სამარხი ყველაზე ადრეული კომპლექსია საბადურის გორაზე და საერთოდ, ყველაზე ადრეული მდიდრული სამარხია კოლხეთის არქეოლოგიაში. ოქროს დიადემის გარდა, აქ აღმოჩენილია, ალბათ, ძველ კოლხეთში დადასტურებული ყველაზე თვალსაჩინო სახელისუფლებო ინსიგნია; ესაა სკიპტრა, რომელიც ხელში ეკავა მიცვალებულს. იგი წარმოადგენს რკინის ოვალურთავიან არტეფაქტს (ტაბ. II,2) და ვიზუალურად საკმაოდ ჰგავს ეგვიპტის ფარაონების ოქროს სკიპტრებს. გათხრების პროცესში გამოჩნდა, რომ იგი დაფარული იყო მოლურჯო ქსოვილით. სამწუხაროდ, ქსოვილის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ოქროს დიადემის და სკიპტრის აღმოჩენა ერთ სამარხში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ აქ დაკრძალული პიროვნების სახით დავინახოთ სკეპტუხის უმაღლესი ხელისუფალი. საინტერესოდ გამოიყურება ამავე სამარხში აღმოჩენილი კილიკზე ამოკაწრული ბერძნული გრაფიტოები - მონოგრამა და წარწერა (ტაბ.

II,3). ისინი დაწვრილებით შეისწავლა თ.ყაუხჩიშვილმა. მონოგრამასთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო EP მარცვლით დაწვებული ნებისმიერი საკუთარი სახელი<sup>22</sup>. თუმცა, იმის გამო, რომ კოლხეთის ონომასტიკონი საერთოდ არ არის შესწავლილი, ძნელია დადგენა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის საკუთარ სახელთან, თუ რომელიმე ღვთაების სახელწოდებასთან<sup>23</sup>. განსაკუთრებულ სირთულეს იწვევს მეორე გრაფიტოს წაკითხვა. თ.ყაუხჩიშვილის ვარაუდით, აქ შეიძლება საქმე გვქონდეს ირანული წარმოშობის ქალის საკუთარ სახელთან<sup>24</sup>. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კილიკზე ამოკაწრული ქალის სახელი სწორედ იმ პიროვნების სახელია, რომელიც დაკრძალულია მეცამეტე სამარხში და რომელიც გვევლინება როგორც სკეპტუხთა შტოს ყველაზე ადრეული წარმომადგენელი, არა მხოლოდ საირხეში, არამედ ზოგადად, კოლხეთში. როგორც უკვე აღვნიშნე, საირხის მეცამეტე სამარხი ყველაზე ადრეული მდიდრული სამარხია კოლხეთის მასშტაბით.

რაც შეეხება მეათე სამარხში დაკრძალულ პიროვნებას, მისი სახით საქმე უნდა გვქონდეს სკეპტუხის მმართველი საგვარეულოს წარმომადგენელთან, რომლის ფუნქციას არ წარმოადგენდა ხელისუფლების უშუალო განხორციელება. ეს ვითარება მიანიშნებს, რომ სკეპტუხიას განაგებდნენ ერთი საგვარეულოს კონკრეტული წარმომადგენლები, ხოლო ამ სამაროვანზე იკრძალებოდნენ ამ არისტოკრატიული ოჯახის სხვა წარმომადგენლებიც. ამ რეალობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საირხის უზენაესი მმართველობა მოქცეული იყო ერთი ოჯახის ხელში და იგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ამ ფაქტის დასტურად შეიძლება გამოდგეს საბადურის გორაზე აღმოჩენილი მეოთხე, მეექვსე და მეცხრე სამარხები. განსაკუთრებით საინტერესოა მეცხრე სამარხის აღმოჩენის ფაქტი. იგი საგანგებოდ იყო ჩაშვებული მერვე სამარხის ქვაყრილში (ტაბ. II,4), რაც მიანიშნებს ამ ორ სამარხში დაკრძალულ პირთა აშკარა ნათესაობაზე. ძველ კოლხეთში რომ სკეპტუხის უმაღლესი მმართველობა თავმოყრილი იყო ერთი საგვარეულოს (ერთი ოჯახის) ხელში, კარგად დასტურდება ვანის მეოთხე სამარხის მაგალითზეც, სადაც დაკრძალულია მცირეწლოვანი გოგონა<sup>25</sup>. საირხის სკეპტუხთა რანგში უნდა განვიხილოთ პირველი სამარხიც, რომელიც ყველაზე გვიანდელი კომპლექსია საბადურის გორის მდიდრულ სამარხთა შორის და იგი ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნით თარიღდება; ჩემი აზრით, სწორედ მასშია დაკრძალული საირხის ქვეყნის უკანასკნელი სკეპტუხი, რის შემდეგაც საირხეში სკეპტუხის ცენტრი უქმდება. სკეპტუხის გაუქმება იმ პერიოდის გლობალურ საერთაშორისო მოვლენებს უკავშირდება და ეს საკითხი ცალკე მაქვს განხილული<sup>26</sup>.

ამრიგად, სკეპტუხთა სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლები დაკრძალულნი არიან საბადურის გორის პირველ, მეხუთე, მერვე და მეცამეტე სამარხებში. ეს შტო საირხეში სათავეს იღებს მეცამეტე სამარხიდან (ძვ.წ. V საუკუნის პირველი

22. თინათინ ყაუხჩიშვილი, „საირხის ბერძნული გრაფიტო“, ქართული წყაროთმცოდნეობა, 7 (1993): 15-17.

23. მარიაკა ნასიძე, საქართველოს ბერძნული გრაფიტო, (თბილისი 2002): 20.

24. ყაუხჩიშვილი, „საირხის ბერძნული გრაფიტო“, 15-17.

25. ლორთქიფანიძე, „ვანის ნაქალაქარი“, 16.

26. ზურაბ ბრავაძე, „აქემენიდური ირანი და კოლხეთის სამეფო“, იბერია-კოლხეთი, 11 (2015).

ნახევარი) და არსებობს ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნამდე (პირველი სამარხი). რაც შეეხება მეოთხე, მეექვსე, მეცხრე და მეთექვსმეტე სამარხებს, მათში ჩემი ვარაუდით, დაკრძალულნი უნდა იყვნენ სკეპტუხთა ოჯახის ის წევრები, რომლებიც არ იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ამ სამაროვანზე დაკრძალვის უფლებას მათ ანიჭებდა მმართველი საგვარეულო ოჯახის უშუალო წევრობა. ამ ფაქტს კი თავისთავად მივეყვართ ძვ.წ. V-IV საუკუნეების საირსეში (აღმოსავლეთ კოლხეთში) მემკვიდრეობითობის ინსტიტუტის არსებობასა და ამ მმართველი ოჯახის სოციალ-პოლიტიკური კონტინუიტეტის აღიარებამდე.

## Sairkhe's *Skeptukhia*

### Summary

In the scientific literature, it is noted that immediately after the formation of the Kingdom of Colchis appears the administrative units, *sceptukhia*. The formation of *sceptukhia* itself led to the development of these administrative centers. These centers united the certain parts of the land around, which were politically and economically dependent on them. The main centers of *sceptukhia* had a leading role in the country's internal political management, as well as in foreign trade relations. Based on archaeological finds, it can be assumed that the centers of each *sceptukhia* were the religious and import distribution centers too (Vani, Sairkhe). So, in my opinion, there are several reasons to consider that during the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries B.C. Sairkhe was the center of one of the administrative units (*sceptukhia*) of the Colchian kingdom and the main center for the distribution of imports in the eastern part of Colchis. During the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries B.C., radical changes occurred in the Colchian kingdom. The supreme caste of priests united a certain land around themselves, while creating a solid foundation for hegemony in government. Thus, this elite becomes the guiding force of social life. The fifth, eighth and thirteenth tombs of Sairkhe, where besides people, horses are also buried represents precisely this situation. The case of sacrificing horses and building tombs is crucial at this stage of the study, because when we try to establish a hierarchy within the same hereditary aristocracy, this fact can help us. The advantage of the fifth, eighth, and thirteenth tombs in this respect is obvious in comparison with other tombs. There is also a difference in terms of grave inventory. For example, in the burial #10 there are no government insignias (tiaras) characteristic for these assemblages. Even the construction of the tenth tomb itself (only one burial chamber) shows that the deceased buried in it are socially inferior to the aristocracy of the fifth, eighth and tenth tombs. For comparison, the volume of the tenth tomb was only 4 m<sup>2</sup>, while the area of the fifth and eighth tombs was 20 m<sup>2</sup>, and the thirteenth tomb was 16 m<sup>2</sup>. Different designs and sizes of graves should be explained by the socio-political status of the buried. This view is partially confirmed by the fact of the burial of horses. Five horses each were buried in the fifth and eighth tombs and three in the thirteenth tomb. The fact that the horse is not buried in the tenth burial should not be an accidental event. This fact indicates that a person buried in the tenth tomb could not rise to the status of ruler. Thus, a certain hierarchy can be distinguished in the governing top of Sairkhe. Thus, the representatives of the government branch of the *sceptuckhs* are buried in the first, fifth, eighth and thirteenth tombs of the Sabaduri hill Sairkhe. This branch originates from the thirteenth tomb (the first half of the 5th century B.C.) and exists until the turn of the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries B.C. (first tomb). Regarding the fourth, sixth, ninth and tenth tombs, I suppose that members of the *sceptuckh* family, who were not direct rulers, were buried in them. This fact leads to the existence of the institution of heredity in Sairkhe of the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> centuries B.C., and recognition of the socio-political continuity of this ruling family.



## ბიბლიოგრაფია:

- ბრაგვაძე ზურაბ, „აქემენიდური ირანი და კოლხეთის სამეფო“, იბერია-კოლხეთი, 11(2015).
- გაგოშიძე იულონ, გოგბერიძე ნანა, მახარაძე ვიორგი, „ითხვისის სამაროვანი“, არქეოლოგიური ჟურნალი, 4(2006).
- გაგოშიძე იულონ, „ითხვისის სამარხი“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 15(1976).
- გამყრელიძე გელა, „მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ... სერია, 2(1989).
- გამყრელიძე გელა, მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები. ვანი, III (1977).
- ინაძე მერი, „სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში“. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ... სერია, 4(1986).
- ინაძე მერი, „კოლხეთის სამეფოს სკვპტუხიათა საკითხისათვის“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 26(1961).
- ლორთქიფანიძე ოთარ, „ვანის ნაქალაქარი“. ვანი, III (1977).
- მახარაძე ვიორგი, წერეთელი მანანა, საირხე, თბილისი 2007.
- მელიქიშვილი ვიორგი, „ახ.წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები“. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1 (1970).
- ნადირაძე ჯურნა, საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი, 1990.
- ნადირაძე ჯურნა, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1975.
- ნასიძე მარიკა, საქართველოს ბერძნული გრაფიკო, თბილისი 2002.
- ყაუხჩიშვილი თინათინ, „საირხის ბერძნული გრაფიკო“, ქართული წყაროთმცოდნეობა 7, (1993).
- ყაუხჩიშვილი თინათინ, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი 1957.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1 (თბილისი 1955).

## ტაბულების აღწერილობა:

- I - 1. სამარხი №8; 2. სამარხი №10.
- II - 1. დიადემა. სამარხი №13; 2. სკიპტრა. სამარხი №13; 3. კილიკი. სამარხი №13; 4. სამარხები №8 და №9.

## Illustrations:

- I. 1. Tomb №8; 2. Tomb №10.
- II. 1. Diadem. Tomb №13; 2. Scepter. Tomb №13; 3. *Kylix*. Tomb №13; 4. Tombs №8 and №9.



1



2



1




2



3

საირხე 1983. საბადურის გორა.  
სამარხები ## 8,9 (ლერი ფავლენიშვილის ნახაზი)



მ. 1:20

4

## ბრინჯაოს პატერა დედოფლის გორის სასახლიდან

დედოფლის გორა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც მდებარეობს შიდა ქართლში, საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში, მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადის დასავლეთ ფრონის მარცხენა ნაპირას. დედოფლის გორის სიმაღლე მდინარის დონიდან 34 მეტრია. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაქანებული მისი ოვალური მოხაზულობის თხემის ფართობი დაახლოებით 3500 კვ.მ.-ს შეადგენს.

დედოფლის გორის სამხრეთი ფერდობი, რომელსაც მდინარე რეცხავს, თითქმის შვეულად ეშვება და აქ, ჭრილში გორის თხემიდან 14 მეტრის სიღრმეზე კულტურული დანაშრეგებია გაშიშვლებული - ხალკოლითის პერიოდიდან ქ.შ. VI საუკუნემდე<sup>1</sup>.

1985 წლიდან დედოფლის გორაზე დაიწყო სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები, რომლის მთავარი მიზანი იყო გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის სასახლის შესწავლა. გაირკვა, რომ სასახლე აშენებულია ქ.წ. II საუკუნის დასასრულს და პერიოდულად სამეფო რეზიდენციად იქცეოდა ხოლმე, იმ დროს როდესაც ქართლის მეფე მოდიოდა სალოცავად თავის საგვარეულო სამლოცველოში. დედოფლის გორის სასახლის თანადროული გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი - ქართლის მეფეთა საგვარეულო სამლოცველო 1972-1976 წლებში ნაწილობრივ გაითხარა დედოფლის გორის სასახლის ჩრდილოეთით, მისგან 3 კილომეტრით<sup>2</sup>. დედოფლის გორაზე 1985-2019 წლებში სულ გაითხარა 27 სათავსო, რომელიც გორის თხემის კიდეს შემოუყვება. თითქმის ყველა ოთახი გეგმაში ოთხკუთხაა. შიგადაშიგ კი გვხვდება ვიწრო და გრძელი ოთახები, რომლებიც სასახლის ზედა სართულებზე ასასვლელი ხის კიბის უჯრედები იყო. სასახლე ორსართულიანი იყო, ოთახების რიგში ჩართული 2 კოშკი კი სამსართულიანია. ყველა ოთახის კარი გადის დერეფანში, რომელიც პილონებით გამოყოფილია შიდა ეზოსაკენ. მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით, დედოფლის გორის სასახლე ტიპიური ნაგებობაა ელინისტური ხანის ქართლისთვის. მზიდი კონსტრუქცია ხისაა. კედლებისა და პილონების ქვედა ნაწილი წარმოადგენს კედლის სიგრძივ და გარდიგარდმო დალაგებული ხის ძელებით შეკრულ გალიას, რომელიც 1.5-2.0 მ. სიმაღლეზე შევსებულია ბზენარევი თიხის ხსნარზე დაწყობილი მსხვილი რიყის ქვით. კედელი გარედან და

1. Iulon Gagoshidze, "A Royal Palace in First-Century Iberia. According to the archaeological material from Dedoplis Gora, Georgia", in I. Nielsen (ed.), *The Royal Palace Institution in the First Millennium BC. Regional Development and Cultural Interchange between East and West*, Monographs of the Danish Institute at Athens, Volume 4 (Athens 2001) 259.

2. Iulon Gagoshidze, "Dedoplis Gora – One of the Most Important Archaeological Sites on the Territory of the Ancient Iberia" in A. Furtwängler and I. Gagoshidze (edd.), *Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia*, (Langenweißbach 2008) 42.



ზოგჯერ შიგნიდანაც მოპირკეთებულია თლილი ბლოკებით, რომლებიც ერთმანეთთან და კედლის არმატურის ძელებთან დაკავშირებულია ისრისპირის ფორმის ხის პირონებით. 1.5-2.0 მეტრის სიმაღლის ასეთ ცოკოლზე აყვანილია ალიზის კედელი, რომელიც ასევე არმირებულია ხის ძელებით<sup>3</sup>.

შემორჩენილი პირველი სართულის ოთახები სხვადასხვა დანიშნულებისა იყო და ისინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელი ცხოვრების წესის შესახებ. ჭარბობს სამეურნეო დანიშნულების ოთახები, რომლებშიც წარმოდგენილია პურის საცხობი ფურნები, ხორბლით სავსე ტომრები და ჭურჭლები, ხელსაფქვავეები, სხვადასხვა დანიშნულების იარაღები და სხვა. პირველივე სართულზე უნდა ყოფილიყო საკულტო დანიშნულების ოთახები. №20 ოთახში აღმოჩნდა ალიზის თალოვანი ცეცხლის საკურთხეველი, რომლის თავზე აღმოჩნდა შეწირული ნივთები: ბერძნულ-რომაული ღვთაებების მცირე ზომის ქანდაკებები, ავგუსტუსის 13 ვერცხლის ღენარი და ალექსანდრე მაკედონელის სტატუის ოქროს ორი მინაბაძი<sup>4</sup>. საკულტო დანიშნულებისაა ასევე 2018 წელს გათხრილი №26 ოთახი. ოთახის 1 მეტრზე შემორჩენილი კედლები ალიზის სქელი ფენითაა საგულდაგულოდ შელესილი. ოთახში გასაოცრად კარგადაა შემონახული ალიზის სტრუქტურები: თალოვანი ცეცხლის საკურთხეველი (მსგავსი №20 ოთახის საკურთხეველისა, მაგრამ მასზე დიდი), პურის საცხობი ფურნე და პოდიუმი ზემოდან ჩაღვსილი ხელსაფქვავეთ. ამავე ოთახში გაიწმინდა ორი საღვინე ქვევრი. ერთ-ერთი ქვევრის პირზე აღმოჩნდა არამეული წარწერა. №26 ოთახი ყველა ნიშნით სამლოცველო უნდა ყოფილიყო, სადაც წარმოდგენილია არამართო საკურთხეველი, არამედ საკულტო რიტუალებისთვის აუცილებელი პური და ღვინო. ამასთანავე, პური იქვე იფქებოდა და ცხვებოდა<sup>5</sup>. სასახლის ზედა სართულების ნანგრევში აღმოჩენილი ფუფუნების ნივთები (ავეჯი, სხვადასხვა მასალის - ვერცხლი, ბრინჯაო, მინა, ხე, ძვალი - ჭურჭელი, ძვირფასი სამკაულები, ქსოვილები) იმაზე მიუთითებს, რომ ისინი დიდგვაროვნებს ეკუთვნოდათ.

სასახლე დაინგრა ქ.შ. I საუკუნის ბოლოს ძლიერი მიწისძვრით, რომელსაც ხანძარიც მოყვა<sup>6</sup>. ზედა სართულების დამწვარ-დაღულებულმა მასამ საიმედოდ დააკონსერვა სასახლის პირველი სართული. მიწისძვრა და ხანძარი იმდენად ძლიერი და, რაც მთავარია, უეცარი ყოფილა, რომ სასახლის ბინადართ შენობიდან თითქმის ვერაფრის გატანა მოუხწრიათ. ამიტომაც არის ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი სასახლის გათხრებით მოპოვებული ნივთიერი არქეოლოგიური მასალა. სასახლის 27 სათავსოდან მუზეუმში მოხვდა 15000-მდე არტეფაქტი: ავეჯი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღ-საჭურველი, სხვადასხვა მასალის (ვერცხლი, ბრინჯაო, მინა, ხე, ძვალი) ჭურჭელი, სამკაული, მონეტები და სხვ.

3. Gagoshidze, *Dedoplis Gora – One of the Most Important Archaeological Sites*, 44.

4. Iulon Gagoshidze and Elena Rova, “2013–2015 Activities of the Georgian-Italian Shida Kartli Archaeological Project at Aradeti Orgora (Georgia)” *Proceedings of the 10th International Congress on the Archaeology of the Ancient Near East Volume 2, 25-29 April 2016, Vienna (Wiesbaden 2018)* 498-499.

5. დავით გაგოშიძე, “არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სავსე სამუშაოების მოკლე ანგარიში”, *2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული* (თბილისი 2019) 186-189.

6. იულონ გაგოშიძე, “2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე (ექსპრესს ინფორმაცია)” *იბერია-კოლხეთი II* (თბილისი 2015) 120; Iulon Gagoshidze, “A Roman Pantheon on a Zoroastrian Altar”, *Museum. Georgian National Museum N3* (Tbilisi 2017) 45; Otar Varazanashvili, Nino Tsereteli and Emil Tsereteli, “*Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Source Analysis and Catalogue Compilation*” (Tbilisi 2011) 20-21.



დედოფლის გორის სასახლის მონაპოვარი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ურთიერთობას გარესამყაროსთან, უპირველეს ყოვლისა რომის იმპერიასთან, როგორც მეტროპოლიასთან ისე მის აღმოსავლეთ პროვინციებთან. ქ.წ. 65 წელს პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ ქართლის სამეფოს მიენიჭა რომის მეგობრის და მოკავშირის სტატუსი, რომელიც ქართლის სამეფომ შეინარჩუნა საუკუნეების განმავლობაში<sup>7</sup>.

2019 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს დედოფლის გორის სასახლის №27 ოთახის სამხრეთით, ე.წ. ღია სივრცეში, აღმოჩნდა ბრინჯაოს პატერა<sup>8</sup>. პატერის ჯამი ძლიერი ცეცხლისგან დაზიანებულია. კარგადაა შემორჩენილი მხოლოდ ტარი, რომელიც კანელურებით არის შემკული და ბოლოვდება გრეხილრქებიანი ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით. ტარის მეორე ბოლოზე წარმოდგენილია მისი ჯამთან მისაერთებელი ფიგურული ფირფიტა, რომელიც ტართან ერთადაა ჩამოსხმული (ტარის სიგრძე 13 სმ). პატერის ტართანვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის (სურის) პირის ფრაგმენტი. ეს დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი მეორე პატერაა. პირველი აღმოჩნდა 1926 წელს და დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში. ამ შემთხვევაშიც პატერის მხოლოდ ტარია გადარჩენილი, რომელსაც სკულპტურული დაბოლოვებაც დაკარგული აქვს<sup>9</sup>.

საქართველოში რომაული პერიოდის სულ 15 პატერაა ცნობილი. აქედან 8 ცალის ტარი ცხვრის თავით არის დაბოლოებული, 4 ცალის – ძაღლის (მგლის) თავით, ერთი გაურკვეველი ცხოველის თავით, ერთის ტარი ბრტყელია, ერთს კი ტარის დაბოლოვება დაკარგული აქვს<sup>10</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი პატერები ეკუთვნის სამხრეთ-იტალიკური (კამპანია) ბრინჯაოს სახელოსნოების (გარდა „ციხისძირის განძში“ შემავალი 2 პატერისა, რომელიც ხელობით ბევრად ჩამოუვარდება იტალიკურს და ნ. ინაიშვილი მათ რომელიმე პროვინციულ სახელოსნოში დამზადებულად მიიჩნევს<sup>11</sup>) ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასიურ პროდუქციას, რომელიც ფართოდ იწარმოებოდა ქ.შ. I საუკუნესა და II საუკუნის დასაწყისში. დიდი რაოდენობითაა ისინი გამოვლენილი იტალიის ქალაქებში, ასევე რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, და თითქმის ყველგან – დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. მრავლადაა მოპოვებული ასეთი პატერები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლო-

7. Iulon Gagoshidze, “Kartli in Hellenistic and Roman Times. General Aspects” in A. Furtwängler and I. Gagoshidze (edd.), *Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia*, (Langenweißbach 2008) 10-14.

8. დავით გავთშიძე, “არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2019 წლის საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში”, *2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული* (თბილისი 2020) 235.

9. Henryk Löhr, “Metal Vessels and Furniture” in A. Furtwängler and I. Gagoshidze (edd.), *Iberia and Rome. The Iberia and Rome The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia*, (Langenweißbach 2008) 156,161.

10. ელენე გიგოლაშვილი, “საქართველოში აღმოჩენილი პატერები”, *იბერია-კოლხეთი* 7 (თბილისი 2011) 63-72; ოთარ ლორთქიფანიძე, “ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო”, (თბილისი 1968) 93-98; Mikheil Abramishvili et al, “Roman Aristocracy In Tbilisi?” in A. Sagona and M. Abramishvili (edd.), *Archaeology in Saouthern Caucasus: Perspectives from Georgia, Ancient Near Eastern Studies, Supplement 19*, (Leuven-Paris-Dudley 2008) 441-448; დავიდ ბრაუნდი, ქეთევან ჯავახიშვილი და გურამ ნემსაძე, “საგანძური ზღუდრიდან” (თბილისი 2008) 88; Löhr, Vessels, 156,161.

11. ნინო ინაიშვილი, “ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები” (თბილისი 1993) 36-41.

გიურ ძეგლებზეც<sup>12</sup>. ტიპოლოგიურად დედოფლის გორის პატერა მიეკუთვნება ე.წ. „კანტერბერის“ ტიპს<sup>13</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი პატერების უმრავლესობა სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს. გამონაკლისია, მხოლოდ დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ორი პატერა.

პატერებთან ერთად, როგორც წესი, სურებია ნაპოვნი, რაც კანონზომიერია მისი დანიშნულებისადან გამომდინარე. მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ ძეგლებზე კულტის მსახურები გამოსახული არიან პატერიითა და სურით ხელში. ამის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ პატერები სამსხვერპლო ჭურჭლებს წარმოადგენდნენ. მ. ივაშენკოს აზრით პატერები და მათთან ერთად აღმოჩენილი სურები გამოიყენებოდა საზეიმო ნადიმის წინ ხელის დასაბანად. ამ მოსაზრების სასარგებლოდ, რომელიც გულისხმობს პატერების არა მხოლოდ საკრალურ, არამედ, აგრეთვე, „საერო“ დანიშნულებას მიუთითებს ბულგარეთში აღმოჩენილი III-IV საუკუნეების კედლის მხატვრობა, რომელზეც გამოსახულია რომელიღაც წარჩინებულის დილის ტუალეტი და მსახური, რომელსაც ხელში სურა და პატერის მაგვარი ჭურჭელი უკავია<sup>14</sup>. ამ მოსაზრების დასტურია პატერების აღმოჩენაც დედოფლის გორის სასახლეში.

როგორც ჩანს, ხელის სარიტუალო განბანის წესი რომაული ხანის საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული და სავარაუდოა, რომ ეს წესი ქართველებმა ბერძნებისგან ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში გადაიღეს, რასაც ადასტურებს აქემენიდური და პოსტაქემენიდური ხანის პატერების აღმოჩენის ფაქტები ვანში, დაბლაგომსა<sup>15</sup> და ტახტიძირში<sup>16</sup>.

12. ლორთქიფანიძე, *ანტიკური სამყარო*, 76-77, 95-96; ვიგოლაშვილი, *პატერები*, 68-69.

13. Hans Ulrich Nuber, "Kanne und Griffschale, Ihr Gebrauch im täglichen Leben und die Beigabe in Gräbern der römischen Keizerzeit", *53. Bericht Der Römisch-Germanischen Kommission 1972*, (Berlin 1973) 60-73.

14. ლორთქიფანიძე, *ანტიკური სამყარო*, 96-97; ვიგოლაშვილი, *პატერები*, 69.

15. ვიგოლაშვილი, *პატერები*, 63-66.

16. იულონ გაგომიძე, "ტახტიძირის სამაროვნები" (თბილისი 2020) 33-34.

## Bronze *Patera* from the Palace of *Dedoplis Gora*

### Summary

In 2019, archaeological excavations revealed a bronze *patera* south of room N 27 of the palace of *Dedoplis Gora*, in the so-called “open space”. The bowl of the *patera* is damaged by strong fire. Only the handle decorated with flutes and ending with a sculptural image of a ram’s head with twisted horns has been preserved in good condition.

Only fifteen *paterae* of Roman period are known in Georgia and they belong to one of the most mass-produced items made in south-Italian (Campagne) bronze workshops (except for two *paterae* from “Tsikhisdziri hoard”). They were extensively produced in the first century and early second century. In typological terms, the *patera* from *Dedoplis Gora* belongs to the so-called “Canterbury” type.

Most of the *paterae* discovered on the territory of Georgia are part of grave goods, while the two ones found in the palace of *Dedoplis Gora* represent an exception.

*Paterae* are usually revealed together with pitchers, which is predictable given their function. Scholars paid attention to the fact that many monuments depict religious servants holding a *patera* and a pitcher. It provided basis to suggest that the *patera* is a vessel used in the ritual of offering. According to M. Ivashenko, the *paterae* and the pitchers discovered together were used for washing hands before feasts. This suggestion, which implies both sacral and “secular” functions of the *patera*, is supported by the third-fourth cent. murals discovered in Bulgaria, which depicts the morning routine of a dignitary and a servant holding a pitcher and a *patera-like* vessel. The discovery in the palace of *Dedoplis Gora* provides another evidence for this suggestion.

Apparently, the practice of ritual handwashing in Georgia was common in the Roman period and it is presumable that this practice was adopted by Georgians from the Greeks as early as in the Achaemenid epoch, which is documented by the facts of discovering Achaemenid and post-Achaemenid period *paterae* in *Vani*, *Dablagomi* and *Takhtidziri*.

## ბიბლიოგრაფია:

- ბრაუნდი, დავიდ; ჯავახიშვილი ქეთევან და ნემსაძე გურამ. *სავანძური ზღუდრიდან*. თბილისი, 2008.
- გაგოშიძე, დავით. „არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სავსე სამუშაოების მოკლე ანგარიში“. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. (თბილისი, 2019): 185-89.
- გაგოშიძე, დავით. „არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2019 წლის სავსე სამუშაოების მოკლე ანგარიში“. 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. (თბილისი, 2020): 232-38.
- გაგოშიძე, იულონ. „2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე (ექსპრეს ინფორმაცია)“. იბერია-კოლხეთი 11. (თბილისი, 2015): 119-38.
- გაგოშიძე, იულონ. *ტახტიძირის სამაროვნები*. თბილისი, 2020.
- გიგოლაშვილი, ელენე. „საქართველოში აღმოჩენილი პატერები“, იბერია-კოლხეთი 7 (თბილისი 2011): 63-72.
- ინაიშვილი, ნინო. *ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი, 1993.
- ლორთქიფანიძე, ოთარ. *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო*. თბილისი, 1968.
- Abramishvili, Mikheil; Bolkvadze, Givi; Gagoshidze, Iulon; Nemsadze, Guram and Kadagishvili, Teimuraz.** “Roman Aristocracy In Tbilisi?” in Antonio Sagona and Mikheil Abramishvili (edd.), *Archaeology in Saouthern Caucasus: Perspectives from Georgia, Ancient Near Eastern Studies, Supplement 19*. (Leuven-Paris-Dudley 2008): 441-48.
- Gagoshidze, Iulon.** “A Royal Palace in First-Century Iberia. According to the archaeological material from Dedoplis Gora, Georgia”, in I. Nielsen (ed.), *The Royal Palace Institution in the First Millennium BC. Regional Development and Cultural Interchange between East and West, Monographs of the Danish Institute at Athens, Volume 4*. (Athens 2001): 259-83.
- Gagoshidze, Iulon.** “Kartli in Hellenistic and Roman Times. General Aspects” in A. Furtwängler and I. Gagoshidze (edd.), *Iberia and Rome. The Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia*. (Langenweißbach 2008): 1-40.
- Gagoshidze, Iulon.** “Dedoplis Gora – One of the Most Important Archaeological Sites on the Territory of the Ancient Iberia” in A. Furtwängler and I. Gagoshidze (edd.), *Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia*. (Langenweißbach 2008): 41-44.
- Gagoshidze, Iulon.** “A Roman Pantheon on a Zoroastrian Altar”, *Museum. Georgian National Museum N3*. (Tbilisi 2017): 42-45.
- Gagoshidze, Iulon and Rova, Elena.** “2013–2015 Activities of the Georgian-Italian Shida Kartli Archaeological Project at Aradetis Orgora (Georgia)” *Proceedings of the 10th International Congress on the Archaeology of the Ancient Near East Volume 2, 25-29 April 2016, Vienna*. (Wiesbaden 2018): 497-510.

**Löhr, Henryk.** “Metal Vessels and Furniture” in A. Furtwängler and I. Gagoshidze (edd.), *Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia*, (Langenweißbach 2008): 155-64.

**Nuber, Hans U.** “Kanne und Griffschale, Ihr Gebrauch im täglichen Leben und die Beigabe in Gräbern der römischen Keizerzeit”, 53. Bericht Der Römisch-Germanischen Kommission 1972, (Berlin 1973).

**Varazanashvili, Otar; Tsereteli, Nino and Tsereteli, Emil.** “*Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Source Analysis and Catalogue Compilation*”. Tbilisi, 2011.

### ტაბულების აღწერილობა

- I. 1. დედოფლის გორა, დრონის ფოტო; 2. დედოფლის გორის სასახლე. გენგეგმა.  
II. 1. დედოფლის გორის სასახლის № 27 ოთახი და ღია სივრცე. დრონის ფოტო;  
2. ბრინჯაოს პატერა დედოფლის გორის სასახლიდან.

### Illustrations:


- I. 1. *Dedoplis Gora*, Drone photo; 2. *Dedoplis Gora Palace*. General Plan.  
II. 1. *Dedoplis Gora Palace*: room # 27 and “open space”. Drone photo; 2. Bronze *Patera* form *Dedoplis Gora Palace*.



I




1



2



1



2

## მოხატული კერამიკა ნორიოს ნამოსახლარიდან

2018 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ექსპედიციამ შეისწავლა ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარი (ხელმძღ. გ. გოგოჭური). გათხრების მიზანს წარმოადგენდა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის (WREP SRP) მიმდინარეობის დროს მიწის სამუშაოებისას გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტზე გადარჩენილი არქეოლოგიური კვლევების ჩატარება.

ნამოსახლარი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნორიოს დასავლეთით. კონკრეტულად, კი ლოჭინისა და გლდანის ხეობის გამყოფი იანლოს ქედის დასავლეთ ფერდობზე არსებულ აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმართულ, 4 კილომეტრის სიგრძის ქედზე. ნასოფლარი განთავსებულია ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით დამხრობილ, დატერასებულ ფერდობზე და აღმოსავლეთიდან დასავლეთით 650 მ-ზეა გადაჭიმული. აღსანიშნავია, რომ იგი აკონტროლებს საკმაოდ დიდ ტერიტორიას (დასახლებიდან მოჩანს როგორც მცხეთის შემოგარენი, ისე თბილისის მთელი ტაფობი), აგრეთვე, მასთან ახლოს გადის თბილისის დღევანდელი შემოსავლელი გზა, რომლის ნაწილი ემთხვევა ივრისა და არავის ხეობების დამაკავშირებელ ისტორიულ გზას. სავარაუდოა, რომ ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარის საკმაოდ დიდი მასშტაბი, სწორედ ამ გზის მახლობლად მისი მდებარეობის დამსახურება უნდა იყოს. ძეგლზე აღმოჩნდა 36 ნახევრადმიწური, ქვატეხილებით ნაგები და თინა-მიწით შემტკიცებული, ბანურსახურავიანი ნაგებობა და ნაგებობის ნაშთი. სახლებში გამოიკვეთა პურის საცხობი ღუმელები, საკურთხევლები, დამხმარე სათავსები, სამეურნეო დანიშნულების ხარობები თუ ორმოები. ძეგლი ერთფენიანია. ექსპედიციამ მოიპოვა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა (კერამიკა, ლითონი, მინა, ძვალი, ქვა), რის მიხედვითაც განისაზღვრა თარიღი - ძვ.წ. IV-III სს<sup>1</sup>.

ძეგლზე მიკვლეული უხვი მასალიდან ამჯერად გამოვყოფთ და განვიხილავთ მოხატულ კერამიკას, რაც, თავისთავად, ერთ-ერთი საინტერესო მონაპოვარი და ამავე დროს, ეპოქის დამახასიათებელი ნიშანიცაა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ნამოსახლარზე აღმოჩენილი მოხატული კერამიკა, თავისი მრავალფეროვნებითაცაა გამორჩეული – გვხვდება როგორც მონოქრომული (წითლად, თეთრად და შავად მოხატული), ისე პოლიქრომული ნიმუშები.

ქართლის ტერიტორიაზე მოხატული კერამიკა ხელმეორედ (ადრე და შუაბრინჯაოს ხანების შემდეგ) გვიანაქემენიდურ ხანაში გამოჩნდა და ძვ.წ. IV-III

1. გიორგი გოგოჭური, ვახტანგ შატბერაშვილი, „ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში“, 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, (თბილისი, 2019), 333-334.



საუკუნეებში იმდენად გავრცელდა, რომ ამ პერიოდს მოხატული კერამიკის ხანასაც უწოდებენ<sup>2</sup>. აქ შესწავლილ არაერთ ძეგლზე, აღნიშნული ეპოქის სხვა მასალასთან ერთად, მოხატული კერამიკის მრავალი ნიმუშიც აღმოჩნდა (სამადლო, უფლისციხე, ციხიაგორა, თელადგორი, შავსაყდარა, ტახტიძირი, დაჭრილები, ეცო და სხვ.). უნდა ითქვას, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეების მოხატული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა მონოქრომულია და წითელი საღებავითაა მოხატული. პარალელურად გვხვდება თეთრი, კონცენტრული ხაზებით მოხატული ჭურჭელიც. იშვიათია შავი საღებავით მოხატული თიხის ჭურჭელი. პოლიქრომული კერამიკა წარმოდგენილია სულ რამდენიმე ნიმუშით ნასტაკისიდან და ციხიაგორიდან, რომელზეც დატანილი ორნამენტი შავი, წითელი და თეთრი საღებავითაა შესრულებული<sup>3</sup>.

**წითლად მოხატული კერამიკა.** ძეგლზე აღმოჩენილია წითლად ან მოწითალო-მოყავიფროდ მოხატული თიხის ჭურჭლის 102 ფრაგმენტი. მათი უმეტესობა მაღალი ხარისხისაა, დაფარულია გამჭვირვალე ანგობით და შეიძლება ითქვას, რომ არ ჩამოუვარდება ისეთი ცენტრებიდან მომდინარე მასალას, როგორცაა ციხიაგორა, სამადლო, ტახტიძირი, დაჭრილები და სხვ. ასეთი ჭურჭლის უმრავლესობა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და მათი სტილისტური მახასიათებლების შესახებ მსჯელობა შეუძლებელია, თუმცა რამდენიმე ეგზემპლარი ამის საშუალებას იძლევა და შესაბამისად, ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრაცაა შესაძლებელი.

**სამკუთხედებით მოხატული კერამიკა.** ასეთი მოხატულობა, როგორც წესი, - დატანილია ჭურჭლის გაპრიალებულ და ანგობირებულ ზედაპირზე. დეკორის მთავარ დეტალს წარმოადგენს სამკუთხედები, რომლებიც ხშირად სხვა ორნამენტთან (ბადისებრი, თევზიფხური, ზიგზაგები, ჰორიზონტალური ხაზები, წერტილები) კომბინაციაში გვხვდება. სამკუთხედები ჩასმულია ჰორიზონტალურ ხაზებს შორის<sup>4</sup>.

ნორიოს დოქების ფრაგმენტებზე გვხვდება ერთმანეთში ჩახატული სამკუთხედები (ტაბ. I<sub>1</sub>), აგრეთვე ბადისებრი ორნამენტით შევსებული, წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედები (ტაბ. I<sub>4</sub>). თითქმის მთლიანად შემორჩენილი დოქი (ტაბ. I<sub>2</sub>) შემკულია წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედებით, რომლებშიც ჩასმულია ერთმანეთში ჩახატული სამკუთხედები, მათ შორის სივრცე კი, წერტილებითაა შევსებული. სამკუთხედები ზემოდან და ქვემოდან შემოფარგლულია ჰორიზონტალური ხაზებით. ასეთივე ორნამენტი აქვს კიდევ ერთ ფრაგმენტს (ტაბ. I<sub>3</sub>). აღსანიშნავია მცირე ზომის ქოთანი (ტაბ. I<sub>7</sub>), რომლის ტანი მსგავსი ორნამენტითაა შემკული, პირი კი ტალღისებრი ორნამენტით აქვს დაფარული.

2. Юлон Гагошидзе, Самадло, археологические раскопки, (Тбилиси, 1979), 90.

3. გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი, „ძვ.წ. V-I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგია)“, მიუზეუმი № 9, (თბილისი, 2002), 55.

4. ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, „ძვ.წ. V-I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან“, 56.

წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედებით მოხატული ჭურჭელი გვხვდება აბულმუგის №2<sup>5</sup>, კუშჩის № 3<sup>6</sup>, ეცოს<sup>7</sup>, ვარსიმანთკარის სამარხებში<sup>8</sup> და სხვ<sup>9</sup>. ამ მოხატულობის გაჩენის სავარაუდო თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი, მისი გავრცელების ძირითადი ხანა კი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი და IV–III საუკუნეების მიჯნა უნდა იყოს<sup>10</sup>.

მხოლოდ **შევრონებით** (შეღებილი სამკუთხედებით) შემკული ჭურჭელი ძეგლზე ორია. ორივე დაბალი, ცალფურა ქოთანია, დაფარულია გამჭვირვალე ანგობით და მოხატულია მოყავისფრო-მოწითალო საღებავით (ტაბ. I<sub>5,6</sub>). მსგავსი მოხატულობის ნივთები გვხვდება ეცოს, მარაბდის<sup>11</sup>, შავსაყდარას<sup>12</sup> და დაჭრილების<sup>13</sup> სამაროვნებზე. იგი ემსგავსება სამადლოს სტილს, მაგრამ არ ატარებს ამ სტილისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს<sup>14</sup> და სავარაუდოდ, ძვ.წ. IV–III საუკუნეების მიჯნით თარიღდება.

წვერით ზემოთ მიმართული შევრონებითაა მოხატული ჯამის გვერდი (ტაბ. II<sub>3</sub>), რომლის ქვედა ნაწილზე ორ ჰორიზონტულ ხაზს შორის ჩახატულია ზიგზაგები.

მნიშვნელოვანია ქვეერისა თუ დერვის გვერდის ფრაგმენტი, რომელზეც მოხატულობის ჭურჭლის ანგობირებულ და ნაპრიალებ ზედაპირზე დატანილი ორი ფრიზი ჩანს (ტაბ. II<sub>1</sub>). ზედა ფრიზზე გაირჩევა წვერით ქვემოთ მიმართული შევრონები, რომლებსაც კიდევები წიწვებით აქვს დაფარული. ქვედა ფრიზზე, რომელიც ორი ჰორიზონტული ზოლითაა გამოყოფილი, ასეთივე ორნამენტთან კომბინაციაში გვხვდება თევზიფხური ორნამენტით შევსებული, ნაწილობრივ შემონახული სამკუთხედები. საინტერესოა ფრაგმენტულად შემონახული დოქი, რომლის ყელი ორ ფრიზადაა შემკული წვერით ერთმანეთის საპირისპირო მხარეს, ზემოთ და ქვემოთ მიმართული შევრონებით, ხოლო მათ ქვემოთ, ნაწილობრივ შემონახული ნახატია, რომელიც, წიწვოვანი ორნამენტისა თუ ირმის რქების გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. I<sub>8</sub>).

აღწერილი მოხატულობა **სამადლოს სტილს** მიეკუთვნება, რომელიც შემკულია შევრონებით, ზოომორფული, ანთროპომორფული ფიგურებით, გეომეტრიული ფორმებით. ასეთი ორნამენტით შემკული ჭურჭელი სამადლოს ნაქალაქარზე, ზედა (ძვ.წ. II ს)<sup>15</sup> და ქვედა ფენებშია აღმოჩენილი (ძვ.წ. III ს)<sup>16</sup>. სამადლოს სტილის მოხატულობა, სხვა ძეგლებთან ერთად, გვხვდება მჭადიჯვრის გორასა<sup>17</sup> და ციხიაგორაზე<sup>18</sup>.

5. მერაბ ძნელაძე, აბულმუგის სამაროვანი. დმანისი, III, (თბილისი, 2001), 150. ტაბ. VII.

6. იულონ გავოშიძე, „თრიალეთის სამაროვნები“, III, (თბილისი, 1982), 10 ტაბ. II.

7. ვახტანგ შატბერაშვილი, „ქვემო ქართლი ძვ.წ. IV–I საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით)“, საკანდიდატო დისერტაცია, (თბილისი, 2005), 82.

8. ლეილა წითლანაძე ლ., „ვარსიმანთკარის სამაროვანი“, ჟინვალი I, (თბილისი, 1983), 59. ტაბ. XX<sub>1</sub>; Рамин Рамишвили и др., „Археологическое изучение Арагвского ущелья“, ПАИ в 1985 г., (Тбилиси, 1987), 74–89, ტაბ. CXLII.

9. ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, „ძვ.წ. V–I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან“, 55.

10. ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, „ძვ.წ. V–I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან“.

11. შატბერაშვილი, „ქვემო ქართლი ძვ.წ. IV–I საუკუნეებში“, 74.

12. Николоз Тушишвили, Сосо Маргишвили, „Алгетская экспедиция в 1987 г.“, ПАИ в 1987 г., (Тбилиси, 1995), таб. 30.

13. ვერა თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, (თბილისი, 1983) ტაბ. XXXVII 5.

14. ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, „ძვ.წ. V–I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან“, 56.

15. Гагошидзе, „Самадло“, каталог, 43–47.

16. Гагошидзе, „Самадло“ каталог, 47.

17. Рамишвили и др., „Археологическое изучение Арагвского ущелья“, таб. CXLIX.

18. Giorgi Zkitishvili, „Der Frühhellenistische Feuerempel von Kavtiskhevi“, Archäologische Anzeiger, (Berlin, 1995), 83–98. abb. 9–11.



როგორც ზემოთ ითქვა, ძეგლზე წითლად მოხატული ჭურჭლის მრავალი ნატენია, რომელთა ფრაგმენტულობის გამო მათ სტილისტურ ანალიზს ვერ შევუძლებით (ტაბ. IV).

ნაწილობრივ შემონახული, პირგადაშლილი და მრგვალტანიანი დოქის (ტაბ. III<sub>5</sub>) ზედაპირი გამჭვირვალე ანგობითაა დაფარული. წითელი საღებავითაა შეღებილი მისი პირ-ყელი (გარედან და შიდა მხრიდან) და ყურის ნაწილი. გამჭვირვალე ანგობითაა დაფარული და წითელი საღებავით დატანილი ჰორიზონტული ზოლებითაა შემკული ჯამების (ტაბ. III<sub>1,4</sub>) და დერგების (ტაბ. III<sub>2,3</sub>) ფრაგმენტები. ამ არტეფაქტების შემკულობა ე.წ. „კაზრეთის სტილის“ მოხატულ კერამიკას ეკუთვნის. ასეთი მოხატული ჭურჭლის გავრცელების ძირითადი პერიოდი გვიანელინისტური ხანაა<sup>19</sup> და მათთვის, ნორიოს ეგზემპლარებისაგან განსხვავებით (რომლებიც მოგლუვებული და ანგობიანი ზედაპირით გამოირჩევა), დამახასიათებელია უხეში, უანგობო ზედაპირი. ამიტომაც, ეს ჭურჭელიც ძეგლის არსებობის ძირითად ქრონოლოგიურ ჩარჩოში – ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ვდება.

ქართლის ტერიტორიაზე წითლად მოხატული კერამიკის გაჩენისა და სავარაუდო უცხოური გავლენის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. არსებობს შეხედულება იონიური<sup>20</sup>, ფრიგიული<sup>21</sup>, ირანული<sup>22</sup> მოხატული კერამიკის გავლენის შესახებ, განხილულია ურთიერთობა ირანის არდებილის ტიპისა და სამკუთხედებით მოხატულ კერამიკასთან<sup>23</sup>. აუცილებელია აღინიშნოს, რომ წითლად და მოყავისფროდ მოხატული, ბადისებრი ორნამენტით შევსებული სამკუთხედებითა და შევრონებით შემკულია ალტინთეფესა (ჩიმიმ თეფე I) და ჩიმიმ თეფე II-ზე (აქემენიდური ხანა)<sup>24</sup>, ჰასანლუს ფენა III ა-ში (ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისი)<sup>25</sup>, იანიკ თეფეზე (გვიანაქემენიდური ანადრეპართული ხანა)<sup>26</sup> მოპოვებული მასალა, რომელიც ძალზე ვავს ქართლის წითლად მოხატულ კერამიკას.

**თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა.** ძეგლზე აღმოჩნდა თეთრი ანგობით მოხატული თიხის ჭურჭლის 491 ფრაგმენტი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თხელი, მკვრივეკეციანია, მოჩალისფროდ ან ღია ყავისფრადაა გამომწვარი და მოყავისფრო, თხელი ანგობითაა დაფარული. ასეთი ჭურჭელი ძირითადად წარმოდგენილია დოქებით, დერგებითა და ქოთნებით. თეთრი ანგობით დატანილი ორნამენტი მარტივია: როგორც წესი, აქ ჰორიზონტული, პარალელური ზოლები და მათთან ერთად, ხშირად თეთრივე ანგობით დაფარული, ამოღარული, ტალღოვანი ხაზებია დატანილი; მათთან კომბინაციაში ხშირია ირიბი ნაჭდევიც (ტაბ. V, VI).

19. ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი, „ძვ.წ. V-I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან“, 56.

20. დავით ხახუტაიშვილი, „უფლისციხე I“, (თბილისი, 1964), 111.

21. Гагошидзе, „Самадло“ каталог, 91.

22. Гагошидзе, „Самадло“ каталог.

23. Годердзи Нариманишвили, „Керамика Каргли V-I вв. до н.э.“, (Тбилиси, 1990), 73-74.

24. Geoffrey D. Summers, „Archaeological evidence for the Achaemenid period in Eastern Turkey“, *Anatolian Studies, Journal of the British institute of Archaeology at Ankara* vol. 43 (1993) 98- 123; fig. 6,7.

25. Robert H. Dyson Jr. „The Achaemenid painted pottery of Hasanlu III a“, *Anatolian Studies, Vol. 49, Anatolian Iron Ages 4. Proceedings of the Fourth Anatolian Iron Ages Colloquium Held at Mersin, 19-23 May 1997* (1999) 101-110.

26. Geoffrey D. Summers and Charles A. Burney, Late Iron Age pottery from northwestern Iran: the evidence from Yanik Tepe, *Ancient Near Eastern Studies, Supplement 39, Anatolian Iron Ages 7, The proceedings of the seventh Anatolian Iron Ages Colloquium held at Edirne, 19-24 April, (Leuven - Paris - Walpole 2010), 271-72.*

მიჩნეულია, რომ თიხის ჭურჭლის თეთრი ანგობით მოხატვის ტრადიცია კახეთიდანაა გავრცელებული. თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა კახეთში გამოჩენას იწყებს ძვ.წ. IV საუკუნიდან და ახ.წ. IV საუკუნემდე განაგრძობს არსებობას. კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ჭურჭელი გამოირჩევა ფორმებისა და მოხატვის მხრივ სიმეტრიულობითა და დახვეწილობით, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ჭურჭელი დაუდევრადაა დამზადებული და მოხატული<sup>27</sup>.

ქართლში ასეთი კერამიკა ძვ.წ. IV-I საუკუნეებში გვხვდება<sup>28</sup>. ითვლება, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი ქართლში კახეთიდანაა გავრცელებული<sup>29</sup>. ამ აზრს იზიარებს გ. ნარიშანიშვილი და აღნიშნავს, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი კახეთის სამეთუნეო ცენტრებიდან ქართლში ვრცელდებოდა ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნის დასაწყისში, ხოლო ადგილზე მხოლოდ ძვ.წ. II-I საუკუნის პირველნახევარში მზადდებოდა<sup>30</sup>.

ქართლის ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ობიექტებზე თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი გვხვდება სამადლოზე<sup>31</sup>, ციხიაგორას III სამშენებლო დონეზე<sup>32</sup>, ღართისკარსა და ნატანტარში<sup>33</sup>, გრძელ მინდორზე<sup>34</sup>, ნასტაკისში<sup>35</sup>, უფლისციხეში<sup>36</sup>, დიდუბეში<sup>37</sup> და სხვ. თეთრი ანგობით მოხატული თიხის ნაწარმი ცნობილია საჩხერეიდან, საბადურისგორის გვიანელინისტური ხანის ფენიდან, რაც ქართლიდან შეტანილადაა მიჩნეული<sup>38</sup>. დარაქის ნამოსახლარზე წითელი საღებავით მოხატულ ჭურჭელთან ერთად გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული კერამიკაც<sup>39</sup>. სამადლოს თეთრი ანგობით მოხატულ ჭურჭელზე დაკვირვების შედეგად იგაგომიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ სახის კერამიკას ახასიათებს ორნამენტის დატანის მკაცრად დადგენილი ზონები. კონცენტრული თეთრი ზოლებით დაფარულია ჭურჭლის ან მთელი კორპუსი, ან მხოლოდ ზედა ნაწილი. ამოკაწრული მკრთალი დეკორი მდებარეობს ყელის ფუძესთან ან მხრებზე. კეცი, როგორც წესი, მკვრივია,

27. Константин Пицхелаури., “Памятники второй половины I тысячелетия до н.э. на территории Кахетии”. - СА №3, (1977) 228.

28. გოდერძი ნარიშანიშვილი, „აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს კერამიკა, ნაწილი II“, იბერია-კოლხეთი № 14, (თბილისი, 2018), 109.

29. Пицхелаури, “Памятники второй половины I тысячелетия до н.э. на территории Кахетии”; Гагошидзе, “Самadlo, археологические раскопки”.

30. ნარიშანიშვილი, „აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს კერამიკა, ნაწილი II“, 109

31. Гагошидзе, “Самadlo, археологические раскопки”.

32. ზურაბ მახარაძე, „ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე“, ძიებანი №4 (თბილისი, 1999), 57, ტაბ. III, 13; IV 4.

33. Нариманишвили, “Керамика Картли V-I вв. до н.э.”, 81.

34. Алексей Бохочадзе, “Раскопки на территории городища Саркине и Грძელი Миндори”, ПАИ в 1976 г. (Тбилиси, 1979), 110.

35. Алексей Бохочадзе, Нино Мирианашвили, “Основные итоги работ Настакисской археологической экспедиции в 1975-79 гг”. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Т II, (Тбилиси, 1982), 111-123.

36. დავით ხახუტაიშვილი, უფლისციხე, II, (თბილისი, 1970), 146.

37. დომენტი ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, (თბილისი, 1958), 65.

38. გიორგი მახარაძე, ლაშა ლაშხი, „საირხის ელინისტური ხანის კერამიკა (საბადურის გორის არქეოლოგიური მასალის მიხედვით)“, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. (თბილისი, 1997). 58. სურ. XXXII.

39. გოდერძი ნარიშანიშვილი, „დარაქის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, იბერია-კოლხეთი № 5, (თბილისი, 2009), 94, 101, 102.

გადანატეხზე ძირითადად ყვითელი ან მოვარდისფროა, კარგადაა განლექილი და რაც მთავარია, ჭურჭელი გამოძწვარია საუცხოოდ. გარდა ამისა, მას ახასიათებს შიდაპირის უსწორმასწორობა (ჭურჭელს მთელ შიდაპირზე ეტყობა ძერწვის დროს დარჩენილი თითების (?) ნაკვალევი), მაშინ როდესაც ზედაპირი იდეალურად სწორი და გლუვია<sup>40</sup>. აქვე დავამატებთ, რომ ის ნიშნები, რაც სამადლოს თეთრი ანგობით მოხატულ კერამიკას ახასიათებს, როგორც ჩანს, საერთოა თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლისათვის. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ილმაზლოს სამარხებისა და ნორიოს ნასახლარის ჭურჭელზე ჩვენი დაკვირვებაც. ჭურჭლის აღნიშნული მახასიათებლები შესალოა ამ სახეობის ნაწარმის ერთი საწარმოო ცენტრიდან წარმომავლობაზე მიანიშნებდეს<sup>41</sup>.

**შავი საღებავით მოხატული კერამიკა.** ძეგლზე აღმოჩნდა შავი საღებავით მოხატული, თიხის 5 ჭურჭლის ფრაგმენტი. ნაგებობებს გარეთ აღმოჩენილ დიდი ზომის ჭურჭელზე, სავარაუდოდ დერგებსა თუ ქვევრებზე, ორნამენტი დატანილია მოსწორებულ, უანგობო ზედაპირზე. ასეთი მოზრდილი ჭურჭლის ნატეხებზე, წრე (ტაბ. VII<sub>4</sub>), ერთმანეთის გადამკვეთი ორ-ორი პარალელური ხაზი (ტაბ. VII<sub>3</sub>) და ჰორიზონტული ზოლებია. ერთი დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი შავი საღებავის ტალღოვანი, ჰორიზონტული ზოლითაა დაფარული (ტაბ. VII<sub>5</sub>). „№ 6 ნაგებობაში, წითელანგობიანი ქოთნის პირ-ყელისა და გვერდის ფრაგმენტი, რომლის ყელზე შავი საღებავის ჰორიზონტული ზოლით დაფარული, ოდნავ შესამჩნევი, ამოკაწრული ტალღოვანი ორნამენტია (ტაბ. VII<sub>6</sub>) დატანილი.

შავი ფერის საღებავით მოხატული, მონოქრომული კერამიკა ანტიკური ხანის საქართველოსათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. იგი ურბნისის ნაქალაქარის ძვ.წ. IV-III საუკუნეების ფენიდან<sup>42</sup> და დიდუბეში შემთხვევით აღმოჩენილი მასალებიდანაა<sup>43</sup> ცნობილი.

**პოლიქრომული კერამიკა.** ძეგლზე პოლიქრომული თიხის ჭურჭლის ორი ფრაგმენტი აღმოჩნდა. №15 ნაგებობაში მიკვლეულ გვერდისა და ყელის ფრაგმენტს, ყელზე ირიბი ნაჭდეგები აქვს, ნივთის ზედაპირი გამჭვირვალე ანგობითაა დაფარული. ნაჭდეგებს ქვემოთ, მხარზე თეთრი ანგობითაა დატანილი ჰორიზონტული ზოლები. ჭურჭლის ორნამენტირება დაუსრულებიან უხეშად დადებული შავი საღებავით გამოსახული, წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედებით (ტაბ. VII<sub>2</sub>). კიდევ ერთი პოლიქრომული ჭურჭლის, სავარაუდოდ დერგის ფრაგმენტის მხარი შემკულია ტალღოვანი, ამოკაწრული ჰორიზონტული ზოლით, რომლის ქვემოთ შავი საღებავით ორი პარალელური ხაზია გავლებული. ტალღოვან ორნამენტსა და შავ ზოლებს შორის მოჩანს თეთრი ანგობის ზოლები (ტაბ. VII<sub>1</sub>).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართლის ძვ.წ. IV-III საუკუნეების მოხატული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა მონოქრომულია და წითელი საღებავითაა მოხატული. პარალელურად გვხვდება თეთრი, კონცენტრული ხაზებით მოხატული ჭურჭელიც. იშვიათია შავი საღებავით მოხატული თიხის ჭურჭელი. რაც შეეხება პო-

40. Гагошидзе, “Самадло, археологические раскопки”, 80.

41. გიორგი გოგოჭური, „ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან“, იბერია-კოლხეთი, № 15, (თბილისი, 2019), 107-141.

42. ლევან ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, (თბილისი, 1964), 42, სურ. 16.

43. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, 47, 61 ტაბ IX, სურ 8.

ლიქრომულ კერამიკას, იგი წარმოდგენილია სულ რამდენიმე ნიმუშით ნასტაკისიდან და ციხიაგორიდან, რომელზეც დატანილი ორნამენტი შავი, წითელი და თეთრი საღებავითაა შესრულებული. ამიტომაც, შავად და პოლიქრომულად მოხატული ჭურჭლის შესახებ, მისი მცირე რაოდენობის გამო, დეტალურად ვერ ვიმსჯელებთ. იმედია, მომავალი გათხრების შედეგები შავად და პოლიქრომულად მოხატული ჭურჭლის ახალ ნიმუშებს მოგვცემს, რაც მკვლევარებს საშუალებას მისცემს, უკეთ შეისწავლონ მათი სტილისტური თავისებურებები, ქრონოლოგიური ჩარჩოები და სხვ.

## **Painted Pottery from Norio Settlement**

### **Summary**

The Norio settlement (located near Tbilisi, on the mountain range of *Ialno*) was excavated by the expedition of GNM O. Lordkipanidze Archaeological Institute in 2018. The settlement was built on the terraces. The remains of 36 half-dug dwellings were revealed here. The floors were plastered with clay, and the roofing should be flat. In the interior bakeries, altars built from stone, and storage pits were attested. According to the archaeological material the settlement can be dated to the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> cent. BC.

The article refers to the painted pottery found at the site. It should be noted, that such pottery is one of the most interesting, important and also characteristic artifacts for the mentioned epoch (during this period it was spread so widely, that it is often referred to the painted pottery).

The vast majority of painted ware of this period is monochromic - red or white painted, rarely there are some black painted ones, as to polychromic examples they seem to be very rare (several examples from Nastagisi and Tsikhiagora).

The painted pottery from Norio is a good exception: here we have all of listed examples.

**Red painted pottery.** 102 fragments of red painted pottery were revealed at the site. Most of them were made of high quality clay, and the painting was coated on the polished surface. The vessels decorated by **triangles** are represented by the triangles with their points up. Some triangles are filled with triangles (fig. I<sub>1,2,3,7</sub>), others with net-like ornament (fig I<sub>4</sub>), in addition these vessels are decorated with the ornament of secondary importance – dots, horizontal lines, zig-zags. The vessels decorated with painted triangles from Georgia are dated to the 4<sup>th</sup> century BC. The vessels decorated with **colored triangles** (figs. I<sub>5,6</sub>; II<sub>3</sub>) seem to belong to the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> cent. BC. The fragment of the big vessel is decorated in two rows: the upper row is painted with colored triangles with coniferous edges. The lower row is decorated with the same ornament, and triangles filled with the herringbone ornament (fig. II<sub>1</sub>). The fragment of the jug is also painted in two rows (fig. I<sub>8</sub>) and bear the stylistic features of so called **Samadlo style**, which is dated to the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> cent BC. The fragments of vessels **partially painted** with red color (fig. III<sub>5</sub>) or decorated by **only horizontal lines** (fig. III<sub>1,4</sub>) belong to the **Kazreti Style**, which is usually painted on the rough surface and is more characteristic for the late Hellenistic period. This ornament from Norio vessels is coated on the polished surface, which is why they belong to the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> cent BC.

**White painted pottery.** 491 fragments of white painted pottery was found at the site. Most are made of high quality clay and covered with the thin engobe. The ornament is simple: it is represented by horizontal, parallel lines. In addition, some have incised wave-like lines and oblique notches (figs. V, VI). It is believed that such pottery appeared first on the territory of Kakheti (where it was in use from the 4<sup>th</sup> c BC to the 4<sup>th</sup> century AD) and after that in Kartli, where it was brought from Kakheti during the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries and manufactured at the place in the 2<sup>nd</sup>-1<sup>st</sup> centuries BC.

**Black painted pottery.** 5 pieces of black painted pottery were revealed at Norio settlement. The painting is coated on the smooth, but not engobed surfaces of big vessels - jars or pythoses. Here we can see a circle (fig. VII<sub>4</sub>), two parallel lines crossing other two ones (fig.



VII<sub>3</sub>). One fragment of jar is decorated with the wave-like, black line (fig. VII<sub>5</sub>). The only example of engobed vessel has a black, horizontal line which covers incised wave-like ornament (fig. VII<sub>6</sub>). The black painted pottery were found in small quantities at the sites of 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries BC in Georgia.

**Polichromic pottery.** Two pieces of polychromic pottery were found at the site. One of them is covered with transparent engobe/ The neck has oblique notches and the shoulder is covered with white horizontal, parallel lines. The ornamentation was completed with coarsely coated black triangles (fig. VII<sub>2</sub>). The shoulder of another example is ornamented with incised wave-like, horizontal line. Below them two parallel, horizontal lines are coated with black color and among them the white lines are also visible (fig. VII<sub>1</sub>).

As we have seen above, monochromic (red, white and black painted) and polychromic painted pottery were unearthed during the excavations of Norio settlement. The fact that all of them were found on one settlement is unique for this moment and needs further research.

## ბიბლიოგრაფია:

- გაგომიძე იულონ, თრიალეთის სამაროვნები, თბილისი 1982.
- გოგოჭური გიორგი, ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, იბერია-კოლხეთი № 15, თბილისი, 2019. 107-141.
- გოგოჭური გიორგი, შატბერაშვილი ვახტანგ, ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, თბილისი, 2019, 333-334.
- თოლორდავა ვერა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბილისი, 1983.
- მანარაძე გიორგი, ლაშხი ლაშა, საირხის ელინისტური ხანის კერამიკა (საბადურის გორის არქეოლოგიური მასალის მიხედვით), საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, 3 - თბილისი, 1997, 38-60.
- მანარაძე ზურაბ, ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე, ძიებანი №4 თბილისი, 1999, 57-59.
- ნარიმანიშვილი გოდერძი, შატბერაშვილი ვახტანგ, ძვ.წ. V-I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგია), ძიებანი №9 თბილისი, 2002, 57-70.
- ნარიმანიშვილი გოდერძი, დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, იბერია-კოლხეთი № 5, თბილისი, 2009.
- ნარიმანიშვილი გოდერძი, აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს კერამიკა ნაწილი II, იბერია-კოლხეთი № 14, თბილისი, 2018.
- ფიცხელაური კონსტანტინე, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს), თბილისი, 1973.
- ქორიძე დომენტი, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1958.
- შატბერაშვილი ვახტანგ, ქვემო ქართლი ქრ.წ. IV-I საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2005.
- ძნელაძე მერაბ, აბულმუგის სამაროვანი, კრებ. დმანისი III, თბილისი 2001, 140-255, ტაბ. VII.
- წითლანაძე ლეილა, ვარსიმაანთკარის სამაროვანი, ჟინვალი I, თბილისი, 1983.
- ჭილაშვილი ლევან, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964.
- ხახუტაიშვილი დავით, უფლისციხე I, თბილისი, 1974.
- ხახუტაიშვილი დავით, უფლისციხე II, თბილისი, 1970.
- Dyson Robert H. Jr. *The Achaemenid painted pottery of Hasanlu III a*, Anatolian Studies, Vol. 49, Anatolian Iron Ages 4. Proceedings of the Fourth Anatolian Iron Ages Colloquium Held at Mersin, 19-23 May 1997 (1999).
- Summers Geoffrey D., *Archaeological evidence for the Achaemenid period in Eastern Turkey*”, Anatolian Studies, Journal of the British institute of Archaeology at Ankara vol 43 1993, 98- 123.
- Summers Geoffrey D. and Burney Charles A, *Late Iron Age pottery from northwestern Iran: the evidence from Yanik Tepe*, Ancient Near Eastern Studies, Supplement 39, Anatolian

Iron Ages 7, The proceedings of the seventh Anatolian Iron Ages Colloquium held at Edirne, 19-24 April, Leuven - Paris – Walpole 2010, 269-316.

**Giorgi Zkitishvili**, *Der Frühhellenistische Feuertempel von Kavtiskhevi*, Archäologische Anzeiger, Berlin, 1995, 83-98.

**Бохочадзе Алексей**, Раскопки на территории городища Саркине и Грdezли Миндори, ПАИ в 1976 г., Тбилиси, 1979, 106-117.

**Бохочадзе Алексей, Мирианашвили Нино**, Основные итоги работ Настакисской археологической экспедиции в 1975-79 гг. Раскопки на Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Т II, Тбилиси, 1982, 111-123

**Гагошидзе Юлон**, Самадло, археологические раскопки, Тбилиси, 1979.

**Гагошидзе Юлон**, Самадло, каталог, Тбилиси, 1981.

**Нариманишвили Годердзи**, Керамика Картли V-I вв. до н.э., Тбилиси, 1990.

**Пицхелаури Константин**, Памятники второй половины I тысячелетия до н.э. на территории Кахетии. - СА №3, М. 1977, 221-229.

**Рамишвили Рамин, Джорбенадзе Виссарион, Чиковани Гурам, Глonti Медея, Гогочури Георгий, Цигланадзе Лейла, Мухигулашвили Нели, Чихладзе Вера, Робакидзе Цисана, Ломидзе Цисана, Циклаури Иван, Рчеулишвили Георгий, Маргвелашвили Маквала, Каландадзе Зураб, Бучукури Ана**, Археологическое изучение Арагвского ущелья, ПАИ в 1985 г., с. 74-89, Тбилиси, 1987.

**Тушишвили Николоз, Маргишвили Сосо**, Экспедиция Алгетского ущелья, ПАИ в 1986 г., Тбилиси, 1995. 34-40.

### ტაბულების აღწერილობა:

I - IV. წითლად მონატული ჭურჭელი.

V - VI. თეთრი ანგობით მონატული ჭურჭელი.


VII. პოლიქრომული (1,2) და შავად მონატული (3-6) ჭურჭელი.

### Illustrations:



I - IV. Red painted pottery.

V - VI. White painted pottery.


VII. Polichromic (1,2) and black painted (3-6) pottery.



1



2




3




4



5




6




7




8




1



2




3




4







1





2



3




4



5



1




2




3



4




5



6




9



7



8



10




11




12




13




14



1




2




3




4




5




6




7




1




2




3




4




5




6




7




8



1




2




3




4



5



6





## ლითონის ნივთების გამოსახულებები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკული ნაწარმი მრავალფეროვნებითა და ორნამენტული სახეების სიუხვით გამოირჩევა. სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის ჭურჭელი შემკულია როგორც წმინდა დეკორატიული მიზნით შესრულებული ორნამენტით, ასევე გამოსახულებებით, რომელთაც გარკვეული იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. კერამიკა შემკულია რელიეფური, ამოღარული და ნაკაწრი ორნამენტით. იშვიათად გვხვდება მოხატული ჭურჭელიც. კერამიკულ ნაწარმზე გვხვდება ანთროპომორფული, ზომომორფული და გეომეტრიული გამოსახულებები. მრავალფეროვან ორნამენტულ მოტივებს შორის, გამოირჩევა ლითონის ნივთების გამოსახულებები. მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე ასეთი ტიპის გამოსახულებები იშვიათად გვხვდება.

ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში ლითონისგან დამზადებული სახვადასხვა ტიპის სამეურნეო და საბრძოლო ინვენტარი გვხვდება. ამ ეპოქაში ლითონისგან სამკაულსაც ამზადებდნენ. დღეისათვის თიხის ნაწარმზე ლითონისგან დამზადებული ნივთების მხოლოდ სამი ტიპის გამოსახულებაა დადასტურებული: 1. სატევრი; 2. ორვოლუტიანი საკინძი; 3. ცულისებური საკიდი.

1. სატევრის დაბალი რელიეფური გამოსახულებით (ტაბ. II-8) შემკული სქელკედლიანი ქილის ნატეხები დაფიქსირებულია ქვაცხელას ნამოსახლარზე, C1 ფენაში<sup>1</sup>. ქვაცხელაზე ნაპოვნი სატევრის გამოსახულება „სავსებით იმეორებს საჩხერის ყორღანში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრის პირის (ტაბ. II-9) ფორმას“<sup>2</sup>. სატევრის გამოსახულებიანი ჭურჭელი არა მხოლოდ მტკვარ-არაქსის პერიოდის, არამედ მოგვიანო ხანის ძეგლებზეც არის დაფიქსირებული. მაგალითად არსლან-თეფეს (თურქეთი) შუაბრინჯაოს ხანით დათარიღებულ ფენაში დადასტურდა დიდი ზომის ჭურჭელი სატევრის გამოსახულებით. ძველ აღმოსავლურ მითოლოგიებში შუბი, სატევარი და ცული სხვადასხვა ღვთაების სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდა. ასეთი ღვთაება—სატევრი ცნობილია იაზილიქიას ბარელიეფიდან. ხეთური რიტუალური ტექსტების მიხედვით ქვესკნელის მეუფეთა ჯგუფი სატევრის სახით გამოისახებოდა<sup>3</sup>.

2. ორვოლუტიანი საკინძების გამოსახულებებით შემკობილი ჭურჭლები გვხვდება გარნის ნამოსახლარზე<sup>4</sup> (ტაბ. I-5) და დანგრეულ ვორაზე<sup>5</sup>. ოთხი ორვოლუტიანი საკინძის რელიეფური გამოსახულება დაფიქსირდა გელაროტის მტკვარ-არსულ

1. ალექსანდრე ჯავახიშვილი და ლილი ღლონტი, ურბნისი I, (თბილისი, 1962), 188.

2. ოთარ ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, (თბილისი, 2003), 114.

3. Оливер Герни. Хетты. (Москва, 1987), 177-180.

4. Эмма Ханзадян, Гарни IV, (Ереван, 1960), 76.

5. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, (თბილისი, 1975), 56.

ნამოსახლარზე აღმოჩენილ დეკორატიულ ფირფიტაზე<sup>6</sup>. საკინძის რელიეფური გამოსახულება ასევე დაფიქსირდა თიხის დეკორატიულ ფილაზე, რომელიც 2020 წელს თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამშვილდის მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობის იატაკზე მიაკვლია (ტაბ. I-8)<sup>7</sup>. ამ ტიპის საკინძები ფართოდ არის გავრცელებული კავკასიასა (ტაბ. I-4) და მახლობელი აღმოსავლეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე. მეცნიერთა აზრით, ორმაგი ვოლუტი უზენაესი ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა<sup>8</sup>.

3. ცულისებური საკიდების გამოსახულებით შემკული ჭურჭელი (ტაბ. I-1-3, 6-7) დადასტურებულია ქვაცხელას ნამოსახლარზე, ქვემო ქართლის (დანგრეული გორა) და სომხეთის (კარნუტი)<sup>9</sup> ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ნაპოვნ კერამიკაზე. მსგავსი გამოსახულება წარმოდგენილია ძეგლების მთამადნელთა ნამოსახლარზე გათხრილ მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელზე<sup>10</sup>. ცულის ფორმის გულსაკიდები (ტაბ. II-4-5) აღმოჩნდა ამირანის გორაზე, ქვაცხელაზე, გედაროტში<sup>11</sup>, ოქროსგან დამზადებული საკიდი აღმოჩნდა შენგავითში (ტაბ. II-3). მასიური ოქროს გულსაკიდი დაფიქსირებულია ანანაურის ყორღანში (ტაბ. II-2). 6. შანშაშვილის აზრით, ამ ფორმის საკიდი არის ცულის სიმბოლური გამოსახულება, რომელიც თავის მხრივ რომელიღაც ღვთაების, შესაძლოა თეშუბის ატრიბუტს განასახიერებდა და ამდენად ამ ღვთაების სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდა<sup>12</sup>. უცნაურია, რომ იმ ფორმის ცულები, რომლებიც კერამიკაზეა გამოსახული, ანდა მინიატურული ფორმით – საკიდების სახით გვხვდება, მტკვარ-არაქსის კულტურაში არ დასტურდება და მხოლოდ მოგვიანო ხანაში ჩნდება. ბედენის, ყარაშაბბის ყორღანებში (ტაბ. II-1) და ართიკის სამაროვანზე აღმოჩენილი ცულები (ტაბ. II-6) საკმაოდ მცირე ზომისაა. ბედენის და ყარაშაბბის ცულები კი ვერცხლისგან არის დამზადებული და როგორც ჩანს, სახელისუფლებო ინსტიგნიას წარმოადგენდნენ. მსგავსი ცული ხელში უჭირავს ბოლახქოის რელიეფზე გამოსახულ ღვთაება თეშუბს (ტაბ. II-7).

ტ. ჩუბინიშვილის და კ. კუშნარიოვას აზრით მეტალურგიის სწრაფმა განვითარებამ მტკვარ-არაქსის კულტურაში ახალი კატეგორიის სიმბოლოების გამოჩენა განაპირობა. იწყება კერამიკის შემკობა ლითონის სხვადასხვა გამოსახულებებით. ამ სიმბოლურ გამოსახულებებს ფუნქციონალურად უახლოვდება ლითონის ნამგლების, თოხებისა და ცულების მინიატურული იმიტაციები<sup>13</sup>. მტკვარ-არაქსის კერამიკაზე

6. Ruben Badalyan et al, A preliminary report on the 2008, 2010, and 2011 investigations of Project ArAGATS on the Tsaghkahovit Plain, Republic of Armenia, in *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, band 46, issue by Sven Hansen and Mayke Wagner (Berlin, 2014). 160, fig 10-1.

7. ჩანახატი – ინგა ესვანჯია: სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია 2020.

8. ნინო შანშაშვილი, მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის. (თბილისი, 1997), 12

9. Телемак Хачатрян, Древняя культура Ширака, (Ереван, 1975).

10. Irina Gambashidze and Thomas Stöllner, The Gold of Sakdrissi – Man's first gold mining enterprise (Bochum, 2016), 85, 152.

11. ირინა ლამბაშიძე და სხვა, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში. (თბილისი, 2010), 192, ტაბ. 020.

12. ნინო შანშაშვილი, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი - სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, (თბილისი, 2010), 150.

13. Карина Кушнарёва и Тариел Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа. (Ленинград, 1970), 167.

გამოსახული ლითონის ნივთები გარკვეულ სემანტიკურ დატვირთვას ატარებდნენ. კერამიკული ნაწარმი, რომელსაც ასეთი ტიპის ორნამენტაცია ამკობს, შესაძლოა იყოს რომელიმე ღვთაებისადმი შეწირული წმინდა ჭურჭელი. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ კერამიკაზე გამოსახული ნივთების გამოსახვას განსაზღვრული მიზანი ჰქონდა და უკავშირდებოდა იმ დროინდელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებს.

## **Images of Metal Objects on Kura-Araxes Culture Ceramic Ware**

Ceramic ware produced in Kura-Araxes culture is very various and is distinguished with diverse ornamental images. Vessels of different use and shape are adorned as with simple decoration ornaments, but also images with specific ideological meaning. Ceramics are decorated with relief, grooved and scratched images or symbols; painted ware is confirmed rarely. Images represent anthropomorphic, zoomorphic and geometric decorations. Metal object images are very distinguished as they are very seldom found on Kura-Araxes culture ware.

Different types of tools and weapons made from metals are confirmed on archaeological sites of Kura-Araxes culture in Early Bronze Age; metal jewelry is also produced in that period. Three types of metal objects are represented on ceramic ware: 1. Dagger; 2. Double-volute pins; 3. Axe pendant.

1. Dagger image (tab. II-8) is confirmed on a pot fragment, which was found at Kvatskhela settlement, in C1 layer<sup>1</sup>. This image fully repeats the shape of bronze dagger found in Sachkhere kurgan<sup>2</sup> (tab. II-9). The Image of a dagger can be found on the ceramic ware not only in Kura-Araxes culture, but also at the sites of later period. For example, big vessel with a dagger image is found in Middle Bronze Age layer at Arslantepe (Turkey). In near eastern mythologies spear, dagger and axe were representing symbolic images of different deities. Such deity-dagger is known from the bas-relief of Yazilikaya. According to the Hittite ritual texts, group of underground deities were represented as dagger<sup>3</sup>.

2. Images of double-volute pins are confirmed on the ceramic vessels found at Garni settlement (tab. I-5)<sup>4</sup> and at Dangreuli Gora<sup>5</sup>. Representations of such pins are depicted on the clay plaque at Kura-Araxes site of Gegharot<sup>6</sup>. Relief image of a pin was also confirmed on a clay plaque (tab I-8), which was found on Kura-Araxes building floor at Samshvilde, excavated by Trialeti Archaeological Expedition in 2020<sup>7</sup>. Such pins made from metals are widely confirmed at the EBA archaeological sites in Caucasus (tab. I-4) and Near East. Double-Volute is considered to be a symbol of a supreme deity<sup>8</sup>.

3. Images of axe-shaped pendants are confirmed on the clay vessel found at Kvatskhela settlement (tab. I-1-3, 6-7), also on ceramics discovered at EBA sites from Kvemo Kartli (Dangreuli Gora) and Armenia (Karnut)<sup>9</sup>. Such ornament is depicted on the clay vessel found in

1. ალექსანდრე ჯავახიშვილი და ლილი ღლონტი, ურბნისი I, (თბილისი, 1962), 188.

2. ოთარ ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, (თბილისი, 2003), 114.

3. Оливер Герни. Хетты. (Москва, 1987), 177-180.

4. Эмма Ханзадян, Гарни IV, (Ереван, 1960), 76.

5. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, (თბილისი, 1975), 56.

6. Ruben Badalyan and Armine Harutyunyan, A preliminary report on the 2008, 2010, and 2011 investigations of Project ArAGATS on the Tsaghkahovit Plain, Republic of Armenia, in *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, band 46, issue by Sven Hansen and Mayke Wagner (Berlin, 2014). 160, fig 10-1.

7. Drawing by Inga Esvanjia. Trialeti Archaeological Expedition 2020

8. ნინო შანშავილი, მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის. (თბილისი, 1997), 12

9. Телемак Хачатрян, Древняя культура Ширака, (Ереван, 1975).

the Kura-Araxes grave found at miners' settlement in Dzedzvebi<sup>10</sup>. Axe shaped metal pendants (tab. II-4-5) are found at Amirani Gora, Kvatskhela and Gegharot<sup>11</sup>, gold pendant was found at Shengavit (tab. II-3). Massive gold pendant was also found in Ananauri Kurgan (tab. II-2). According to Nino Shanshashvili such pendants is a symbolic representation of an axe, which was personifying a deity<sup>12</sup>. It is very peculiar that the axes which are confirmed on ceramic ware or are represented as miniature shape – pendants, are not found at Kura-Araxes sites, they are found only in later period. Axes found in Bedeni and Karashamb Kurgans (tab II-1) and at Artik cemetery (tab. II-6) are quite small, more further ones found in Bedeni and Karashamb kurgans are made from a silver and as it seems they represented insignias. Deity Tushub from Boghaz-Koi relief is holding such axe (tab. II-7).

According to T. Chubinishvili and K. Kushnarova rapid development of metallurgy in Kura-Araxes culture provoked creation of new category symbols. Ceramic vessels were decorated with images of different metal objects. Such images functionally are very close to the miniature simulations of metal sickles, axes and hoes<sup>13</sup>. Metal objects depicted on Kura-Araxes ceramic ware bear specific semantic meaning. Ceramic production with such ornamentation might have been a sacred vessels sacrificed to specific deities. In any case, decorating vessels with metal objects had defined aim, presenting believes of that time society.

---

10. Irina Gambashidze and Thomas Stöllner, The Gold of Sakdrissi –Man's first gold mining enterprice (Bochum, 2016), 85, 152.

11. ირინა ლამბაშიძე და სხვა, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში. (თბილისი, 2010), 192, ტაბ. 020.

12. ნინო შანშაშვილი, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი-სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, (თბილისი, 2010), 150.

13. Карина Кушнарёва и Тариел Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа. (Ленинград, 1970), 167.



## ბიბლიოგრაფია:




- ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. თბილისი. 1975.
- ღამბაშიძე, ირინა; მინდიაშვილი, გიორგი; გოგოჭური, გიორგი; კახიანი, კახა; ჯაფარიძე, ირაკლი. უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში. თბილისი. 2010.
- შანშაშვილი, ნინო. მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი ორნამენტის ინტერპრეტაციისათვის. თბილისი. 1997
- შანშაშვილი, ნინო. „მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან“. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი. 2010.
- ჯავახიშვილი, ალექსანდრე; ღლონტი, ლილი. ურბნისი I. თბილისი. 1962.
- ჯაფარიძე, ოთარ. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი. 2003.
- Badalyan, Ruben; Smith, Adam T.; Lindsay, Ian; Harutyunyan, Armine; Greene, Alan; Marshall, Maureen; Monahan, Belinda; Hovsepyandam, Roman. A preliminary report on the 2008, 2010, and 2011 investigations of Project ArAGATS on the Tsaghkahovit Plain, Republic of Armenia, in *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan*, band 46. Issue by Sven Hansen and Mayke Wagner, Berlin. 2014.
- Gambashidze, Irina; Stöllner, Thomas; *The Gold of Sakdrissi – Man's first gold mining enterprise*, Bochum. 2016.
- Герни, Оливер. Хетты. Москва. 1987.
- Кушнарѳва, Карина; Чубинишвили, Тариеლ. Древние культуры Южного Кавказа. Ленинград. 1970.
- Ханзадян, Эмма. Гарни IV. Ереван. 1960.
- Хачатрян, Телемак. Древняя культура Ширака. Ереван. 1975.

## ტაბულების აღწერილობა:



- I. 1. თიხის ჭურჭელი, დანგრეული გორა; 2. თიხის ჭურჭელი, ყაითმაზი; 3. თიხის ჭურჭელი, დანგრეული გორა; 4. ორვოლუტიანი საკინძი, ქვაცხელას ნამოსახლარი; 5. საკინძის გამოსახულება თიხის ჭურჭლის ნატეხზე, გარნი (სომხეთი); 6. საკიდის გამოსახულება თიხის ჭურჭლის ნატეხზე, არიჭი (სომხეთი); 7. საკიდის გამოსახულება თიხის ჭურჭლის ნატეხზე, კარნუტი (სომხეთი); 8. საკინძის გამოსახულება თიხის დეკორატიულ ფირფიტაზე, სამშვილდე, (ჩანახატი ინგა ესვანჯიასი).
- II. 1. ცული, ყარაშამბის ყორღანი (სომხეთი); 2. ოქროს გულსაკიდი, ანანაურის ყორღანი; 3. ოქროს გულსაკიდი, შენგავითი (სომხეთი); 4. საკიდი, ამირანის გორა; 5. საკიდი გელაროტიდან (სომხეთი); 6. მინიატურული ცული ართიკიდან (სომხეთი); 7. ღვთაების გამოსახულება, ბოლას-ქოი (თურქეთი); 8. სატევრის გამოსახულება, ქვაცხელას ნამოსახლარი; 9. სატევარი, საჩხერის ყორღანი.

### **Illustrations:**

- I - 1. Clay vessel, Dangreuli Gora; 2. Clay vessel, Khaitmazi; 3. Clay vessel, Dangreuli Gora; 4. Double-volute pin, Kvatskhela settlement; 5. Pin image on ceramic sherd, Garni (Armenia); 6. Pin image on ceramic sherd, Arichi (Armenia); 7. Pendant image on ceramic sherd, Kar-nut (Armenia); 8. Pin image on clay plaque, Samshvilde, drawing by Inga Esvanjia.
- II – 1. Axe, Karashamb Kurgan (Armenia); 2. Gold pendant, Ananauri kurgan; 3. Gold pendant, Shengavit (Armenia); 4. Pin, Amiranis Gora; 5. Pin, Gegharot (Armenia); 6. Miniature axe from Artik (Armenia); 7. Deity from Boghaz-Koi (Turkey); 8. Dagger image, Kvatskhela settlement; 9. Dagger, Sachkhere Kurgan.



II



## ბრინჯაოს ჭურჭელი ვანის №24 სამარხიდან

№24 სამარხი ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩნდა 2004 წლის საველე კამპანიის დროს. ის შედის სამარხების იმ ჯგუფში, რომელიც IV სამლოცველოს უკავშირდება<sup>1</sup>. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. მასში გამოიკვეთა მთავარი მიცვალებული და მისი თანმხლები პირები, რომელთა რაოდენობა ოთხს აღწევს. მთავარი მიცვალებული გამოირჩევა სამარხში ცენტრალური მდებარეობითაც და მდიდრული ინვენტარითაც. სხვა ნივთებთან ერთად მას ჩატანებული ჰქონდა სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ჭურჭელი. მათგან სამი ბრინჯაოსია, წარმოდგენილი ფიალით, ლანგრითა და ოინოხით. ისინი ერთად აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულის თავთან მდებარე ინვენტარის გროვაში (ტაბ. 1).

ბრინჯაოს ფიალა (მუზ. №13-2007/3, ტაბ. 2, 1; 3, 2) არაა ღრმა. ის ბრტყელძირაა, გამობერილგვერდებიანი, სადა პირისკიდიანი; ცენტრში ომფალოსი აქვს (დმ – 21 სმ, სიმაღლე – 4,6 სმ). ფიალა სადაა, არ არის ორნამენტირებული. ის მიეკუთვნება ე.წ. ბერძნული ტიპის ფიალის უმარტივეს სახეს<sup>2</sup>. საერთოდაც ამ ტიპის ფიალები უპირატესად სადაა, თუმცა გვხვდება ორნამენტირებული ნიმუშებიც, როგორცაა, მაგალითად, ვერცხლის ორი ფიალა სპინადან, დაცული მეტროპოლიტენ მუზეუმში და დათარიღებული ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისით, აგრეთვე ოქროს ფიალა პანაგიურიშტეს განიდან, დაცული პლოვდივის მუზეუმში<sup>3</sup>.

ფიალები, როგორც ე.წ. ბერძნული ტიპის, ასევე აქემენიდური, ხშირად გვხვდება სამარხებში, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. კერძოდ, საკუთრივ ვანში ოქროსა და ვერცხლის ფიალები აღმოჩნდა №6 სამარხში<sup>4</sup>, ვერცხლის ფიალები – №3 (ქალის) სამარხში<sup>5</sup> და №22 სამარხში<sup>6</sup>, ბრინჯაოს ფიალა – №13 სამარხში<sup>7</sup>, ხოლო №24 სამარხში ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს ფიალის გარდა ხუთი ვერცხლის ფიალა დადასტურდა. ვანის გარდა, ფიალების სამარხებში ჩატანე-

1. დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე, „ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, I ნაწილი (გამარცხული სამარხები)“, იბერია-კოლხეთი, 9 (2014), 28-42; დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე, „ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი (№22 სამარხი)“, იბერია-კოლხეთი 14 (2018), 5-63.

2. Donald. E. Strong, Greek and Roman gold and silver plate (London, 1966), 57.

3. L'oro dei greci (1992), 265, cat. NN 133-134; 280, cat. N 156; Клады фракийцев, Каталог выставки (Варна, 2006), 135, кат. N 95.

4. რუსუდან ფუთურიძე, ნინო ხოშტარია, ანა ჭყონია, „ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები“, ვანი I (თბილისი: „მეცნიერება“, 1972), 116, სურ. 55, 58, 59.

5. Нина В. Хоштария, „О раскопках на вершине холма“, ვანი IV (თბილისი: „მეცნიერება“, 1979), 119, 123-127, სურ. 199-203; ნანა მათიაშვილი, „ლითონის ჭურჭელი“, ვანი III (თბილისი: „მეცნიერება“, 1977), 104-107.

6. კაჭარავა, ხარაბაძე, „ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი“, 20-21, ტაბ. 2.

7. დარეჯან კაჭარავა, ოთარ ლორთქიფანიძე, რუსუდან ფუთურიძე, გურამ ყიფიანი, „არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.)“, ვანი IV (თბილისი: „მეცნიერება“, 1979), 7-37, 78, №491; მათიაშვილი, „ლითონის ჭურჭელი“, 107, სურ. 103.



ბის წესი აღინიშნება დაბლაგომში (ვერცხლის)<sup>8</sup>, საირხეში (ბრინჯაოს და ვერცხლის)<sup>9</sup>, ითხვისში<sup>10</sup>, ფიჭვნარში (ვერცხლის)<sup>11</sup>, ახვილ-აბააში (ვერცხლის)<sup>12</sup>, ახალგორში (ვერცხლის)<sup>13</sup>, კავთისხევის საყარაულო სერზე (ვერცხლის)<sup>14</sup>, ყანჩაეთში<sup>15</sup>, ალგეთის წინწყაროში (მინის)<sup>16</sup>, შავსაყდარა II სამაროვანზე (ვერცხლი)<sup>17</sup>, ენაგეთში (ვერცხლი)<sup>18</sup>. ისიც უნდა ითქვას, რომ საკულტო კომპლექსებშიც აღინიშნა ფიალების აღმოჩენის შემთხვევები, თუმც მეტად იშვიათი. კერძოდ, საირხის სამაროვნის საკულტო მოედანზე აღმოჩნდა მინის ფიალის ფრაგმენტები<sup>19</sup>, ხოლო ვანის ერთ-ერთ, კერძოდ, IV სამლოცველოში - ვერცხლის ფიალა.

ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ვანსა და საერთოდ ანტიკური ხანის კოლხეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ფიალები დაკრძალვის რიტუალის ნაწილია. მეტად იშვიათია მათი აღმოჩენა ტაძარ-სამლოცველოებში.

სხვა სურათია საბერძნეთში, სადაც *phiale mesomphalos*-ი ჯერ კიდევ არქაულ ხანაში გადაიღეს ბერძნებმა აღმოსავლური სამყაროდან და ისე გაითავისეს, რომ ძალიან მალე ის ლიბაციისათვის განკუთვნილი ჭურჭლის ძირითად სახეობად გადაიქცა<sup>20</sup>. როგორც ჩანს, ჭურჭლის ეს სახეობა გამოიყენებოდა სასმისადაც – ღვთაებები და გმირები, თუ ჩვეულებრივი მოკვდავნი ხშირად არიან გამოსახულნი ფიალით ხელში. რამდენადაც ტაძრების ინვენტარის სიეში ფიალები ხშირად იხსენიება, ფიქრობენ, რომ ისინი ტაძარში შეწირულობის მიღებული სახეობაც იყო<sup>21</sup>. საბერძნეთში ფიალა დაკრძალვის რიტუალის ნაწილიც იყო<sup>22</sup>.

8. Борис Куфтин, Материалы к археологии Колхиды, 2 (Тбилиси, 1950), табл. А.

9. გიორგი მახარაძე და მანანა წერეთელი, საირხე (თბილისი: „მეცნიერება,“ 2006), 67, 91, 94-95, 109, სურ. 45, 84, 88-89, 118, ფოტო 127, 149, 157, 193.

10. გავომიძე, გოგობერიძე, მახარაძე, „ითხვისის სამაროვანი,“ 56, სურ. 44.

11. ამირან კახიძე, ფიჭვნარი II, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი) (ბათუმი, 2007), 156-158; Amiran Kakhidze, “Silver phiala from the 5<sup>th</sup> century BC Greek cemetery at Pichvnari,” in: Pontus and the outside World, Studies in Black Sea History, Historiography and Archaeology, ed. C. I. Tuplin (Brill, Leiden-Boston, 2004), 85-119.

12. Юрий Н. Воронов, „Ахул-Абаа – поселение античного времени в окрестностях Сухуми,“ Материалы по археологии Абхазии (Тбилиси: 1979), 32-36.

13. Яков Смирнов, Ахалгорийский клад (Тифлис, 1934), с. 44-49, табл. VIII-XII.

14. გიორგი ციქიტიშვილი, „მდიდრული სამარხი ციხიავორის სამაროვნიდან,“ ძეგანი, 7 (2001), 41-46.

15. იულიან გავომიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან (თბილისი: „მეცნიერება,“ 1964), 62-63, ტაბ. XII-XIII.

16. Борис А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, III. Опыт периодизации памятников (Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР, 1941), с. 37, табл. VIII.

17. სოსო მარგიშვილი, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. (თბილისი: „მეცნიერება,“ 1992), 17, 23, ტაბ. XII, 6; XV, 3.

18. მარგიშვილი, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები, 29, 72, ტაბ. XX.

19. მახარაძე და წერეთელი, საირხე, 109, სურ. 118.

20. ომფალიოსიანი ფიალის ლიბაციისთვის ხმარებას საბერძნეთში უკვე ძვ.წ. VII სუკუნიდან ვარაუდობენ, რადგან 200-ზე მეტი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა პერახორას ჰერა ლიბენიას სამლოცველოს ძვ.წ. VI საუკუნის შუახანების ვოტივურ ფენაში [Humfry Payne, Perachora, The sanctuaries of Hera Akraia and Limenia (Oxford, 1940), 121, 152-153]. მალე ფიალა იქცა ყველაზე მიღებულ შეწირულობად ბერძნულ ტაძარში. სწორედ ამიტომაცაა, რომ პოლუქსი თავის თხზულებაში ფიალებით იწყებს თავს შეწირულობების შესახებ (Pollux, I, 28).

21. Richter, Gisela M. “A Greek silver phiale in the Metropolitan Museum.” AJA 45 (1941): 363.

22. მაგალითად, სამოთრაკიის სამაროვანზე, რომელიც ძვ.წ. 525-500 წლებით თარიღდება, ფიალები ხშირად დასტურდება დასაკრძალავ ინვენტარში – Elsbeth B. Dusenbery, Samothrace, II, The nekropoleis, catalogues of objects by categories (Princeton, 1998), NN 1021-1023.

ძველ აღმოსავლეთში, რომელიც ითვლება ფიალის ტიპის ჭურჭლის სამშობლოდ, მათი უადრესი ნიმუშები ძვ.წ. IX საუკუნეში მაინც ჩნდება. ძვ.წ. VIII საუკუნეში ომფალოსიანი ფიალები ცნობილია War Kabud-ის სამაროვნიდან (დასავლეთ ლურისტანი, ირანი), გორდიონის (ფრიგია) აკლდამებიდან<sup>23</sup>. აქემენიდურ ხანაში ფიალები ფართოდ ვრცელდება მახლობელ აღმოსავლეთში. ისინი აღმოჩენილია ურში, დევე ჰუიუკის სამაროვანზე<sup>24</sup>.

ბრინჯაოს მეორე ჭურჭელი № 24 სამარხიდან ოინოხოაა (№ 07:1-04:1962, მუზ. № 13-2007/1, ტაბ. 2,2; 3,3). ის მიეკუთვნება იმ სახეობას, რომელიც ნისკარტიხურცხვირიანის სახელითაა ცნობილი (სიმაღლე - 20 სმ, ტანის მაქს. დმ - 10,9 სმ, ძირის დმ - 6,3 სმ). ასეთ ოინოხოებს ანალოგიები ეძებნება როგორც საბერძნეთში, კერძოდ, მაკედონიაში, ასევე ანტიკური სამყაროს პერიფერიაზე - თრაკიაში, გეტურ და სკვითურ კომპლექსებში.

მაკედონიაში ამგვარი ოინოხოები ოთხი ძველიდან არის ცნობილი: სტავრუპოლისის სამარხიდან, რომელსაც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ<sup>25</sup>; დერვენის A სამარხიდან, რომელსაც ასევე ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ<sup>26</sup>; ვერჯინას III აკლდამიდან (ე.წ. პრინციის აკლდამა), რომელიც ძვ.წ. 325 წლის მახლობელი ხანით თარიღდება<sup>27</sup>; და ბოლოს არზოსის ყორღანიდან, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება<sup>28</sup>. ამრიგად, მაკედონიის კომპლექსები, საიდანაც მომდინარეობს ჩვენთვის საინტერესო ტიპის ოინოხოები, არ სცილდება ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებს. ყველა დასახელებული ოინოხოა ბრინჯაოსია, გარდა ვერჯინის ნიმუშისა, რომელიც ვერცხლისაა<sup>29</sup>. ყველას აერთიანებს S-სებური ყური, რომლის ქვედა ნაწილი აკანთოს ყლორტისებურადაა გაფორმებული, მხოლოდ ვერჯინას ჭურჭლის ყურის ქვედა ნაწილია თოკისებურად გრავირებული. პირის კიდე ყველას სადა აქვს, გარდა არზოსის ოინოხოსა. როგორც წესი, ყურის ქვედა ბოლო მაკედონიის ნიმუშებს შემკული აქვთ (სტავრუპოლისის ოინოხოს ნიჟარისებური დაბოლოება აქვს, დერვენისას - ორმაგი ვოლუტისა და პალმეტის, ხოლო ვერჯინის ნიმუშს - დისკოსებური).

გეტურ სამყაროში ვანის ნისკარტიხურცხვირიან ოინოხოს მხოლოდ ერთი პარალელი მოიძებნა - ზიმნისეას სამაროვანზე (სამარხი პონტოს ჰერაკლიის ამფო-

23. Louis Vanden Berghe, *Het archeologisch onderzoek naar de bronscultuur van Luristan, Opyravingen in Push-I Kuhm Kalwali en War Kabud* (1965 en 1966) (Brussel, 1968), pl. 32 a-b; Rodney S. Young, "The Gordion campaign of 1957: preliminary report," *AJA* 62 (1958), 139-154; Rodney S. Young, *Three great early tumuli = The Gordion excavations final reports, vol. I* (Philadelphia, 1981), 14-17, 139-147

24. Peter R. S. Moorey, *Cemeteries of the first millennium B.C. at Deve Hüyük* (Oxford, 1980), 32-36.

25. Maria Karamanole-Siganidou, "Thessalonike," *ADelt.* 20, 2 (1965): 411, pl. 463a; K. Ninou (ed.), *Treasures of ancient Macedonia, Exhibition catalogue, Archaeological Museum of Thessalonike* (Athens, 1979), No. 271, pl. 40; Georges Daux, "Chronique des fouilles et découverts archéologiques en Grèce en 1967," *BCH* 92 (1968): 903, fig. 11; *Ancient Macedonia, Exhibition Catalogue, Museum of Victoria, Melbourne, Australia* (Athens, 1988), No. 341.

26. Ninou (ed.), *Treasures of ancient Macedonia*, 159, pl. 24; *Ancient Macedonia*, No. 231; Manolis, *Andronicos Museum Thessaloniki, Ein neuer Führer durch seine Bestände* (Athens, 1981), No. 41; X. Makaronas, "Tafel para to Derveni Thessalonike," *ArDelt.* (1963): 193-194, pl. 295a.

27. Andronicos, *Museum Thessaloniki*, 209, fig. 172; *The search for Alexander, An Exhibition* (Athens, 1980), 181, No. 158.

28. Ninou (ed.), *Treasures of ancient Macedonia*, No. 460, pl. 61; *The search for Alexander*, 156, No. 106; D. Triantafyllos, "Archaiotetes kai mnemeia Thrakes," *ADelt.* 30, 2 (1975): pl. 205a.

29. ცნობილია ამ ტიპის კიდევ ერთი ვერცხლის ოინოხოა, რომელიც სოთბის აუქციონზე გაიყიდა - Sothby's important antiquities, cat. No. 6383, New York, December 17, 1992.

რის საფუძველზე დაახლ. ძვ.წ. 330-300 წწ. თარიღდება). ამ ოინოხოსასაც პირის კიდე სადა აქვს; ყური S-სებური მოყვანილობისაა და ბლოვდება აჟურული პალმეტითა და აკანთოს ფოთლებით; ძირზე კონცენტრული წრეები აქვს<sup>30</sup>.

რაც შეეხება თრაკიას, აქ ჩვენთვის საინტერესო ტიპის უფრო მეტი ოინოხოსაა ცნობილი. აღმოჩენილია ისინი შემდეგ ყორღანებში: მოგილანსკა მოგილა, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება<sup>31</sup>; ალექსანდროვოს ყორღანი, რომელსაც ზოგადად ძვ.წ. V-IV საუკუნეებს აკუთვნებენ<sup>32</sup>; ლეშნიკოვა მოგილა, რომელსაც გამთხრელი ძვ.წ. V საუკუნით ათარიღებს<sup>33</sup>; მეზეკის ყორღანი, რომლის თარიღს ძვ.წ. V საუკუნის დასასრულით - IV საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავენ<sup>34</sup>; ორიზოვოს ყორღანი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნისაა<sup>35</sup>. ალექსანდროვოს ოინოხოსას ყური აკლია, ხოლო მეზეკისას - პირის კიდე. მოგილანსკა მოგილისა და მეზეკის ოინოხოების S-ისებური ყურების ქვედა ნაწილი, ჩვენი ნიმუშის მსგავსად, აკანთოს ყლორტის იმიტაციას წარმოადგენს. მხოლოდ მოგილანსკა მოგილას ოინოხოსას აქვს იონიური კიმატიონით შემკული პირის კიდე. ეს ოინოხოსა საგანგებოდაა შესწავლილი ამ სამარხის ბრინჯაოს ჭურჭლის მთელ კომპლექსთან ერთად. მას ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებს მიაკუთვნებენ<sup>36</sup>. ამ უკანასკნელ ხანებში სამხრეთ-აღმოსავლეთ თრაკიაში, განოსის მთაზე ნაიპის ყორღანის სამარხ კამერაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ოინოხოსა, რომელიც ჩვენი ნიმუშის ანალოგიურია, მაგრამ გაცილებით მდიდრულადაა ორნამენტირებული: პირთან რელიეფური ხვეულია, ყელზე სუროს წნულია, ფაცეტირებული ყური ლოტოსის კოკრებითაა შემკული, ხოლო ყურის ქვედა ბოლოზე აკანთოს ჭვირული აპლიკაციაა დატანილი. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო ორი ათწლეულითაა დათარიღებული და ოდრისის სამეფო დინასტიის წევრის კუთვნილად არის მიჩნეული<sup>37</sup>.

სკვითური კომპლექსებიდან ჩვენთვის საინტერესო ტიპის ოინოხოსას შეიცავენ გაიმანოვა მოგილა (ზაპოროჟიე, სოფ. ბალკი)<sup>38</sup>, VI სემბრატნი<sup>39</sup> და ზელენსკაია გორას ყორღანები<sup>40</sup>; აგრეთვე ელიზავეტოვკას სამაროვნის (ტამანიდან 7,5 კმ) № 9/1909 ყორღანი<sup>41</sup>. ამათგან გაიმანოვა მოგილას ძვ.წ. 350-340 წლებით ათარი-

30. Alexandrina D. Alexandrescu, "La nécropole gète de Zimnicea," *Dacia*, N.S. XXIV (1980): 28, fig. 43.; 69.

31. И. Венедиков, Новооткрыто тракийско могильно погребение в Враца, *Археология* 1 (1966): 7-15.

32. Bogdan Filow, Ivan Welkow, Vasil Mikow, *Die Grabhügelnekropole bei Duvanlij in Südbulgarien* (Sofia, 1934), 185, Abb. 205.

33. Georgi Kitov, "Les tumuli royaux dans "La vallée des rois", *Orpheus* 5 (1995): 18; Georgi Kitov, "The Thracian valley of the kings in the region of Kazanluk," *Balkan Studies*, 37,1 (1996): 5-34.

34. Иван Велковъ, „Розкопките около Мезекъ и гара Свиленград през 1932-1933 год,“ *Известия на Българския Археологически Институтъ*, т. 11 (1938): 136, рис. 129.

35. Дмитрий Цончев, „Антична могильна гробница при Оризово,“ *Годишник на Народния археологически музей Пловдив*, кн. 1 (1948): 20-21, рис. 6.

36. Evgeni I. Paunov, Narcis T. Torlow, "The bronze vessels from tomb 2 in the Mogilanska Mogila tumulus at Vratsa (NW Bulgaria)," *From the Parts to the whole*, vol. 1, *Acta of the 13<sup>th</sup> International Bronze Congress*, held at Cambridge, Massachusetts, May 23-June 1, 1996, ed. by Carol Mattusch et al., (Portsmouth, Rhode Island, 2000), 172.

37. Inci Delemen, „An unplundered chamber tomb on Ganos Mountain in southeastern Thrace,“ *AJA* 110 (2006), 251-273, fig. 16.

38. Or des Scythes, *Treasures des musées soviétiques*, 1975, cat. no. 75; მიხეილ ტრეისტერი, „მაკედონური ლითონის ჭურჭელი სკვითურ სამეფო სამარხებში. სკვითურ-მაკედონური კონტაქტებისათვის ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეთხედში,“ *შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში* (თბილისი, 2005), 46.

39. Зинаида Билимович, „Бронзовый кувшин из VI Семибратнего кургана,“ *СА* 1 (1971), 216-219.

40. Boris Pharmakowski, "Archäologische Funde im Jahre 1912, Russland," *AA* (1913), 180-183, Abb. 9-19.

41. ტრეისტერი, „მაკედონური ლითონის ჭურჭელი“, 6.

ლებენ<sup>42</sup>. ამ უკანასკნელი ყორღანიდან მომდინარე ოინოხოსას ყველა სხვა ნიმუშები-საგან განსხვავებით ყურის ზედა ბოლო შემკული აქვს – სატირის თავია გამოსახული. VI სემიბრატნის ყორღანის ოინოხოსის ყური დაწახნაგებულია; ზელენსკაია გორას ოინოხოსას კი ყური აკანთოს სტილიზებული ყლორტის სახით აქვს გაფორმებული, ხოლო მისი პირის კიდე ოვებით არის შემკული.

რამდენადაც ბრინჯაოსგან დამზადებული ოინოხოები, რომელთაც წაკვეთილი კონუსის ფორმის ტანი აქვთ, ანალოგიებს პოულობენ ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულის - V საუკუნის დასაწყისის წითელფიგურულ ვაზებს შორის, მათი ბერძნული წარმომავლობა ივარაუდება<sup>43</sup>. ამ ტიპის ოინოხოები ჩნდება ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისიდან და უპირატესად ბერძნული სამყაროს ჩრდილოეთ ნაწილშია გავრცელებული<sup>44</sup>.

ვანის №24 სამარხში აღმოჩენილი მესამე ბრინჯაოს ჭურჭელი ლანგარს წარმოადგენს. ის ბრტყელძირაა, რგოლისებური ყური აქვს. ყურის ტანზე მიმაგრების ადგილი შემკულია მცენარეული ორნამენტით (მუზ. № 13-2007/2, სიმაღლე – 3.1 სმ, ძირის დმ – 29 სმ, პირის დმ – 32.6 სმ, ყურის დმ – 4.5 სმ, ყურის ღეროს დმ – 1.1 სმ, ტაბ. 2, 3, 3<sub>1</sub>). ჩვენში ამ ტიპის ჭურჭლის აღმოჩენის სხვა შემთხვევებიცაა დადასტურებული, ისევე ვანიდან. კერძოდ, ასეთი ჭურჭელი აღმოჩენილია №№ 9 და 15 სამარხებში<sup>45</sup>. პირველი თანმხლები სამარხეული ინვენტარის საფუძველზე ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებს მიეკუთვნება, მეორე კი – ძვ.წ. III საუკუნის პირველ ნახევარს<sup>46</sup>. სამარხებში პატერისა და ოინოხოსის ერთად აღმოჩენის ფაქტი ვანის № 11 სამარხშია დადასტურებული<sup>47</sup>, ასევე დაბლაგომის კრამიტით გადახურულ სამარხში<sup>48</sup>. შესაძლებელია, რომ ამგვარი ლანგრები პატერებს ცვლიან სამარხეულ ინვენტარში.

42. Борис Мозолевский, Сергей Полин., Курганы скифского Герроса IV в. до н.э. (Бабина, Водяна и Соболева могилы), (Киев, 2005), 365.

43. დაწვრ. იხ. Билимович, „Бронзовый кувшин, ” 216-218.

44. Michael Pfrommer, Makedonien – Kleinasien. Interdependenzen spätklassischer und frühhellenistischer Toreutik, JdDAI, Bd. 98 (1983), 242 ff.

45. ოთარ ლორთქიფანიძე, რუსუდან ფუთურიძე, ვერა თოლორდავა, ანა ჭყონია, „არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს,“ ვანი I (თბილისი, 1972), 208, 15; ოთარ ლორთქიფანიძე, „ტორევიკა,“ ვანი VII (თბილისი, 1983), 91, კატ. 410, 413; ვერა თოლორდავა, „ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები),“ ვანი VIII (თბილისი, 1986), 85, სურ. 67<sub>1,3</sub>, 71<sub>10</sub>.

46. ლორთქიფანიძე, „ტორევიკა,“ 91, №№ 410 და 413.

47. ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია, „არქეოლოგიური გათხრები,“ 233-234.

48. ვერა თოლორდავა, „მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან,“ ვანი, II (თბილისი, 1975), 75, №№ 40-41.

*Darejan Kacharava*  
*Georgian National Museum,*  
*(Georgia, Tbilisi)*

### **Bronze Vessels from Grave N 24 in Vani**

Grave N 24 was excavated on the upper terrace of the Vani site in 2004. A vast array of grave goods was found surrounding the principal deceased. Of our interest is a group of bronze vessels, composed of a phiale, a beak-spouted *oinochoe*, and a basin. The *phiale mesomphalos* is of Greek type. The beak-spouted *oinochoe* is of a type well known in Macedonian, Getic, and Scythian contexts. Its Greek origin is supposed. The basin is flat-bottomed, supplied with a movable ring-handle whose attachment is decorated with a floral pattern. Bronze basins of this type have already been found both in Vani and Dablagomi.



## ბიბლიოგრაფია:

- გაგოშიძე, იულონ. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964.
- გაგოშიძე, იულონ, გოგიბერიძე, ნანა და მახარაძე, გიორგი, „ითხვისის სამაროვანი.“ არქეოლოგიური ჟურნალი 4 (2006): 36-59.
- თოლორდავა, ვერა. „ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები).“ ვანი VIII, 79-92. თბილისი: მეცნიერება, 1986.
- თოლორდავა, ვერა. „მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან.“ ვანი II, 68-78. თბილისი: მეცნიერება, 1975.
- კაჭარავა, დარეჯან; ლორთქიფანიძე, ოთარ; ფუთურიძე, რუსუდან და ყიფიანი, გურამ. „არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.),“ ვანი IV, 7-37. თბილისი: მეცნიერება, 1979.
- კაჭარავა, დარეჯან და ხარაბაძე, სულხან. „ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, I ნაწილი (გამარცხული სამარხები).“ იბერია-კოლხეთი 9 (2014): 28-42.
- კაჭარავა, დარეჯან და ხარაბაძე, სულხან. „ახლად აღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი (22 სამარხი).“ იბერია-კოლხეთი 14 (2018): 5-63.
- კახიძე, ამირან. ფიჭვნარი II, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი). ბათუმი, 2007.
- ლორთქიფანიძე, ოთარ; ფუთურიძე, რუსუდან; თოლორდავა, ვერა და ჭყონია, ანა. „არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს.“ ვანი I, 198-242. თბილისი: მეცნიერება, 1972.
- ლორთქიფანიძე, ოთარ. „ტორევეტიკა.“ ვანი VII, 89-91, კატ. 402-414. თბილისი: მეცნიერება, 1983.
- მათიაშვილი, ნანა. „ლითონის ჭურჭელი.“ ვანი III, 101-114. თბილისი: მეცნიერება, 1977.
- მარგიშვილი, სოსო. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბილისი, 1992.
- მახარაძე, გიორგი და წერეთელი, მანანა. საირხე. თბილისი, 2006.
- ტრეისტერი, მიხეილ. „მაკედონიური ლითონის ჭურჭელი სკვითურ სამეფო სამარხებში. სკვითურ-მაკედონიური კონტაქტებისათვის ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედში.“ შავი ზღვისპირეთი ელზინისტური სამყაროს სისტემაში, 45-47. თბილისი, 2005.
- ფუთურიძე, რუსუდან; ხოშტარია, ნინო და ჭყონია, ანა. „ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები.“ ვანი I, 111-134. თბილისი, 1972.
- ცქიტიშვილი, გიორგი. „მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან.“ ძიებანი 7 (2001): 41-46.
- Билимович, Зинаида, „Бронзовый кувшин из VI Семибратнего кургана.“ СА 1 (1971): 216-219.
- Велковъ, Иван, „Розкопките около Мезекъ и гара Свиленград през 1932-1933 год.“ Известия на Българския Археологически Институтъ 11 (1938): 117-170.
- Венедиков, И. „Новооткрито тракийско могилено погребение в Враца.“ Археология 1 (1966): 7-15.
- Воронов, Юрий, „Ахул-Абаа – поселение античного времени в окрестностях Сухуми.“ Материалы по археологии Абхазии, 32-36. Тбилиси, 1979.
- Клады фракийцев, Каталог выставки. Варна, 2006.

- Куфтин, Борис**, Археологические раскопки в Триалети, Ш. Опыт периодизации памятников. Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР, 1941.
- Куфтин, Борис**, Материалы к археологии Колхиды, т. II. Тбилиси, 1950.
- Мозолевский Борис**, Полин Сергей, Курганы скифского Герроса IV в. до н.э. (*Бабина, Водяна и Соболева могилы*). Киев, 2005.
- Смирнов, Яков**, Ахалгорийский клад. Тифлис, 1934.
- Хоштариа, Нина**, „О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг.” *vani* IV, 115-134. Tbilisi: mecniereba, 1979.
- Цончев, Дмитрий**. „Антична могилна гробница при Оризово.” *Годишник на Народния археологически музей, Пловдив* 1 (1948): 15-25.
- Alexandrescu, Alexandrina**, “La nécropole gète de Zimnicea.” *Dacia*, N.S. XXIV (1980): 19-126.
- Ancient Macedonia**, Exhibition Catalogue, Museum of Victoria, Melbourne, Australia. Athens, 1988.
- Andronicos, Manolis**, *Museum Thessaloniki, Ein neuer Führer durch seine Bestände*. Athens, 1981.
- Daux, Georges**. “Chronique des fouilles et découverts archéologiques en Greece en 1967.” *BCH* 92 (1968): 711-1135.
- Delemen, Inci**. “An un plundered chamber tomb on Ganos Mountain in southeastern Thrace.” *AJA* 110 (2006): 251-273.
- Dusenbery, Elsbeth B.** *Samothrace, II, The nekropoleis, catalogues of objects by categories*. Princeton, 1998.
- Filow Bogdan, Welkow Ivan, Mikow Vasil.** *Die Grabhügelnekropole bei Duvanlij in Südbulgarien*. Sofia, 1934.
- Kakhidze Amiran**, “Silver phiala from the 5<sup>th</sup> century BC Greek cemetery at Pichvnari.” *Pontus and the outside World, Studies in Black Sea History, Historiography and Archaeology*, edited by C. I. Tuplin, Brill, Leiden-Boston, 2004: 85-119.
- Karamanole-Siganidou, Maria** “Thessalonike,” *ADelt*, 20, 2 (1965): 407-412.
- Kitov, Georgi**. “Les tumuli royaux dans “La vallée des rois”.” *Orpheus* 5 (1995): 5-21.
- Kitov, Georgi**. “The Thracian valley of the kings in the region of Kazanluk.” *Balkan Studes* 37 (1996): 5-34.
- L'oro dei greci**, 1992.
- Makaronas, X.** “Tafoi para to Derveni Thessalonike.” *ArDelt*. (1963): 93-196.
- Moorey, Peter, R. S.** Peter Roger Stuart *Cemeteries of the first millennium B.C. at Deve Hüyük*. Oxford, 1980.
- Ninou, K.**(ed.). *Treasures of ancient Macedonia, Exhibition catalogue, Archaeological Museum of Thessalonike*. Athens, 1979.
- Or des Scythes**, *Treasures des musées soviétiques*, 1975.
- Paunov, Evgeni I. and Torbov, Narcis T.** “The bronze vessels from tomb 2 in the Mogilanska Mogila tumulus at Vratsa (NW Bulgaria).” *From the Parts to the whole, vol. 1, Acta of the 13<sup>th</sup> International Bronze congress, held at Cambridge, Massachusetts, May 23-June 1, 1996*, edited by Carol Mattusch, Amy Brauer, and Sandra E. Knudsen, Portsmouth, Rhode Island, 2000, 163-172.
- Payne, Humfry**, *Perachora, The sanctuaries of Hera Akraia and Limenia*. Oxford, 1940.
- Pfrommer, Michael**, “Makedonien – Kleinasien. Interdependenzen spätklassischer und frühellenistischer Toreutik.” *JdDAI* 98 (1983): 235-285.
- Pharmakowski, Boris** “Archäologische Funde im Jahre 1912, Russland.” *AA* (1913): 179-233.
- Richter, Gisela M.** “A Greek silver phiale in the Metropolitan Museum.” *AJA* 45 (1941): 363-389.
- Sothby's important antiquities**, New York, December 17, 1992: cat. No. 6383

**Strong, Donald E.** *Greek and Roman gold and silver plate*. London, 1966.

*The search for Alexander, An Exhibition*, Athens, 1980.

**Triantafyllos, D.** “Archaiotetes kai mnemeia Thrakes.” *ArchDelt*, 30,2 (1975): 294-303.

**Vanden Berghe, Louis** *Het archeologisch onderzoek naar de brons cultuur van Luristan, Opyravingen in Push-I Kuhm Kalwali en War Kabud (1965 en 1966)*. Brussel, 1968.

**Young, Rodney S.** “The Gordion campaign of 1957: preliminary report.” *AJA* 62 (1958): 139-154.

**Young, Rodney S.** *Three great early tumuli = The Gordion excavations final reports, vol. I*. Philadelphia, 1981.

### ტაბულების აღწერილობა:

I. 1. ვანის № 24 სამარხის საერთო ხედი; 2. ინვენტარის ჯგუფი.

II. 1. ბრინჯაოს ფიალა, 2. ბრინჯაოს ოინოხოა, 3. ბრინჯაოს ლანგარი.

III. ბრინჯაოს ჭურჭლის გრაფიკული ჩანახატები.

### Illustrations:

I. 1. General view of grave 24; 2. Group of grave goods.

II. 1. Bronze *phiale*; 2. Bronze *oinochoe*; 3. Bronze tray.

III. Graphic drawings of the bronze vessels.

I



1



2





1




2




3



III



1



2

ამირან კახიძე  
აჭარის მუზეუმი  
(საქართველო, ბათუმი)

ემზარ კახიძე  
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი  
(საქართველო, ბათუმი)

## ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლისის ბოლოდროინდელი კვლევა-ძიების შედეგები

ფიჭვნარის სისტემურ არქეოლოგიურ კვლევას 60 წლის ისტორია აქვს და ამ პერიოდში განხორციელდა მასშტაბური სამუშაოები როგორც ნაქალაქარზე, ისე სამაროვანზე. აქ დაფიქსირებული მასალა ადასტურებს, რომ ეს პუნქტი კლასიკური სამყაროსა და კოლხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკონტაქტო ზონაა.

ბუნებრივია, ამ უზარმაზარი კომპლექსის შესწავლის შედეგების გადმოცემა ერთ სტატიამი შეუძლებელია, ამიტომ ამჟამად შევჩერდებით ძვ.წ. IV ს-ის ბერძნულ ნეკროპოლისზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს მონაკვეთი, ისევე როგორც მთელი სამაროვანი, შესანიშნავადაა დაცული, რაც იდეალურ პირობებს ქმნის ზუსტად განვსაზღვროთ სამარხთა ტიპები, დაკრძალვის წესები, ორიენტაცია, სამარხეული ინვენტარის ჩატანების კანონზომიერებანი და სხვ.

ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლისის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ ჯერჯერობით ელინურ სამყაროსთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ძველი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ დასტურდება; უნიკალური შემთხვევაა ისიც, რომ მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში ადგილობრივებისა და მოახალშენეების სამაროვნები გვერდიგვერდაა და მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობები იკვეთება.

ფიჭვნარის ნეკროპოლისში მტკიცეა დადგენილი წმინდა ბერძნული ადათ-წესები. პირველ რიგში აღსანიშნავია მიცვალებულის აღმოსავლეთისკენ დამხრობა, ამფორასამარხები, ალაპის წესის შესრულება, ქარონის ობოლის ჩაყოლება და სხვ.

საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა სამარხეული ინვენტარი. წამყვანია სადა და მოხატული შავლაკიანი ატიკური კერამიკა. აშკარაა, რომ მისი მომხმარებელი საზოგადოება მაღალი გემოვნების მატარებელია. მოწონებით სარგებლობს ასევე იონიელი და კოლხი მეთუნეების პროდუქცია. გვხვდება ტერაკოტები აფროდიტეს, დემეტრასა და ეროტის გამოსახულებით. ფიჭვნარელი კოლონისტების ყოფის თავისებურებაა ადგილობრივი საიუველირო ნაწარმის, სხვა ანალოგიური ძეგლებისგან განსხვავებით, უჩვეულოდ დიდი რაოდენობით მოხმარება.

გათხრების შედეგად შეიქმნა ნუმიზმატიკური არტეფაქტების მდიდარი კოლექცია, რომელთა შორის წამყვან ადგილს კოლხური თეთრი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის, ტრიობოლები იკავებენ. უცხოური მონეტებიდან ყურადღებას სინოპური მონეტები იქცევენ.

ამ აღმოჩენებით დასტურდება, რომ კლასიკური ხანის ფიჭვნარი წარმოადგენდა კოლხური და ბერძნული კულტურების შეხვედრის ადგილს, საკონტაქტო ზონას.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან ვიდრე ძვ.წ. IV ს-ის 30-იან წწ-მდე ფიჭვნარი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ათენის მთავარ საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა.

ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიციების (1967-2010 წწ) შემდეგ, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით ბოლოს აქ სამუშაოები 2012 წელს ჩატარდა, როდესაც თხრილი გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით<sup>1</sup>.

2016 წ-მდე ძვ.წ. IV ს-ის ბერძნულ ნეკროპოლისზე 136 სამარხი და ათეულობით ალაპი დაფიქსირდა<sup>2</sup>. ახალი თხრილის სიგრძემ 20 მ, სიგანემ კი – 4 მ შეადგინა. ყველა მათგანი მოექცა NW-23-ე სექტორის 91-ე, 92-ე, 93-ე და 95-ე კვადრატებში. NW-22-ე სექტორის 99-ე და მე-100 კვადრატების შესწავლა არ გეიწარმოებია. ადრე 91-ე და 92-ე კვადრატებში, 2 მ-ის სიგანეზე, აღებული გვექონდა ზედა ჰუმუსოვანი და ნაწილობრივ ფხვიერი სილნარი ფენა. გამოვჩინეთ პირველი სააღაპო მოედანი, მიუხაზლოვდით 137-ე სამარხის კონტურს. ჰუმუსოვანი ფენის სიმძლავრე მერყეობდა 30-40-45 სმ-ს შორის. იშვიათად ჩნდებოდა ადგილობრივი თიხის ჭურჭლის, იმპორტული ამფორისა და, როგორც ჩანს, სააღაპო მოედნის ზედა დონიდან მომდინარე ატიკური შავლაკიანი თუ სხვა საწარმოო ცენტრების თიხის ჭურჭლის ნატეხები. ჰუმუსს მოსდევდა ფხვიერი, შედარებით უძრავი სილნარი ფენა. სწორედ ამ დონეზე იჩინა თავი მომდევნო ოთხმა სარიტუალო მოედანმა (№ 2,3,4 და 5). 91-ე კვადრატში, მის დასავლეთ მონაკვეთზე, ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე, ჰერაკლეური ამფორაც გამოჩნდა, რომელიც შემდგომ 140-ე სამარხულ კომპლექსს დაუკავშირდა. 92-ე კვადრატში, თანამედროვე ზედაპირიდან 80 სმ-ის სიღრმეზე, გამოჩნდა წვერით ქვემოთკენ მიმართული ხის კუბოს სახურავის რკინის ლურსმნებიც (რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით შესაძლებელი ხდება თვით კუბოს მიახლოებითი ზომების აღდგენა). რკინის ლურსმნები 139-ე სამარხს ეკუთვნოდა. 93-ე კვადრატში პრეპარირებულ იქნა კიდევ ერთი სააღაპო მოედანი, ხოლო 95-ეში – ორი ალაპი. მე-4 და მე-5 ალაპების წინ, ფხვიერი სილნარი გრუნტის დასასრულს, დაფიქსირდა არხის არსებობა, რომლის სიგანე 30 სმ-ია. არხი შედიოდა ალაპების ქვემოთ. არაა გამორიცხული, რომ იგი წარმოადგენდა მსხვერპლად შეწირული ცხოველების სისხლსადენ არხს. 92-ე კვადრატში აღმოჩნდა კრატერის ყურის ნატეხი, რომელიც არაა გამორიცხული, რომ ეკუთვნოდეს 2012 წელს ახლომდებარე სააღაპო მოედანზე აღმოჩენილ წითელფიფურულ კრატერს. ფხვიერი სილნარი ფენის შესწავლის შემდეგ მიუხაზლოვდით ფიჭვნარისათვის დამახასიათებელ ე.წ. მკვრივ სილნარ გრუნტს. ალაპთა დონეების შენარჩუნებით გაიწმინდა მთელი მოედანი. უმეტესად სწორედ ამ დონეზეა ჩატარებული ცალკეული სამარხები. მათმა რიცხვმა შვიდს მიაღწია (ტაბ. I,1). ყველა მათგანში წარმოდგენილი იყო

1. ამირან კახიძე, ემზარ კახიძე, ფიჭვნარი V – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი). ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველო-ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1967-2012 წწ), (ბათუმი-ოქსფორდი, 2014), 16.

2. კახიძე, კახიძე, ფიჭვნარი V, 109-123.; 2016 წ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლები: ამირან კახიძე, ნარგიზ სურმანიძე, ზურაბ ვარშანიძე, ნონა მეფარიშვილი, ნინელი ვაშაკიძე, მალხაზ ნაგერვაძე, ანზორ ჯაველიძე, ნინო კონცელიძე, მეგი ხალვაში, ალექსანდრე აბულაძე, ნუგზარ აფაქიძე.

საინტერესო არტეფაქტები. ერთდროულად წარმოებდა სარიტუალო მოედნებისა და სამარხეული კომპლექსების პრეპარაცია (ტაბ. I,2; 2,1). საბოლოოდ მივიღეთ შთაბეჭდავი სურათი: ჭრილში წარმოდგენილია ჰუმუსი, ფხვიერი სილნარი ფენა და მკვრივი სილნარი გრუნტი. შევინარჩუნეთ ალაპების ღონეც. ესენი, ძირითადად, თანამედროვე ზედაპირიდან 40-50 სმ-ის სიღრმიდან ჩნდებიან.

### **საალაპო მოედნები და სამარხები.**

**ალაპი № 1.** NW-23 სექტორი, 92-ე კვადრანტი. მოიცავს 0.9X0.8 მ ფართობს. ალაპი გამოჩნდა თანამედროვე ზედაპირიდან 0.7 სმ-ის სიღრმეზე. ალაპი ტიპურია - დამწვარ-დანახშირებულ ფენაში შერეულია დამტვრეული თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთა შორის სჭარბობს ატიკური შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები.

**ალაპი № 2.** NW-23 სექტორი, 93-ე კვადრანტი. გამოჩნდა თანამედროვე ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე. მოიცავს 1.2X0.75 მ ფართობს. აქაც წამყვანია შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. როგორც ჩანს, რიტუალთან დაკავშირებულ სამეთუნეო ნაკეთობათა დამტვრევის მიზნით, საგანგებოდ მოუტანიათ ქვის კენჭები.

**ალაპი № 3.** NW-23 სექტორი, 94-ე კვადრანტი. 141-ე სამარხის დასავლეთით. სარიტუალო მოედანმა თავი იჩინა თანამედროვე ზედაპირიდან 35 სმ-ის სიღრმეზე. დამწვარ-დანახშირებულ ფენას ეკავა 1.2X1.0 მ ფართობი. მისი სიძლიერე 20 სმ-ია, აქაც შერეული იყო ქვის კენჭები, წითელკეციანი ლანგრისა და, როგორც წესი, შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები.

**ალაპი № 4.** NW-23 სექტორი, 95-ე და 96-ე კვადრატების საზღვარზე. გამოჩნდა ჯერ კიდევ 2012 წ. მისი შესწავლა დავასრულეთ. სიღრმე თანამედროვე ზედაპირიდან 0.5 სმ-ია, ზომები 1.0X0.5 მ. შავი ნალვენთი ფენები ვრცელდება 60 სმ-ის სიღრმეზე. აღმოჩნდა წითელ ფიგურულპალმეტიანი ლეკითოსი, შავლაკიანი სამარილე, არის კილიკისა თუ სხვა სახის ჭურჭლის ნატეხები.

**ალაპი № 5.** NW-23 სექტორი, 95-ე კვადრატის დასავლეთი მონაკვეთი. პირველი ნატეხები გამოჩნდა თანამედროვე ზედაპირიდან 0.3 მ-ის სიღრმეზე. ეკავა მოზრდილი ფართობი – 2.3X2.3 მ. როგორც ჩანს, ვრცელდებოდა გაუთხრელ ფართობშიც. სხვა მრავალრიცხოვან ნატეხებთან ერთად ყურადღებას იქცევს წითელფიგურული კრატერის მთლიანად დაცული ძირი და მეანდრის ორნამენტებით მოხატული გვერდის ნატეხები. ერთი კრატერი 2012 წ აღმოჩნდა. ჩანს, რომ ფიჭვნარელი ელინები ამ ეპოქისათვის ალაპის წესის შესრულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. არის ფილტრიანი გუტუსის ფრაგმენტები. სშირად ჩნდება კალცირებული ძვლები. ისინი თავმოყრილი იყო პირქვე ჩამხობილი კრატერის ძირს ქვემოთ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მე-5 ალაპის წინ გამოჩნდა „ნაპურვალას“ მსგავსი ბილიკი, რომელიც ალაპს ქვემოთ შედის. არაა გამორიცხული, რომ ეს არხი გამოიყენებოდა მსხვერპლად მიტანილი ცხოველის სისხლის ნაკადის სადინრად.

**სამარხი № 137.** NW-23 სექტორი, 92-ე კვადრანტი. აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. ზომები: 1.9X0.9X1.15 მ. ხის კუბოს ზომებია: 1.6X0.7X0.25 მ-ზე. კუბოს ძირის ლურსმნები გვერდებიდან ყოფილა მიჭედებული. აშკარაა, რომ ხის კუბოს დამზადებული კარკასის ჩადება ხდებოდა სამარხეულ ორმოში. საიმქვეყნო ნივთების ჩალაგების შემდეგ კი, სახურავს ზემოდან აჭედებდნენ. შესაბამისად, ზედა

დონის რკინის ლურსმნები წვერით ქვემოთკენაა მიმართული. სამარხში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის ინვენტარი: თავის მარჯვენა მხარეს იდო წაფერდებული თიხის ოინოხოია, პირის არეში პრეპარირებულ იქნა ვერცხლის მონეტა, მარჯვენა ხელთან – რკინის სამაჯური, მარცხენასთან – ბადისებრორნამენტიანი ლეკითოსი, მარჯვენა ფეხთან ჩაუდგამთ პატარა ზომის ჯამი (ტაბ. II,2). სამარხის ჩრდილო კედელთან ახლოს, 50 სმ-ის მოშორებით, აღმოჩნდა სააღაპო მოედანი №1.

**სამარხი № 138.** NW-23 სექტორი, 93-ე კვადრანტი. აღმოსავლეთისაკენაა დამხრობილი. ზომები: 2.2X0.95X0.95 მ. ხის სახურავიანია. ზომები: 2.0X0.7 მ. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, ყელის არეში, აღმოჩნდა ოქროს ნახევარმთვარისებური სადა საკიდი, მასთან ახლოს – ორიოდე მძივი. ხელების არეში ჩაუდგამთ შავლაკიანი არიბალისებრი ლეკითოსი, მასზე მიწებებული იყო რკინის ბეჭედი. მეორე ასეთივე ლეკითოსი აღმოჩნდა მარცხენა ფეხთან, მარჯვენასთან კი – ნაცრისფერკეციანი დოქი (ტაბ. III,1).

**სამარხი № 139.** NW-23 სექტორი, 92-ე კვადრანტი. როგორც წესი, აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული. ზომები: 1.85X1.2X1.0 მ; ხის კუბოს ზომებია: 1.8X0.97X0.3 მ. ყელის არეში აღმოჩნდა ხუთი ოქროს მძივი, ორი ცალი პასტის იოტი, ერთი მინისებრი პასტის წვრილი და ერთიც – თვალადი მძივი. ამათთან ახლოს იდო წითელფიფურული არიბალისებრი ლეკითოსი. მარცხენა ხელთან აღმოჩნდა ვერცხლის სამაჯური, მარჯვენასთან – ბრინჯაოს ბეჭედი (ადგილზე დაიშალა). მარცხენა ფეხთან ჩაუდგამთ თიხის მოზრდილი ადგილობრივი დოქი. აქვე იყო რკინის სამაჯური (ტაბ. III,2). შესადლებელია კუბოს სახურავის ჩაქცევის გამო ნივთმა ადგილმდებარეობა იცვალა.

**სამარხი № 140.** NW-23 სექტორი, 91-ე კვადრანტი. აღმოსავლეთისაკენაა დამხრობილი. ზომები: 2.3X1.2X1.0 მ. ხის კუბოს ზომებია: 1.9X0.95X0.35 მ. ყელის არეში მიმობნეული იყო თვალადი მძივები. აქვე იყო ვერცხლის მონეტა და ბრინჯაოს ზარაკი. მარცხენა ხელთან გაიწმინდა ბრინჯაოს სამაჯური და ვერცხლის ორი ბეჭედი. მარჯვენა ხელთან ჩაუდგამთ ნაცრისფერკეციანი დოქი, ხოლო მარჯვენა ფეხთან – ჰერაკლეური ამფორა (ტაბ. IV,1).

**სამარხი №141.** NW-23 სექტორი, 94-ე კვადრანტი. აღმოსავლეთისაკენაა დამხრობილი. სამარხი ორმოს ზომებია: 2.0X2.0X0.95 მ. თავის არეში პირველ რიგში გამოჩნდა თიხის ადგილობრივი დოქი. მას გვერდით ედგა თიხის ჯამი და შავლაკიანი სკიფოსი. დაფიქსირდა მონეტისა და კბილის ემალის ნაშთების არსებობაც. ფეხების არეში, უფრო მარცხენასთან ახლოს აღმოჩნდა შავლაკიანი არიბალისებრი ლეკითოსი (ტაბ. IV,2).

**სამარხი №142.** NW-23 სექტორი, 93-ე კვადრანტის დასავლეთი მონაკვეთი. გამოიკვეთა სამარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი. მისი სიგანე 1.1 მ-ია, დაფიქსირებული სიგრძე 0.45 მ. ამ სამარხის მთლიანი კონტურის გამოჩენა-შესწავლა მომავლისათვის გადავლეთ.

**სამარხი №143.** NW-23 სექტორი, 93-ე კვადრანტი. სამარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი ექცევა 83-ე კვადრანტში, რომელიც გამოვაჩინეთ 2012 წ. დანარჩენების მსგავსად, ეს განსასვენებელიც ზუსტად აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. სამარხი ორმოს ზომებია: 2.0X1.1X1.4 მ. პირველად ჰუმუსის მოხსნის შემდგომ, ზედა დო-



ნეზე პრეპარირებულ იქნა რკინის 6 ლურსმანი, რომელთა განლაგების საფუძველზე ხის სახურავის ზომებია: 1.3X0.7 მ. ხელების არეში აღმოჩნდა მთლიანად დაცული ბადისებრონამენტიანი ამფორისკი. ეს უკვე მეორე შემთხვევაა ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის ბერძნული ნეკროპოლისისათვის. ამ ტიპის მოხატული ვაზები ისედაც იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. ფიჭვნარის ელინი მოსახლეობა არ ყოფილა მოკლებული მსგავს მაღალმხატვრულ ნაკეთობებს. ხელების არეში აღმოჩნდა რკინის ბეჭედი. დანარჩენი ნივთები ჩადგმული იყო ფეხებთან, ე.ი. სამარხის დასავლეთ ნაწილში. მათ რიცხვს განეკუთვნება დამდიანი თაზოსური ამფორა. ესეც, ადრინდელი მონაცემების მსგავსად, გამოირჩევა მაღალმხატვრულობით. ამფორის წინ ჩაუდგამთ იონიური ჭურჭელი, მარჯვენა მუხლთან – შესანიშნავი ატიკური შავლაკიანი კილიკი, ფეხთან ახლოს – თიხის ადგილობრივი ჭურჭელი. კილიკსა და ღოქს შორის დაფიქსირდა ბრინჯაოს ნივთი.

### **სამარხეული ინვენტარი**

ისევე როგორც წინა წლებში, 2016 წელს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მონაპოვრი დაფიქსირდა. წამყვანი ადგილი სამეთუნეო ნაკეთობას უკავია. მეტ-ნაკლები რაოდენობით ჩნდებოდა სამკაული, მონეტები, პალესტრთან დაკავშირებული ნივთები და ა.შ. მოკლედ შევჩერდებით ცალკეულ ჯგუფებზე.

კერამიკული ტარიდან მოპოვებულია ორი საწარმოო ცენტრის ამფორები. პირველი უკავშირდება ეგოსის სამყაროს მნიშვნელოვან კუნძულ თაზოსს; აქვს სამკუთხაგანიკვეთიანი პირი, მხრებისკენ თანაბრად გაფართოებული ცილინდრული ყელი, ტანი მომრგვალებული, ძირი მომალლო, ფოსოიანი, ყურები ოვალურგანიკვეთიანი; ყელის არეში დაშტამპულია სამი ასო. თაზოსური პროდუქციის იმპორტი ფიჭვნარში უწყვეტი ჩანს მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში.

ძვ.წ. IV ს-ის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებას იწყებს პონტოსპირეთის სხვა ცენტრების კერამიკული ტარა. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია სამხრეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ, ჰერაკლეს ამფორები. ძვ.წ. IV ს-ის ჰერაკლეურ ამფორებს ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლისის მონაპოვარში ერთ-ერთ წამყვანი ადგილი უკავია. ისინი სამხრეთ შავიზღვისპირეთის მეორე მნიშვნელოვან სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრის, სინოპეს კერამიკულ ტარასთან შედარებით ადრე იწყებენ გავრცელებას. 140-ე სამარხში აღმოჩნდა ამ ცენტრის თითქმის მთლიანად დაცული ჰერაკლეური ამფორა (ქ-ფ.ბ.IV, 2016/63), რომელსაც აქვს სამკუთხაგანიკვეთიანი პირი, ზედა კალთა ოდნავ მომრგვალებული, მაღალი ცილინდრული ყელი, დაქანებული მხრები, კონუსური ტანი, ძირი არაა დაცული. ყური ოვალურგანიკვეთიანია, ბოლოებზე არამკვეთრი თითისებრი ანაბეჭდით. სიმაღლე 57 სმ., პირის დიამ – 9.5 სმ, ყელის დიამ. – 10 სმ.

წამყვანი ადგილი საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ ათენში დამზადებულ პროდუქციას უკავია, რომლისგანაც პირველ რიგში გამოსაყოფია ატიკური შავლაკიანი კერამიკა. წარმოდგენილია როგორც მოხატული წითელფიგურული, ისე ორნამენტირებული და სადა ნიმუშები. როგორც ვნახეთ, მსგავსი ნაკეთობანი განსაკუთრებით უხვადაა აღმოჩენილი სარიტუალო მოედნებზე. ზოგჯერ შესანიშნავი მაღალმხატვრული ნიმუშები ჩაუყოლებიათ თვით სამარხეულ კომპლექსებში. პირველ რიგში

აღსანიშნავია კრატერის ძირი, ყურისა და ტანის ფრაგმენტები (ქ-ფ.ბ.IV,2016/45); დისკოსებრი ძირი მთლიანადაა დაცული, ღრმა შიდაპირი რეზერვუარებულია. ამავე კრატერს უნდა ეკუთვნოდეს ტანის ნატეხი მეანდრის ორნამენტით. პირი სამკუთხა-განივკვეთიანი და გარეთკენ გადაშლილია. ყელის არეს შემოუყვება ზეთისხილის შტოებისაგან შედგენილი ორნამენტი. ყური მრგვალგანივკვეთიანია. არის უსახური ნატეხებიც. ძირის დიამ. – 14,5 სმ. საინტერესოა, რომ ამ უბანზე მეორე კრატერის ნატეხები აღმოჩენილია სააღაპო მოედანზე.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია კრატერის ყური (ქ-ფ.ბ.IV,2016/2), რომელსაც ლაკი გადაცლილი აქვს, მრგვალგანივკვეთიანია. არაა გამორიცხული, ეკუთვნოდეს 2008 წ აღმოჩენილ წითელფიგურულ კრატერს<sup>3</sup>.

2016 წელს გათხრებით გამრავლდა არიბალისებრი ლეკითოსების რიცხვი, მათ შორის, მოხატული ნიმუშებისა. მათ რიცხვს განეკუთვნება 138-ე სამარხის ლეკითოსი (ქ-ფ.ბ.IV, 2016/53). ფორმა ტიპურია. გამოსახულია ქალის თავი მარჯვენა პროფილში. შესანიშნავად იკითხება შევსებული სახის თითქმის ყველა ნაკვთი. აქვს მაღალი შუბლი, სწორი ცხვირი, გამოკვეთილი ტუჩები და ნიკაპი, სქელი კისერი. თვალი აქცენტირებულია შავი ხაზით. იკითხება წარბი და წამწამი. სახეზე ჩამოშვებული აქვს კულულები. თავის დანარჩენი ნაწილი ქუდით აქვს დაფარული, რომელიც შემკულია ვერტიკალური ხაზების ორი წყვილი ზოლით. მათ შორის არე დაწინწკლულია სხვადასხვა ზომის წერტილების მთავარი ხაზებით. წერტილები დატანილია ვერტიკალურ ზოლებზეც. სახის წინ მოცემულია წითელფიგურულ ვოლუტიანი ნახევარპალმეტი, ბოლოში შემოუყვება წყვილი ფონისმიერი ზოლი. სიმაღლე – 9.5 სმ, პირის დიამ. – 3.3 სმ, ყელის დიამ. – 2.3 სმ, ძირის – 4 სმ.

კიდევ უფრო მეტია ე.წ. სტანდარტიზებული პალმეტიანი წითელფიგურული არიბალისებრი ლეკითოსები. ერთ-ერთი მათგანი (ქ-ფ.ბ.IV,2016/40) სარიტუალო მოედანზეც იყო წარმოდგენილი. ტანი მთლიანადაა დაცული, შემორჩენილია მომტკრეული პირისა და ყელის ფრაგმენტები. ათშტოიან პალმეტს ფონისმიერი რკალი შემოუყვება ირგვლივ. ლაკი მურა-მონაცრისფროა. ჩანს სააღაპო ცეცხლის მოქმედების კვალი. ყური ვიწრო აქვს, ოვალურგანივკვეთიანი, რაც იშვიათია ამ ტიპის სანელსაცხებლე ჭურჭლისათვის. დანარჩენები თვით სამარხებში ჩაყვლილია. ერთის პალმეტი რვა შტოიანიანია (ქ-ფ.ბ.IV,2016/54), მეორის – თორმეტშტოიანი (ქ-ფ.ბ.IV,2016/59).

მე-3 სააღაპო მოედნის ლეკითოსის ნატეხებზე ყელმოღერებული გედის ცალკეული დეტალები უნდა იყოს შემორჩენილი (ქ-ფ.ბ.IV,2016/31).

ყურადღებას იქცევს ბადისებრორნამენტის ვაზები. კბულასი მიიჩნევა, რომ საქმე გვაქვს საგანგებო გამოგონებასთან. ზოგადად ქერჩის ვაზების თანადროულად მიიჩნევა<sup>4</sup>. მათი ტანი დაფარულია შავლაკიანი ხაზებით შექმნილი ბადით, რომელთა გადაკვეთის ადგილები თეთრი საღებავით დატანილი წერტილებითაა აღნიშნული. უახლეს აღმოჩენებში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ერთი ამფორისკი (ქ-ფ.ბ.IV,2016/80), რომელიც მთლიანადაა დაცული. წარმოადგენს ფიჭვნარის მოხატული კერამიკის მაღალმხატვრულ ნიმუშს. აქვს კონუსისებური პირი, ცილინდრული ყელი, კვერცხისებური ტანი, კონუსისებური ძირი. პირის შიდა და გარეთა

3. კახიძე, კახიძე, ფიჭვნარი V, 25, ტაბ. 45.

4. Casimir Bulas, Etude sur une classe de vases à décor en forme de réseau ou d'écailles. Bulletin de Correspondance Hellénique 56.1-2 (Paris,1932), 394, tab. XXI.

კალთა შავი ლაკითაა დაფარული. ყელის ორივე მხარეს დატანილია შავი ლაკის ოთხკუთხა ფიგურები. მრგვალგანივკვეთიანი ყურები მიდერწილია პირს ქვემოთ. ყურების ზურგი შავი ლაკითაა დაფარული. მხრის არე შემკულია ზემოდან წყვილი და ტანის დასაწყისთან საკმაოდ ფართო შავი ლაკის წრეხაზით შემოფარგლული წაგრძელებული, თეთრსაღებავებიანი ოვებით (ხუთ-ხუთი). ტანის არე მთლიანადაა დაფარული ბადისებრი ორნამენტით. ცალკეულ რომბებში ჩასმულია სხვადასხვა ზომის თეთრი წერტილები. ამფორისკს ძირთან ახლოს შემოუყვება შავი ლაკის ფართო ზოლი. ლაკითაა დაფარული კონუსისებრი ძირის გარეთა კალთა, დანარჩენი ზედაპირი რეზერვირებულია. ამფორისკი მიეკუთვნება იშვიათ მონაპოვართა რიცხვს, რომელიც ერთიანდება პანათენიკური ამფორისკების კლასში. სიმაღლე – 9.4 სმ, პირის დიამ. – 2.7 სმ, ყელის დიამ. – 2.5 სმ, ძირის დიამ. – 2.6 სმ.

ბადისებრორნამენტოანი ამფორისკი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. ადრე ფიჭვნარიდან ცნობილი იყო ერთადერთი ცალი<sup>5</sup>. ჯ. ბიზლის მიერ „ბულასის ჯგუფად“ წოდებულ ბადისებრორნამენტოანი ლეკითოსების რიცხვში გაერთიანდა ასეთივე სამკაულის მქონე ამფორისკები, რომლებიც უკავშირდებიან მინიატურულ პანათენიკურ ამფორისკებს; ოლინთოს მონაპოვრების მიხედვით ასკენის, რომ ისინი 348 წელზე, ქალაქის დანგრევის თარიღზე ადრეულებია<sup>6</sup>. ეს თარიღი სრულიად მისაღებია ჩვენი მონაპოვრებისათვის. საქართველოს სხვა ძეგლებზე ატიკური მოხატული კერამიკის მსგავსი ფორმა ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი. მსგავსი ამფორისკის რამდენიმე ნიმუში გასული საუკუნის 60-იან წლებში ვნახეთ მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (№№ 2743-2744). ასეთივე ამფორისკი დაცულია რუმინეთში, ე.წ. მავროსის კოლექციებში<sup>7</sup>. არის სხვა პარალელებიც<sup>8</sup>. მდიდრულადაა გაფორმებული დანიაში დაცული ამფორისკი<sup>9</sup>, რომელიც უახლოვდება ჩვენს მონაპოვარს.

137-ე სამარხში ბადისებრორნამენტოანი ლეკითოსიც ჩაუტანებიათ (ქ.ფ.ბ. IV, 2016/48). ფორმა ტიპურია. ფიჭვნარელი ელინები ამ სახის მოხატული ჭურჭლის საკმაოდ ფართო მომხმარებელი ყოფილან<sup>10</sup>.

მე-3 სააღაპო მოედანზე აღმოჩნდა წითელფიგურული ასკის ნატეხები (ქ.ფ.ბ. IV, 2016/28), აქვს ბრტყელი, რეზერვირებული ძირი, დაბალი, ზემოთკენ მორგვალებული ტანი, ცილინდრული ყელი, ძაბრისებური პირი. ერთ ფრაგმენტზე პროფილში გადმოცემულია მტაცებელი ცხოველის (ავაზა?) ფიგურა დინამიკურ პოზაში - ერთი ფეხი წინ აქვს გადადგმული, ხახა ოდნავ დაღებულია, ყელის არე შემკულია შავი წინწკლებით.

ორნამენტირებული და სადა შავლაკიანი კერამიკა ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია. განსაკუთრებით გულუხვად უმტვრევიათ დაკრძალვის შემდგომი რიტუა-

5. კახიძე, კახიძე, ფიჭვნარი V, 29, ტაბ. 13/1.

6. Beazley John Davidson, *Miniature panathenaics*. The Annual of the British School at Athens 41, (1940-1945), 13, tab. 3/9.

7. Suzana Dimitriu, Petre Alexandrescu, Vladimir Dumitrescu, *Corpus Vasorum Antiquarum: Roumanie 1*, Institut d'archaeologie, Musee National des Antiques 1, Bucarest 1965, 40, tab. 35/18.

8. Konrad Schauenburg, *Corpus Vasorum Antiquarum: Deutschland 10*, Heidelberg Universität 1, München. 1954, 63, tab. 38/14; Zampieri Girolamo, *Ceramica greca, etrusca e italiota del Museo Civico di Padova*, Rome, 1991, 97.

9. Christian Blinkenberg, Knud Friis Johansen, *Corpus Vasorum Antiquarum: Danemark 4*, Copenhagen, Musée National 4, Paris. 1931, tab. 168/5.

10. კახიძე, კახიძე, ფიჭვნარი V, 30-31, ტაბ. 14/4, 15/3; 16/2; 17/1,2; 18/2; 27/6; 37/10; 40/5; 59/5; 65/4; 67/5.

ლის შესრულებისას. ბუნებრივია, ჩაუტანებიათ საიმქვეყნო ინვენტარადაც. წამყვანია ლენინის სმასთან დაკავშირებული ჭურჭელი. ზომიერადაა წარმოდგენილი საპარფიუმერიო თუ ტუალეტთან დაკავშირებული ნიმუშები. სიტყვას ვერ გავავრძელებთ საალაპო მოედანზე აღმოჩენილი სადა შავლაკიანი კერამიკის შესახებ. ესენი არსებითად იმეორებენ ფიჭვნარის ადრინდელ მონაპოვრებს (ქ-ფ.ბ.IV, 2016/4, 8, 9, 11, 13, 17, 22, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41 და სხვ.). ასევე ითქმის შტამპირებული ორნამენტით შემკული ატიკური შავლაკიანი ნაკეთობებთან დაკავშირებითაც (ქ-ფ.ბ.IV, 2016/6, 18, 26, 30, 32, 42, 43 და სხვ.). ამ სახის ნაკეთობის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება ადრინდელი გამოცემებში. აღმოჩენილია შედარებით იშვიათი ცალეხი. მაგალითად, ბოლსალისებრი ჭურჭლის ძირი (ქ-ფ.ბ.IV, 2016/19); ქუსლი გარეთ აქვს გაზიდული, საყრდენი არე მომრგვალებულია, გარეთა ზედაპირი რეზერვირებულია, ქუსლთან ახლოს დატანილია შავი ლაკის წრეხაზები. ძირი დაფარულია გადაკვეთილი რკალების ბოლოებზე აგებული პროპორციული პალმეტებით.

შავლაკიანი ჯამის (ქ-ფ.ბ.IV, 2016/42) ძირის გარეთა ზედაპირის დიდი ნაწილი მურა შავი ფერითაა დაფარული; ცენტრალურ ნაწილში შემოუყვება ფონისმიერი წრეხაზი; ქუსლის გარეთა კალთა მომრგვალებულია, ტანი მცირე ტევადობისაა, პირი მკვეთრად გამოყოფილია. ტანზე ერთი ჰორიზონტალური ზოლი აქვს შემოვლებული. ფსკერზე, ცენტრში მოცემულია რგოლის ირგვლივ განლაგებული რკალებით დაკავშირებული პალმეტები, რომლებიც შემოსაზღვრულია წრეხაზებით შემოფარგლული ოვების ორნამენტით.

ერთ-ერთი ფრაგმენტირებული შავლაკიანი ჭურჭლის (ქ-ფ.ბ.IV, 2016/20) ძირის შიდა ზედაპირის ცენტრალურ, შედარებით ფართო წრეხაზზე დატანილია ურთიერთდამორებული ოვები. მსგავსი ქარგა უცნობია ფიჭვნარისათვის.

შავლაკიანი ჭურჭლის (ქ-ფ.ბ.IV, 2016/14) მასიური ქუსლი მომტვრეულია, გარე ზედაპირზე რეზერვირებული ძირი შემკულია შავი ფართო წრეხაზით. ძირის შიდა ზედაპირზე, ცენტრალურში, პატარა ზომის წრეზე დაშტამპულია ვერტიკალურ პატარა ზომის ხაზებზე აგებული პალმეტები, რაც იშვიათი სამკაულია ამ ეპოქის კერამიკისათვის.

გვაქვს შავლაკიანი ჯამის ძირი (ქ-ფ.ბ.IV, 2016/21), რომლის გარეთა კალთა მომრგვალებულია, რეზერვირებული. ქუსლთან ახლოს შემოუყვება შავი წრეხაზი. ძირის შიდა ზედაპირის ცენტრალური ნაწილი დაზიანებულია. დატანილი უნდა ყოფილიყო ოვებით შედგენილი წრეხაზი, რომელსაც მოსდევს რკალებით დაკავშირებული პალმეტები. პალმეტებს შორის მოცემულია შედარებით მცირე ზომის პალმეტები. მსგავსი ქარგაც იშვიათია ამ სახის კერამიკისათვის.

შტამპირებულ ორნამენტიანი შავლაკიანი კილიკი (ქ-ფ.ბ.IV, 2016/79) აღმოჩნდა 143-ე სამარხში. აქვს მაღალი, მკვეთრად გამოყოფილი პროფილირებულ ქუსლიანი ძირი; ღრმა ტევადობის მომრგვალებული ტანი; მაღალი, გარეთკენ მიმართული პირი; პირს ქვემოთ მიძერწილია ტრაპეციისებრი, ზემოთკენ მიმართული, ოდნავ ბოლოებმორკალული ყურები; ძირის გარეთა ზედაპირის ცენტრალური მონაკვეთი დატოვებულია თიხისავე ფონზე, ანგობირებულია; ცენტრში ჩახატულია წერტილიანი წვრილი წრეხაზი, მოშორებით წვრილი და ფართო წრეხაზები. რეზერვირებული ზოლი შემოუყვება ტანის დასაწყისთან ახლოს. დანარჩენი ზედაპირი დაფარულია



კარგი ხარისხის შავი ატიკური ლაკით. ძირის შიდა ზედაპირის ცენტრალურ წრესაზე განლაგებულია რკალებით დაკავშირებული ხუთი პალმეტი, რომლებიც შემოფარგლულია წრესაზე სორის მოქცეული ოვების ორნამენტით. სამკაული გამოირჩევა პროპორციულობითა და მაღალ მხატვრულობით. სიმაღლე 6 სმ., პირის დიამ. 10.5 სმ., ძირის დიამ. 6 სმ.

141-ე სამარხში ჩაუდგამთ მთლიანად დაცული შავლაკიანი სკიფოსი (ქ-ფ.ბ.IV,2016/73). აქვს რგოლისებური ქუსლი, არც თუ ისე მაღალი ტანი, პირი ოდნავ გარეთაა გადაშლილი. მრგვალგანივკვეთიანი ჰორიზონტალური ყურები პირთან ახლოსაა მიძერწილი. ქუსლის საყრდენი არე და ძირი რეზერვირებულ-ანგობირებულია. ცენტრში ჩახატულია შავწერტილიანი წრესაზე. ლაკი სქლადაა წასმული. სიმაღლე – 8.5 სმ, პირის დიამ. – 9 სმ, ძირის დიამ. – 6 სმ.

ამავე სამარხში აღმოჩნდა შავლაკიანი იხთია (ქ-ფ.ბ.IV,2016/24). აქვს მასიური, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ქუსლი, ძირის გარეთა ზედაპირი ამობურცულია. პირგადაშლილია, პირის ზედა კალთა წყვილი ჰორიზონტალური ღართაა შემკული. ცენტრში მოცემულია საკმაოდ ღრმა საწვენე განყოფილება. ძირის დიამ. – 8 სმ, საწვენე განყოფილების დიამ. – 6 სმ.

მე-4 ალაპის მასალებს შორის აღსანიშნავია შავლაკიანი გუტუსის ნახევარსფერული ფილტრი (ქ-ფ.ბ.IV,2016/46). ყურადღებას იქცევს თიხის ჯამი (ქ-ფ.ბ.IV,2016/49), პატარა ზომის, ფართო, დისკოსებურძირიანია. ტანი დაბალი აქვს, მცირე ტევადობის, სადა. ყვითელკეციანი და მინარევებიანია. მსგავსი ჭურჭელი პირველად აღმოჩნდა ბერძნულ ნეკროპოლისზე. უცხოური ნაკეთობა უნდა იყოს. პირის დიამ. – 7.5 სმ, ძირის დიამ. – 6.8 სმ, სიმაღლე – 2 სმ.

როგორც წესი, ფიჭვნარის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში, სამარხეულ კომპლექსებსა თუ საალაპო მოედნებზე საკმაოდ ხშირადაა წარმოდგენილი ე.წ. ნაცრისფერკეციანი თიხის ნაკეთობანი. მათ შორის წამყვანია ღოქები. ერთ მათგანს (ქ-ფ.ბ.IV,2016/64) აქვს გადაშლილი, სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, ცილინდრული ყელი, მომრგვალბული, სფეროსებრი შედარებით დაბალი ტანი, რგოლისებრი ქუსლი. ბრტყელგანივკვეთიანი ორად გაღუნული ყურის ზედა ბოლო პირზეა დაძერწილი, ქვედა - ტანის არეში. ტანზე ალაგ-ალაგ შერჩენილია შავი საღებავის კვალი.

ყურადღებას იქცევს ღოქი (ქ-ფ.ბ.IV,2016/27), რომელსაც ყელი დაღარული აქვს. ბრტყელგანივკვეთიანი ყური ორდაა გაღუნული. წარმოდგენს ე.წ. ნაცრისფერკეციანი ღოქის ნაირსახეობას. კეცი ღია მოყვითალო, მინარევებიანია. პირგადაშლილია.

იმპორტული კერამიკის მორივ სახეობას სადაზოლებიანი იონიური ჭურჭელი ქმნის, ამ დროისათვის მათი რიცხვი მოკრძალებულია, მაგრამ არსებითია ის, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ამ ცენტრებთან კავშირები არქაული და მთელი კლასიკური ხანის მანძილზე უწყვეტი ჩანს, ისინი წარმოდგენილია საალაპო მოედანზე აღმოჩენილი ცალკეული ნატეხებისა (ქ-ფ.ბ.IV,2016/25,39) თუ ზოგჯერ სამარხში ჩატანებული მთლიანი ცალების სახით. ერთ-ერთ მათგანს (ქ-ფ.ბ.IV,2016/78) აქვს დაბალი ოთხკუთხაგანივკვეთიანი ქუსლი, თხელკედლიანი სფეროსებრი ტანი, ვიწრო დაბალი ყელი, მკვეთრად გამოყოფილი სამკუთხაგანივკვეთიანი პირი. მის ქვემოთ შემოუყვება რელიეფური ქელი. ყური ბრტყელი აქვს. ზედა ბოლო მიძერწილია პირს ქვემოთ ქედის გასწვრივ, ქვედა - ტანის არეში. ტანის ზედა ნახევარს შემოუყვება



მოშავო ფერის სადა ჰორიზონტალური ზოლები. კეცი განატეხსა და შიდა ზედაპირზე ნაცრისფერია, გარეთაზე - მოყვითალო-მოვარდისფრო. უნდა წარმოადგენდეს სადა იონიური კერამიკის ნაცრისფერკეციანი დოქების მინაბაძს.

გვიანკლასიკური ხანისათვის სამარხეულ ინვენტარად ფიჭვნარელი ელინები ხშირად იყენებენ ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმს. ისინი სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნებიან. თიხის ჯგუფების სახით წარმოდგენილია კავკასიური არეალისათვის დამახასიათებელი ნიმუშები. ერთ-ერთ მათგანს (ქ-ფ.ბ.IV,2016/72) აქვს ფართო, ბრტყელი ძირი; არც თუ ისე ღრმა ტევადობის მომრგვალებული ტანი. კეცი მოშავო-მოყავისფროა. სიმაღლე - 3.6 სმ, პირის დმ - 11 სმ, ძირის დმ - 6.5 სმ. სააღაპო მოედნებზე აღმოჩენილია ამ სახის ჭურჭლის ცალკეული ნატეხები.

ბუნებრივია, უფრო ხშირად ჩნდება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ადგილობრივი დოქები. ერთ-ერთ მათგანს (ქ-ფ.ბ.IV,2016/71) აქვს ოდნავ შეზნექილი, ბრტყელი ძირი, სფეროსებრი ტანი, მაღალი ოდნავ გაფართოვებული ყელი, პირი სადაა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირს ქვემოთ. ყელის დასაწყისს შემოუყვება არასიმეტრიული და არამკვეთრი ჰორიზონტალური ღარები, შუა წელს კი, სადა ჰორიზონტალური ზოლების 4 რიგი. კეცი მოყავისფრო-მოშავოა. სიმაღლე - 21 სმ., პირის დმ. - 8 სმ, ყელის დმ. - 6 სმ, ტანის დმ. - 17.8 სმ, ძირის დმ. - 10 სმ. მეორე დოქს (ქ-ფ.ბ.IV, 2016/58) აქვს ბრტყელი ძირი, ოდნავ მომრგვალებული ბიკონუსური ტანი. ძაბრისებური პირი ყელისაგან არაა გამოყოფილი, ოვალურგანივკვეთიანი ყური ზედა ბოლო პირს ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა - მხრის არეში. კეცი მოყავისფრო-მონაცრისფროა. სიმაღლე - 23 სმ, პირის დმ. - 9 სმ, ყელის დმ. - 4.5 სმ, ტანის დმ. - 17 სმ, ძირის დმ. - 8 სმ. მესამეს (ქ-ფ.ბ.IV,2016/77) აქვს ფართო ბრტყელი ძირი, მომრგვალებული ტანი, სწორი, დაბალი ყელი, გადაშლილი სადა პირი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირს ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა - ტანის არეში. სიმაღლე - 16 სმ, პირის დმ. - 8,8 სმ, ტანის დმ. - 13 სმ, ძირის დმ. - 6,5 სმ, ყელის დმ. - 6,5 სმ.

სამაროვანზე გვხვდება კერამიკის ელინიზებული ფორმები ოინოზოიების სახით. ერთ-ერთ მათგანს (ქ-ფ.ბ.IV,2016/47) აქვს ბრტყელი ძირი, ტანი სფეროსებურად მომრგვალებული, პირი სამტუჩაა, ოვალურგანივკვეთიანი. ყურის ზედა მეჭეჭისებრ-კოპიანი ბოლო დაძერწილია პირზე. ქვედა - ტანზე. სიმაღლე - 17 სმ, პირის დმ. - 8 სმ, ყელის დმ. - 7 სმ, ტანის დმ. - 14,5 სმ, ძირის დმ. - 7,5 სმ.

გვიანბრინჯაოს ხანის, კერძოდ, ფიჭვნარის საკულტო ძეგლის თანადროული უნდა იყოს თხრილში, ზედაპირიდან 80 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი თიხის ქილისებური ჭურჭლის ნატეხები (ქ-ფ.ბ.IV,2016/1). ქილა ხელითაა ნაძერწი. სწორტანიანია, ფართო პირთან ახლოს მიძერწილია მორჩისებური, ბრტყელგანივკვეთიანი ყური. კეცი მოშავო-მონაცრისფროა. არაა გამორიცხული, უკავშირდებოდეს ფიჭვნარის გვიანბრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლის კერამიკას, რომელიც მდებარეობდა ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე.

როგორც ვხედავთ, ფიჭვნარელი მეთუნეები არსებითად აგრძელებენ ადრინდელ ტრადიციებს. სააღაპო მოედნებზე აღმოჩენილი თიხის ადგილობრივი ჭურჭლის ნატეხების მიხედვით უნდა დასტურდებოდეს, რომ აქაურ ელინთა დაკრძალვის რიტუალში შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ფიჭვნარელი კოლხების მიბაძვით აქაური ელინები ინტერესს იჩენენ სამკაულები-სადმი. ერთადერთია პატარა ზომის ნახევარმთვარიისებრი საკიდი (ქ-ფ.ბ.IV,2016/55). სადაა, ბრტყელი, მოკაუჭებული ბოლოებისაკენ შევიწროებული. ზურგზე მიჩრილულ ბრტყელ მომრგვალებულ ყუნწს შუაწელზე რელიეფური რგოლი მიუყვება. აშკარაა, რომ როგორც კლასიკური, ისე ელინისტური ხანისთვისაც ფიჭვნარის როგორც ადგილობრივ, ისე მათთან მჭიდრო კონტაქტში მყოფ ბერძნული მოსახლეობის ფენებს შორის ციური მნათობები, ამ შემთხვევაში მთვარე, თაყვანისცემის საგანი უნდა ყოფილიყო. ასევე თითო ცალია ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯური. შედარებით უკეთაა შემონახული ვერცხლის სამაჯური (ქ-ფ.ბ.IV,2016/60), მრგვალგანივკვეთიანი, ოვალური ფორმის. ორ ადგილზე აქვს ცილინდრული შესქელებები. ბოლოები სადაა, დმ. 4.5–5 სმ. ბრინჯაოს სამაჯურიც (ქ-ფ.ბ.IV,2016/68) მრგვალგანივკვეთიანია, სადა; წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით. ასევე ითქმის რკინის სამაჯურის (ქ-ფ.ბ.IV,2016/62) შესახებაც; კოროზირებულია; ალაგ-ალაგ მკვეთრად შესქელებულია. გვაქვს ორი ცალი ვერცხლის ბეჭედიც. ორივე აღმოჩნდა 140-ე სამარხში (ქ-ფ.ბ.IV,2016/69,70). პირველის ფარაკი რომბისებურია, მეორის – ოვალური ფორმის. რკალი მრგვალგანივკვეთიანებია. ერთადერთია მაგიური დანიშნულების ნივთი – ბრინჯაოს ზარაკი (ქ-ფ.ბ.IV,2016/67), პატარა ზომის, ცილინდრული ფორმის, სადა და გვერდშეჭრილია. ყუნწი სამკუთხა მოყვანილობის აქვს. სიმაღლე – 2 სმ, დმ. – 1 სმ. კვლავაც აღმოჩნდა რკინის ბეჭდები (ქ-ფ.ბ.IV,2016/57,68). აქვთ ოვალური ფორმის ფარაკი, მრგვალგანივკვეთიანი რკალი. მეტად კოროზირებულია. მძივსამკაული სამ სამარხში იყო წარმოდგენილი. 139-ე სამარხში თავის არეში აღმოჩნდა ხუთი ცალი ოქროს პატარა ზომის ფუყე მძივები (ქ-ფ.ბ.IV,2016/61). ისინი მსგავსია ამავე სამაროვანზე აღრე აღმოჩენილი ნიმუშებისა<sup>11</sup>. ამავე სამარხის ორი ცალი პასტის იოტი მსგავსია ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის კოლხური და ბერძნულ ნეკროპოლისზე აღმოჩენილი მძივებისა. ერთიც ლურჯი მინის მძივია, მრგვალი, პატარა ზომის, სადა. ერთ-ერთ სამარხში საკიდთან ერთად 109 ასეთი მძივი იყო. მსგავსი სამკაული კიდევ უფრო ხშირად ჩნდება ფიჭვნარის როგორც კოლხურ, ასევე ბერძნულ ნეკროპოლისზე. პარალელები ეძებნება საქართველოსა თუ ანტიკური სამყაროს სხვა ცენტრებიდან. 138-ე სამარხში სიმბოლურად ჩაუყოლებინათ მძივები (ქ-ფ.ბ.IV,2016/56). ორი ცალი პოლიქრომიულია; ერთი მათგანი რგოლისებურია - ფონი მუქი ლურჯი აქვს, შემკულია თეთრი რგოლით შემოფარგლული ფონისმიერი სამი თვალით. მეორე ეგზემპლარი ცილინდრული ფორმისაა - ფონი მუქი ლურჯი აქვს, ზედაპირი შემკულია ვერტიკალური თეთრი ძაფებით. 140-ე სამარხში შეგვხვდა თვალადი მინის მძივები (ქ-ფ.ბ.IV,2016/66). რგოლისებრი, ლურჯი; ყველა მათგანზე თეთრი რგოლებით გადმოცემულია ექვს-ექვსი ფონისმიერი თვლები. ადრინდელი აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ ფიჭვნარელ ელინებს შორის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ლურჯფონიანი თვალადი მძივები<sup>12</sup>.

ქარონის ობოლი ვერცხლის მონეტების სახით სამ სამარხში აღმოჩნდა (137-ე სამარხი, ქ-ფ.ბ.IV,2016/50; 140-ე სამარხი, ქ-ფ.ბ.IV,2016/65; 141-ე სამარხი, ქ-ფ.ბ.IV,2016/75). მათი დაცულობა არასასარბიელოა, ამიტომაც ვერაფერს ვამბობთ წარმომავლობის შესახებ.

პალესტრთან დაკავშირებული ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს სტრიგოლა. აქვს ბრტყელგანივკვეთიანი გალუნული სახელური, ღარიანი ლანცეტისებური მოზრდილი

11. კახიძე, კახიძე, ფიჭვნარი V, 43, ტაბ. 40/9.

12. კახიძე, კახიძე, ფიჭვნარი V, 48–49.

პირი (ქ.ფ.ბ. IV, 2016/68). მსგავსია ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნულ ნეკროპოლისზე აღრე აღმოჩენილი ნიმუშებისა<sup>13</sup>. ჩანს, რომ ანტიკური სამყაროსა და მისი პერიფერიის სხვა ცენტრების მსგავსად ფიჭვნარელ ელინებთანაც იმართებოდა შეჯიბრებები თუ სხვა სახის დღესასწაულები. საინტერესოა, რომ ფიჭვნარის თანადროული მსგავსი ინვენტარი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიაც, კერძოდ, შიდა ქართლში. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს ტახტიძირის ადგილობრივი არისტოკრატის მდიდრული სამარხები, რომლებშიაც სხვა არტეფაქტებთან ერთად რკინის სტრიგილებიცაა წარმოდგენილი<sup>14</sup>.

ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის სამაროვანზე გათხრები განახლდა 2020 წ.<sup>15</sup> 2016 წლის თხრილი ამჯერად გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით, რათა დაზუსტებულიყო მისი საზღვრები სამხრეთის მიმართულებით. როგორც ჩანს, ვრცელდება ელინიზმის ეპოქის სამაროვანად, რომელიც იწყება ასევე ქვიშაზვინულებიდან. ამ ადგილებში ათეულობით სამარხი გვაქვს აღმოჩენილი<sup>16</sup>. სამხრეთის საზღვრები მოიაზრება დაახლოებით 255 მ-მდე. მთლიანობაში სამაროვანს დაახლოებით 3 ჰა ფართობი უნდა სჭეროდა.

2020 წელს სულ 5 სააღაპო მოედანი და 9 სამარხი გაითხარა (ტაბ. V, 2). დაფიქსირდა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ადგილობრივი და იმპორტული ნაწარმი, რომელთა შორის რამდენიმე ცალი უნიკალურია ფიჭვნარისათვის. მიმდინარეობს ამ მასალის შესწავლა-დამუშავება და უახლოეს მომავალში მათ შესახებაც მოგაწვდით უფრო ვრცელ ინფორმაციას.

ასეთია მოკლე ინფორმაცია ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლისზე ბოლო ხანებში განხორციელებული სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიებათა შესახებ. ჩანს, რომ ფიჭვნარელ ელინებს ეს ადგილებიც საკმაოდ ინტენსიურად გამოუყენებიათ. ბერძენთა ადრე-წესების შესაბამისად, მეტ-ნაკლები გადახრებით მიცვალებული თავით მიმართულია აღმოსავლეთისკენ. უმეტეს შემთხვევაში ისინი ჩასვენებული ჩანან ხის კუბოში. კოროზირებული რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით შესაძლებელი ხდება მათი ზომების მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა. ბერძნულ ადრე-წესებს ექვემდებარება სააღაპო მოედნებისა თუ ხის კუბოში ინვენტარის ჩატანების კანონზომიერებანი.

13. ამირან კახიძე, მაიკლ ვიკერსი, ფიჭვნარი VI – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003–2007წწ), (ბათუმი-ოქსფორდი. 2004), 83, 105 სურ. 140/1; ამირან კახიძე, ფიჭვნარი II - ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987), (ბათუმი-ოქსფორდი 2007), 164.

14. იულონ გაგოშიძე, არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რაიონი). კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, თბილისი, 1997, 16-17.

15. 2020 წ. ფიჭვნარის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორის მრჩეველი ამირან კახიძე და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლები: ემზარ კახიძე, მალხაზ ნაგერვაძე, გურამ ჩხატარაშვილი, ანზორ ჯაგელიძე, არჩილ მალაყმაძე, მერი ყულეჯიშვილი, ბესიკ დიასამიძე, ნუგზარ აფაქიძე. პალეოლოგიურ კვლევებს ახორციელებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი მაია ჭიჭინაძე.

16. ამირან კახიძე, ნინელი ვაშაქიძე, ფიჭვნარი III – ელინიზმი და კოლხეთი. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციებისა და საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1965–2004 წწ), ბათუმი-ოქსფორდი. 2010.

*Amiran Kakhidze  
Ajara Museum  
(Georgia, Batumi)*

*Emzar Kakhidze  
Batumi Archaeological Museum  
(Georgia, Batumi)*

## **Results of Recent Researches at the Pichvnari 4<sup>th</sup> Century BC Greek Necropolis**

### **Summary**

In 2016, a small trench measuring 20x4 meters (Sector NW-23, squares: 91-93 and 95) was excavated in the area of the 4<sup>th</sup> century Greek necropolis. Five ritual platforms and seven graves were unearthed here. Imported and local grave goods as *oinochoe*, squat *lekythoi*, pendant, rings, beads jugs, bracelet, bell, black glaze *skyphos* and *kylix*, cups, coins, etc. were discovered.

## ბიბლიოგრაფია:

- გაგოშიძე იულონი**, „არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რაიონი)“. კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, თბილისი, 1997, 16-17.
- კახიძე ამირანი**, „ფიჭვნარი II - ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი)“, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987), (ბათუმი-ოქსფორდი 2007).
- კახიძე ამირანი, ვაშაკიძე ნინელი**, „ფიჭვნარი III – ელინიზმი და კოლხეთი. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციებისა და საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1965–2004 წწ) (ქართულ და ინგლისურ ენებზე). (ბათუმი-ოქსფორდი. 2010).
- კახიძე ამირანი, ვიკერსი მაიკლ**, ფიჭვნარი VI – კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007წწ), (ბათუმი-ოქსფორდი. 2004)
- კახიძე ამირანი, კახიძე ემზარი**, ფიჭვნარი V – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი). ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველო-ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1967-2012 წწ), (ბათუმი-ოქსფორდი, 2014).
- Beazley John Davidson**, “Miniature panathenaics”. The Annual of the British School at Athens 41, (1940-1945), 10-21.
- Blinkenberg Christian, Friis Johansen Knud**, Corpus Vasorum Antiquarum: Danemark 4, Copenhagen, Musée National 4, Paris. 1931.
- Bulas Casimir**, Étude sur une classe de vases à décor en forme de réseau ou d'écaillés. Bulletin de Correspondance Hellénique 56.1-2: (1932), 388-398.
- Dimitriu, Suzana, Alexandrescu, Petre, Dumitrescu, Vladimir**, Corpus Vasorum Antiquarum: Roumanie 1, Institut d'archaeologie, Musée National des Antiques 1, Bucarest 1965.
- Schaenburg Konrad**, Corpus Vasorum Antiquarum: Deutschland 10, Heidelberg Universität 1, München. 1954.
- Zampieri Girolamo**, Ceramica greca, etrusca e italiota del Museo Civico di Padova, Rome, 1991.

## ტაბულების აღწერილობა:

- I. 1. ძვ.წ. IV ს-ის ბერძნული ნეკროპოლისის 2016. წ გათხრების საერთო ხედი;  
2. ძვ.წ. IV ს-ის ბერძნულ ნეკროპოლისზე 2016 წ. დაფიქსირებული ალაპები.
- II. 1. ძვ.წ. IV ს ბერძნულ ნეკროპოლისზე 2016 წ. დაფიქსირებული ალაპი; 2. 137-ე სამარხი, პატარა ზომის ჯამი და ოინოხოია.



- III. 1. 138-ე სამარხი, არიბალისებრი ლეკითოსი, საკიდი, რკინის ბეჭელი და მძივები; 2. 139-ე სამარხი, მოზრდილი ადგილობრივი დოქი, არიბალისებრი ლეკითოსი, ვერცხლის სამაჯური, ოქროს მძივები და პასტის იოტები.
- IV. 1. 140-ე სამარხი, ბრინჯაოს ზარაკი, თვალადი მძივები და ვერცხლის ბეჭდები; 2. 141-ე სამარხი, ადგილობრივი დოქი, არიბალისებრი ლეკითოსი, შავლაკიანი სკიფოსი და თიხის ჯამი.
- V. 1. 143-ე სამარხი, იმპორტული დოქი, ატიკური შავლაკიანი კილიკი და ადგილობრივი დოქი; 2. ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლისის 2020 წ. გათხრების საერთო ხედი.

#### **Illustrations:**

- I. 1. The general view of excavations of the 4<sup>th</sup> century BC Greek necropolis in 2016; 2. Ritual platforms excavated on the territory of the 4<sup>th</sup> century BC Greek necropolis.
- II. 1. Ritual platform excavated on the territory of the 4<sup>th</sup> century BC Greek necropolis; 2. Grave 137, small cup and *oinochoe*.
- III. 1. Grave 138, squat *lekythos*, pendant, iron ring and beads; 2. Grave 139, local large jug, squat *lekythos*, silver bracelet, gold and glassy paste beads.
- IV. 1. Grave 140, bronze bell, beads and silver rings; 2. Grave 141, local jug, squat *lekythos*, black glaze *skyphos* and clay cup.
- V. 1. Grave 143, imported jug, Attic black glaze *kylix* and local jug; 2. The general view of excavations of the 4<sup>th</sup> century BC Greek necropolis in 2020.



1. ძვ.წ. IV ს. ბერძნული ნეკროპოლის საერთო ხედი



2. ალაპები



1. აგაბი



2. სამარხი №137



1. სამარხი №138



2. სამარხი №139





1. სამცხე №140



2. სამცხე №141



V



1. სამარხი №143



2. სამარხების საერთო ხედი

## ლენხუმის არქეოლოგიური შესწავლისათვის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის განყოფილებამ (ხელმძღვ. პროფ. ტ. ჩუბინიშვილი), რომელიც, ამ პერიოდის სხვადასხვა პრობლემების კვლევის პარალელურად, ეძიებდა საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურების ახალ ძეგლებს, 1979 წელს საბიუჯეტო თანხიდან დააფინანსა ლენხუმის არქეოლოგიური რაზმი (გ. მინდიაშვილი, დ. გოგელია, მ. მაჭავარიანი, ვ. ზიცარი), რომელიც ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შექმნილი ექსპედიციის (ხელმძღვანელი ა. ნუცუბიძე) ნაწილს შეადგენდა. განყოფილების პროფილიდან გამომდინარე, რაზმს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმო მიწათმოქმედების საწყისებთან დაკავშირებული ძეგლების ძიებისათვის. ლენხუმში ასეთი ძეგლების ძიება კი, ამ კუთხეში, ხორბლის ისეთი ჯიშების შემორჩენით იყო ნაკარნახები, როგორიცაა მახა და ზანდური. მახას პოპულარობაზე ამ კუთხეში, შესაძლოა, მიგვანიშნებს სოფლების ისეთი სახელები, როგორიცაა - მახაში//მახასი ანუ, მახას დასათესი ადგილი და ნამახვანი, ანუ ადგილი, სადაც ეთესათ ხოლმე მახა (შეადარე: ნადიკარი, ნაქერალა). ამ ექსპედიციის ანგარიში, რომელშიც მოცემული იყო მხოლოდ დატბორვის ზონად მიჩნეული ტერიტორია სოფ. ნამახვანიდან ალპანამდე, 1982 წელს დაიბეჭდა (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კრებულში „1979 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი (მოკლედ ცნობები, გვ. 125-132, რუსულ ენაზე)“. ველზე გამგზავრებამდე კონსულტაცია გავიარეთ ამ კუთხის მკვლევარ ქალბატონ ლამარა სახაროვასთან. ველზე და ქუთაისისა და ცაგერის მუზეუმებში მუშაობისას ძალიან გამოგვაადგა, ლენხუმში ასევე ჩვენი წინამორბედის ბ-ნ დავით გოგელიას გამოცდილებაც.

რამდენადაც ჩვენი რაზმის ინტერესები მნიშვნელოვნად სცილდებოდა მდ. რიონის ხეობის დატბორვის ზონას და ცხენისწყლის ლენხუმსაც მოიცავდა, მისი შედეგები ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში ვერ შევიდა. იმის გამო, რომ რაზმის მიერ მოპოვებული მასალა საინტერესოდ მიგვაჩნია ლენხუმისა და არამარტო ლენხუმის პრეისტორიისათვის, დაგვიანებისათვის ბოდიშის მოხდით ვთავაზობთ მკითხველს და პირველ რიგში ბ-ნ გელა გამყრელიძეს, რომლის იუბილესაც ეს კრებული ეძღვნება.

რიონის ხეობაში რაზმმა სამუშაოები სოფ. მექვენაში დაბინავებით დაიწყო, სადაც იმხანად ცხოვრობდა ნატურალისტი და მხარეთმცოდნე, სოფელ მექვენის სკოლის პედაგოგი აწვანსვენებული ვლასი ნემსაძე. მას საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, სკოლის ნაკვეთზე დათესილი ჰქონია მახა და ზანდური. ამასთან, სოფ. მექვენა მდ. რიონის ხეობის ლენხუმის შუაში მდებარეობს, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვან, ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა. პირველი ობიექტი, რომელიც დავათვალიერეთ იყო **სოფ. ზემო მექვენის კოშკი**. ძირთან შემორჩენილი ნანგრევების მიხედვით, მას გალავანიც უნდა ჰქონოდა; ქვითკირით ნაგები კოშკი კვადრატული (7.7X7.7მ.)

გეგმისა და დაახლოებით 15 მ სიმაღლეს აღწევს; შესასვლელი დატანებული აქვს 5 მეტრის სიმაღლეზე, სადამდეც ის ერთიანად ქვით არის აყვანილი; შესასვლელს ზემოთ, კოშკი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. კოშკის ქვემოთ, ოდნავ მოშორებით, გზის გაყვანისას მოჭრილი კულტურული ფენის პროფილში, ჩანს ორი ნაცრიანი შრე, რომელთაგან ქვედა ძალზე თხელია და მასალას არ შეიცავს. მას ზემოდან ადევს 0.5 მ სისქის ჩამონარეცხი თიხა-ლორღისა და 0.4 მ სისქის ნახშირიან-ნაცრიანი, თიხის ჭურჭლისა და დამწვარი ძვლების შემცველი შრე. ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, კოშკის თანადროული უნდა იყოს. ციხეს, როგორც ზემოთაც ვთქვით, ჰქონია ქვითკირისავე გალავანი, რომელიც, დროთა განმავლობაში, გამოფიტვისა და გამორეცხვის შედეგად დანგრეულა. მიუხედავად იმისა, რომ მისი დიდი ზომის ნანგრევები აქა-იქ კიდევ არის შემორჩენილი, არქეოლოგიური შესწავლის გარეშე მისი გეგმის წაკითხვა არ ხერხდება. რაც შეეხება ასაკს, იგი გვიან შუა საუკუნეებზე ძველი არ უნდა იყოს.

**სამძიმის გორა** (ტაბ. I-1, ტაბ. III-1) – მდებარეობს წყალტუბოს რაიონის სოფ. დღნორისას და ზემო დერჩის ბოლოსთან, ადგილ **ნაციხვარის** სიახლოვეს. ის წარმოადგენს დაბალი ქედის, სუსტად შემადლებულ, ორბორცვიან დაბოლოებას. სამძიმის გორაზე დიდი რაოდენობით გვხვდებოდა სხვადასხვა ტიპის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, ნახანძრავი ბათქაში, რკინის წიდა და ერთიც რკინის მცირე ზომის ნამგალი. როგორც მასალა გვიჩვენებს, საქმე უნდა გვექონდეს სახელოსნოსთან, სადაც რკინის გამოდნობა ან გადამუშავება წარმოებდა. სახელოსნოს, რომელთანაც შესაძლოა ხელოსნის სამოსახლოც ყოფილიყო, უჭირავს ვიწრო თხემის 60 მეტრამდე სიგრძისა და 5-დან 10 მეტრამდე სიგანის მონაკვეთი. ძველი მდებარეობს ზღვის დონიდან 900 მეტრზე, ორი მცირე ტერასისაგან შედგება და სიგრძით მიმართულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. სამძიმის გორაზე მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა იგი ზოგადად რკინის ფართო ათვისებისა და ადრეანტიკური ხანით დავათარილოთ.

**ნაციხვარი** (ტაბ. I-2) – ამ სახელით ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავს ყველა საფორტიფიკაციო ნაგებობის ნანგრევებს. ამჯერად, ნაციხვარი მდებარეობს სოფელ ზემო დერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სოფ. დღნორისას ჩრდილო-დასავლეთით მდგარი ორწვერა მთის მაღალ წვერზე, ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლეზე. მთის ორ წვერს შორის არსებული უნაგირისებური ჩადაბლება კი ნამოსახლარს უჭირავს. ნამოსახლარი, სავარაუდოდ, რკინის ფართო ათვისებისა და ანტიკურ ხანას შეიძლება ეკუთვნოდეს. აქაც, ისევე როგორც სამძიმის გორაზე, რომელიც მეზობლად მდებარეობს, შეგვხვდა რკინის დნობის კვალი და დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. განსაკუთრებით ბევრი იყო დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ნატეხები. გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იქცევს კირქვის ქანის ქვა-ლორღის მრგვალი და ოვალური, ხელოვნური გროვები, რომელთა ზომებიც 2X1 მ-დან 3X2 მ-მდე მერყეობს, რაც მათი სამარხის ყრილებად მიჩნევის ცდუნებას ბადებს. ამგვარი ქვაყრილებით და დიდი თიხის ჭურჭლის ნატეხებით არის მოფენილი ნაციხვარის მთის ფერდობები. თვით ძველი, რომლის გამოც დაერქვა ამ ადგილს სახელი, წარმოადგენს მთის მაღალ წვერზე აგებულ სიმაგრეს, რომელიც გეგმაში ოვალური ქვითკირის გალავნისა და მის შიგნით აგებული, კუთხეებმომრგვალებული კოშკი-

საგან შედგება, ზომით 8.5X7.5 მ. მისი შემორჩენილი სიმაღლე 4 მ-ს აღემატება. ძეგლი დაფარულია მიწით და მცენარეებით. კოშკი და სიმაგრის სხვა ნაწილები გამონგრეულია განძის მაძიებლების მიერ. კოშკის ზედა ნაწილში, კარგად ჩანს ოთხი საფეხური, რაც გადახურვის ფრაგმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. გალავნის უმეტესი ნაწილი შიდა მხარეს არის გადაქცეული. იქვე, დიდი რაოდენობით არის დიდი ზომის თიხის ჭურჭლების ნატეხები. სამწუხაროდ, დათარიღებისათვის რამდენადმე ხელჩასაჭიდი მასალა არ შეგვხვედრია, ამიტომ ნაციხვარის ნასოფლარიც და კოშკიც შეიძლება ზოგადად შუა საუკუნეებს მიეკუთვნოს.

**საქარია** (ტაბ. III-2) – მდებარეობს, ზემოთ აღწერილ ნაციხვართან არსებული მცირე ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე, ზღვის დონიდან 950 მ-ზე. აქ, ტბისკენ დაქანებულ, ნიაღვრებით დახრამულ ფერდობზე, ერთ-ერთი ნაღვარევიტ გაშიშვლებულ ნაპირში, კარგად ჩანდა ნახშირის ჩანართების შემცველი დიდი ზომის ორმოს შევსება; ნაღვარევის აყობებაზე არსებული ტერასის დათვალიერებისას დადასტურდა თხელი, ნაცრიანი კულტურული ფენა. იქვე ზედაპირულად აიკრიფა მცირე რაოდენობით კაჟი, ძლიერ შლადი შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ზომორფული ყური. ამ მასალის საფუძველზე, წინასწარულად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დაზიანებულ ნამოსახლართან.

**კორვაშის მთა** – მდებარეობს სოფლებს ორხესა და დღნორისას შორის. მისი ქედის უმეტესი ნაწილი დაფარულია დიდი ზომის, კარსტული წარმოშობის ძაბრებით. ამ ქედზე აქა-იქ გვხვდებოდა ადგილობრივი, თეთრი კაჟის უსახო ანატეკეები. მხოლოდ ერთ ადგილზე შეგვხვდა ხორცისფერი კაჟის ორი იარაღი: დიდი ზომის ლამელა და გვერდის საფხეკი (ქვის ხანა).

**დერჩის ნაციხვარი** – მდებარეობს სოფ. ზემო დერჩის ზედა ბოლოში. იგი წარმოდგენილია ფუძემდებ მორღვეული, წრიული გალავნით და ძლიერ დანგრეული კოშკით, რომელიც ისევე, როგორც გალავანი კირის გამოყენებით არის ნაგები. ეს ნაციხვარი, ზემოთ უკვე აღწერილისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი კოშკის შემორჩენილი კუთხე არ არის მომრგვალებული, მართია. კოშკის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 6 მეტრს აღწევს და როგორც ჩანს, ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო.

**ბოყერვანის ნამოსახლარი** (ტაბ. IV-3) – მდებარეობს ზღვის დონიდან 300 მ-ზე, სოფ. დერჩიდან ონჭვიში მიმავალი გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც ყოფილი მექვენის კოლმეურნეობის გამგეობის შენობის გადასწვრივ მდებარეობს, რიონის მარცხენა ნაპირზე. მის ქვეშ არის ბარიტის მიტოვებული მალარო. კულტურული ფენის პოვნა გაგვიადვილა მოხუნლმა ნაკვეთმა, რომელზეც აიკრიფა შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი, ასევე წითლად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები; გარდა ამისა, მასალიდან აღსანიშნავია რიყის ქვის სასრეს-სანაყები, კაჟის დამუშავებული ანატეკეები და ბრინჯაოს წიდის მცირე მარცვლები. კულტურული ფენის სიმძლავრე არ აღემატება 0.60მ-ს და მოხუნლ ნაწილზე დაზიანებულია.

**ლესხიდრის ნაციხვარი** (ტაბ. II-2, III-4) – მდებარეობს რიონთან, მისი მარცხენა შენაკადის მდ. ლესხიდარის შეერთების ადგილას არსებულ მაღალ კონცხზე. ამ ადგილის ნაციხვარობას ადასტურებს კონცხის ფერდობზე გაფანტული რიყის ქვებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხების არსებობა. კონცხის ზედა ნაწილში არსებულ მცი-



რე, საფეხურისებურ გავაკებაზე დადასტურდა 0.50 მ. სისქის კულტურული ფენა. აკრეფილი კერამიკის ნაწილი ნაციხვარის თანადროული, ანუ შუა საუკუნეების უნდა იყოს, მეორე ნაწილი კი - შესაძლოა უფრო ადრეულიც. ამ მცირე გავაკების ზემოთ, კონცხის თხემის ძნელად მისადგომ ნაწილში შემორჩენილია ქვითკირის კედლის მცირე ფრაგმენტი.

**სოლორეთი** – მდებარეობს სოფ. მელეკურას ჩრდილო-დასავლეთით, მთის თხემზე (მდ. რიონის მარჯვენა მხარეს). აქ, წვიმით გადარეცხილ ადგილებში, ზედაპირზე იკრიფება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. იმავე თხემზე, რომელიც მელეკურას ხევსა და რიონს შორის მდებარეობს, შეგვხვდა ძლიერი ცეცხლით დაწითლებული ქვის გროვები და წიდა. მასალა იმდენად უსასურია, რომ მისი ზოგადი ქრონოლოგიური განსაზღვრაც კი ვერ ხერხდება. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მოსახლეობაში ამ ადგილას ადამიანის სახლობის შესახებ გადმოცემა არ შემონახულა.

**სოფ. ქორენიში** (ტაბ. II-1) – მდებარეობს მდ. რიონსა და ხვამლის მთას შორის. აქ, ასათიანის კარმიდამოში, წაწვეტებულ კლდეზე, აღმართულია გეგმაში წრიული კოშკი, რომელიც წარმოადგენს ორმაგი გალავნის მქონე, საკმაოდ დიდი საფორტიფიკაციო კომპლექსის ნაწილს (შუა საუკუნეები).

**სოფ. ვანი** – მდებარეობს სოფ. მექვენასა და ხვამლის მასივს შორის. ამ სოფლების დამაკვირებელი, საურმე გზის შუა ნაწილში, დიდ „ქვაზე“ (აღბათ უფრო დიდ ლოდზე. ლეჩხუმში სიტყვა ლოდის ნაცლად - ქვას ხმარობენ) შემორჩენილია ნაგებობათა მთელი კომპლექსი. ქვის კედეს შემოსდევს კირზე დაწყობილი ფლეთილი ქვის გალავანი. მის შიგნით მდებარეობს შირიმის (სპონტიოს) თლილი ქვით ნაგები პატარა დარბაზული ეკლესია და სანახევროდ მიწის ქვეშ გაკეთებული, თალიანი საძვალე-აკლდამები. ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული. მისი გათხრა უცდიათ ადგილობრივ მხარეთმცოდნეებს, მაგრამ საბედნიეროდ, ისინი დროზე შეუჩერებიათ. ძეგლი თავისი ხასიათით კაცხის სვეტის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს. იგი საჭიროებს გაწმენდას, კონსერვაციასა და დაცვას.

**ბუნარი** (ტაბ. III-5, IV-6) – წარმოადგენს მდინარისპირა ტერასას, რომელიც სოფ. მელეკურას ქვემოთ მდებარეობს, ოღონდ რიონის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 300 მ-ზე. ამ ტერასის ნაწილზე ჩაის პლანტაცია იყო გაშენებული, ნაწილი კი – წვრილ ტყეს ეჭირა. დათვალიერებისას საკმაო რაოდენობით გვხვდებოდა ადამიანის ნახელავი: ნაცრისფერი, თეთრი და ზორცისფერი კაჟის ამორფული და ლამელის ტიპის ანატეკები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ეტყობა არც გამოყენების და არც დამუშავების კვალი. იქვე აღმოჩნდა ერთადერთი თიხის ჭურჭლის ყური. მთელი მასალა ჩაის პლანტაციის ტერიტორიაზე იქნა მოპოვებული, სადაც კულტურული ფენა მოხვნით არის დარღვეული. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ დაუზიანებელი ფენა ტყიან ნაწილში იყოს გადარჩენილი.

**ნალოფინევი** (ტაბ. IV-4) – მდებარეობს სოფ. ბენტქოულას უკან აღმართული გრძელი ქედის ზედა ნაწილში. ამ ადგილზე მიგვითითეს ე.წ. „კორღები“, მაგრამ დაზვერვისას მათი აღმოჩენა არ მოხერხდა („კორღანს“ აქ ეძახიან სავარგულების ერთმანეთისაგან გასამიჯნად გაკეთებულ ორმოებს, რომლებშიც ცეცხლს ანთებენ და შემდეგ, ნაკვერჩხლებს მიწის დაყრით აქრობენ ისე, რომ ორმო ნახშირით შევსებული რჩება). ქედზე დაშვებისას ტყიან თხემზე ვიპოვეთ ერთი რიყის ქვა, რომელ-



საც საგანგებოდ აქვს კიდევები ატკეცილი და ძალიან მიაგავს ქვედა პალეოლითურ იარაღს.

ამით რაზმმა დაამთავრა სამუშაოები რიონის ხეობაში და 22 მაისს გადავიდა ცაგერში, ცხენისწყლის ხეობაში. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გავეცანით, ვარლამ გოლეთიანის მიერ სოფ. **ნაკურალეშიდან** ჩამოტანილი, ენეოლითური(?), გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღების კოლექციას. ამის შემდეგ, სოფ. ნაკურალეში დაეზვერეთ ის ადგილები, სადაც ადგილობრივების თქმით ვ. გოლეთიანი აგროვებდა კოლექციას, მაგრამ „ნაფუძრებისა“ და „ყორის ყანების“ დაზვერვას სასურველი შედეგი არ მოუცია; მცირე რაოდენობით აიკრიფა წითლად გამომწვარი, ზოგჯერ სავარცხლის შტამპით ორნამენტირებული კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. III-3). იქვე, ხევში კი, აკრეფილ იქნა ჩარეციხილი რამდენიმე კაჟის ანატკეცი და ორიოდე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ აქ მოპოვებულ ლამელისებურ ანატკეცებს ეტყობა გამოყენების კვალი, თუმცა მათზე რეტუში არ შეიმჩნევა (ტაბ. IV-2).

**საქორიას გორა** (ტაბ. III-3), სოფ. ნაკურალეში (ზღვის დონიდან 1.100 მ.), უფრო საინტერესო გამოდგა. მის ფერდობებზე, ანტიკური ხანისა და რამდენადმე მოგვიანო პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად, ჩნდებოდა ნაცრისფერი და ხორცისფერი კაჟის ანატკეც-ანამტვრევები და ლამელისებური იარაღები, რომლებსაც ცალმხრივი რეტუშით აქვთ გვერდები დამუშავებული. იქვე აღმოჩნდა რამდენიმე რიყის ქვის ნატენი, გაპრიალების კვალით. საქორიას გორის ფერდობის შუა ნაწილის გაყოლებაზე, სამი შურფი ამოვიღეთ, ამათაგან მხოლოდ №1 –ში აღმოჩნდა კერამიკული მასალა.

**ჯვარი** – წითელი კაჟის საბადო. მდებარეობს სოფ. ნაკურალეშიდან ზვამლის მთაზე მიმავალ გზაზე. ადგილობრივების თქმით - ახლომასლო სოფლებიდან, აქ უკანასკნელ დრომდე დადიოდნენ კაჟის წასაღებად. ჯვარზე ჩვენ არ შეგვხვედრია ადამიანის ნახელავი კაჟის იარაღი, ან ანატკეცი. საფიქრებელია, რომ ჩვენ დროში, აქაურ კაჟს, კვერში ჩასამაგრებელ ქვებად, „კოხებად“ იყენებდნენ.

**ზვამლის მთა.** ჯვარიდან ზვამლის ტელეანძისკენ მიმავალ გზაზე ვიპოვეთ სამკუთხა მოყვანილობის, მუსტიური წვეტანა; თავად ზვამლზე კი, შეგვხვდა თეთრი კაჟის ანატკეცზე დამზადებული, ქვის ხანის რამდენიმე იარაღი, მიუხედავად არქეოლოგიური მასალის სიმცირისა, კარსტული ძაბრებით მდიდარ ზვამლის მთაზე, გამორიცხული არ არის, მომავალში პალეოლითელი მონადირეების ბანაკიც აღმოჩნდეს (ტაბ. IV-5).

**ზვამლის ეკლესია** - ზვამლის მასივის ჩრდილო-დასავლეთ კიდეებთან, საგანგებოდ მომზადებულ ბაქანზე, დგას დარბაზული ეკლესია. მისი გადახურვა მხოლოდ აბსიდაზეაა შემორჩენილი. ტაძრის ჩრდილოეთით კარგად ჩანს ათამდე ნაგებობის ნანგრევები (მონასტერი?). ამ ყველაფერს შემოვლებული აქვს ფლეთილი ქვის, ყორის დაბალი ზღუდე.

**ბოსელა** - მდებარეობს სოფ. ნაკურალეშიდან ოყურეშისაკენ მიმავალ გზაზე (ზღვის დონიდან 1500მ.) იქ, სადაც ზვამლის მასივზე ასასვლელი გზა იწყება და მცირე ტბაა გაჩენილი. ეს ადგილი მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის წყალგამყოფზე მდებარეობს, ლახეფის ხევის სათავესთან და მცირე ტერასების მსგავსი ველებისაგან შედგება. ამ ადგილებში მეწყერიც იცის, რაც აძნელებს ძეგლის რამ-

დენამდე მიახლოებითი სურათის დადგენას. აქაც, ისევე როგორც ადგილ ჯვართან, არის საიარაღე კაჟის გამოსავლები; ოღონდ აქაური კაჟი კრემისფერი ან მოვარდისფრო-ნაცრისფერია. ზედაპირზე გაბნეულ მრავალრიცხოვან სხვადასხვა ფორმის ანატკეცებს შორის ჭარბობს ლამელისებური ანატკეცები, რომლებიც, ისევე როგორც სხვები – დაუშუშავებელია. ამ მასალის მიხედვით ძნელია ძეგლის ასაკისა და ხასიათის განსაზღვრა, მაგრამ შესაძლებელია ვივარაუდოთ სახელოსნო-სადგომის არსებობა. ამგვარ ვარაუდს ამაყარებს ისიც, რომ მასალას არ ეტყობა გამოყენების კვალი, ხოლო №2 შურფში აღმოჩნდა კვამლისფერი ობსიდიანის მიკროლამელის ბოლო, დამუშავების კვალით (ტაბ. IV-1). როგორც შურფების პროფილებში დაფიქსირებული სურათი გვიჩვენებს, კულტურული ფენა თხელია და მთლიანად ჩამორეცხილი. ამიტომ შეუძლებელია რაიმეს კატეგორიულად მტკიცება. თუმცა ობიექტი მეტად საინტერესოა და უფრო ფართო მასშტაბის დაზვერვითმა სამუშაოებმა შესაძლოა გაგვარკვიოს მის ხასიათში.

**უჟნარი** (ტაბ. III-6) – ასე ეძახიან იმ ადგილს, რომელიც სოფ. კენაშიდან აღმოსავლეთით 1 კმ-ზე მდებარეობს. ეს ადგილი პედაგოგ ალექსანდრე ჩხეტიანის რჩევით დავათვალიერე. მას ამ ადგილში, მიწის დამუშავების დროს, მარმარილოსებური ქანისგან დამზადებული ჩაქუჩი უპოვია, რომელსაც მეორე მხარე წაწვეტებული და შუა ნაწილი გახვრეტილი ჰქონია ტარის გასაყრელად (სამწუხაროდ ეს საინტერესო იარაღი დაკარგულია). როგორც აღმოჩნდა, მთელი უჟნარი ნამოსახლარს წარმოადგენს, რაზეც კერამიკული მასალის სიუხვე მიგვითითებს. იქვე არის ადგილი, რომელსაც ნაქალაქევს ეძახიან. იმ ადგილას, როგორც გადმოგვცეს, წიღებსაც პოულობენ, რაც სამჭედლოს თუ სამჭედლობის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

**„ნასახლარი“** (ტაბ. V) – გარეგნული მონაცემების მიხედვით ეს ობიექტი დიდი ზომის დასაკრძალავ ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს. იგი მდებარეობს ცაგერის რაიონის სოფ. შუა აღვზე სამხრეთ-დასავლეთიდან მოდგმული მთის ფერდობის ქვედა ნაწილზე და უძველესად დაფარულია ჩამონარეცხი ნაშალი ქანით. აღნიშნულის გამო ჭირს მისთვის ყორღანის დარქმევა. თუმცა, ველზე ამ ტიპის ნაგებობა უთუოდ ყორღანად ჩაითვლებოდა. ამიტომ მას, პირობითად, როგორც ყორღანს ისე მოვიხსენიებ. ყორღანის ყრილი შედგება ფლეთილი ქვების, მიწისა და ღორღისაგან. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფერდობზე მდებარეობის გამო, ძნელი შესამჩნევია, რადგან მისი ამობურცულობა ჩამორეცხილმა მიწა-ღორღმა დაფარა. მას ქვა-მიწის ყრილის კიდესთან შემოსდევს წითელი, აყალო მიწის (თიხის) სარტყელი, რომელიც არათანაბრად არის გამოძწვარი. ის განსაკუთრებით არის გამოძწვარი სქელი ფილებით დაწყობილი დრომოსის(?) წინა ბაქანზე, აყალოთი შევსებულ, რკალურად ამოღებულ თხრილში. ეს მკვეთრად გამოყოფს დედაქანისგან, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართულ, დრომოსს. დრომოსის სახურავი ფილის ზომებია – 0.80X0.60X0.16 მ გარდა აღწერილი კონსტრუქციის დეტალებისა თხრილში სხვა მასალა არ აღმოჩენილა, რის გამოც თარიღზე ვერაფერს ვამბობთ. ვინაიდან სადაზვერვო რაზმის სტატუსი და მივლინების მიწურული თხრილის გადიდების საშუალებას არ იძლეოდა, სათანადო ფიქსაციის შემდეგ, ის ამოყრილი მიწით იქნა შევსებული.

**დათვანში – ნამოსახლარი** (ტაბ. VI, VII). როგორც სახელი გვეუბნება, ადგილი სადაც ნამოსახლარი მდებარეობს დათვანების საგვარეულოს წარმომადგენელს

ეკუთვნოდა. ის მდებარეობს სოფ. ქვედა ცაგერის ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ზე, სოფ. სალეთოდანიდან კი - აღმოსავლეთით 1 კმ-ზე. ამ სახელით ცნობილ პატარა მთის წვერსა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს დამეწყვილი ნამოსახლარი. აქ ზედაპირულად აკრეფილ კერამიკულ მასალაში, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. IX-VII საუკუნეებს შეიძლება ეკუთვნოდეს, აღმოჩნდა მეომრის გამოსახულებიანი ფრაგმენტი. შავპირილა ჭურჭლის ამ ფრაგმენტზე, რომლის ნაცრისფერი კეციც ქარსის წვრილ მინარევებს შეიცავს და აშკარად ადგილობრივი წარმოებისაა, მაღალი რელიეფით არის შესრულებული მეომრის გამოსახულება. მებრძოლ მეომარს, მარჯვენა ხელით, წვერით წინ მიმართული მახვილი შეუძარტავს თავს ზემოთ; თავზე, მუზარადისებრი, თავბოლოაკაუჭებული, წვეტიანი ლითონის(?) საბურავი ახურავს, ტანზე კი აბჯარი (ჯაჭვი?) აცვია; აბჯარი ე.წ. სავარცხლის კბილისებური შტამპის გამოყენებით არის გადმოცემული; მეომრის სახე, ისე როგორც ტანი, პროფილშია მოცემული; გამოსახულება ექსპრესიულია, რასაც ხაზს უსვამს ზომაზე რამდენადმე დიდი და გადმოკარკლული თვალი. ფრაგმენტის ზომის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საშუალოზე დიდი ზომის ჭურჭლის მუცლის ზედა ნაწილზე, მეომარი მოწინააღმდეგის პირისპირ უნდა ყოფილიყო გამოსახული.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად რაზმის მიერ ვერ იქნა აღმოჩენილი მიწათმოქმედების საწყისი ეტაპის ძეგლი. თუმცა, ჩვენს მიერ 22 პუნქტზე მოპოვებული მასალის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ლეჩხუმში შედარებით ხშირია ქვის ხანის, განვითარებული რკინისა და ანტიკური ხანის მასალის აღმოჩენის შემთხვევები, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაზე ხშირად მაინც შუა საუკუნეების არქიტექტურის ობიექტები გვხვდებოდა. მიკვლეული პუნქტებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამძიმისა და დათვანიშის ნამოსახლარები, სადაც კულტურული ფენა დიდი რაოდენობითაც შეიცავს არქეოლოგიურ მასალას და სამშენებლო სტრუქტურების არსებობაც შეინიშნება. რაღა თქმა უნდა, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დათვანიშის ნამოსახლარზე ნაპოვნი, ადგილობრივი თიხით და ტექნოლოგიით დამზადებული, შავპირის ზედაპირის მქონე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, მებრძოლი მეომრის რელიეფით, რომელსაც საქართველოს მასალებში ანალოგი არ მოეპოვება. დათვანიშის ნამოსახლართან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი მოქმედი მეწყერის შედეგად არის დაზიანებული და მისი შესწავლა გადარჩენითი გათხრების ჩატარებით ძალზე საშურიცაა და მოსალოდნელი აღმოჩენების თვალსაზრისით პერსპექტიულიც.

ამით რაზმმა დაამთავრა სამუშაოები, რომლის დროსაც გამოუძებნა გრძნობდა ლეჩხუმელების მხარდაჭერას და სტუმართმოყვარეობას..., დიდი მადლობა მათ ყველაფრისთვის.

*Giorgi Mindiashvili*  
*Georgian National Museum,*  
*(Georgia, Tbilisi)*

## **For the Archaeological Study of Lechkhumi**

### **Summary**

In 1979, the group of archaeologists of Chalcolith-Early Bronze research department of the Center of Archaeological Studies (Georgian Academy of Sciences) worked in one of provinces of Georgia, Lechkhumi (Rioni and Tskhenistskali gorges).

According to the material obtained at 22 sites of Lechkhumi, we can say that the discovery of materials belonging to Stone Age, Developed Iron and Classical periods are relatively frequent. The Samdzimiis Gora and Datvanishi settlements should be especially noted, where cultural layers contain a large amount of archaeological material and the presence of construction structures is also observed.

Of special interest is the fragment of clay vessel with a black-polished surface made of local clay and technology with the relief depiction of a warrior (fig.VII) from Datvanishi settlement, which has no analogies in Georgian Material. It should be noted that the Datvanishi settlement was damaged during the landslide. Conducting of rescue excavations at this site is very important and also promising in terms of expected discoveries.

## ტაბულების აღწერილობა:

- I. 1. სამძიმის გორა, სოფ. დღნორისა; 2. „ნაციხვარი“, სოფ. დერჩსა და დღნორისას თავში, სამძიმის გორასთან;
- II. 1. კოშკი, სოფ. ქორენიში; 2. ლეხიდარი, „ნაციხვარი“;
- III. 1. კერამიკული მასალა და რკინის ნამგალი (17) სამძიმის გორიდან, სოფ. დღნორისა; 2. მასალა საქარიის ნამოსახლარიდან, სოფ. დერჩი; 3. კერამიკა და ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი (4) სოფ. ნაკურალეშიდან; 4. კერამიკა ლეხიდრის ნაციხვარიდან (1-7); 5. კერამიკა ბჟონარიდან (1,2); 6. ძვლის კვირისტავი (1) და კერამიკა უჟნარიდან;
- IV. 1. კაჟისა და ობსიდიანის (შუაში) მასალა ბოსელაიდან; 2. კაჟის მასალა სოფ. ნაკურალეშიდან და ბოყერვანიდან (3) სოფ. დერჩთან; 4. ქვა ანატკეცების კვალით (ნეგატივებით) ნალოფინევიდან; 5. კაჟის იარაღები სვამლის მთიდან; 6. კაჟის მასალა ბჟონარიდან;
- V. ყორღანის დროშის მსგავსი კონსტრუქცია სადაზვერვო თხრილიდან, ადგილი „ნასახლარი“, სოფ. შუა ალვი (ფოტო, გეგმა და ჭრილი);
- VI. ნამოსახლარი დათვანიში, ხედი სოფ. ქვედა ცაგერიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან; კერამიკული მასალა ნამოსახლარ დათვანიშიდან;
- VII. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი მეომრის რელიეფური გამოსახულებით (ფოტო და გრაფიკა), დათვანიში, ნამოსახლარი. სოფ. ქვედა ცაგერი. ცაგერის მუნიციპალიტეტი.

## Illustrations:

- I. 1. “Samdzimiis gora”, v. Dgnorisa; 2. “Natsikhvari” (former fortress), near the “Samdzimiis gora”, at the beginning of villages Derchi and Dgnorisa;
- II. 1. Tower, the v. Qorenishi; 2. Lekhidari, “Natsikhvari” (former fortress);
- III. 1. Pottery and iron sickle (17) Samdzimiis gora, the v. Dgnorisa; 2. The material from Saqaria settlement, the v. Derchi; 3. Pottery and the fragment of bronze bracelet (4) from the v. Nakuraleshi; 4. Pottery from Lekhidari “Natsikhvari” (former fortress) (1-7); 5. Pottery from Bjhonari (1,2); 6. Bone spindle-weight (1) and pottery from Ujhnari;
- IV. 1. Flint and obsidian (in the middle) material from Bosela; 2. Flint material from the v. Nakuraleshi and Bokervani (3) near the v. Derchi; 4. The stone with traces of flake (photo negatives) from Nalopinevi; 5. Flint tools from Khvamli mountain; 6. Flint material from Bjhonari;
- V. The Kurgan Dromos-like constructon from the trial trench, place ” Nasakhlari”, the v. Shua Aghvi (photo, plan and section);
- VI. Datvanishi settlement, view from the v. Qveda Tsageri, from SE; Pottery from Datvanishi settlement;
- VII. The fragment of clay vessel with the relief depiction of a warrior (photo, drawing), Datvanishi settlement, the v. Qveda Tsageri, Tsageri municipality.





1. სამძიმის გორა. სოფ. დღნორისა.



2. ნაცხვარი, სოფ. დერჩისა და დღნორისას თავში, სამძიმის გორასთან.




1. სოფ. ქორენიში, კოშკი.




2. ლეხიდრის ნაციხვარი.


III




1. სამშვიმის გორა, სოფ. დღნორისა.



2. დერზი, საქარის ნამოსახლარი.




3. სოფ. ნაკურალეში.



4. ლეხიდრის ნაცისვარი

5. ბჟონარი




6. უუნარი




1. ბოსელა



2. ნაკურალეში



3. ბოვერვანი



4. ნალოფინევი



5. ხეაძლი



1



2



3



4



5




6




7

6. ბუონარი




„ნასახლარი“. სოფ. შუა ადგი






ნამოსახლარი დათვანიში, ხედი სოფ. ქველა ცაგერიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



ნამოსახლარი დათვანიში



თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი მეომრის გამოსახულებით, ადგილი "დათვანიში",  
ცაგერის მუნიციპალიტეტი

## არქეოლოგიური ძიებანი მარნეულის მუნიციპალიტეტში (წინასწარული შედეგები)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. მურვანიძე) 2020 წლის მარტში დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა მარნეულის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებით რვა ობიექტზე იქ, სადაც სს გეს „საქრუსენერგო“-ს დაგეგმილი ჰქონდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისათვის ანძების აღმართვა. სადაზვერვო სამუშაოები ითვალისწინებდა ანძების მშენებლობის ადგილებზე შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენას და სამომავლოდ მათ შესწავლას.

ექსპედიციამ ველზე მუშაობის დროს რამდენიმე ადგილას დაადასტურა არქეოლოგიური ობიექტის არსებობა იქ გაჭრილი სადაზვერვო თხრილების მეშვეობით (ტაბ. I). თხრილებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება. ქვემო ქართლის ეს მონაკვეთი არქეოლოგიურად დღემდე შესწავლილი არ არის, თუ არ ჩავთვლით 2011 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს (ხელმძღვ. გ. გოგოჭური). ამიტომ, წინამდებრე სტატიის მიზანს დასაბუთებლად ობიექტების და იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის წინასწარული შესწავლის შედეგები წარმოვადგინეთ.

ექსპედიციამ საველე-სადიებო სამუშაოები დაიწყო სოფ. ილმაზლოს მახლობლად, იმ ტერიტორიაზე, სადაც ერთმანეთის გვერდით უნდა დაიდგას მაღალი ძაბვის გადამცემი ორი ანძა (ტაბ. I<sub>1</sub>). ტერიტორია წარმოადგენს მტკვრის მარჯვენა ნაპირის შემადგენელ ბორცვზე მიკვლეული მრავალფენიანი ნამოსახლარის უშუალო გაგრძელებას. 2011 წელს ჩატარებული გათხრებისას ბორცვზე გამოვლინდა ექვსი სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენა, რომელთაგან ჯერჯერობით ყველაზე ადრეულია ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული საკურთხეველი და სამეურნეო ორმო; შემდეგ მოდის რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხი. მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები და ორმოები მიეკუთვნება ანტიკურ ხანას; შემდგომი პერიოდის (II-III სს) ობიექტი წარმოდგენილია სასახლით; VI-VII სს-ს განეკუთვნება რამდენიმე სამარხი; აქვე გვხვდება შუა საუკუნეების ნამოსახლარი მრავალრიცხოვანი ორმოებით<sup>1</sup>.

სამშენებლო ფართობი - ბორცვი, უშუალოდ ესაზღვრება 2011 წელს გათხრილ მონაკვეთს და მას გაბატონებული ადგილი უკავია ირგვლივ არსებულ ვრცელ ტერიტორიაზე (ტაბ. I<sub>1</sub>). ბორცვზე არქეოლოგიური ობიექტის გავრცელების საზღ-

1. გიორგი გოგოჭური, ნინო კალანდაძე, მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. IV (49-ბ), (თბილისი, 2013), 21.

ვრებისა და კულტურული ფენების სიმძლავრის დასადგენად, რვა საძიებო თხრილი გაიჭრა ნამოსახლარის აღმოსავლეთ ფერდობსა და მის თხემზე (ტაბ. I<sub>1</sub>).

ბორცვის თხემზე გაკეთებულ №1 თხრილში გამოვლინდა ალიზის დაშლილი ნაშთები, რომელთაც ცეცხლის კვალი ემჩნევა. აქვე გაიწმინდა წრიულგანივკვეთიანი ძელის (დიამეტრი 0,16-0,17 მ) ნაშთი (ტაბ. IV<sub>1</sub>). სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა რიყის ქვებისგან შედგენილი კედელი<sup>2</sup> (ტაბ. IV<sub>1</sub>). 0,60 მ სიღრმეზე კი გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ორმოსამარხი №19<sup>3</sup>. სამარხის ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტოლი, თავით დასავლეთით. ჩონჩხის მხოლოდ ნაწილი გაიწმინდა (ტაბ. IV<sub>1</sub>). მიცვალებული ქრისტიანული წესითაა დაკრძალული და შესაბამისად ის შუა საუკუნეების სამარხი უნდა იყოს. სამარხს ჩაჭრილი აქვს უფრო ადრეული ნამოსახლარის ფენა. ნაწილობრივ გაწმენდის შემდეგ, სამარხი ისევ მიწით დაიფარა. სამარხის ორმოს შევსებაში აღმოჩნდა ქვევრის პირის ნატეხი, რომელზეც ამოღარული იყო გაურკვეველი ნიშანი (ტაბ. VII<sub>II</sub>, X<sub>1</sub>). ცხადია, არტეფაქტი სამარხზე ადრეულია.

თხრილში მიკვლეული მასალის უმრავლესობა კერამიკული ნაწარმია, რომელშიც გვხვდება ღარიანი და ბრტყელი კრამიტის, ქვევრის, დერგის ნატეხები და სხვ. აქვე აღმოჩნდა ქვის სხვადასხვა ზომის სანაყ-სასრესები.

№2 თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში 0,40-0,55 მ სიღრმეზე გამოვლინდა ოთხი უინვენტარო სამარხი (ტაბ. IV<sub>2</sub>). სამარხი №20 აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდეგან. 4-5 წლის ბავშვი დაუკრძალავთ ზურგზე, თავით დასავლეთით<sup>4</sup> (ტაბ. IV<sub>2</sub>). სამარხი №21 თხრილის ამავე ნაწილში აღმოჩნდა. 3-4 წლის მიცვალებული დაკრძალული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ მოგრძო ოვალურ ორმოში<sup>5</sup>. მიცვალებული ესვენა ზურგზე, თავით დასავლეთით (ტაბ. IV<sub>2</sub>). სამარხი №22 აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან. წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ სწორკუთხა ორმოს<sup>6</sup>, რომელშიც აღმოჩნდა დაახლოებით ერთი წლის მიცვალებულის ნეკნის ორი ფრაგმენტი (ტაბ. IV<sub>2</sub>). სამარხი №23 გამოვლინდა №22 სამარხიდან ჩრდილოეთით 0,50 მ-ის დაშორებით. აქ დაფიქსირდა 4-5 წლის ბავშვის თავის ქალა (ტაბ. IV<sub>2</sub>). სამარხი ორმოს და ჩონჩხის ნაწილი თხრილის გარეთ გადის.

თხრილში გაიწმინდა წრიული მოყვანილობის (დიამეტრი 0,35-0,38 მ, სიღრმე 0,30 მ) ორმო და რიყის ქვებით შედგენილი კედლის ფრაგმენტი (ტაბ. IV<sub>2</sub>). აქვე აღმოჩნდა ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის (ქვევრების, დოქების, ქოთნების) და ქვის სანაყების ფრაგმენტები.

№3 თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, 1 მ სიღრმეზე სამკუთხედიანებურად გამოიკვეთა დამწვარი ფენა (ტაბ. V<sub>1</sub>). თხრილის დასავლეთ კიდეგან 0,45 მ სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი №24. აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ მოგრძო ოვალურ ორმოში<sup>7</sup> მარჯვენა გვერდზე ესვენა დაახლოებით 1-2 წლის ბავშვი (ტაბ.

2. კედლის ხილული სიგრძეა 1 მ, სიგანე 0,30 მ, სიმაღლე 0,13-0,15 მ.

3. სამარხები აგრძელებს 2011 წელს გათხრილი სამარხების ნუმერაციას. სამარხის სიღრმე 0,40 მ-ია, სიგანე 0,45 მ, ხილული სიგრძე 1,40 მ.

4. სამარხი ორმოს ზომები – სიგრძე 0,60 მ, სიგანე 0,30 მ, სიღრმე 0,35 მ.

5. სამარხი ორმოს ზომები – სიგრძე 0,60 მ, სიგანე 0,30 მ, სიღრმე 0,15 მ.

6. სამარხი ორმოს ზომები – სიგრძე 0,45 მ, სიგანე 0,30 მ, სიღრმე 0,20 მ.

7. დასაკრძალავი ორმოს სიგრძეა 0,50 მ, სიგანე – 0,20 მ.

V<sub>1</sub>). თხრილის მთელ ფართობზე ჩნდებოდა კერამიკის ნატეხები, ქვის სანაყ-სასრესები და ობსიდიანის ანატეხები.

№4 თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალა – სამარხი №25 (ტაბ. V<sub>2</sub>). ჩანს, მიცვალებული დაკრძალული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. სამარხის დიდი ნაწილი თხრილის გარეთ გადის. თხრილში სხვადასხვა სიმაღლეზე აღმოჩენილი მასალის უმრავლესობა კერამიკაა. აქვეა მიკვლეული ბათქაშის ნატეხები, ქვის სანაყები და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

№ 5-8 თხრილებში გამოვლინდა ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა, სადაც გაიწმინდა ორმო და რიყის ქვებისგან შედგენილი კედლის ნაწილი (ტაბ. VI<sub>1-4</sub>). თხრილებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა თხრილში გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები, ნამოსახლარის ნაშთებისა და სამარხების სახით. ცხადია, აქ საქმე გვაქვს დიდ ტერიტორიაზე განფენილ ერთსა და იმავე მრავალფენიან ნამოსახლართან. ნამოსახლარის კულტურული ფენები, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 2011 წელს იქნა შესწავლილი<sup>8</sup>.

ინვენტარის არ არსებობის გამო სამარხთა დათარიღება ჭირს. რაც შეეხება საძიებო თხრილებში გამოვლენილ არტეფაქტებს, ისინი სხვადასხვა პერიოდისაა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მასალებს შორის გვხვდება პირგამლილი, დაბალყელიანი ქოთნები, რომელთაგან ზოგიერთი შემკულია ამოღარული ხაზებითა და ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. VII<sub>1</sub>, X<sub>2</sub>)<sup>9</sup>.

ელნისტური პერიოდის არტეფაქტებს შორის აღსანიშნავია: ქვევრების და დერგების ნატეხები (ტაბ. VII<sub>2,3</sub>, X<sub>3,4</sub>), თეთრი ანგობის ზოლებითა და წითელი საღებავით მოხატული ქოთნები (ტაბ. VII<sub>4-7</sub>, X<sub>5-7</sub>). თეთრანგობიანი დაკეჭნილსარტყელიანი ჭურჭელი (ტაბ. VII<sub>8</sub>, X<sub>8</sub>), პირმოყრილი და ყურიანი ჯამები (ტაბ. VII<sub>9-10</sub>, X<sub>9-10</sub>) და სხვ.

გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება მოჩაღისფროდ გამომწვარი ყელწიბოიანი დოქები (ტაბ. VII<sub>12</sub>, X<sub>11</sub>). მათგან ზოგიერთზე წითლად შეღებვის კვალია შემორჩენილი (ტაბ. VII<sub>13</sub>, X<sub>12</sub>).

ადრეული შუა საუკუნეების მასალიდან აღსანიშნავია ჩალისფერკეციანი და მოწითალოდ გამომწვარი ხელადები, ლუთერიები, ბრტყელპირიანი ჯამები, პირმოყრილი ქოთნები, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები (ტაბ. VII<sub>14-24</sub>, X<sub>13-23</sub>)

XII-XIII სს-ს განეკუთვნება დაკეჭნილი სარტყლებით პირშემკული ქვევრები (ტაბ. VII<sub>25-26</sub>, X<sub>24-25</sub>), ქოთნები, ქოთნის სარქველი (ტაბ. VII<sub>27-29</sub>, X<sub>26-28</sub>), დოქები (ტაბ. VII<sub>30</sub>, X<sub>29</sub>) და სხვ. თხრილებშივე აღმოჩნდა ქვის სხვადასხვა ფორმის საღესავები (ტაბ. VII<sub>31-32</sub>).

შემდეგი უბანი, სადაც გათვალისწინებულია კიდევ ორი ანძის დადგმა, მდებარეობს ილმაზლოს ბორცვებიდან სამხრეთით მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ფართოდ გაშლილ ველზე (ტაბ. I<sub>2</sub>, II<sub>1</sub>). თხრილებში სხვადასხვა სიღრმეზე გამოვლინდა ანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმი. მასალა უფრო მეტი რაოდენობით აღმოჩნდა საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გაჭრილ თხრილებში, რომლის აღმოსავლეთით შემალღებულ ტერასაზე დაფიქსირებულია ანტიკური ხანის ნამოსახლარი.

8. გოგოჭური, კლანდაძე, მნიშვნელოვანი აღმოჩენები, 18-65; გიორგი გოგოჭური, ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, იბერია-კოლხეთი, №15, (თბილისი. 2019), 107-141.

9. გრაფიკული ტაბულები და მასალის ჩანახატები შესრულებულია თ. სახვაძის მიერ.



არ არის გამოცხადებული, რომ აღნიშნული არტეფაქტები არსებული ობიექტიდან იყოს ჩამორეცხილი.

ილმასლოს ველზე მხოლოდ ანტიკური ხანის არტეფაქტები გვხვდება. თხრილებში არ ჩანს არქეოლოგიური სტრუქტურები. თუმცა, საყურადღებოა მასალა, რომელთაგან გამოირჩევა: სხვადასხვა ქვევრის პირებისა და ყელ-გვერდის ნატეხები (ტაბ. VII<sub>33-37</sub>, XI<sub>1-3</sub>); თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა (ტაბ. VII<sub>38</sub>, XI<sub>4</sub>); წითლად მოხატული ჭურჭელი (ტაბ. VII<sub>39-41</sub>, XI<sub>5-7</sub>); წითლად შეღებილ-ნაპრიალები (ტაბ. VIII<sub>1-5</sub>, XI<sub>8-12</sub>), თუ მქისეზედაპირიანი ჯამ-ფიალები (ტაბ. VIII<sub>6-8</sub>, XI<sub>13-15</sub>); მოჩაღისფროდ გამომწვარი ქოთნები (ტაბ. VIII<sub>9-10</sub>, XI<sub>16-17</sub>); რიყის ქვის მოგრძო სალეს-საპრიალებელი (ტაბ. VII<sub>42</sub>, XI<sub>18</sub>); სარ-ლასტის ანაბეჭდიანი თიხის ნატეხი (ტაბ. VIII<sub>11</sub>) და სხვ.

ორივე უბანზე გამოვლენილ ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალას მრავლად მოეპოვება ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV-II სს-ის ძეგლებზე. წითლად მოხატული კერამიკული ნაწარმი ცნობილია: არაგვის ხეობიდან<sup>10</sup>, უფლისციხიდან<sup>11</sup>, სამადლოდან<sup>12</sup>, ციხიაგორიდან<sup>13</sup>, მცხეთიდან<sup>14</sup>, ქვემო ქართლიდან<sup>15</sup> და სხვ.

ძვ.წ. IV-III სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებზე ასევე მრავლად გვხვდება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკის ნიმუშები (უფლისციხე, შავსაყდარა I-II, აბულმუგი, ციხიაგორა, კუმში, ეცო, კამარახევი, ასურეთი, თბილისი, ნორიო და სხვ.)<sup>16</sup>.

საინტერესო მასალები იქნა მიკვლეული სოფ. პირველ ქესალოში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალი ფლატის პირას (ტაბ. I<sub>3</sub>, II<sub>2</sub>). აღნიშნულ ტერიტორიაზე საძიებო სამუშაოების დაწყებამდე, ფლატის ჭრილში მიწის ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე თავიდანვე ჩანდა 0,20-0,30 მ სიმაღლის დამწვარი კულტურული ფენა (ტაბ. II<sub>4</sub>). ჭრილის გაწმენდისას მასში აღმოჩნდა ლევა ფერის ქოთნების ნატეხები,

10. არაგვის ხეობაში. (თბილისი. 1983.), ტაბ. XX<sub>1</sub>; რამინ რამიშვილი და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). (თბილისი. 2004), 98.

11. დავით ხახუტაიშვილი, უფლისციხე II, 1963-1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. (თბილისი. 1970), ტაბ. X I.

12. Юлон Гагошидзе, Самадло (каталог археологического материала). (Тбилиси. 1981), tab. IX<sub>105,106</sub>, XIII<sub>207,221</sub>, XXV<sub>318,324-326</sub>, XXVI<sub>331,333,334</sub>.

13. გიორგი ციტიშვილი და დრ. იტოგი რაბოტ კავთახევის არქეოლოგიური ექსპედიციის, Полевые археологические исследования в 1975 году. (Тбилиси. 1979), ტაბ. XXXII, XXXIII.

14. თათარხან ჯღარკავა, კამარახევის სამაროვანი, ძვ. წ. IV-III სს-ის სამარხული კომპლექსები, კატალოგი, მცხეთა VI, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (თბილისი. 1982), კატ. №1053, 1094.

15. გიორგი ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში. (თბილისი. 1989), ტაბ. X<sub>19,4</sub>; სოსო მარდიშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი, ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. (თბილისი. 2004), ტაბ. VIII, № XXXVII.

16. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, ტაბ. IV<sub>2</sub>; Николай Тушишвили и др. Археологическая экспедиция Алгетского ущелья, Полевые археологические исследования в 1984-85 гг., (Тбилиси. 1987), 34-35; სოსო მარდიშვილი, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან (თბილისი. 1992), 51-52; Каха Кахиани, Археологические исследования Машаверского ущелья в 1984-86 гг., Полевые археологические исследования в 1986 г., (Тбилиси. 1991), 54, ტაბ.133; ვერა თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (თბილისი. 1983), 39, ტაბ. XXXV<sub>5,9</sub>, XXXVI<sub>2</sub>, XXXVII<sub>1</sub>; იულიონ გაგოშიძე, თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი, III. (თბილისი. 1982), 52; ვახტანგ შატბერაშვილი, „ქვემო ქართლი ძვ. წ. IV-I საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით)“, საკანდიდატო დისერტაცია (თბილისი. 2005), ტაბ. XXXIX<sub>3,7</sub>; ჯღარკავა, კამარახევის სამაროვანი, სურ. 968, 1023, 1033; კიაზო კვიციანიძე, „ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან“, საკანდიდატო დისერტაცია. (თბილისი. 1975), 24-32, ტაბ. XII<sub>6</sub>, XVI<sub>2</sub>; გიორგი გოგოჭური და სხვ. სოფ. გლდანი-ნორიოს მონაკვეთზე სამშენებლო ზონაში გამოვლენილი ანტიკური ხანის ნამოსახლარზე (CH 453) 2018 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. (თბილისი. 2019), ტაბ. 128.

რომელთაგან ზოგიერთი შემკული იყო ირიბი ნაჭდეკების სარტყელით (ტაბ. VIII<sub>12-14</sub>, XI<sub>19-21</sub>). აქვე გამოვლინდა ჭურჭლის ზომორფული ყური (ტაბ. VIII<sub>15</sub>, XI<sub>22</sub>), აგრეთვე ლეგაპრიალა ტაფისმაგვარი ჭურჭლის პირ-ყურისა და ძირდაკეჭნილი ჭურჭლის ნატეხი (ტაბ. VIII<sub>28-29</sub>, XII<sub>11-12</sub>). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფლატის ჭრილში, ჩამოთვლილ არტეფაქტებთან ერთად, მიკვლეულ იქნა სატეხის ქვის ყალიბი, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ ნამოსახლარზე მელითონეთა სახელოსნოც ყოფილა (ტაბ. VIII<sub>27</sub>, XII<sub>10</sub>).

ზემოთ აღწერილი მასალების თანადროული არტეფაქტები გამოვლინდა ფლატის კიდიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით გაკეთებულ №17 თხრილში. თხრილის ქვედა ფენებში აღმოჩნდა ლეგა-მოშავო ფერის კერამიკული ნაწარმი: სადღვებლის ნატეხი (ტაბ. VIII<sub>16</sub>, XII<sub>1</sub>), ამოღარული ხაზებით შემკული დერგები (ტაბ. VIII<sub>17-18</sub>, XII<sub>2-3</sub>), ქოთნები, ჯამი და სხვ. (ტაბ. VIII<sub>19-26</sub>, XII<sub>4-9</sub>).

საინტერესოა ყალიბთან ერთად მიკვლეული ძირდაკეჭნილი ჭურჭელი (ტაბ. VIII<sub>29</sub>, XII<sub>12</sub>). ამგვარი კერამიკა საკმაოდ ადრეულ ხანაში ჩნდება და არსებობას დიდხანს განაგრძობს. ძირდაკეჭნილი ჭურჭლის ნიმუშები აღმოჩენილია: ცხინვალის ნაცარგორაზე<sup>17</sup>, უფლისციხეში (ყათლანხევი)<sup>18</sup>, ხოვლეს ნამოსახლარზე (V-IV ფენები)<sup>19</sup>, მცხეთაში<sup>20</sup> და სხვ. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზე მრავლად გვხვდება აგრეთვე ზომორფულყურიანი ჭურჭელიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნამოსახლარზე გამოვლენილი სატეხის ქვის ყალიბი. მსგავსი ყალიბები აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორის II-III ფენებში, რომელთა ზედა თარიღი თავის დროზე განისაზღვრა I ათასწლეულის პირველი ნახევრით<sup>21</sup>. ძვ.წ. IX-VIII სს-ით დათარიღებული სატეხის ყალიბი ცნობილია ქვემო ქართლიდან (განთიადის სამაროვანი)<sup>22</sup>.

ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეულით, მათ შორის სპილენძისა და რკინის საბადოებით. ამ რეგიონში მეტალურგიის არაერთი კერაა დაფიქსირებული წინაანტიკური ხანიდან მოკიდებული, ვიდრე XIX ს-ის დასასრულამდე<sup>23</sup>. სოფ. პირველ ქესალოსთან ფლატის ჭრილში აღმოჩენილი ყალიბისა და მის სიახლოვეს არსებული თიხის თაღისებური ფორმის კონსტრუქციის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დასახლებულ პუნქტში ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მელითონის სახელოსნო არსებულა (ტაბ. II<sub>2,4</sub>).

ნამოსახლარის სიახლოვეს მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ფლატის ჭრილის დათვალიერებისას აღმოჩნდა კულტურული ფენები (ტაბ. II<sub>3</sub>) და ამ ფენიდან ჩამორეცხილი არტეფაქტები. მათ შორისაა სანელსაცხებლე (ტაბ. VIII<sub>31</sub>, XII<sub>13</sub>), რომელსაც არაერთი ანალოგი მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის განათხარ მასალაში – ზემო ავჭალა, კლდეეთი, ურბნისი, სამთავრო, ჟინვალი, დედოფლის გორა, სადაც

17. ვერმანე გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, მიმოხილველი, ტ. II. 1951. 252, 268.

18. ხაზუტაიშვილი, უფლისციხე II, 47, ტაბ. XXI.

19. დავით მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. (თბილისი. 1978). ტაბ. XXXVII.

20. ალექსანდრე კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები (უბეღესი დროიდან ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე), მცხეთა, ტ. IV, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. (თბილისი. 1980). კატ. №261, 282, 284.

21. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, 250, 268-269, ტაბ. VI<sub>2</sub>, XVII<sub>5</sub>.

22. ვია ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (თბილისი. 1974), 39, 54.

23. დევი ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვეთი I. (თბილისი. 1979), 11-13.

ისინი ძირითადად I-II სს-ით თარიღდება<sup>24</sup>. ამავე ტერიტორიაზე ნაპოვნია სამტურნა დოქი<sup>25</sup> (ტაბ. VIII<sub>30</sub>). ამგვარი დოქები აღმოჩენილია: ურბნისში, ჟინვალში, მცხეთაში, კამარახევიში, დიღმის ხეობაში, თბილისში და სხვ. ისინი ზოგადად I-III სს-ით თარიღდება<sup>26</sup>. სანელსაცხებლე და სამტურნა დოქი სამარხებიდან მომდინარეობს, რაც ამ ტერიტორიაზე გვიანანტიკური ხანის სამაროვნის არსებობას გვაგვარაულებინებს. შესაბამისად, აქვე ახლომახლო მისი თანადროული ნამოსახლარიცაა საგულისხმებელი.

სოფ. პირველი ქესალოს განაპირას, მტკვრისა და ალგეთის შეერთების სიახლოვეს, მტკვრისპირა ფლატის ჭრილის დათვალიერებისას, მიწის ზედაპირიდან ორიოდ მეტრ სიღრმეზე დაფიქსირდა დამწვარ-დანახშირებული კულტურული ფენის ნაშთი, რომელიც საკმაოდ დიდ მანძილზე გაუყვება ფლატეს. ჩანს, მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდებარეობდა კიდევ ერთი ნასახლარი (ტაბ. II<sub>5</sub>).

ამავე მიდამოებში, ალგეთის მარცხენა ნაპირის სიახლოვეს შუა საუკუნეების შენობის ნანგრევია. კედლები ნაგებია რიყის ქვითა და აგურით კირხსნარზე. შენობა არაა ეკლესია ან საფორტიფიკაციო ნაგებობა (ციხე, კოშკი). სავარაუდოდ ის საერო დანიშნულების ობიექტი (სასახლე? ქარვასლა?) უნდა ყოფილიყო (ტაბ. III<sub>1</sub>).

საყურადღებო მასალები იქნა მიკვლეული სოფ. მეორე ქესალოს სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალი ქარაფის თხემზე (ტაბ. I<sub>4</sub>). აქ ქარაფის ჭრილში, დაახლოებით 0,80-1 მ სიღრმეზე ჩანს ალიზის აგურებით ნაშენი ნაგებობების ნაშთები და კრამიტების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები (ტაბ. III<sub>2</sub>). ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის ცნობით, ამ დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში, ფლატის პირას, მდგარა ქვა (სტელა?), რომელიც მტკვარში გადაუგდიათ. ის მდინარეში დღესაც დევს. იმავე პიროვნებამ ექსპედიციას გადმოსცა ქვის ორნამენტირებული ნატეხები, რომლებიც ყველა ნიშნის მიხედვით, სტელის ნაწილებია (ტაბ. IX). ერთ ნატეხზე გამოსახულია ფურცლოვანი ორნამენტი (ტაბ. IX<sub>1,3</sub>), რომელიც წააგავს ქვემო ქართლის ადრეული, VI ს-ის სტელებისათვის (ბრდაძორის მცირე სტელა, ბოლნისის სტელა და სხვ.) დამახასიათებელ ორნამენტულ სახეებს<sup>27</sup>.

უეჭველია, ეს ტერიტორია ეკავა ადრეული შუა საუკუნეების ნასოფლარს, სადაც რიგი ნაგებობები ალიზის აგურით ყოფილა ნაშენი და კრამიტით გადახურული.

ამრიგად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად ექსპედიციამ აღმოაჩინა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა.

24. სერგი მაკალათია, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. IV. 1928. ტაბ. IX<sub>3</sub>; გიორგი ლომთათიძე, კლდეების სამაროვანი. (თბილისი. 1957), სურ. 5; ლევან ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. (თბილისი. 1964). 51, სურ. 27; Михаил Ивашенко, Самтаврские погребения первых трех веков н. э., Мцхета, т. 3. (Тбилиси. 1980), სურ. 175; ვერა ჩიხლაძე, ჟინვალის სამაროვანი. (თბილისი. 2016). ტაბ. IV<sub>186</sub>; მარიამ საგინაშვილი, მინის ჭურჭელი დედოფლის გორის სასახლიდან (ახ. წ. I ს. ქართლის სამეფოს საგარეო-ეკონომიკური კონტაქტებისათვის), ძიებანი, №11. 2003, 86, ტაბ. III<sub>1-2</sub>.

25. ნივთი გაგვაცნო სოფ. პირველი ქესალოს მცხოვრებმა რ. მამელოვმა.

26. ჭილაშვილი, ურბნისი, ტაბ. XIII; ჩიხლაძე, ჟინვალის სამაროვანი. ტაბ. II<sub>186</sub>, VIII<sub>342</sub>, XI<sub>420</sub>, XII<sub>389</sub>; Ивашенко, Самтаврские погребения. სურ. 65; ანდრია ავაქიძე და სხვ. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის შედეგები, მცხეთა, ტ. II. (თბილისი. 1978), 44, სურ. 230, 233; ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I. (თბილისი. 1978), 100, ტაბ. 57<sub>1</sub>; დომენტი ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. II. (თბილისი. 1958). ტაბ. XII<sub>14-15</sub>.

27. გიორგი ჯავახიშვილი, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკება. (თბილისი. 2014). 12-19.

1. სოფ. ილმაზლოსთან არსებულ მტკვრისპირა ბორცვზე გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტი (ტაბ. I<sub>1</sub>) ნაწილია ჯერ კიდევ 2011 წელს აღმოჩენილი ძეგლისა, სადაც დაფიქსირდა ექვსი სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენა, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მოყოლებული ვიდრე შუა საუკუნეების ჩათვლით<sup>28</sup>.

2. სოფ. ილმაზლოსთან ფართოდ გაშლილ ველზე, საძიებო თხრილებში აღმოჩნდა ელინისტური ხანის კერამიკა, რომელიც აქვე, შემადლებულ ადგილზე არსებული ნასახლარის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული ნასახლარის არსებობა ჯერ კიდევ 2011 წელს დაფიქსირდა (ტაბ. I<sub>2</sub>, II<sub>1</sub>).

3. სოფ. პირველ ქესალოსთან, როგორც საძიებო თხრილებში, ისე ფლატის ჭრილში არსებულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება (ტაბ. I<sub>3</sub>, II<sub>2,4</sub>, VIII<sub>12-26, 28-29</sub>, XII<sub>11-12</sub>). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქვე, ფლატის ჭრილში, გამოშვლებულ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი სატენის ქვის ყალიბი (ტაბ. VIII<sub>27</sub>, XII<sub>10</sub>). უდავოა, რომ პირველ ქესალოსთან გამოვლენილი კულტურული ფენების სახით საქმე გვაქვს ქვემო ქართლის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დასახლებასთან, სადაც მელითონეთა სახელოსნოც უნდა არსებულიყო.

4. სოფ. პირველი ქესალოს სიახლოვეს, ფლატის ჭრილიდან ჩამორეცხილი სანელსაცხებლე და დოქი (ტაბ. II<sub>3</sub>, VIII<sub>30-31</sub>, XII<sub>13</sub>), იმაზე მეტყველებს, რომ ამ მიდამოებში I-III სს-ის სამაროვანი, მის ახლომახლო კი თანადროული ნასახლარი არსებობდა.

5. მდ. ალგეთისა და მტკვრის შესართავის სიახლოვეს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ფლატის ჭრილში მიკვლეულ იქნა დამწვარ-დანახშირებული კულტურული ფენა, რომელიც ნამოსახლარს ეკუთვნის (ტაბ. II<sub>5</sub>). ამ ეტაპზე ნასახლარის კონკრეტული თარიღის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

6. ამავე მიდამოებში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე დაფიქსირდა შუა საუკუნეების მოზრდილი ნაგებობის ნანგრევი (ტაბ. III<sub>1</sub>).

7. სოფ. მეორე ქესალოს განაპირას, სამხრეთით, მდინარისპირა ქარაფის ჭრილში გამოვლინდა ალიზით ნაგები და კრამიტით გადახურული ადრეული შუა საუკუნეების შენობების (ნასოფლარის) ნაშთი (ტაბ. III<sub>2</sub>). ამავე ნასოფლარიდან მომდინარეობს სტელის ნატეხები (ტაბ. IX). საკუთრივ სტელა ამჟამად მტკვარშია გადაგდებული.

ამრიგად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (სამშენებლო ზონაში) ექსპედიციამ დააფიქსირა შვიდი არქეოლოგიური ობიექტი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა. ძეგლების ასეთი ინტენსიური განლაგება მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებით, შემთხვევითი არაა. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ უძველესი ნასახლარების გაჩენა განპირობებული იყო ამ მიდამოების დიდი ეკონომიკური შესაძლებლობებით. დასახლებული პუნქტების გასწვრივ თანდათან ფორმირდებოდა გზა, რომელიც შემდგომ მნიშვნელოვან საერთაშორისო მაგისტრალად ჩამოყალიბდა. ამ გზის შესახებ უკვე სტრაბონი აღნიშნავდა თავის ნაშრომში – „ხოლო არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის ეს მდინარეები. იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე ... მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო მეორეზე – სევსამორა. ამ შემოსასვ-

28. გოგოჭური, კალანდაძე, მნიშვნელოვანი აღმოჩენები, 18-65.

ლელეებით პირველად ისარგებლა პომპეუსმა, რომელიც არმენიდან მოდიოდა, ხოლო ამის შემდეგ კანიდიუსმა<sup>29</sup>. როგორც ვნახეთ, იბერიაში შემოსასვლელი ერთ-ერთი გზა სწორედ მტკვრის ნაპირს მიუყვებოდა. ასეთი მნიშვნელოვანი მაგისტრალის გასწვრივ სავსებით ბუნებრივია სხვადასხვა პერიოდის ნასახლარების სიმრავლე წინანტიკური ხანიდან მოყოლებული, შუა საუკუნეების ჩათვლით. გზის გასწვრივ მდებარე ზემოთ განხილული ნასახლარები აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში.

---

29. თინათინ ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. (თბილისი. 1957), 129.



### **Archaeological Researches in Marneuli Municipality**

Expedition of Otar Lortkipanidze Institute of Archaeological Researches of the National Museum of Georgia (head B. Murvanidze) carried out works in Marneuli municipality, on the right bank of the River Kura (Fig. I). The expedition revealed some archaeological sites.

Back in 2011, at the village of Ilmazlo, on the elevated place, a multilayer archaeological site was excavated. The expedition revealed cultural layers of pre-Classical, Classical periods and Middle Ages (Fig. I<sub>1</sub>, IV, V, VI<sub>1-4</sub>, VII<sub>1-32</sub>). Near the village, on the wide-open field the expedition found the remnants of former settlement of the Hellenistic period (Fig. I<sub>2</sub>, II<sub>1</sub>, VII<sub>33-42</sub>, VIII<sub>1-11</sub>).

In the vicinity of the village Pirveli Qesalo, in the trial trench, and in the section of steep coastline, pottery fragments were found, dating the former settlement to the first half of the first millennium B.C. (Fig. VIII<sub>13-26</sub>). A stone mold, found at the same site makes us to think that there should have been a metallurgical workshop (Fig. VIII<sub>27</sub>). Near the settlement, the expedition found a glass unguentarium and a clay jug dated to the 1<sup>st</sup>-3<sup>rd</sup> cent. B.C. These findings make us to suppose that the cemetery of the same period should be located at the place (Fig. VIII<sub>30-31</sub>).

At the village of Meore Qasalo, in the section of riverside rock the expedition exposed the remnants of the settlement of Early Middle Age. The walls were constructed with adobe, and roofed with tiles (Fig. III<sub>2</sub>). Stone stele remnants were found here too (Fig. IX).

Thus, on the right bank of the river Kura the expedition revealed several archaeological sites, chronological range of which is rather wide. Appearance of the oldest settlement along the right bank of the r. Kura was conditioned by the remarkable economic opportunities. Along the populated places a road was formed gradually, which later played the role of international highway. It should be noted that Strabo describes this road. The settlements located along the road should have been actively engaged in international trade-economic and cultural relations.

## ბიბლიოგრაფია:

- ავალიშვილი ვია, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი. 1974.
- აფაქიძე ანდრია, კალანდაძე ალექსანდრე, ნიკოლაიშვილი ვახტანგ. მცხეთის მუდმივ-მოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის შედეგები, მცხეთა, ტ. II. თბილისი. 1978, 8-80.
- ბერძენიშვილი დევი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვეთი I. თბილისი. 1979.
- გაგოშიძე იულონი. თრიალეთის სამაროვნები. კატალოგი III, ანტიკური ხანის სამაროვნები. თბილისი. 1982.
- გობეჯიშვილი გერმანე, „სტალინის ნაცარგორა“, მიმომხილველი, ტ. II. 1951, 239-276.
- გოგოჭური გიორგი, „ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან“, იბერია-კოლხეთი, №15. თბილისი. 2019, 107-141.
- გოგოჭური გიორგი, კალანდაძე ნინო. „მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. IV (49-ბ). თბილისი. 2013, 18-65.
- გოგოჭური გიორგი, ბერძენიშვილი ირმა. „ტახის/ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. V (50-ბ). თბილისი. 2014, 10-37.
- გოგოჭური გიორგი, ნიკოლაიშვილი ვახტანგ, შატბერაშვილი ვახტანგ, ხარაბაძე სულხან. სოფ. გლდანი-ნორიოს მონაკვეთზე სამშენებლო ზონაში გამოვლენილ ანტიკური ხანის ნამოსახლარზე (CH 453) 2018 წელს ჩატარებული სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. თბილისი. 2019.
- თოლორდავა ვერა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი. 1983.
- კალანდაძე ალექსანდრე, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები (უძველესი დროიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე), მცხეთა, ტ. IV, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი. 1980.
- კვიციანიძე კიაზო, ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი. 1975.
- ლომთათიძე გიორგი, კლდეეთის სამაროვანი. თბილისი. 1957.
- ლომთათიძე გიორგი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში. თბილისი. 1989.
- მაკალათია სერგი, „1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. IV. 1928, 196-188.
- მარლიშვილი სოსო, ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბილისი. 1992.
- მარლიშვილი სოსო, ნარიმანიშვილი გოდერძი. ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი. 2004.

**მუსხელიშვილი დავით**, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი. 1978.

**ნიკოლაიშვილი ვახტანგ**. „ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან“, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I. თბილისი. 1978, 91-104.

**რამიშვილი რამინ**, **ჯორბენაძე ბესარიონ**, **ჩიქოვანი გურამ**, **ღლონტი მეტია**, **წითლანაძე ლეილა**, **ბურუქური ანა**, **რობაქიძე ცისანა**, **მინდორაშვილი დავით**, **რჩეულიშვილი გიორგი**, **ლომიძე ცისანა**, **ჩიხლაძე ვერა**, **მარგველაშვილი მაყვალა**, **წიკლაური ივანე**, **წიკლაური ჯულიეტა**, **გამეხარდაშვილი მზია**. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“, სავლე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბილისი. 2004, 95-104.

**საგინაშვილი მარიამი**, „მინის ჭურჭელი დედოფლის გორის სასახლიდან (ახ. წ. I ს. ქართლის სამეფოს საგარეო-ეკონომიკური კონტაქტებისათვის)“, ძიებანი, №11. 2003, 83-92.

**ქორიძე დომენტი**, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. II. თბილისი. 1958.

**ყაუხჩიშვილი თინათინ**, სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი. 1957.

**შატბერაშვილი ვახტანგ**, ქვემო ქართლი ძვ. წ. IV-I საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი. 2005.

**ჩიხლაძე ვერა**, ჟინვალის სამაროვანი. თბილისი. 2015.

**წითლანაძე ლეილა**, „ვარსიმაანთკარის სამაროვანი“, ჟინვალის I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში. თბილისი. 1983, 52-76.

**ჭილაშვილი ლევანი**, ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი. 1964.

**ხახუტაიშვილი დავით**, უფლისციხე I, 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი. 1964.

**ხახუტაიშვილი დავით**, უფლისციხე II, 1963-1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი. 1970.

**ჯღარკავა თათარხან**, „კამარახევის სამაროვანი, ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხული კომპლექსები, კატალოგი“, მცხეთა VI, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი. 1982, 139-190.

**ჯავახიშვილი გიორგი**, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკება. თბილისი. 2014.

**Гагошидзе Юлон**, Самадло (каталог археологического материала). Тбилиси. 1981.

**Тупишвили Николай**, **Амиранашвили Джуаншер**, **Маргишвили Сосо**. „Археологическая экспедиция Алгетского ущелья“, Полевые археологические исследования в 1984-85 гг., Тбилиси. 1987, 20-21.

**Иващенко Михаил**, Самтаврские погребения первых трех веков н. э., Мцхета, т. 3. Тбилиси. 1980.

**Кахиани Каха**, **Глигвашвили Элгуджа**, **Дзнеладзе Мераб**, **Кереселидзе Гиორგი**, **Цквитиანიძე Зураб**. „Археологические исследования Машаверского ущелья в 1984-86 гг.“, Полевые археологические исследования в 1986 г., Тбилиси. 1991, 51-59.

**Цкитишвили Гиორგი**, **Иремашвили Шота**, **Накаидзе Нодар**, **Нупубидзе Автандил**. „Итоги работ Кавтисхевской археологической экспедиции“, Полевые археологические исследования в 1975 году. Тбилиси. 1979, 55-62.

## ტაბულების აღწერილობა

- I. 1. სოფ. ილმაზლო. ნამოსახლარი ბორცვები; 2. ილმაზლოს ველი; 3. სოფ. პირველი ქესალო. ნამოსახლარი; 4. სოფ. მეორე ქესალო. ისრებით მითითებულია შუა საუკუნეების ნასოფლარის ადგილმდებარეობა.
- II. 1. ილმაზლოს ველი; 2. სოფ. პირველი ქესალო. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნასახლარი; 3. პირველი ქესალო. ფლატის ჭრილში შემორჩენილი კულტურული ფენები; 4. ფლატის ჭრილში მიკვლეული კულტურული ფენა და ქვის ყალიბი; 5. მტკვრისა და ალგეთის შეერთების ადგილას, მტკვრის პირას მიკვლეული კულტურული ფენა.
- III. 1. მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე არსებული შუა საუკუნეების ნაგებობა; 2. სოფ. მეორე ქესალოს განაპირას არსებული შუა საუკუნეების ნასოფლარი.
- IV. 1-2. ილმაზლოს ბორცვი. №1, 2 თხრილები. გეგმა და ჭრილები.
- V. 1-2. ილმაზლოს ბორცვი. №3, 4 თხრილები. გეგმა და ჭრილები.
- VI. 1-4. ილმაზლოს ბორცვი. №5, 6, 7, 8 თხრილები; 5. სოფ. პირველი ქესალო. №17 თხრილი. გეგმები და ჭრილები.
- VII. 1-32. ილმაზლოს ბორცვზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა; 33-42. ილმაზლოს ველზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.
- VIII. 1-11. ილმაზლოს ველზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა; 13-15, 27-29. სოფ. პირველი ქესალო. ფლატისპირა ჭრილში აღმოჩენილი მასალა; 16-26. პირველი ქესალო. №17 თხრილში აღმოჩენილი მასალა; 30-31. პირველი ქესალოს სიახლოვეს ფლატისპირა ჭრილიდან მომდინარე თიხის დოქი და მინის სანელსაცხებლე.
- IX. სოფ. მეორე ქესალო. სტელის ნატეხები.
- X. ილმაზლოს ბორცვი. არქეოლოგიური მასალის გრაფიკული ჩანახატები.
- XI. 1-18. ილმაზლოს ველი. არქეოლოგიური მასალის გრაფიკული ჩანახატები; 19-22. სოფ. პირველი ქესალო. ფლატისპირა ჭრილში აღმოჩენილი კერამიკა.
- XII. 1-9. სოფ. პირველი ქესალო. №17 თხრილში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა; 10-12. ქვის ყალიბი და კერამიკის ნატეხები; 13. პირველი ქესალოს სიახლოვეს შემთხვევით მიკვლეული მინის სანელსაცხებლე.


## Illustrations:

- I. 1. Vil. Ilmazlo. Former settlement mounds. 2. Ilmazlo valey; 3. Vil. Pirveli Qesalo. Former settlement; 4. Vil. Meore Qesalo. Rows refer to the location of the settlement of Middle Ages.
- II. 1. Ilmazlo valey; 2. The v. Pirveli Qesalo. The settlement of the first half of the first millennium B.C. 3. Pirveli Qesalo. Remnants of cultural layers in the steep riverside section; 4. Cultural layer found in the steep riverside section and a stone mold; 5. Cultural layer found at the junction of rivers Kura and Algeti, at the bank of Kura.
- III. 1. The structure of Middle Ages at the left bank of the r. Algeti; 2. The settlement of Middle Ages at the Meore Qesalo.


- IV. 1-2 Ilmazo mound. #1, 2. Trenches. A plan and sections.
- V. 1-2. Ilmazo mound. #3, 4. Trenches. A plan and sections
- VI. 1-4. Ilmazo mound. #5, 6, 7, 7 Trenches; 5. Pirveli Qesalo. Trench #17, plans and sections.
- VII. 1-32. Archaeological material from Ilmazo mound; 33-42. Archaeological material found on Ilmazo valey.
- VIII. 1-11. Archaeological material found on Ilmazo valey; 13-15, 27-29. Pirveli Qesalo. Material found in the steep riverside section; 16-26. Pirveli Kesalo. Material found in trench #17; 30-31. Clay jug and glass unguentarium found near Pirveli Qesalo.
- IX. Meore Qesalo. Fragments of stele.
- X. Ilmazo mound. Graphical drawings of archaeological material.
- XI. 1-18. Ilmazlo, graphical drawings of archaeological material; 19-22. Pirveli Qesalo. Ceramics found in steep riverside section.
- XII. 1-9. Pirveli Qesalo. Archaeological material found in trench #17; 10-12. Stone mold and fragments of pottery; 13. Glass unguentarium found near the v. Pirveli Qesalo.




I




1



2



3



4



1



2



3



4



5




III




1





2







1



2














1

2



3

4



5

VII











1



2




0 2 4




1

0 2 4




4

0 2 4





3

0 2 4









## დედაქალაქობისდროინდელი „დიდი მცხეთა“

ქართლის სამეფოს (ბერძნულ-რომაული წყაროების იბერიის) ძველი დედაქალაქი მცხეთა (ძვ.წ. IV-III - ახ.წ. IV-V სს) ცნობილია ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით. მათ შესახებ მოგვითხრობენ როგორც ქართული, ასევე უცხოური წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური ძეგლები. დედაქალაქობის დროინდელი „დიდი მცხეთა“ ნახსენები აქვს XI ს-ის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს თავის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც შესულია საისტორიო ქრონიკაში „ქართლის ცხოვრება“: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა...“<sup>1</sup>. დიდი ქალაქი მცხეთა ნახსენებია აგრეთვე, ქრონიკაში „მოქცევაი ქართლისაი“, რომელიც შესულია X საუკუნის შატბერდის კრებულში<sup>2</sup>. ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან შეჩერებულ ქართლის განმანათლებელ ნინო კაპადოკიელის შეკითვაზე, რომლისა სოფლისანი ხართ თქვენ?, მცხეთელი მწყემსი პასუხობს: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. ამჟამად ეს ტერიტორია ასე შემოიფარგლება: აღმოსავლეთით რკინიგზის სადგური ზაჰესი, დასავლეთით – ძეგვი, ხეკორძულას ხევი და ნასტაკისი, ჩრდილოეთით – მუხრანის სანახები, სამხრეთით – საწკაპელა-დიდგორის ქედი<sup>3</sup>.

**დედაქალაქობის ხანის მცხეთა** (ძვ.წ. IV-III – ახ.წ. IV-V სს.) მტკვრისა და არაგვის ხერთვისში და მის ორივე ნაპირზე მდებარეობდა. უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) კვლევა-ძიებამ გამოავლინა ანტიკური ხანის ძეგლები, რომელთა შესწავლა, ძველ აღმოჩენებთან ერთად, საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სისრულით აღვადგინოთ დედაქალაქობისდროინდელი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია. ის ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, სადაც ჩამოყალიბდა ქალაქის საზღვრები, საფორტიფიკაციო სისტემები და დასახლებები.

ქართლის ძველ დედაქალაქში და მის შემოგარენში ფართოდ გაშლილი საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ძეგლები მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის ანტიკური ხანის მცხეთის განსახლების დასადგენად დროსა და სივრცეში. შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ დასახლების ტიპი, სამა-

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი 1, თბილისი, 1955, 17-18.

2. მოქცევაი ქართლისაი, შატბერდის კრებული X საუკუნისა, რედ. შანიძე მხეკალა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979, 333.

3. ანდრია აფაქიძე და სხვ. მცხეთა I, თბილისი, 1955, 3; ანდრია აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963, 20, 215, 220-222; ვახტანგ ნიკოლაიშვილი, დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია, „იბერია-კოლხეთი“, 2005, 93-108.

როვნების, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების განლაგება; მათი ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ ძველი მცხეთის დემოგრაფიული სიტუაცია<sup>4</sup>

ახალ აღმოჩენათა შუქზე შეიძლება გარკვეულწილად შევჯამდეს ღართისკარზე და კაცითავანაზე (არმაზისხევი), წიწამურთან თუ საკუთრივ მცხეთაში, აგრეთვე მის შემოგარენში ჩატარებული გათხრების და კვლევა-ძიების შედეგები, შევჯერდეს იგი ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებთან, რაც თავისთავად, ძალიან საინტერესო სურათს იძლევა. სახეზეა ქართული და ზოგი უცხოური წყაროს მონაცემთა სრული იდენტიფიკაცია არქეოლოგიური გათხრების შედეგებთან.

**მცხეთაში**, ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დასახლებები ძირითადად ახ.წ. III–IV–VI საუკუნეებს ეკუთვნის. სხვადასხვა ადგილას ჩნდება აღნიშნული პერიოდის ქალაქის ნაწილები, რომლებიც ქალაქგეგმარების აღდგენისათვის პირველხარისხიან მასალას წარმოადგენს. როგორც ჩანს, რეგულარული გეგმარების მქონე ცენტრალური ნაწილი შემოსაზღვრული იყო ზღუდე-გალავნით. იგი ქვის საფუძველზე ალიზით ყოფილა ნაგები და მისი სივანე ზოგან 6 მ-ს აღწევდა. გალავანს ორი კარიბჭე ჰქონია: ჩრდილოეთით მონასტრისხევთან და სამხრეთ-დასავლეთით მტკვრის სანაპიროსთან. გალავანი არაგვის მარჯვენა ნაპირზე იწყებოდა, შემდეგ მონასტრისხევის მარჯვენა ნაპირს აუყვებოდა, მცხეთის გორაზე გადადიოდა და სამხრეთ-დასავლეთით მტკვართან ეშვებოდა. გალავანი სავარაუდოდ, მტკვრისა და არაგვის ნაპირებსაც მიუყვებოდა და დახლოებით 35 ჰა ფართობს მოიცავდა<sup>5</sup>. რაც შეეხება ლეონტისეულ „დიდ მცხეთას“, რომელიც ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებისა და მცხეთის გადელაქალაქების პერიოდს ემთხვევა, გაცილებით დიდ ფართობს მოიცავდა და დაცული იყო სასიმაგრო სისტემით. ჩრდილოეთიდან მას იცავდა ღართისკართან გამავალი სასიმაგრო სისტემა, თავდაცვის მეორე ხაზი კი, ბებრისციხე-წიწამურთან გადიოდა, სამხრეთით საწკებელა-დიდგორის ქედი და იქ აღმართული ციხე-სიმაგრეები იცავდა, აღმოსავლეთით – ზემო ავჭალა-დევის ნამუხლზე (ქოშიგორა) გამავალი გალავანი, დასავლეთით – გრძელი მინდორი, სარკინე, ციხელიდის ხევის დაცვის სისტემა მოქმედებდა<sup>6</sup>.

**სვეტიცხოვლის ეზო**. მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას ქვედა ფენა წარმოდგენილი იყო გვიანანტიკური ხანის სამარხებითა და მისი სინქრონული რომაული ტიპის აბანოს ნაშთებით (II–IV სს). აღმოჩნდა აგრეთვე, დაახლოებით ამავე ხანის რამდენიმე არქიტექტურული დეტალი: ბაზა, ფრიზის ფრაგმენტი კარნიზითურთ და თიხის ანტიფიქსი სიცოცხლის ხის გამოსახულებით. სამარხები ზოგადად III–IV სს-ით თარიღდება. ინვენტარის სიუხვით, მრავალფეროვნებითა და უნიკალობით გამოირჩევა სამარხი – აკლდამა №14. სამარხში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინის და სხვადასხვა მინერალებისაგან დამზადებული 25 დასახელების

4. ნიკოლაიშვილი, დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია, „იბერია-კოლხეთი“, 93-108.

5. ალექსანდრე კალანდაძე, ალექსი ბოხრაძე, არაგვის კარი, ძეგლის მეგობარი, №15, 1968, 17-28; ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ქალაქი მცხეთა ახ.წ. III-VI სს., კავკასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა, 3), თბილისი, 2004, 39-43.

6. Vakhtang Nikolaishvili, Greater Mtskheta, "Orientalia Lovaniensia Analecta, Band 268, Context and connection, Studies on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona, edited by Atilla Batmaz, Giorgi Bedianashvili, Aleksandra Michalevicz and Abby Robinson". Peeters, Leuven-Paris-Bristol, CT, 2018, 867-889.

ნივთი. მათ შორის უნიკალურია ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული საწერი მოწყობილობა – პენალი. სამი კალამ-კალმისტარი ვერცხლის კოლოფშია მოთავსებული, რომელსაც ოქროს წარწერიანი ფირფიტით მორთული ვერცხლის სახურავი ახურავს. სახურავზე დამაგრებულია ბუდე, რომელშიაც ოქროს სამელნე ყოფილა ჩადგმული. ბუდეზე მოცემულია კომპოზიცია სამი მამაკაცის გამოსახულებით, რომელთაც ამკობს სათანადო წარწერები ძველბერძნულ ენაზე: მენანდრე, ჰომეროსი და დემოსთენე. ოქროს ჭვირულ ფირფიტაზე კი ამოკვეთილია: „მეფე უსტმოსისა და ევენიოსისა“. ხელსაწყოს ზურგის მხარეს ცხრა მუზის გამოსახულებაა სათანადო წარწერებით. მცხეთაში ადრე გამოვლენილ სტილოსებთან და სამელნეებთან ერთად ეს აღმოჩენა ქართლის (იბერიის) სამეფოში მწიგნობრობის დაწინაურებასთან ერთად ქალაქური კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს<sup>7</sup>.

**სამთავრო. ნამოსახლარები და სამაროვნები** მდებარეობს მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ მცხეთის ფარგლებში (ფართობი 18 ჰა). აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. არაგვი, დასავლეთით კოდმანის ვაკობი, სამხრეთით – მონასტრისხევი, ხოლო ჩრდილოეთით - ბაიათხევი. გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის, შუა ბრინჯაოს, ელინისტური, გვიანანტიკური და ფეოდალური ხანის ნამოსახლარების ნაშთები და შუა ბრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების ოთხი ათასზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამარხი (ძვ.წ. III ათასწლეული – ახ.წ. VII სს.). არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ მეფის ოჯახის წარმომადგენელთა განსასვენებელი სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე. ამაზე უნდა მეტყველებდეს ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (სამარხი-აკლდამა 905) დადასტურებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ოქრო-ვერცხლის ნივთებთან ერთად აღმოჩენილი წარწერა: „თირიდატი უფლისწული (ეს ლანგარი) მისი საკუთარია“. სამარხ-აკლდამაში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის (ტორეგტიკის) ძეგლები მნიშვნელოვანია არა მარტო გვიანანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, არამედ, ზოგადად, ანტიკური კულტურის ისტორიის შესწავლისათვისაც პირველხარისხოვან მასალას წარმოადგენს<sup>8</sup>.

**ღართისკარი** თანამედროვე მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ღრმა, ამჟამად მშრალი ხევი მდ. არაგვს მარჯვენა მხრიდან ერთვის. ჩრდილოეთით, პარალელურად მეორე ხევი უერთდება, მას ბრინჯილეღეს უწოდებენ. მათ შორის მდებარე ტერიტორია (30 ჰა ფართობი) უკავია სასიმაგრო სისტემას. ღართისკარი მტკვრის და არაგვის ხერთვისის ყველაზე ვიწრო ყელს წარმოადგენს და სტრატეგიულად მარჯვე ადგილია – მუხრანის ველიდან მომხდურთავან თავის დასაცავად. სწორედ ამ მიზნით ჩანს აგებული ქვის საფუძველზე აღმართული 3 მ-მდე სიგანის ალიზით ნაგები კოშკებიანი ზღუდე-გალავანი, რომელიც ბრინჯილეღეს მარჯვენა ნაპირს გასდევს ღართისკარის ზედა თხემიდან არაგვამდე. გალავანი გამოვლენილია არაგვის მარცხენა ნაპირზეც. იგი არაგვის ნაპირიდან იწყება და საეურამოს ქედს ებჯინება. ღართისკარის საფორტიფიკაციო სისტემა წარმოქმნილი ჩანს ძვ.წ. IV–III სს-ში, როდესაც ქართლის სამეფო ყალიბდებოდა. ამაზე მეტყველებს

7. Andria Apakidze, Guram Kipiani, Vakhtang Nikolaishvili, A rich burial from Mtkheta (Caucasian Iberia), Ancient West and East, volume 3, N1, Brill, Leiden-Boston. 2004.

8. Andria Apakidze, Vakhtang Nikolaishvili, An aristokratik tomb of the roman period from Mtsketa, Georgia, The Antiquities journal, volume LXXIV. London, 1994.



იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები<sup>9</sup>. არაგვის მარჯვენა ნაპირზე – ღართისკარის შიდა ტერიტორიაზე, საფორტიფიკაციო სისტემის სინქრონული რამდენიმე საყურადღებო ძეგლი აღმოჩნდა (ტაძარი, წისქვილი, ხუროთმოძღვრული კომპლექსი). ღართისკარის ზემოაღწერილი საფორტიფიკაციო სისტემა და დასახლება ქართლის დედაქალაქის ჩრდილოეთ კარიბჭეს წარმოადგენს. სწორედ იქ მიეგება ნადირობიდან დაბრუნებულ გაქრისტიანებულ მირიან მეფეს „ნანა დედოფალი და ყოველი იგი ქალაქი“<sup>10</sup>.

**წიწამური – სისამურა.** ნაქალაქარი მდებარეობს სოფ. წიწამურის თავზე, მისგან ჩრდილოეთით განლაგებულ გორაზე-სერზე. მოხსენიებული აქვს I ს-ის ბერძენ სწავლულს - სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში“, როგორც ქალაქი – არმაზციხესთან ერთად<sup>11</sup>.

1953 წელს მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). წიწამურზე აღმოჩნდა თლილი ქვით ნაგები მრგვალი ნაგებობა (დმ - 16 მ). ქვათლილები ერთმანეთთან ხის ან ლითონის სოლების „უწყვეტებით“ ჩანს გადაბმული. დადასტურდა მშენებლობის ორი ფენა. ერთი უძველესი მშრალად ნაწყობი, რომელიც ელინისტური ხანით თარიღდება (წიწამური I), მეორე კი, დულაბზე ნაგები (წიწამური II). იგი გვიანრომაული ხანით უნდა დათარიღდეს. მრგვალი ნაგებობა მკვლევართა ნაწილს (კ. მელითაური) წარმართული ტაძრის ნაშთად მიაჩნიათ.

წიწამურის სერის ძირთან, გაზსადენის ტრასის გაყვანისას შექმნილ ჭრილში ჩანს კედლის ნაწილი, რომლის სიგანე 3 მ-დე აღწევს და ქვატეხილით არის ნაგები. იგი დასავლეთით ბებრისციხისკენ მიემართება. ბებრისციხეზე ჩატარებული გათხრებისას აღმოჩნდა მსგავსი და თანადროული, ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები კედლის ნაშთები<sup>12</sup>. კედელი, როგორც ჩანს, დედაქალაქობისდროინდელი მცხეთის თავდაცვის ზღუდის მეორე რიგს წარმოადგენდა ღართისკარის შემდეგ და იმ დამცავი სისტემის ნაწილი უნდა იყოს, რომელიც ანტიკური ხანის მცხეთას ჩრდილოეთიდან იცავდა.

**სარკინე, ნაქალაქარი** (ძვ.წ. II - ახ.წ. II სს.) ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია ჯოჯოხეთის ხევით, დასავლეთიდან მცხეთა – შიომღვიმის სამანქანო გზით და ზანგელიების ხევით, სამხრეთიდან კი მდინარე მტკვარზე ჩამავალი ციცაბო კლდეებით. დასავლეთი მხრიდან გამოვლენილია საპარადო შესასვლელი – კარიბჭე. კედლები ნაგებია რიყის ქვის საფუძველზე ალიზით (55X40X10 სმ) და მოპირკეთებულია ქვიშაქვის პირონებიანი ქვათლილებით (45X20X10 სმ). კარი შეჭვილილი ჩანს ხის საფუძველზე რკინის ფარფლებით. ჩრდილო-დასავლეთიდან სარკინეს იცავდა ზღუდე, რომელიც ასევე ქვის საფუძველზე ალიზით ყოფილა ნაგები<sup>13</sup>. სარკინეს ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა საკულტო (თეატრი?) და საცხოვრებელი ნაგებობანი, რომლებიც გადახურული ყოფილა კრამიტით (56-50

9. ვახტანგ ნიკოლაიშვილი, დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია, „იბერია-კოლხეთი“, რედ. ველა გამყრელიძე, თბილისი, 2005, 93-108.

10. „მოქცევაი ქართლისაი“, შატბერდის კრებული X საუკუნისა, რედ. მზექელა შანიძე, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გვირგვინიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979, 320-355.

11. ოთარ ლორთქიფანიძე, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში, თბილისი, 2010.

12. ვახტანგ ნიკოლაიშვილი და სხვ. ბელტისციხე-ბებრისციხე, (თბილისი, 2009).

13. ანდრია აფაქიძე, სარკინე-ნაქალაქარი.-საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990:307-308; ალექსი ბოზოჩაძე, ნასტაკისი, სარკინე, ძალიისი (არქეოლოგიური კვლევის შედეგები), ძეგლის მეგობარი, №33, 1973.

სმ). იატაკზე აღმოჩნდა ტერაკოტის ნიღბები. სარკინეს ნაქალაქარი მნიშვნელოვანი ძეგლია ქართლის საქალაქო ცხოვრების შესწავლისათვის. იგი ისტორიული დიდი მცხეთის თავდაცვის სისტემის ნაწილს წარმოადგენდა.

**გრძელი მინდორი (10.5 ჰა)** სარკინეს კომპლექსის ნაწილია. ჩრდილოეთ ნაწილში კოშკი (დაკონსერვებულია) და გალავნის ნაშთი აღმოჩნდა. ცენტრალურ ნაწილში კი, სახელოსნოები გაუმართავთ რკინის, ტყვიის და სპილენძის გამოსადნობად. აღმოჩნდა რკინის ქურის ნაშთები, აგრეთვე საოქრომჭედლო ტვიფრი და ხელსაწყო. ეს ფაქტი ადასტურებს საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობას. გრძელ მინდორზე დადასტურდა სრული მეტალურგიული ციკლის არსებობა – მადნის დაწურვიდან გამოჭედვა-წოთობამდე<sup>14</sup>.

**კაცთავანა** არმაზისხევის სამხრეთით ზეგან-ბორცვზე მდებარეობს, არმაზისხევის კანიონის მარჯვენა მხარეს. აღმოსავლეთით, ხელოვნურად განმხოლოებული ქედის ნაწილი დაცული ჩანს ზრუდე-გალავნით (23 მ-ის სიგრძეზე გამოიკვეთა). დადასტურდა 6 ურთიერთმონაცვლე ფენა – ადრე შუსაუკუნეებიდან ადრე ელინისტური ხანის ჩათვლით. აღმოჩნდა ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები კოშკი (6.20X6.60 მ). გამოვლენილია სამადლოს ტიპის კერამიკა – ძვ.წ. III ს.<sup>15</sup>

**არმაზისხევის ნამოსახლარები და სამაროვნები.** არმაზისხევი მდებარეობს არმაზისწყლის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – ტერასაზე, მცხეთის რკინიგზის სადგურიდან 2კმ-ზე (ფართობი 1 ჰა). იქ გათხრები ჩატარდა XX საუკუნის 30-იან – 40-იან წლებში. გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები, რომელთა ნაშთები შემოზღუდულია და იქ შექმნილია ღია ცის ქვეშ მუზეუმი (საკვლე მუზეუმი). არმაზისხევში აღმოჩენილია შედარებით კარგად დაცული რომაული ტიპის აბანო – მსგავსი და სინქრონული არმაზციხის ამავე ტიპის აბანოებისა. აბანოსთან არის დაკავშირებული ე.წ. „ზღურბლიანი ნაგებობა“, რომელიც დიდი ზომის ორი ნაგებობისგან შედგება. იგი დაუნგრევიათ და გადაუწვავთ მტრის შემოსევისას, მაგრამ შემორჩენილი არქიტექტურული დეტალები (კარის მორთულობა, კარნიზის ნაწილი, სვეტისძირი და სვეტისთავი) გვაგვარაუდებინებს იქ პიტიახშის სასახლის არსებობას. იქვე აღმოჩნდა ამავე პერიოდის ორსენაკიანი (აკლდამა?) და ერთსენაკიანი ნაგებობის ნაშთები და მარანი, რომელშიც 55 ქვევრია ჩადგმული. ახ.წ. II–IV სს-ში იქ ქართლის სამეფოს პიტიახშები – ერისთავები და მათი ოჯახის წევრები სახლობდნენ და იკრძალებოდნენ. ამაზე მოგვითხრობენ ეპიტაფიები და ცალკეულ ნივთებზე ამოკვეთილი წარწერები (სერაფიტას - არმაზის ბილინგვა, შარაგასის მონოლინგვა, ასპარუგის, შარაგასის და ძევახის / ჯავახის წარწერები და სხვ.). ამ წარწერებში კარგად ჩანს ქართლის (იბერიის) სამეფოს იერარქიული სტრუქტურა: მეფე, ეზონისმოდღვარი, პიტიახში<sup>16</sup>.

**არმაზციხე-ბაგინეთი** მდებარეობს მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, ქართლის ქედის დასასრულს, მთაზე (ფართობი 30 ჰა). ქართლის სამეფო რეზიდენცია არმაზციხე-ბაგინეთი ცნობილია როგორც ქართული, ასევე უცხოური წერილობითი წყაროებით.

14. ანდრია აფაქიძე, სარკინე-ნაქალაქარი.-საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990:307-308.

15. ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქზე, პრეპრინტი, 1990.

16. ვიორგი ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი, 1945; ანდრია აფაქიძე, და სხვ. მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955.

ქართულ საისტორიო წყაროებში არმაზციხე იხსენიება როგორც ქართლი, ქალაქი, დედაქალაქი, ციხე, არმაზი, ბაგინეთი; უცხოურში როგორც ჰარმოზიკე, ჰერმასტუს, არმაქტიკა. მაგრამ ძირითადი ინფორმაცია არმაზციხის ისტორიის შესახებ მიღებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად<sup>17</sup>. არმაზციხეში აღმოჩენილია გალავნის ნაწილები, კოშკები, ბურჯები, სამეფო რეზიდენციის ნაგებობები (სვეტებიანი დარბაზი, ტაძარი, აბანოები, ღია და დახურული წყალსადენი), ძველბერძნულ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები, სამეფო მავზოლეუმის ნანგრევები. დიდი რაოდენობით ოქრო-ვერცხლის ნივთები აღმოჩნდა მეფის ასულის სამარხ-სარკოფაგში (ახ.წ. II–III სს.). ნაგებობები გადახურული ყოფილა მცხეთური ბრტყელი და ღარიბი კრამიტით.

**კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება** (ძვ.წ. I - ახ.წ. III სს). მცხეთის შემოგარენში XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში გაითხარა კომპლექსური ძეგლი: მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, საწარმოო უბანი, მარნები და სამაროვანი. ნამოსახლარზე დადასტურდა ორი ტიპის სახლი: ბანურსახურავიანი და ორფერდასახურავიანი. ნამოსახლარის სიახლოვეს აღმოჩნდა მისი თანადროული მეთუნეთა სახელოსნოს კომპლექსი, სადაც თიხის ჭურჭლის დამზადების სრული ციკლი მიმდინარეობდა<sup>18</sup>.

**მცხეთის (მოგვთაკარის) აკლდამა** (II ს.) მდებარეობს მცხეთის რკინიგზის სადგურთან, სამხრეთით 300 მ-ზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან, ქართლის ქედის კალთის ძირას. იგი აგებულია საგანგებოდ მოსწორებულ ტერასაზე – ქვაბულში. აღმოჩნდა 1951 წელს (გაითხარა იმავე წელს გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით). სახელწოდება მომდინარეობს „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ დადასტურებული გადმოცემიდან – ამ ადგილებში მოგვების არსებობის შესახებ. მოგვთაკარის აკლდამა ჩადგმულია 1.6–2.1 მ-ის სიმაღლის გალავნით შემოსაზღვრულ ქვაბულში. გალავნის კედლები ნაგებია ქვატეხილით და შემტკიცებულია თიხით. გალავნით შემოსაზღვრული ეზოს (9X5 მ) ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში უბელო ცხენი დაუკრძალავთ. მიუხედავად გამარცხისა, სამარხში საკმაოდ მდიდრული ინვენტარი დადასტურდა<sup>19</sup>. მცხეთის (მოგვთაკარის) აკლდამა, შეიძლება ითქვას, ანტიკური ხანის ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლია მცხეთის სინამდვილეში, რომელიც სახურავიანად შემორჩა. იგი წარმოადგენს მოდელს საერო სახლისა, რომელშიც ქართლის სამეფოს უმაღლესი ხელისუფალნი ცხოვრობდნენ.

**ავჭალისკარი – დევის ნაბუხლი (ქოშიგორა)**. სამშენებლო სამუშაოებისას დევის ნაბუხლთან (მტკვრის მარჯვენა ნაპირთან) 1867 წელს აღმოჩნდა 17-სტრიქონიანი ძველბერძნული წარწერა, რომელიც იუწყებოდა, რომ რომის იმპერატორმა ვესპასიანემ (ახ.წ. 69–79 წწ.) იბერიის მეფე მითრიდატეს და მის ხალხს კედლები გაუმაგრეს. ვესპასიანეს წარწერა ახ.წ. 75 წლით დათარიღდა. 1938 წელს კი მოპირდაპირე მხარეს (მტკვრის მარცხენა სანაპიროზე), ავჭალისკართან აღმოჩნდა დიდრონი მარკირებული ლოდები, როგორც ჩანს, გალავნის ნაშთი. იქვე გაითხარა

17. ანდრია ავაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963; ვახტანგ ნიკოლაიშვილი, არმაზციხის სამეფო რეზიდენცია, თბილისი, 2011.

18. ვახტანგ ნიკოლაიშვილი, კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, თბილისი, 1993.

19. გიორგი ლომთათიძე, ირაკლი ციციშვილი, ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, №10, 1951, 641–648.

ამავე პერიოდის სამარხი<sup>20</sup>. სავარაუდოდ, ვესპასიანეს წარწერაცა და არქეოლოგიური მონაპოვარიც მიუთითებს სასიმაგრო სისტემაზე, რომელიც ავჭალისკარი – დევის ნამუხლის (ქოშიგორა) ხაზზე გადიოდა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იცავდა დიდ მცხეთას.

ამრიგად, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ძველი მონაცემების საფუძველზე, გამოიკვეთა „დიდი მცხეთის“ გამაგრებული სისტემით შემოსაზღვრული ტერიტორია: ღართისკარი, სავანეთის ქედი, გრძელი მინდორი - სარკინე, ციხე-დიდისხევი, კაცითავანა – არმაზისხევი, არმაზციხე, დევის ნამუხლი, ავჭალისკარი, წიწამური, რომელიც ჩაეწერა დიდი მცხეთის ცნობილ გეოგრაფიულ საზღვრებში. დიდი მცხეთის სასიმაგრო სისტემის ფარგლებში არსებული სხვადასხვა ფუნქციის მქონე დასახლებების პოლიტიკური გაერთიანება – სინოიკიზმი ხდება ქართლის სამეფოს (იბერიის) წარმოშობისა და მცხეთის გადელაქალაქების პროცესში.

---

20. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დელაქალაქში, 1945.

## **Great Mtskheta - Ancient Capital**

### **Summary**

Mtskheta – the ancient capital of the Kingdom of Kartli/Iberia (IV-III B.C. – IV-V centuries A.D.) is renowned for its historical-architectural and archaeological monuments. Georgian, as well as foreign written sources and archeological monuments tell us about them. The 11<sup>th</sup> century Georgian chronicler – Leonti Mroveli mentioned “Great Mtskheta” in his work - “Life of the Kings of the Georgians” that is included in the “Georgian Chronicles” (“Kartlis Tskhovreba”): “the great city of Mtskheta and its suburbs, Sarkine and Tsikhe-didi, Zanavi, the Hebrew settlement”<sup>1</sup>. For today, this territory is bordered to the east – by the railway station – Zahesi, to the west – by Dzegvi, Khekordzula ravine and Nastagisi, to the north – by Mukhrani sights, to the south Satskepela – Didgori mountain ridge<sup>2</sup>.

As for “Great Mtskheta” of the period of Leonti Mroveli, it coincided the period of formation of Kartli Kingdom and becoming of Mtskheta the capital of Kartli; “Great Mtskheta” of that period covered relatively larger territory and was protected with the fortress system. To the north it was protected by the fortress passed toward Ghartiskari, the second line of defense followed Bebristsikhe-Tsitsamuri; to the south - Satskepela-Didgori ridge and local fortresses (Katsitavana, royal residence of Armaz-tsikhe); to the east – the wall passed through Zemo Avchala-Devis Namukhli (Koshigora); to the west – Grdzeli Mindori (the Long Field), Sarkine, Tsikhedidiskhevi defense system.

Political uniting – Synoecism of different settlements within the fortress system of “Great Mtskheta” took place in the period of formation of the Kingdom of Kartli (Iberia) and in the process of becoming Mtskheta the capital of the kingdom.

---


1. “Georgian Chronicles” I, Tbilisi, 1955 (in Georgian).

2. Andria Apakidze, et al, Mtskheta I, Tbilisi, 1955 (in Georgian); Nikolaishvili, Greater Mtskheta, 2018, 867-889.



## ბიბლიოგრაფია:

- აფაქიძე ანდრია, გობეჯიშვილი გერმანე, კალანდაძე ალექსანდრე, ლომთათიძე გიორგი, მცხეთა, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1955.
- აფაქიძე ანდრია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963.
- აფაქიძე ანდრია, „სარკინე, ნაქალაქარი“. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990, 307-308.
- ბოზოჩაძე ალექსი, „ნასტაკისი, სარკინე, ძალისი (არქეოლოგიური კვლევის შედეგები)“, „ძეგლის მეგობარი“, № 33, 1973.
- კალანდაძე ალექსანდრე, ბოზოჩაძე ალექსი, „არავვისკარი“, ძეგლის მეგობარი, №15, 1968, 7-28.
- ლომთათიძე გიორგი, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, 1945.
- მოქცევაი ქართლისაი, შატბერდის კრებული X საუკუნისა, რედ. შანიძე მზექალა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979, 320-355.
- ლომთათიძე გიორგი, ციციშვილი ირაკლი, „ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, №10, 1951, 641-648.
- ლორთქიფანიძე ოთარი, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში, თბილისი, 2010.
- ნიკოლაიშვილი ვახტანგ, ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქზე, პრეპრინტი, 1990.
- ნიკოლაიშვილი ვახტანგ, კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, თბილისი, 1993.
- ნიკოლაიშვილი ვახტანგ, „ქალაქი მცხეთა ახ. წ. III-VI სს. (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)“, კავკასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა, 3), თბილისი, 2004, 39-43.
- ნიკოლაიშვილი ვახტანგ, სიხარულიძე ანზორი, დიღმელაშვილი ქეთევანი, პაპიძე ი., პაპიძე მ., ბელტისციხე-ბებრისციხე, თბილისი, 2009
- ნიკოლაიშვილი ვახტანგ, „დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია“, იბერია-კოლხეთი, №2, თბილისი, 2005, 93-108
- ნიკოლაიშვილი ვახტანგ, არმაზციხის სამეფო რეზიდენცია, თბილისი, 2011.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, 43-55.
- ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, IV, თბილისი., 1973
- Apakidze Andria, Nikolaishvili Vakhtang, “An aristokratik Tomb of the Roman period from Mtsketa, Georgia”, The Antiquaries journal, volume LXXIV. London, 1994
- Apakidze Andria, Kipiani Guram, Nikolaishvili Vakhtang. “A rich burial from Mtskheta (Caucasian Iberia)”, Ancient West and East, volume 3, #1, Brill, Leiden-Boston, 2004.
- Nikolaishvili Vakhtang, “Greater Mtskheta”, Orientalia lovaniensia analecta-268- Context and connection, Studies on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona, edited by Atilla Batmaz, Giorgi Bedianashvili, Aleksandra Michalevicz and Abby Robinson”. Peeters, Leuven-Paris-Bristol, 2018, 867-889.



მაია პატარიძე  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
(საქართველო, თბილისი)

დავით მიქელაძე  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
(საქართველო, თბილისი)

## არისტარხე მმართველი კოლხეთისა (ნუმიზმატიკური გამოკვლევა)

უკვე თითქმის სამი საუკუნეა რაც სამეცნიერო საზოგადოებისთვის აქსიომატურ ჭეშმარიტებად იქცა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკის და კულტურის ისტორიის შესასწავლად მონეტების მეცნიერულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამის მიზეზი ნუმიზმატიკური მასალის იურიდიული ბუნებაა. მონეტის მოჭრის უფლება, როგორც წესი სახელმწიფოს კომპეტენციაა, ამდენად მონეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საბუთია, რომელიც აბსოლუტურად დაცულია კონკრეტული პირის სუბიექტური შეხედულებებისგან. აქედან გამომდინარე, მას როგორც წყაროს, გარკვეული უპირატესობაც გააჩნია. ხშირად მონეტაზე დატანილი ინფორმაცია პირველხარისხოვანია და სერიოზული ცვლილებები შეაქვს წარსულის შესწავლის საქმეში.

როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში, მოიპოვება მონეტები, რომლებმაც არა მარტო შეაგვს ისტორიის თეთრი ლაქები, არამედ კარდინალურად შეცვალეს წერილობით წყაროებში დამანიჭებული ესა თუ ის ისტორიული ფაქტი.

მსგავს ნუმიზმატიკურ ძეგლს მიეკუთვნება საკმაოდ იშვიათი სერია მონეტებისა, რომელიც ცნობილია არისტარხე კოლხელის ვერცხლის მონეტების სახელით. ამ მონეტების ნუმიზმატიკურ კვლევას ქვემოთ სტატიის მსვლელობისას წარმოვადგენთ, კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ შევჩერდებით მათზე დატანილ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე, რითაც ამ ნუმიზმატიკური ძეგლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის განსაკუთრებულია.

ცნობები კოლხეთის სამეფოს შესახებ საკმაოდ ვრცელია და მრავალფეროვანი, დაწყებული მითიდან არგონავტების შესახებ, დასრულებული ბერძნულ-რომაული წყაროებით. მიუხედავად ამისა, არტეფაქტების რაოდენობა, სადაც დაფიქსირებულია კოლხეთის სახელი საკმაოდ მწირია. დღემდე ცნობილია ორი კერამიკის ნიმუში. ერთი - ბერლინის მუზეუმში დაცული შავფიგურული ჰიდრია, რომელსაც ახლავს წარწერა „კოლხმა გამაკეთა“, რომელსაც ძვ.წ. VI ს. შუა ხანებით ათარიღებენ, მის მომხატველს კი - კოლხ ოსტატს მონად მიიჩნევენ<sup>1</sup>. მეორე - ათენში ნაპოვნი შავფიგურული ამფორაა, წარწერით - „ევექსისთეოსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა“<sup>2</sup>.

1. ოთარ ლორთქიფანიძე, ანტიკური არქეოლოგია (ძველი საბერძნეთი), თბილისი 1971, 144.

2. ლორთქიფანიძე, ანტიკური არქეოლოგია, 144.



ამ ფონზე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტზე, ფულზე, კერძოდ არისტარხეს მონეტაზე დაფიქსირებული ბერძნული წარწერა **ARISTARCON TOU EPI KOLCIDOS** – „არისტარხესი მმართველი კოლხეთისა“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნულმა წარწერამ სხვა მიმართულებითაც შეიტანა სიცხადე საქართველოს ისტორიაში. ცნობილია, რომ ძვ.წ. 65 წ. იბერიის საზღვრებს რომის რესპუბლიკის სარდალი პომპეუსი მოადგა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ქართლის მეფე არტაგი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა დამორჩილებოდა პომპეუსს. იბერიიდან რომაელები კოლხეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. როგორც ჩანს, პომპეუსმა იქ კოლხეთის მმართველად არისტარხე დანიშნა და ამით ქვეყანას ეფემერული დამოუკიდებლობა მიანიჭა<sup>3</sup>. ანტიკურ წყაროებში არისტარხე მეფედ არის მოხსენიებული<sup>4</sup>, მაგრამ ეს მოსაზრება გააბათილა ამ უკანასკნელის სახელით მოჭრილმა მონეტებმა, ვინაიდან მონეტას აწერია არისტარხე მმართველი კოლხეთისა და არა მეფე. მონეტაზე არსებულ წარწერას კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიული ძალა აქვს.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ამ მონეტების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის ფასდაუდებელია.

2018 წელს იგოეთის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა არისტარხეს მონეტის ახალი ეგზემპლარი, რომლის გამოქვეყნება და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაშვება წარმოადგენს ამ პუბლიკაციის მიზანს, ვინაიდან, ვთვლით, რომ თითოეული ახალი აღმოჩენა მნიშვნელოვანი მონაპოვარია და დაუყოვნებლად უნდა ჩაერთოს სამეცნიერო ბრუნვაში; გარდა ამისა, ჩვენ მოგვეცა საშუალება მსოფლიოს ყველა მუზეუმებიდან, სადაც ამჟამად დაცულია ამ მმართველის მონეტები, მოგვეპოვებინა ფოტოპირები და ახალ ცალთან ერთად ვაქვეყნებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს მონეტები არაერთხელ მოხვდა ცნობილი მეცნიერების ნაშრომებში, არისტარხეს მონეტების ზუსტი (მით უფრო ციფრული) ფოტოები დღემდე ცნობილი არ იყო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რადგან პუბლიკაციებში თაბაშირის ანაბეჭდებია ნაჩვენები. ვფიქრობთ, მოძიებული მასალა ახალ შტრიხებს შესძენს და ერთგვარად გააცოცხლებს კოლხეთის მმართველის არისტარხეს მონეტებს. ამავდროულად, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გვიანელინისტური პერიოდის სხვადასხვა საკითხების შესწავლის კუთხით.

ჩვენი კვლევა ეფუძნება ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში დღემდე დამკვიდრებული შეხედულებების გადასინჯვას. რისთვისაც ვიყენებთ ერთი მხრივ არისტარხე კოლხელის 2018 წელს აღმოჩენილ უახლეს ეგზემპლარს და მეორე მხრივ ჩვენ მიერ მოპოვებულ მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული არისტარხეს მონეტების ციფრულ ფოტოპირებს. ჩვენ შევეცდებით გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებები, რომელთა გამოთქმის საშუალებას მოძიებული მასალის იკონოგრაფია მოგვცემს, აქვე დავძენთ, რომ ღრმა ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზისგან ამ სტატიის ფარგლებში თავს შევიკავებთ<sup>5</sup>.

3. გიორგი დუნდუა, რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები, თბილისი 1968, 9; გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, I. თბილისი, 2006, 76.

4. გიორგი მელიქიშვილი, К Истории Древней Грузии, Тбилиси 1959, 331; Гурам Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тбилиси. 1970, стр. 37;

5. ამ მიმართულებით მომავლისთვის ვგეგმავთ პუბლიკაციას.

არისტარხე კოლხელის მონეტების შესწავლა XIX საუკუნიდან იღებს სათავეს<sup>6</sup> და დღემდე, XXI საუკუნემდე აქტუალურობა არ დაუკარგავს.

მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული არისტარხე კოლხელის მონეტები დღეისათვის ექვს ცალად არის ცნობილი. ბერლინის ბოდე მუზეუმის მიუნცკაბინეტში - 1; აშშ-ის მუზეუმი (ოქსფორდი) - 1; ბრიტანეთის მუზეუმი - 1; პარიზის მედლების კაბინეტი - 1; სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი - 2 ცალი. აქედან პასპორტიანი მხოლოდ ერთად-ერთია, სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან, რომელიც სოხუმის მიდამოებშია აღმოჩენილი.

სანამ უშუალოდ ახალი მონეტის აღწერაზე გადავიდოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია თავი მოვეყაროთ მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცულ არისტარხეს მონეტებს და მათი აღწერა გადმოვცეთ. დასაწყისში, კი იმისათვის, რათა სრულად დავინახოთ მონეტაზე არსებული ზედწერილი და სიუჟეტური ქარგა (იკონოგრაფია), ჩვენ წარმოვადგენთ რეკონსტრუირებულ გრაფიკას (სურ. 1).

Av. მარჯვნივ მიმართული უწვერული მამაკაცის პროფილი ხუთსხვიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კომპურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: **ARISTARCOU TOU EPI KOLCIDOS**. ხოლო სიტყვა – **KOLCIDOS**-ის ქვემოთ - BI.<sup>7</sup>

ორიოდ სიტყვით შევჩერდებით სამონეტო იკონოგრაფიაზე. ავერსზე გამოსახული ფიგურა, ჯ. ჯენკინსის დაკვირვებით მზის ღმერთი ჰელიოსია, რომელსაც პომპეუსის ნაკვთები აქვს<sup>8</sup>. მოგვიანებით მას დაემოწმა კ. გოლენკო, რომელმაც აღნიშნა, რომ პომპეუსის როლი იმდენად დიდი იყო არისტარხესთვის ძალაუფლების გადაცემაში, რომ გასაკვირი არ არის მონეტაზე პომპეუსი გამოესახათ. ამავდროულად პლინიუსის

6. საკითხის ბიბლიოგრაფია ასე გამოიყურება: P[rokesch] - O [sten], Unedierte griechische Münzen aus der Sammlung des Freiherrn von Prokesch-Osten, "Archäologische Zeitung" (Wien), März 1849; William H. Waddington, Un voyage en Asie Mineure au point de vue numismatique, RN( Revue Numismatique), 1853, 251; Charles R. Fox, Engravings of Unedited or Rare Coins with Descriptions, Part II, L., 1862, გვ.1, ტაბ.1; Bernhard Koehne, Drachms of Aristarchos, Dynast of Colchis, NC (The Numismatic Chronicle), 1877, გვ. 1; Ernest Babelon, La collection Waddington au Cabinet des Médailles, inventaire sommaire, B N, 1897, page 272, tableau I, 1; Отто Ретовский, Драхма Аристарха Колхидского из собрания Имп. Эрмитажа, Труды МНО (Московское Нумизматическое общество) т. III, вып. 2, 1903; Давид Капанაძე, Грузинская нумизматика, 1955, стр. 42, табл. I, 20; Gilbert K. Jenkins, Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum, NC (The Numismatic Chronicle and Journal of the Royal Numismatic Society) 1959, 32. Tab. VI, 13; Меликишвили, К истории древней Грузии, 331; Константин Голенко, Денежное обращение Колхиды в римское время, Ленинград, 1964. Стр. 21; Давид Капанაძე и И.Г. Шенгелия. Триорфная Геката с колхидской дидрахмы V в. До н. э., АИКСИ (Античная история и культура средиземноморья и причерноморья), 1968, 154; David M. Lang, The Georgians, "Ancient Peoples and Place", L., 1966, სურ. 74; ლუნდუა, რას მოგვითხრობენ ..., 10-11; ლორდკიპანიძე, К истории древней Колхиды, 37; დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969; Константин Голенко, Аристарх колхидский и его монеты, Вестник древней истории, 4(130), Москва 1974, 106; Gocha Tsetskhladze, On the numismatics of Colchis: the classical archaeologist's perspective. Dialogues d'histoire ancienne, vol. 19, n°1, 1993. pp. 233-256; Tedo Dundua. Georgia within the European Integration. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013.

7. Голенко, Аристарх колхидский, 106.

8. Jenkins, Recent Acquisitions of Greek Coins, 32.



ცნობის თანახმად კოლხეთის პირველი მეფე მზის შვილი იყო. აქედან გამომდინარე პოლიტიკური კონიუნქტურა და ადგილობრივი ტრადიცია შეერწყა ერთმანეთს<sup>9</sup>.

რევერსზე გამოსახული პერსონაჟი ჯ. ჯენკინსმა საჭის და კოშკურა გვირგვინის გამო, რომლებიც თანმდევია მხოლოდ ბედის ქალღვთაება ტიხესთვის, ეს უკანასკნელი მიიჩნია<sup>10</sup>.

რაც შეეხება ტიხეს ირგვლივ განლაგებულ წარწერას: **ARISTARCOU TOU EPI KOLCIDOS**, ითარგმნება, როგორც - არისტარხესი კოლხეთის მმართველისა.

წარწერის ქვემოთ BI – თარიღი = 12, რაც იმას ნიშნავს, რომ მმართველობის მე-12 წელზეა (ძვ.წ. 52-51 წწ.) საუბარი.

აღნიშნული აღწერილობა შეიძლება ითქვას მეორდება არისტარხეს მონეტების შვიდივე ეგზემპლარზე, თუმცა არის შეცდომები წარწერაში და ასევე მცირედით განსხვავებული შტრიხები იკონოგრაფიაში, რაზეც სტატიის მსვლელობისას ვიმსჯელებთ.

გადავიდეთ არისტარხეს მონეტების აღწერილობაზე

ამ ისტორიული მნიშვნელობის მონეტის, ერთ-ერთ ეგზემპლარზე უშუალოდ მუშაობის ბედნიერება გერმანელი კოლეგების, კეთილი ნებით, სტატიის ერთ-ერთ ავტორს, მაია პატარიძეს ხვდა წილად, როდესაც ის 2012 წელს საერთაშორისო სტიპენდიის ფარგლებში მუშაობდა ბერლინის ბოდე მუზეუმის მიუნცკაბინეტში მიხეილ ბარათაევის (ბარათაშვილის) კოლექციაზე<sup>11</sup>. სწორედ ამ მონეტით ვიწყებთ აღწერილობებს.

1. ბერლინი<sup>12</sup> (სურ. 2).

წონა - 3,67გრ. დიამეტრი<sup>13</sup> - 18/18 მმ.

Av. მარჯვნივ მიმართული უწვერული მამაკაცის პროფილი ხუთსხივიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: **ARISTARCOU** (იკითხება-**ISTARCOU** (ისტარხო), **AR**(არ) როგორც ჩანს ლითონს სიქა აცდა და მონეტის გარეთ მოხვდა) **TOU EPI KOLCIDOS (KOLXIDOS** (კოლხიდოს)-ს ნაცვლად წერია **KOLXDOS**-ს. შეცდომაა და აკლია ასო **I**-(ი), ხოლო სიტყვა **KOLC(I)DOS**-ს ქვემოთ - **BI**

შენიშვნა: ქალის გამოსახულების ფეხებთან შეინიშნება ტალღისმაგვარი დეტალი.

9. Голенко, Аристарх колхидский, 107.

10. Jenkins, Recent Acquisitions of Greek, 32.

11. მოუხედავად იმისა, რომ მონეტა არ შედიოდა მ. ბარათაშვილის (ბარათაევის) კოლექციაში, გერმანელმა კოლეგებმა - Karsten Damen, Bernhard Vaizer da Valia Srioder - დამდეს პატივი შემუშავა მასზე, რისთვისაც მათ მადლობას მოვასხსენებ.

12. P[rokesch] - O [sten], Unedierte griechische Münzen aus der Sammlung des Freiherrn von Prokesch-Osten, "Archäologische Zeitung" (Wien), März 1849, 28

13. წონა აქვს მხოლოდ იმ მონეტებს, რომლებზედაც ვიმუშავე (მ.პატარიძე), კერძოდ, ბერლინის და ივოეთის ეგზემპლარებს. უცხოეთიდან მოწოდებულ ფოტო პირებს მხოლოდ დიამეტრი ახლდა.

2. ემბოლის მუზეუმი (ოქსფორდი)<sup>14</sup> (სურ. 3).

წონა 3,71 გრ<sup>15</sup>.

Av. მარჯვნივ მიმართული უწვერული მამაკაცის პროფილი ხუთსხვიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: **ARISTARCOU (ARISTARCOU-ის ნაცვლად იკითხება - ISTARCU) TOU EPI KOLCIDOS (KOLCIDOS (კოლხიდოს)-ს ნაცვლად წერია KOLXDOS (კოლხდოს)-ს, აკლია ასო I (ი), გარდა ამისა წარწერაში TOU EPI KOLCIDOS, გრაფემა O (ო) წარმოდგენილია წერტილების სახით. გრაფემა - S თავისებურადაა აღბეჭდილი და ტოვებს ლათინური C-ს შთაბეჭდილებას. სიტყვა KOLC (I)DOS-ს ქვემოთ - BI**

შენიშვნა: ქალის გამოსახულების ფეხებთან შეინიშნება უცნაური კლაკნილი ხაზები.

3. მონეტა დიდი ბრიტანეთიდან<sup>16</sup> (სურ. 4).

წონა 3,07 გრ.

Av. მარჯვნივ მიმართული უწვერული მამაკაცის პროფილი ხუთსხვიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: **ARISTARCOU TOU EPI KOLCIDOS. ხოლო სიტყვა KOLCIDOS-ს ქვემოთ - BI.**

4. ერმიტაჟი 1. აღმოჩენილია სოხუმის მიდამოებში<sup>17</sup> (სურ. 5 ).

წონა 3,55 გრ<sup>18</sup>.

Av. მარჯვნივ მიმართული უწვერული მამაკაცის პროფილი ხუთსხვიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროსმაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: **ARISTARCOU (გრაფემა S (სიგმა) გაუგებრად არის აღბეჭდილი და ქმნის ლათინური C-ს შთაბეჭდილებას) TOU EPI KOLCIDOS (წერია KOLCIDO. აკლია S (ს)). KOLCIDO-ს ქვემოთ - BI**

შენიშვნა: მონეტას ნაპირი აქვს ჩამოტეხილი.

14. აღნიშნული ფოტოპირის მოწოდებისთვის მადლობას მოვასხენებ მანანა ოდიშელს და მაიკლ ვიკერსს.

15. Tsetskhladze, On the numismatics of Colchis, 245

16. Jenkins, Recent Acquisitions of Greek Coins, 32.; Lang, The Georgians, სურ. 74; Капанадзе, Грузинская нумизматика, 42, таб. I, 20;

17. ერმიტაჟის ეგზემპლარების მოპოვებისათვის უღრმესი მადლობა სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის გენერალურ დირექტორს ი. პიოტროვსკის და ტ. კირეევას

18. Ретовский, Драхма Аристарха Колхидского, 1; Капанадзе, Грузинская нумизматика, 42, табл. I, 20

5. ერმიტაჟი 2<sup>19</sup> (სურ. 6).

წონა 3,64 გრ.

Av. მარჯვნივ მიმართული უწვევრული მამაკაცის პროფილი ხუთსხივიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კომპურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: **ARISTARCOU** (სიტყვა **RISTARCO**-ის ნაცვლად ჩანს **RISTARC** (რისტარხ), ამავე სიტყვაში გრაფემა **S** (სიგმა) აქაც გაუგებრად არის აღბეჭდილი და ქმნის ლათინური C-ს შთაბეჭდილებას) **TOU EPI(TOU EPI** (მმართველი) სქემატურია და გარჩევა სხვა უკეთესად შენახული წარწერების მიხედვითაა შესაძლებელი). **KOLCIDOS(KOLCIDOS**-ს ნაცვლად წერია **KOLCID**. აკლია **S** (ს)). ხოლო სიტყვა **KOLCIDOS**-ს ქვემოთ - **BI** არ იკითხება.

6. პარიზის მედლების კაბინეტი<sup>20</sup> (სურ. 7).

წონა 3,26 გრ<sup>21</sup>.

Av. მარჯვნივ მიმართული უწვევრული მამაკაცის პროფილი ხუთსხივიან გვირგვინში

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კომპურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა უკიდურესად სქემატურია: **ARISTARCOU**-ის ნაცვლად ჩანს გაურკვეველი გრაფემები, **TOU EPI (TOU EPI** -ის ნაცვლად **OU EPI** წერია) **KOLCIDOS**. გრაფემა **S** (სიგმა) აქაც გაუგებრად არის აღბეჭდილი და ქმნის ლათინური C-ს შთაბეჭდილებას. ხოლო სიტყვა **OLCIDOS**-ს ნაცვლად წერია **KOLCIDO**. აკლია **S** (ს). **KOLCIDOS**-ს ქვემოთ - **BI** ბოლომდე არ ჩანს, შეიძლება მხოლოდ გრაფემა **B**-ს ერთი ნაწილის გარჩევა.

7. იგოეთში აღმოჩენილი ახალი ეგზემპლარი (ინახება კერძო კოლექციაში), სურ. 8.

წონა 3,80; ზომა 17/17მმ

Av. მარჯვნივ მიმართული უწვევრული მამაკაცის პროფილი ხუთსხივიან გვირგვინში.

Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კომპურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჯეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ლეგენდა: სიტყვა **ARISTARCOU**-ის ნაცვლად ჩანს **RISTARCO** (რისტარხო) ამავე სიტყვაში გრაფემა **S** (ს) აქაც გაუგებრად არის აღბეჭდილი და ქმნის

19. Koehne, Drachms of Aristarchos, 1

20. მონეტის ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ჟულიენ ოლივიეს (ბერძნული მონეტების კოლექციის კურატორს (ანტიკური მონეტებისა და მედლების დეპარტამენტი) ასევე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს, ხელოვნებათმცოდნე ნანა ლილუაშვილს.

21. Babelon, la collection Waddington au Cabinet des Médailles, 272, tableau I, 1.

ლათინური C-ს შთაბეჭდილებას, **TOU EPI** (**TOU EPI**-ის (მმართველი) ნაცვლად წერია - **OU EPI**). **OLCIDOS (KOLCIDOS**-ს ნაცვლად წერია **KOLCIDO**. აკლია **S** (ს). ხოლო სიტყვა **KOLCIDOS**-ს ქვემოთ - **BI**, გრაფემა – დამახინჯებულია.

არისტარხე მმართველის მონეტების აღწერილობები გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა. მონეტებზე დაკვირვებამ მკაფიო განაღდა სიქების მრავალფეროვნება, რის გამოც ჩნდება მოსაზრება მათი ემისიის ფართო მასშტაბის შესახებ.

ჩვენ შევეცადეთ ტიპოლოგიურად დაგვეჯგუფებინა ავერსები და რევერსები ცალ-ცალკე, რათა მათი ინვარიანტულობა უფრო აშკარა გამხდარიყო. შედეგად მივიღეთ ასეთი სურათი.

ავერსები: I ჯგუფში შედის დიდი ბრიტანეთი (სურ. 3); II ჯგუფი - ბერლინი (სურ.1) და ერმიტაჟი 1 (სურ. 4); ეშმოლი (სურ. 2.); III ჯგუფი – პარიზი ( სურ. 6), ერმიტაჟი 2 (სურ. 5), იგოეთი (სურ. 7).

ავერსზე გამოსახული უწვერული მამაკაცის გამოსახულებებს თუ დავაკვირდებით ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა მონეტაზე საქმე გვაქვს სხვადასხვა პერსონაჟთან, მაგრამ მათ აქვთ საერთო შტრიხები: ხუთსხივიანი გვირგვინი, მკვეთრად გამოყვანილი რელიეფური ყელი, ე.წ. ადამის ბორცვით და წამოწეული ამოვსებული ცხვირ-შუბლის ნაჭდევი. ცალკეული დეტალების ოდნავი განსხვავებულობა მაინც შეინიშნება, მაგალითად: პროფილი - I და II ჯგუფებს ერთნაირი აქვთ - ოდნავ კეხიანი ცხვირით, მაგრამ III ჯგუფის მამაკაცები გაცილებით თხელი და სწორი ცხვირით გამოირჩევიან. უმნიშვნელო, თუმცა განსხვავება შეინიშნება სახის მოყვანილობაშიც, სახის ოვალი ხან უფრო თხელია, ხან - ტლანქი (მსუქანი).

რევერსები: I ჯგუფი - დიდი ბრიტანეთი (სურ. 4), ერმიტაჟი 1 (სურ. 5); II - ბერლინი (სურ.2), ეშმოლი (სურ. 3.); III - პარიზი (სურ. 7), ერმიტაჟი 2 (სურ. 6), იგოეთი (სურ. 8).

განსაკუთრებით საინტერესოა სიქების რაოდენობა. კ. გოლენკო თვლიდა რომ სულ სამი სიქა იყო გამოყენებული<sup>22</sup>, ვფიქრობთ ღვაწლმოსილი მეცნიერი შეცდომაში თაბაშირის ანაბეჭდებმა შეიყვანა.

მოცემული შვიდი ეგზემპლარის ავერსებიდან, მხოლოდ ორ მონეტაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი და იმავე სიქითაა მოჭრილი, იგოეთი (სურ. 8) და ერმიტაჟი 2 (სურ. 6). ამ შემთხვევაშიც, დაბეჯითებით მტკიცება ვფიქრობთ საფრთხილოა, რადგან სიზუსტეს გადაულახავ წინააღმდეგობად ელობება მონეტის რელიეფის ცვეთა. მაგალითად ერმიტაჟი 2-ზე თარიღი გაცვეთილია და **B**-ს თავი ოდნავ ჩანს. დანარჩენი მონეტების ავერსებზე, მიუხედავად ტიპოლოგიური სიახლოვისა სხვადასხვა სიქაა, გამოდის, რომ არსებული შვიდი მონეტიდან ექვსი (?) სიქაა გამოყენებული. რაც შეეხება რევერსს, აქ არც ერთი არ მეორდება და შვიდივე სხვა და სხვა სიქითაა მოჭრილი. გამომდინარე აქედან გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ არისტარხეს ვერცხლის მონეტების ემისია, არც ისე მცირეა. ამ მოსაზრებას ამყარებს მონეტების იკონოგრაფიის, ზედწერილების თანდათანობითი დეგრადაციის საკმაოდ საინტერესო ხაზი.

როგორ ხდება სამონეტო იკონოგრაფიის და ზედწერილების გაუარესება შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად.

22. Голенко, Аристарх колхидский и его монеты, 107.

ყველაზე ადრეული და შესაბამისად სრულყოფილი არის დიდი ბრიტანეთის ცალი (სურ. 4), გამორჩეული იკონოგრაფიით, ყოველგვარი შეცდომის გარეშე განთავსებული წარწერით და თარიღით (**BI - 12**). ბერძნული ასოების მოხაზულობა ზუსტია და მონეტის რელიეფიც საკმაოდ მაღალია. ტიხე წარმოდგენილია ყველა საჭირო დეტალებით: კოშკურა ქედით, საჭით და სფეროს მაგვარი ნივით ხელში.

შემდეგ მოდის ბერლინის ეგზემპლარი, რომელზეც რევერსის მხარეს ტიხე ოდნავ იცვლება უარესობისკენ და უკვე ფიქსირდება შეცდომა. **KOLCIDOS** (კოლხიდოს)-ს ნაცვლად წერია **KOLCDOS**-ს. შეცდომაა და აკლია ასო **I** (ი). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შეცდომისა ასოების მოხაზულობა სწორია, განსაკუთრებით ეს ეხება სიგმას (**S**), რომელიც თანდათანობით კარგავს ფორმას და უკვე ერმიტაჟი 1-ის შემთხვევაში სიტყვა **ARISTARCOU**-ში ლათინური **C**-ს ფორმა აქვს. ემპოლის ეგზემპლარზე უკვე გარდა იმისა რომ სიგმა (**S**) შეცდომითაა ემატება გრაფემა **O** (ო) - ს წერტილებით ჩანაცვლება. ამავე მონეტაზე უკვე თვალში საცემია თარიღის - (**BI - 12**) არასწორი განთავსება. ემპოლის შემდეგ რადიკალური ცვლილებელია ტიპოლოგიურად ერთნაირ ჯგუფში, რომელშიც შედის: იგოეთი, ერმიტაჟი 2, პარიზი. აქედან ჩვენი აზრით შედარებით რელიეფურწარწერიანი და თარიღიანი (ოდნავ სახეშეცვლილი) ახალი, იგოეთში აღმოჩენილი ეგზემპლარია. წარწერებში ასოებს მწყობრი განლაგება აკლიათ და ქაოსურია, თუმცა მათი ამოკითხვა შესაძლებელია. ერმიტაჟი 2-ის ცალზე იგივე სახის ცვლილებებია, მაგრამ ემატება თარიღის დეტალის გაცვეთილობა. დეგრადაციის ბოლო ეტაპს ჩვენი აზრით მიეკუთვნება პარიზის ეგზემპლარი, რომელიც გამოირჩევა ბერძნული წარწერების სქემატურობით, მათ შორის არასწორი მართლწერით, დაბალი რელიეფით და თარიღის სრული იგნორირებით.

არისტარხე კოლხელის მონეტების დეგრადაციის ხაზის ბოლო ეგზემპლარები: იგოეთი, ერმიტაჟი 2, პარიზი, გარდა ზემოთ აღნიშნული ნიუანსებისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ტიხე ფორტუნას ხელში არსებული ე.წ. სფეროსმაგვარი საგანი. უნდა ითქვას, რომ დანარჩენ მონეტებზეც ჩანს ეს დეტალი, უბრალოდ ამ სამ ფიგურასთან მკაფიოა, რადგან ცოტა გაბრტყელებულია და თვალთ გაცილებით კარგად აღიქმება.

თუ კარგად დავაკვირდებით ტიხეს იკონოგრაფიას აშკარად ჩანს, რომ ნივით, რაც ხელთ უჭერია მას, ყველაზე ნაკლებად წარმოსადგენია იყოს სფერო. მსოფლიო ნუმიზმატიკაში მჯდომარე ტიხეს განთავსება მონეტებზე საკმაოდ იშვიათია. ჩვენ მივაკვლიეთ პუბლიუს სეპტიმიუს გეტას (189-211) მონეტას რომელზეც საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ტიხე, რომელსაც ხელში უჭირავს სფერო (სურ. 9)

მართალია, ამ მმართველებს შორის სხვაობა თითქმის სამი საუკუნეა, მაგრამ იმის საპრეზენტაციოდ თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ხელში დაჭერილი სფერო ვფიქრობთ გამოდგება. მსგავს იკონოგრაფიულ დეტალს არისტარხეს დრაქმაზე გამოსახულ ტიხეზე ჩვენ ვერ ვხედავთ. ამ ერთი შეხედვით მცირე დეტალმა, საკმაოდ დიდი პოლემიკა გამოიწვია სამეცნიერო წრეებში.

ჯ. ჯენკინსმა ჩათვალა, რომ ეს არის მცირე ზომის მრგვალი ჭურჭელი<sup>23</sup>. მოსაზრება არ იქნა მიღებული დ. კაპანადისა და ი. შენგელიას მიერ<sup>24</sup>. მათი დაკ-

23. Jenkins, Recent Acquisitions of Greek Coins, 32.

24. Капанадзе, Шенгелия. Триорфная Геката с колхидской дидрахмы Vв. До н. э., 157.



ვირვებით ეს არის წინწილა, მუსიკალური საკრავი, რომელიც რეა-კიბელას ატრიბუტია და შესაბამისად ჩათვალეს რომ მონეტის რევერსზე სწორედ ეს ღვთაებაა გამოსახული. კონკრეტულ შემთხვევაში კი ფაზისელი რეა, რომლის შესახებ წერდა ფლავიუს არიანე<sup>25</sup>. ფლავიუს არიანეს მიხედვით, ფაზისის შესასვლელში, მარცხენა სანაპიროზე იდგა ფაზისის ღვთაება, რომელსაც ხელთ ეპყრა წინწილა. კ. გოლენკომ აღნიშნა, რომ ფლავიუს არიანეს მიერ დახასიათებულ ფაზისის ღვთაებას ხელში ეჭირა წინწილა, მაგრამ ამავდროულად ტახტის გვერდით, მარცხენა და მარჯვენა მხარეს ისხდნენ ლომები. ეს უკანასკნელი დეტალი არისტარხეს არც ერთ მონეტაზე არ ჩანს. კ. გოლენკო აღნიშნავს, რომ ბრიტანულ ეგზემპლარზე შედარებით სუსტად, მაგრამ დანარჩენზე კარგად ჩანს, რომ ამ საგანს ყელიც კი აქვს<sup>26</sup>. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ დიდი ბრიტანეთის, ეშმოლის და იგოეთის ცალებზე აშკარად ჩანს ყელიანი ჭურჭელი. მეცნიერი ამ დეტალს მიიჩნევს როგორც მდინარის ღვთაებების აუცილებელ ატრიბუტს და მოჰყავს მაგალითები რომაულ პერიოდის მცირეაზიული მონეტებისა. უფრო მეტიც, ფიქრობს, რომ ტიხეს გამოსახვა კოლხურ დრაქიმებზე გულისხმობს იმ მდინარის ღვთაების განთავსებას, რაზეც დგას ქალაქი, საგარაუდოდ კოლხეთის დედაქალაქი. ასევე მან მიანიშნა, რომ ბერლინის ეგზემპლარზე ტიხეს ფეხებთან ჩანს მდინარის წყლის ნაკადი, რაც არც თუ ისე იშვიათი დამატებითი გამოსახულებაა საქალაქო ღვთაებასთან ერთად. გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ეს იყოს ან ფაზისი ან დიოსკურია<sup>27</sup>. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ დაკვირვებას, აშკარაა, რომ ეს უცნაური ტალღისმაგვარი ხაზები ჩანს როგორც ბერლინის, ასევე ეშმოლის ეგზემპლარზეც.

რაც შეეხება საგანს, რომელიც ხელში უჭირავს ტიხეს, ვეთანხმებით კ. გოლენკოს, რომ ეს უფრო მცირე ზომის ჭურჭელია. ამაში დაგვარწმუნა მოძიებულმა ციფრულმა ფოტოებმა, ამასთანავე, იგივე დეტალი არაჩვეულებრივად ჩანს იგოეთში აღმოჩენილ ახალ ეგზემპლარზე. ეჭვს არ იწვევს ასევე ის გარემოებაც, რომ ღვთაება, ადგილობრივი წარმომავლობისაა და კოლხური გარემოსთვის ორგანულია. ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ლისიმახეს სტატერის მინაბადი (სურ. 10).

მონეტის ავერსზე გამოსახულია მამაკაცის მარჯვნივ მიმართული პროფილი ჩიტებით (იხვეები?) განთავსებული გვირგვინით. რევერსზე გამოსახულია ტიხე, რომელიც მარჯვენა ხელით ეყრდნობა საჭეს, ხოლო მარცხენაში უჭირავს იგივე საგანი. ლისიმახეს მინაბადის ადგილობრივი წარმომავლობა უკვე დადასტურებულია<sup>28</sup>, აქედან გამომდინარე რევერსზე წარმოდგენილი ღვთაება რომ იდენტური შეიძლება იყოს არისტარხეს მონეტებზე აღბეჭდილი გამოსახულების, არც ეს ვარაუდი გვეჩვენება უსაფუძვლოდ. უფრო მეტიც, სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მონეტები ერთი და იმავე ზარაფხანაში იჭრებოდა<sup>29</sup>. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გვაქვს სხვადასხვა ზარაფხანის პროდუქციაზე, მთავარი არის ის, რომ ღვთაება, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, ორგანულია ადგილობრივად მოჭრილი მონეტებისთვის.

25. Флавий Арриан. Объезд Эвксинского Понта, II. Вестник древней истории, 1948, N1, Ст. 268

26. Голенко, Аристарх колхидский и его монеты, 109.

27. Голенко, Аристарх колхидский и его монеты, 109.

28. Гиორგი Дундуа, Нумизматика античной Грузии, Тбилиси 1987, 95

29. Голенко, Аристарх колхидский и его монеты, 107.

ჩვენთვის არა ნაკლებ საინტერესოდ გამოიყურება ლისიმახეს მინაბადის ავერსის მხარე. მამაკაცის შტრიხები სტილისტურად, შესრულების მანერით ძალიან გვაგონებს არისტარხეს მონეტების ყველაზე მეტად გაუარესებულ ცალეებს. სახის ნაკვთები: ცხვირი, ტუჩები, თვალი და წარბი სქემატურია და ხაზებითაა წარმოდგენილი. მხოლოდ ლოყაა რელიეფური და ასევე მკაფიოდ ჩანს გვირგვინი ჩიტების ფიგურებით. საქმე ისაა, რომ არისტარხეს პარიზის, იგოეთის და ერმიტაჟი 2-ის ცალეებზეც ნაკვთები არანატურალისტურია, ცხვირი და ტუჩები ერთმანეთის პარალელური ხაზებითაა ნაჩვენები, სქემატურია თვალი და წარბიც, რელიეფურია მხოლოდ ლოყა და კისერი. არისტარხეს შემთხვევაშიც თითქმის უცვლელია ხუთსხივიანი გვირგვინი.

ჩვენ შემთხვევით არ გავამახვილეთ ყურადღება ლისიმახეს მინაბადის და არისტარხეს მონეტების ავერსების შედარებაზე. სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს იდეალურად შესრულებულ ცალთან დაშორების დინამიკას, როგორ ხდება გამოსახულება თანდათანობით სქემატური და ბოლოს ვიღებთ საკმაოდ განსხვავებულ იკონოგრაფიას. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ არისტარხეს პარიზის, იგოეთის და ერმიტაჟი 2-ის ცალეებს მინაბადები ვუწოდოთ, ამის საშუალებას არ გვაძლევს არისტარხეს მონეტის რევერსზე არსებული წარწერა, რომელიც მართალია საკმაოდ ქაოტურია და ბევრი შეცდომებით, მაგრამ ასოების ამოკითხვა ჯერ კიდევ შესაძლებელია. მაგრამ გამოსახულების თანდათანობითი დეგრადაცია და სქემატურობისკენ წასვლა გვაფიქრებინებს, რომ ამ მონეტების ემისია იმ დროსაც გრძელდება, როცა ოფიციალური მმართველი არისტარხე აღარ არის. ამის მიზეზი ჩვენი ვარაუდით შეიძლება იყოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა, რომელიც შეეჩვია ამ ფულს. არისტარხეს მმართველობის დასასრულად მიღებულია ძვ.წ. 48 წელი. როდესაც ბოსფორის მეფე ფარნაკმა მითრიდატე VI-ის შვილმა დაიწყო ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ, რომლის დროსაც ხელში ჩაიგდო კოლხეთი. გამოდის, რომ არისტარხე, რომელიც ძვ.წ. 52/51 წელს ჭრის მონეტას 48 წლამდე დროის ამ მცირე მონაკვეთში მხოლოდ დღევანდელი მონაცემებით შვიდ ინვარიანტულ სიქას იყენებს. ამას ემატება მონეტებზე ცვეთის კვალი, რაც მათ აქტიურ მიმოქცევაზე მეტყველებს. ყურადსაღებია აგრეთვე მონეტის რევერსზე დატანილი თარიღის აღმნიშვნელი – **BI** (12). ეს დეტალი იგოეთის ცალეზე, დამახინჯებულად არის ნაჩვენები, ხოლო პარიზისა და ერმიტაჟი 2 -ის შემთხვევაში თითქმის უგულვებელყოფილია<sup>30</sup>. თარიღის (**BI** - 12)) მეორეხარისხოვან დეტალად გადატანაც, ჩვენი აზრით იმის მანიშნებელია, რომ ამ მონეტების შემდგომი მოჭრა მეტ-ნაკლებად დაშორებულია არისტარხეს მმართველობის პერიოდს. ამ საკითხის წინ წაწევა, მომავალში ვფიქრობთ მხოლოდ იმ ეგზემპლარს შეუძლია, რომელსაც არქეოლოგიური კონტექსტი ექნება თანმხლები არტეფაქტებით. ჯერ-ჯერობით კი ეს მხოლოდ ფრთხილი ვარაუდებია.

ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ, ახალი ეგზემპლარის აღმოჩენის გარემოებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ მონეტა აღმოჩნდა იგოეთში. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე გვაქვს შემთხვევით მონაპოვართან, მხოლოდ ერთი ეგზემპლარით ძნელია იგოეთის მიმდებარე რეგიონი, რომელიც სავარაუდოდ კოლხეთის იმჟამინდელ ტერი-

30. მართალია B-ს დეტალი მკრთალად ჩანს, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ მისი დაფიქსირება მომჭრელისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

ტორიას საკმაოდ დაშორებულია ამ მონეტის გავრცელების არეალად ჩავთვალოთ. აქ წინ გვევლინება არქეოლოგიური თანმხლები მასალის არ ქონა. ამიტომაც ამ ეტაპზე არისტარხეს მონეტების გავრცელების არეალის გაზრდა არასერიოზულად მიგვაჩნია.

მოკლედ თუ შევაჯამებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას, შევეცადეთ ზემოთხსენებულ სრულად გადმოგვეცა მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული არისტარხე კოლხელის მონეტების აღწერილობა ჩვენს მიერ მოძიებული ფოტოპირების საშუალებით. დეტალურმა აღწერილობამ საშუალება მოგვცა ერთი მხრივ ახალი შტრიხები შეგვეტანა ამ მონეტების აღწერილობებში და გადაგვესინჯა დღემდე სამეცნიერო პუბლიკაციებში არსებული არისტარხეს მონეტების სამონეტო იკონოგრაფია. მეორე მხრივ, ამ მონეტების შედარებითი-სტილისტური ანალიზით, დავინახეთ დეგრადაციის დინამიკა და გამოვავლინეთ სიქების მრავალფეროვნება. ხოლო სიქების ინვარიანტულობით ვაჩვენეთ ამ მონეტების ემისიის არც თუ მცირე მასშტაბი. აგრეთვე შევეცადეთ დაგვესვა საკითხი მონეტების ემისიის გახანგრძლივებაზე. კერძოდ, ჩვენ დავუშვით ვარაუდი, რომ ამ მონეტების მოჭრა არისტარხეს მმართველობიდან წასვლის შემდგომაც გრძელდებოდა და ეს ამ ფულისადმი ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებით იყო განპირობებული.

გამოვაქვეყნეთ და მიმოქცევაში გავუშვით ახალი, იგოეთში აღმოჩენილი ეგ ზემპლარი, რომელიც არისტარხეს მონეტების მცირერიცხოვნობის გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესი შენაძენია მეცნიერებისთვის.

ბოლოს დავსძენთ, რომ ჩვენი მიზანი, ამ სამონეტო ჯგუფთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტის წინ წამოწევა იყო. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტა რიგი საკითხების, ამ პუბლიკაციის ფარგლებს ცდება. არისტარხე კოლხელის სამონეტო საქმის შესწავლა სამომავლოდ უნდა გაგრძელდეს, განსაკუთრებით ხელოვნებათმცოდნეობითი მიმართულებით და თუ ახალი აღმოჩენებიც დაემატება, ვფიქრობთ გაცილებით დიდ ინფორმაციას შეიძენს საისტორიო მეცნიერება.

*Maia Pataridze*  
*Georgian National museum*  
*(Georgia, Tbilisi)*

*David Mikeladze*  
*Independent Researcher*  
*(Georgia, Tbilisi)*

**Aristarchus, the Ruler of Colchis**  
**(numismatic research)**

summary

A new specimen of the coin of Aristarchus of Colchis was found in the vicinity of Igoeti in 2018. The presented paper aims to publish and introduce this find to scholarly community as we believe every new discovery is a significant asset for the further research. Besides, we managed to get photocopies from the world's museums (Berlin Bode Museum Munzkabinett, Ashmolean Museum (Oxford), British Museum, Cabinet of Medals at Paris, St. Petersburg Hermitage Museum) where Aristarchus' coins are preserved and publish them together with the new specimen. One of the authors of the article had an opportunity to inspect the Berlin coin. Aristarchus coins were hitherto known to the students through plaster impressions. The iconography of these coins from different museums had been studied as comprehensively as possible. The present paper offers detailed description of all coins minted in the name of Aristarchus ruler of Colchis done on the basis of digital photocopies along with the lately discovered specimen. New details and features are added on to the previous descriptions. The comparative-stylistic analysis made it possible to trace dynamics of degradation of iconography and identification of various coin dies. Emission frequency rates were also clarified through analysis of various dies. The authors tried to raise an issue on continuation of the emission. Namely, it is suggested that the emission continued after Aristarchus was no more a ruler due to the demands of local market.

The paper primarily aimed at publishing a new discovery of coins of Aristarchus from Igoeti -an interesting and important asset for further research, since the number of Aristarchus coins is small.

## ბიბლიოგრაფია

- დუნდუა გიორგი. რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები, თბილისი 1968.
- დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო. ქართული ნუმიზმატიკა I. თბილისი, 2006
- კაპანაძე დავით. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969;
- ლორთქიფანიძე ოთარ. ანტიკური არქეოლოგია (ძველი საბერძნეთი), თბილისი 1971.
- Голенко Константин, Денежное обращение Колхиды в римское время, Ленинград, 1964.
- Голенко Константин, “Аристарх колхидский и его монеты”, Вестник древней истории , 4(130), Москва 1974, Ст.106
- Дундуа Гиორგი, Нумизматика античной Грузии, Тбилиси 1987.
- Капанадзе Давид, Грузинская нумизматика, 1955
- Капанадзе Давид, Шенгелия И. “Триорфная Геката с колхидской дидрахмы V в. До н. э.”, АИКСП (Античная история и культура средиземноморья и причерноморья), 1968, 154;
- Лордкипанидзе Гурам, К истории древней Колхиды, Тбилиси. 1970
- Меликишвили Гиორგი, К Истории Древней Грузии, Тбилиси 1959
- Ретовский Отто, “Драхма Аристарха Колхидского из собрания Имп. Эрмитажа”, Труды МНО (Московское Нумизматическое общество) т. III, вып. 2, 1903;
- Флавий Арриан, Объезд Эвксинского Понта, II. Вестник древней истории, 1948, N1, 268
- Babelon Ernest. “La collection Waddington au Cabinet des Médailles”, inventaire sommaire, B N 1897
- Dundua Tedo, “Georgia within the European Integration”. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013.
- Fox, Charles R. *Engravings of Unedited or Rare Coins with Descriptions*, Part II, L., 1862
- Jenkins, Gilbert, K. “Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum”, NC (The Numismatic Chronicle and Journal of the Royal Numismatic Society) 1959
- Koehne, Bernhard. “Drachms of Aristarchos, Dynast of Colchis”, NC (The Numismatic Chronicle), 1877,
- Lang, David, M. *The Georgians, “Ancient Peoples and Place”*, L., 1966
- P[rokesch] - O [sten], Unedierte griechische Münzen aus der Sammlung des Freiherrn von Prokesch-Osten, “Archäologische Zeitung” (Wien), März 1849;
- Tsetskhladze Gocha. “On the numismatics of Colchis: the classical archaeologist’s perspective”. Dialogues d’histoire ancienne, vol. 19, n°1, 1993.
- Waddington William H. “Un voyage en Asie Mineure au point de vue numismatique”, RN (Revue Numismatique), 1853



## ტაბულის აღწერილობა:

I. 1. არისტარხე კოლხელის მონეტების ზოგადი რეკონსტრუირებული გრაფიკა; 2. ბერლინი, ბოდეს მუზეუმი; 3. ოქსფორდი, აშმოლის მუზეუმი; 4. დიდი ბრიტანეთის მუზეუმი; 5. სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი 1; 6. სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი 2; 7. პარიზის მედლების კაბინეტი; 8. მონეტა იგოეთიდან; 9. პუბლიუს სეპტიმიუს გეტას მონეტა; 10. ლისიმახეს სტატერის მინაბადი.

## Illustrations:

I. 1. General reconstructed graphics of the coins of Aristarchus Colchis; 2. Berlin Bode Museum Munzkabinett; 3. Ashmolean Museum (Oxford); 4. British Museum 5. St. Petersburg Hermitage Museum, 1; 6. St. Petersburg Hermitage Museum, 2; 7. Cabinet of Medals at Paris; 8. Coin from Igoeti; 9. Publius Septimius Geta Coins; 10. The imitation of stater of Lysi- Aristarchus.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



## წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან

2003-2004 წწ. ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მის დასავლეთ ნაწილში, გამოვლინდა ჰიდრო-საინჟინრო სისტემის ერთი მთავარ ნაწილთაგანი – სახელდობრ, კლდეში ნაკვეთი, კლდოვანი ტიხრით გამიჯნული წყვილი ცისტერნა, წყალმომარაგების აუცილებელი ელემენტი; მათგან ერთი, საგრძნობლად ღრმა, სადაც ძვ.წ. VIII-VII სს. კოლხური კერამიკის 1000 - მდე ფრაგმენტი აღმოჩნდა, ანტიკურ სამყაროში ცნობილი ცისტერნების მსგავსად, ფილტრაციას ემსახურებოდა, ხოლო მეორეში, რომელშიც გვიანელინისტური ხანის კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა, გაფილტრული წყალი გროვდებოდა<sup>1</sup>. თითოეულში ფიქსირებული მასალის ასეთი მკვეთრი ქრონოლოგიური განსხვავების მიუხედავად, ეს ერთიანი კომპლექსია, რომელიც ერთდროულად ფუნქციონირებდა და ერთდროულად დაინგრა: მცირე ორმო-ცისტერნაში ფიქსირებული მასალა მათი ფუნქციონირების ხანას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო „დიდი ორმოს“ შევსებაში გამოვლენილი წინარეანტიკური ეპოქის კერამიკული მასალა უნდა მივიჩნიოთ იმ საგანგებო „შევსებად“, რომელიც ამ ორმოს გამართვისას მოჰყვა ფხვიერ თიროვან ფენას. მასში აღმოჩენილ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კერამიკის ასეულობით ფრაგმენტს შორის სხვა პერიოდის არც ერთი ნატეხი არ ყოფილა ნაპოვნი.

ესაა კოლექცია, რომელიც კოლხეთის ე.წ. წინარეანტიკურად წოდებული თიხის ნაწარმისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და ორნამენტის მატარებელია, რომელსაც ბორის კუფტინი აღიქვამდა, როგორც ახალ საფეხურს კოლხური კერამიკის განვითარებაში. ეს ხანა სადღეისოდ, როგორც ცნობილია, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებითაა განსაზღვრული<sup>2</sup>.

კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტულობის მიუხედავად, ჭურჭლის ფორმებზე წარმოდგენას გვიქმის პარალელური მასალა (ტაბ. I). განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და დახვეწილი ნახატით ხასიათდება ამ ეპოქისთვის ტიპური და ამ კოლექციაში წარმოდგენილი ორნამენტი (ტაბ. II, III). ორნამენტულ მოტივებს შორის არის სახეები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ჩნდება, მაგრამ ამ ხანაში არ არის ფართოდ გავრცელებული მთელ კოლხეთში; ამის მიუხედავად, ისინი ამ ეტაპისთვის დამახასიათებლადაა მიჩნეული, რადგან ამ ხანისათვის ტიპური

1. მარინე ფირცხალავა, „წყალმომარაგების სისტემის არსებობის არქეოლოგიური დადასტურება ვანის ნაქალაქარზე“, იბერია-კოლხეთი, (2011), 54-62.  
2. Борис Куфтин, Материалы к Археологии Колхиды II, (Тбилиси, 1950), 91-102; ვერა თოლორდავა, „ვანის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების საკულტო კომპლექსი (ქრონოლოგიისათვის)“. ძიებანი, დამატებანი IV (თბილისი, 2001): 37-42.

ჭურჭლის შემკულობაში გვხვდება და, ბორის კუფტინის გამოთქმა რომ ვინმაროთ, მათ იზოლირებული მდგომარეობა უკავიათ ორნამენტის დანარჩენ სახეებს შორის<sup>3</sup>. ესენია – ტვიფრით დატანილი კონცენტრული წრეები (ტაბ. III; IV, 1-4) და სპირალური ორნამენტის ვარიანტები – ე.წ. რვიანში ჩაწერილი სპირალი (ტაბ. II, 7) და „გადაბმული სპირალის“, ან იგივე „მიკენური სპირალის“ სახელით ცნობილი მოტივები<sup>4</sup> (ტაბ. III). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხაზებით შეერთებულ ერთიმეორეში ჩასმულ სპირალურ ხვეულებს; ხვეულები ტვიფრითაა დატანილი, ხოლო გადაბმის ხაზები წვეტიანი ინსტრუმენტითაა გავლებული. შენიშნულია, რომ კოლხური კერამიკისთვის ორნამენტის ეს იშვიათი მოტივები უხვად გვხვდება თანადროულ ბრინჯაოს მხატვრული ხელოსნობის ნივთებზე – როგორც კოლხური კულტურის გრაფიკული დეკორით შემკულ საგნებზე, ასევე ცენტრალურ-ამიერკავკასიურ სარტყლებზე.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე კონცენტრული წრეებით შედგენილ ორნამენტზე, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (ტაბ. II, 8, 9; IV, 1-4). გვაქვს ორი განსხვავებული ვარიანტი, რაც წრეთა სხვადასხვა დიამეტრსა და კვეთის სიღრმეში გამოიხატება: 1,5 სმ და 4 სმ დიამეტრისა. დიდი დიამეტრის მქონე თითოეული წრე შედგება ორი ღრმად ჩაჭდებული კონცენტრული წრეხაზისაგან შუაში წერტილით. კვეთა იმდენად ღრმაა, რომ ორნამენტს რელიეფური იერი აქვს. ამას აძლიერებს კონუსური, 1 სმ სიმაღლის კოპები – შვერილები, რომლებიც ყოველი მესამე წრიული ნაჭდების შემდეგაა დასმული, ე.ი. კოპებს შორის სამი კონცენტრული წრეა. წრეთა ერთგვაროვნება მიგვანიშნებს ერთი და იგივე შტამპის გამოყენებაზე. ეს ორნამენტი დიდი ზომის ჭურჭლის მხარზე ქმნის კონცენტრული წრეებით შედგენილ სარტყელს (შემორჩენილია სამი რიგი), ამასთან კოპები მხოლოდ ზედა რიგზეა დაძერწილი. მცირე ზომის ჭურჭლის კუთვნილ ფრაგმენტზე კი წრეების რიგებით შემკულია კორპუსის გამობერილი ნაწილი – სახეზეა ოთხი რიგი (ტაბ. IV, 4). ვანს გარდა ეს ნახატი დამოწმებულია დაბლაგომში ნასაყდრევისა და ნაციხვარის ბორცვებზე კუფტინის მიერ მოპოვებული ჭურჭლების მხრებსა და კედლებზე და რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ეს მოტივი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხოველის ფიგურების გამოსახულებიანი დიდი ზომის ჭურჭლების მხრის შემკობაში<sup>5</sup> (ტაბ. IV, 5, 6, 7). დაბლაგომის სამ სხვადასხვა ფრაგმენტზე, რბილ თიხაზე წვეტიანი ინსტრუმენტით ამოკვეთილი თითო ზოომორფული ფიგურა სწორედ კონცენტრული წრეებისა და ირიბი ღარების კომბინაციით შედგენილ სარტყლებს შორისაა მოთავსებული; ერთ ნატეხზე წრიულად განლაგებული კონცენტრული წრეებივე ქმნიან ერთიან დისკოს – სოლარულ სხეულს, რომლისკენაც მიემართება ცხოველი, თავადაც ამ წრეების მწკრივით აქვს დაფარული ტანის ნაწილი კისრისა და ღრუნის ჩათვლით. მეორე ფრაგმენტზე ცხოველის ფიგურა დგას სამკუთხა „ბორცვის“ თუ გორაკის (როგორც მას კუფტინი უწოდებს) წინ და მის კუთხეებში ისევ ვხედავთ კონცენტრულ წრეებს. კუფტინის განმარტებით, ესაა ზოომორფული ხაზოვანი გამოსახულებები, შესრულებული პირობითი, გეომეტრიზირებული მანერით.

3. Куфтин, Материалы, 97.

4. Norbert Kunisch, Ornamente Geometrischer Vasen (Böhlau, 1998), 230-231, e,f; Куфтин, Материалы, 192, tab. 46,4; 57,3; sur. 48, ## 40, 82.

5. Куфтин, Материалы, 103-105, sur. 27, 28, 29.

არ ყოფილა მკაფიოდ განსაზღვრული ამ ფრაგმენტების თარიღი; კუფტინი კერამიკის ამ ჯგუფს არქაულს უწოდებდა<sup>6</sup>; საყურადღებოა, რომ ისინი იმავე ფენაშია ნაპოვნი, სადაც კონცენტრულ წრეებიანი მოტივი ე.წ. უთოსებრყურიანი (ეს ტერმინიც კუფტინის დამკვიდრებელია) კათხის კორპუსზე გვხვდება (ტაბ. IV, 8), ამ ტიპის ყური კი წინარეანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი.<sup>7</sup> ასე რომ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ზოომორფულ გამოსახულებიანი ნიმუშებიც იმავე ხანისა უნდა იყოს.

ამ მოტივმა – მხედველობაში მაქვს კონცენტრული წრეების მწკრივი ცხოველის ტანზე – მიგვიყვანა გეომეტრიული სტილის მცირე პლასტიკის ზოგიერთ სინქრონულ არტეფაქტთან საბერძნეთიდან.

დაბლაგომის ფრაგმენტზე გამოსახული ცხოველის ტანზე კონცენტრული წრეები ჩაჭედულია არა მხოლოდ სხეულის რომელიმე ნაწილზე (სხვადასხვა სახის სოლარული ნიშანი მხარზე და თეძოზე, როგორც ამას ძველ სამყაროში ვხვდებით), არამედ ამ წრეების მწკრივი მიემართება ტანიდან გრძელ კისერზე და შემდეგ დრუნჩზე გადადის. ცხოველის სხეულის ანალოგიურ დაფარვას კონცენტრული წრეებით ვხვდებით ცხენისა და შვლის ძვ.წ. VIII ს-ის ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებებზე: ასეთია თებეს კაბირიონის პატარა ქანდაკება ირმისა, რომელიც კვებავს ნუკრს (ტაბ. V, 3). მის ტანსა და რქებზე ამოკვეთილი კონცენტრული წრეების მწკრივია<sup>8</sup>. ასეთივე ნახატია ცხენების ბრინჯაოს ფიგურებზე<sup>9</sup> (ტაბ. V, 1-2) – კონცენტრული წრეების მწკრივი თვალის აღსანიშნავად, გრძელ კისერზე, მხარსა და თეძოზე. ცხენის ეს ტიპი, კონცენტრული წრეებით, ითვლება, რომ ოლიმპიაში ჩნდება და მისი გვიანდელი ფორმით მიეკუთვნება გეომეტრიული სტილის ოსტატთა კორინთულ სკოლას და, როგორც ფიქრობენ, ის ძვ.წ. VIII საუკუნის შუახანებზე ადრეული ხანით ვერ დათარიღდება.

აქ ყურადღება მინდა მივაქციოთ იმასაც, რომ დაბლაგომის ცხოველის დრუნჩი ერთგვარად ტრაპეციისებურად ფართოვდება და ამ ნიშნითაც მოგვაგონებს ცხენის ხსენებულ ფიგურებს მათი თავისებური, ე.წ. „გოჭის ღინვისებური“, როგორც მათ უწოდებენ, დრუნჩით.

ადრე ვახსენე, რომ ბორის კუფტინი ტვიფრით დატანილი კონცენტრული წრეებით შედგენილ ორნამენტს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხეთში იზოლირებულად მიიჩნევდა. იგივე დაკვირვება ჰქონდა ცაცა თოლორდავას ვანის ანალოგიური მასალის მიმართ. აქ მინდა განვაგრძო ეს თემა და შეგახსენოთ, რომ ოთარ ლორთქიფანიძე, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხეთის ისტორიის კვლევისას შენიშნავდა, რომ ამ ხანის არქეოლოგიური მასალა თითქოს ადასტურებს წყაროების საფუძველზე გამოთქმულ მოსაზრებას ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, ე.ი. კოლონიზაციამდელ ხანაში, ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ<sup>10</sup>; და ამ კოლონიზაციამდელი ბერძნულ-კოლხური კონტაქტების არაპირდაპირ (ჰიპოთეტურ) მოწმობად მიიჩნევდა იმ სიახლეებს, რომლებიც ამ ხანაში თავს

6. Куфтин, Материалы, 102.

7. თოლორდავა, ვანის ძვ.წ. VIII-VII, 38, ტაბ. IV, 9-17; Куфтин, Материалы, 99, ტაბ. 36, 4.

8. Mary Comstock and Cornelius Vermeule, Greek, Etruscan and Roman Bronzes in the Muzeum of Fine Arts (Boston, Massachusetts. 1971). 5, sur. 3.

9. Comstock. and Vermeule, Greek, 8, სურ. 6.

10. ოთარ ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან (თბილისი, 2002), 188-190.



იჩენს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, და რომლებსაც მან ტიპოლოგიური მსგავსებანი მოუძებნა გვიანგეომეტრიული ხანის საბერძნეთის მატერიალური კულტურის ძეგლებთან. ესენია კერამიკული ფორმები – კანთაროსისებური და კალათოსისებური ჭურჭლები, მცირე სკულპტურები (ორმაგპროტომიანი ფიგურები კოლხეთში და საბერძნეთში), ბრინჯაოს ანტროპომორფული პლასტიკა; ასეთივე კავშირებს ვარაუდობდა კერამიკის შემკულობის მოტივებში (მაგრამ არ განავრცო, თუ რომელი მოტივი მიაჩნია ასეთად). ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ორნამენტის ამ ჩვენთვის საინტერესო სახეობასაც ამ სამყაროსკენ მივყავართ.

ასეთი თანხვედნილობა შეიძლება იყოს უნივერსალური აზროვნების ნაყოფი, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი ოთ. ლორთქიფანიძის ჰიპოთეზის გასამყარებლად.

## **The Set of the Pre-ancient Colchian Pottery from the Vani Archaeological Site**

### **Summary**

In 2003-2004, on the central terrace of the city of Vani, in its western part, one of the main parts of the hydro-engineering system was identified - namely, a pair of cisterns separated by a rock partition, a necessary element for water supply; One of them, considerably deeper, revealed up to 1,000 fragments of Colchian pottery, dating to the eighth and seventh centuries BC, which like any other cisterns from the ancient world were used for filtration. Another one, revealed the fragments of the Late Hellenistic period pottery, used for collecting filtered water. It is a single complex that once functioned as a whole and collapsed as a whole: the materials found in the small pit-cistern belong to the period of its functioning, and the pre-ancient ceramic material found in the "big pit" filling is an emergency "filling" that was entrapped there align with the friable layers during the pit arrangement. No pieces of that period were found among the pottery fragments from the eighth and seventh centuries BC.

This is a collection that represents a new stage in the development of Colchian pottery. It is characterized by a special variety of forms and an exquisite drawing. This time the article focuses on the ornament composed of engraved concentric circles which triggers particular interest. This ornament forms a belt composed of concentric circles on the shoulder of a large vessel. The circle carvings are so deep that they create a relief-like finish. The similar image is known to us from contemporary monuments of Colchis, and most importantly, we have unique examples of ceramic vessels showing a row of concentric circles depicted on the animal bodies featuring on the shoulder of a pottery vessel. A row of these circles extends from the animal's body to the long neck and then to the nuzzle. The study of this motif has led us to some synchronous artefacts of small geometric figurines from Greece: a similar feature showing the animal body with concentric circles is found on the small bronze statues of the horse and roe deer dating back to the eighth century B.C: such as the small statue of Thebes Cabeirion - a deer feeding its fawn, and similar concentric circles can be seen on the bronze figures of horses - this type of horse, with concentric circles, is believed to belong to the craftsmen of Corinthian school of geometry. These archeological materials may well confirm the proposition, which itself is backed up with relevant evidence (Ot. Lordkipanidze), about Greece - Colchis relations in the eighth and seventh centuries BC (i.e. before the Greek colonization).

## ბიბლიოგრაფია:

თოლორდავა ვერა, „ვანის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების საკულტო კომპლექსი (ქრონოლოგიისათვის)“, ძიებანი, დამატებანი IV (თბილისი 2001), 37-42.

ლორთქიფანიძე ოთარ, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002.

Kunisch Norbert, *Ornamente Geometrischer Vasen*, Böhlau, 1998.

Mery Comstock and Cornelius Vermeule, *Greek, Etruscan and Roman Bronzes in the Museum of Fine Arts* (Boston, Massachusetts. 1971).


Борис Куфтин, Материалы к Археологии Колхиды II, Тбилиси, 1950.


## ტაბულების აღწერილობა:

- I. ძვ.წ. VIII-VII სს კოლხური კერამიკის ძირითადი ფორმები.
- II. ძვ.წ. VIII-VII სს კოლხური თიხის ჭურჭელი და ორნამენტული მოტივის სახეობები: 1,2,5. სასმისები; 4,6. დიდი ზომის სამეურნეო ჭურჭელი; 7-19. ჭურჭლის ორნამენტირებული კედლები.
- III. ძვ.წ. VIII-VII სს ორნამენტული მოტივების სახეები და კონცენტრული წრეებით შედგენილი სარტყლით შემკული დიდი ზომის ჭურჭელი.
- IV. 1. კონცენტრული წრეებით შედგენილი სარტყლით შემკული ჭურჭლის მხრის (1, 2, 3) და კედლის (4) ფრაგმენტები; 2. ცხოველების გამოსახულებებიანი ჭურჭლის მხრის ფრაგმენტები (5, 6, 7); 3. ჭურჭლის ე.წ. “უთოსებრი ყური”, შემკული კონცენტრული წრეებით (7).
- V. გეომეტრიული ხანის ბრინჯაოს მცირე ქანდაკებები ცხენისა (1, 2) და ირმის (3) გამოსახულებებით საბერძნეთიდან.





## Illustrations:

- I. The main types of Colchian pottery of the 8<sup>th</sup> -7<sup>th</sup> centuries BC.
- II III. Fragments of Colchian pottery and the examples of ornamental motives from Vani City Site.
- IV. 1. A band composed of concentric circles on the shoulder of a large vessel. 2. Examples of ceramic vessels showing a row of concentric circles depicted on the animal bodies featuring on the shoulder of a pottery vessel from Western Georgia.
- V. Small bronze Geometric figurines from Greece.










0 2 10 20 cm




1

2



3



4




5



6




7




8



1



2



3

## თრიალეთის კულტურა – ცვლილებები ძვ.წ. III - II ათასწლეულების გზისგასაყარზე და მისი მიზეზები

ძვ.წ. XXII/XXI საუკუნის მიჯნიდან სამხრეთ კავკასიის გეოკულტურულ სივრცეში გამოჩენას იწყებს ახალი ფენომენი, რომელიც ძველი სამყაროს ცივილიზაციათა შორის ცნობილია თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის სახელით. მისი დასაწყისი დაკავშირებულია არსებითი მნიშვნელობის სიახლეებსა და გარდატეხებთან როგორც მატერიალურ კულტურაში, ისე სოციალურ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, კულტურის საერთო ხასიათსა და მისი განვითარების მანამდე არნახულ აღმავლობაში.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ თრიალეთის კულტურის დადგომასთან ერთად სამხრეთ კავკასიის მომიჯნავე - წინა აზიის ზოგიერთ არეალში (შუმერი, ცენტრალური ანატოლია, სირია-პალესტინა) დგება მკაფიო ცვლილებებისა და დაწინაურების ახალი ეტაპი, რაც კარგად ჩანს ისეთ დარგებში, როგორებიცაა მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა მიმართულებები (ოქრომჭედლობა, მხატვრული ბრინჯაო), მეთუნეობა, მსოფლმხედველობრივი და, შესაბამისად, რიტუალთან დაკავშირებული სფერო და სხვა. ამჯერად აქცენტი გვინდა გავაკეთოთ სწორედ იმ ცვლილებებზე, რაც ყველა ამ დაწინაურებულ დარგში ერთდროულად ასევე თვალსაჩინო ხდება სამხრეთ კავკასიის იმ ვრცელ არეალში, რომელიც თრიალეთის კულტურამ მოიცვა.

ეს მოვლენა აშკარად მეტყველებს თრიალეთის კულტურის დადგომასთან ერთად ინოვაციებისა და ცვლილებების პროცესის დასაწყისზე, რომელიც ქრონოლოგიურად, მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა არეალში მომხდარ გარდატეხებს სინქრონულად თანხვედობდა. აქედან გამომდინარე, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თრიალეთის კულტურის გარემომცველი პალეო-კულტურული და პოლიტიკური ვითარების ფართოდ გათვალისწინებას.

საზოგადოების ყოფის სხვადასხვა სფეროში მომხდარი ცვლილებების და თრიალეთის კულტურის საერთო აღმავლობის დინამიკა, ჩვენი აზრით, მიუთითებს შემობრუნების იმ ეტაპზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. III-II ათასწლეულების გზისგასაყარზე და რომელიც უძველეს მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე არსებითი ხასიათის პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა. შესაბამისად, XX საუკუნის 30-იან წლებში ბ.კუფტინის მიერ აღმოჩენილი<sup>1</sup> და მას შემდეგ სხვადასხვა არქეოლოგიური სკოლის სპეციალისტთა ინტერესის საგანი – თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა, სწორედ ამ თვალთახედვით გვინდა დავახასიათოდ.

ზოგადად, ძველი სამყაროს უდიდესი ნაწილისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეებითა და მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა ჩვენთვის საყურადღებო პერიო-

1. Борис Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Опыт Периодизации памятников, I (Тбилиси: Изд-во Академии Наук Грузинской ССР:1941), 78 -100.

დი - ძვ.წ III ათასწლეულის მიწურული და II-ის პირველი მეოთხედი. ეს ითქმის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური დაწინაურების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანაში, ხოლო შემდეგ კი უკვე მის მიწურულში წინა აზიაში გააქტიურებული ტომთა მოძრაობა<sup>2</sup> და ახალ, ადრესახელმწიფოებრივ და სახელმწიფოებრივ გართიანებათა წარმონაქმნები მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა იმ გეოპოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირთა დასაფუძვლელად ქსელის<sup>3</sup> შექმნას, რომელსაც უდავო ზეგავლენა უნდა მოეხდინა საკუთრივ ამ რეგიონის, და ასევე, მისი მეზობელი სამხრეთ კავკასიის გეოკულტურული ლანდშაფტის ფორმირებაზეც. შესაბამისად, ამ ორი დასახელებული რეგიონის კულტურული და ეკონომიკური კავშირები ბევრად განსაზღვრავდა აღნიშნულ ეპოქაში ჩამოყალიბებულ რეალობას, რომლის აღდგენაც არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ბოლომდე მკაფიოდ ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. თავისთავად ის, რომ ძველი სამყაროს ამ ორ სხვადასხვა რეგიონს შორის არსებულ კავშირთა დასაფუძვლელად დადგენა ძვ.წ. III ათასწლეულისა და II-ის პირველი ნახევრის გეოკულტურული სურათის რეკონსტრუქციის უპირველესი წინაპირობაა, ეს სადავო არავისთვის არ არის. ამიტომაცაა, რომ მის შესწავლას განმსაზღვრელი მნიშვნელობაც კი ენიჭება დღეისათვის სადისკუსიოდ ქცეულ მრავალფეროვან არქეოლოგიურ პრობლემატიკაში.

ამ საკითხზე აქცენტირებამდე მოკლედ შევეხოთ თრიალეთის კულტურისათვის ყველაზე ნიშანდობლივ თავისებურებებს. სამხრეთ კავკასიის პრეისტორიულ სივრცეში ეს კულტურა აშკარად განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო მრავალი თვალსაზრისით. უპირველესად კი, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური აყვავების ისეთი მაღალი ხარისხით, რომელიც მკვლევართა მიერ ცივილიზაციის ზღვართან მყოფ მოვლენადაც კი განიხილება<sup>4</sup>. ადამიანთა საქმიანობის არაერთ სფეროში ის ისეთი მაღალი მიღწევებით ხასიათდებოდა, რომელიც არათუ არ ჩამოუვარდებოდა, არამედ ზოგ შემთხვევაში წინაც კი უსწრებდა რიგ წინააზიურ ცივილიზაციურ ერთობებს, თუნდაც ოქრომჭედლობის მაღალი სტანდარტის თვალსაზრისით.

თრიალეთის კულტურა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამორჩეული აღმოჩნდა მისი გავრცელების მასშტაბების მხრივაც. ფაქტობრივად, ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ, მან ყველაზე ფართო ტერიტორია დაფარა (ტაბ. I<sub>1</sub>) და, გარდა ამისა, არის ტენდენცია მისი საზღვრების კიდევ უფრო გაფართოების უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით<sup>5</sup>. ფაქტობრივად, თრიალეთის კულტურამ მოიცვა თანამედროვე სამი სახელმწიფოებრივი ერთეულის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) ტერიტორია, ხოლო სამხრეთით მისმა უკიდურესმა საზღვარმა გაიარა მდინარე არაქსის კალაპოტის გასწვრივ, რომელიც ამავე დროს სამხრეთ კავკასიას შემოფარგლავს. რაც შეეხება, საქართველოს, სივრ-

2. История Древнего Востока. Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации. Часть вторая. Под. Ред. Г.М. Бонград-Левина (Москва: «Наука», 1988), 90-103.

3. История Древнего Востока. 25-43, 90-94.

4. ოთარ ჯავარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. (თბილისი: არტანუჯი: 2006), 342.

5. Каринэ Кушнарева, Кавказ в 9-2 тыс. до н.э. Этапы культурного и социально-экономического развития (Санкт-Петербург: изд-во «Петербургское Востоковедение», 1993), 98, Рис. 33<sub>1</sub>; Marina Puturidze, "Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age", in Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond, ed. Adam Smith et al. (Los Angeles: Cotsen Institute of Archaeology University of California, 2003), Figure 5.1.



ცობრივად მან მხოლოდ აღმოსავლეთ რეგიონი მოიცვა სრულად და ლიხის ქედი ის ბუნებრივი ბარიერი აღმოჩნდა, რომლის დასავლეთითაც თრიალეთი არსებითად უცნობი დარჩა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ოლქი შეიძლება გამოიყოს, რომელიც ამ კულტურის განსაკუთრებული დაწინაურებითა და ელიტური ძეგლების კონცენტრაციით გამოირჩევა. მათ შორისაა წალკა-თრიალეთი, დმანისი და კახეთი. გამორჩეულად მდიდრული კომპლექსების ინტენსიური თავმოყრის კიდევ ერთ მძლავრ კერად თრიალეთის კულტურის გავრცელების ფარგლებში მიჩნეულია სომხეთის სხვადასხვა არეალში აღმოჩენილი სამარხეული ძეგლები ყარაშამბიდან, ვანაძორიდან, ლორი-ბერდიდან, მეწამორიდან და სხვა პუნქტებიდან<sup>6</sup>. რაც შეეხება, ქრონოლოგიურ საზღვრებს, საგანგებოდ ამ თემისადმი მიძღვნილი კვლევებით ის კიდევ უფრო დაზუსტდა<sup>7</sup> და ბოლოდროინდელი ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ძვ.წ. XXII/XXI – XVII საუკუნის დასაწყისის ფარგლებში მოექცა<sup>8</sup>.

ყველა ეპოქა, მათ შორის პრეისტორიულიც, გარკვეულ ნიშან-თავისებურებათა ბლოკით და წინამორბედისაგან განსხვავებული განვითარების დინამიკით გამოირჩევა. ეს სრულიად ლოგიკური და ცხადი პროცესია. თრიალეთის კულტურის ყველაზე მეტად დამახასიათებელ, წამყვან თავისებურებათა შორის გამორჩეულად აღვნიშნავთ: საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის სტრუქტურულად თითქმის უმაღლესთან მიახლოებულ საფეხურს, რაც კარგად გამოვლინდა მათი კუთვნილი სამარხეული ინვენტარისა და დასაკრძალავი კონსტრუქციის მიხედვით, ელიტური დარგების ცალკეული მიმართულების (ლითონის ჭურჭელი) პირველ გამოჩენას, ხოლო ოქრომჭედლობის, მათ შორის ტორევეტიკის, არნახულად მაღალ დონეზე დაწინაურებას, კულტურის ყველა სფეროში გამორჩეულად დიდ მიღწევებს, საერთაშორისო კომუნიკაციების მნიშვნელოვნად გააქტიურებას და სხვა. რასაკვირველია, ყველაფერმა ამან თრიალეთის კულტურა განსაკუთრებით გამოკვეთა ძველი სამყაროს გეოკულტური ლანდშაფტის საერთო რუკაზე. ამასთან მიმართებით მკვლევარები ყოველთვის საგანგებოდ მიუთითებდნენ თრიალეთური ოქრომჭედლობის უნიკალურობასა და უმაღლეს სტანდარტზე<sup>9</sup>.

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები და შემდეგ მიწურულიც, ბუნებრივია, თავისი განვითარების დინამიკითა და სტანდარტებით იყო გამორჩეული და, ამავე დროს, განსხვავებულიც წინამორბედი კულტურული პლასტისაგან. ეს მონაკვეთი უაღრესად

6. Каринэ Кушнарера, "Памятники Триалетской культуры на территории Южного Закавказья", в: Археология. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа, Ред.: К. Кушнарера et al. (Москва: «Наука»: 1994), 93-105; Seda Devedjian, Lori Berd II (Bronze Moyen), (Erevan: "Guitoutian", 2006), 271-417.

7. Каринэ Кушнарера, Михаил Рысин, "Новые данные к проблеме датировки памятников «цветущей поры» Триалетской культуры", ძიებანი. დამატებანი VI. კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. (2001), 101-106; მიხეილ აბრამიშვილი, "თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები "მაღალი ქრონოლოგიისათვის")", ძიებანი. დამატებანი X. კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები. (2003), 48-52.

8. Marina Puturidze, "For the Assign of Middle Bronze Age Phases and Upper Chronological Limit of the Trialeti Culture". in Proceedings of International Conference "Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia" (2014), 278 - 285.

9. Karen Rubinson, "Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of Economic Exchange in the Early Second Millennium BC", in Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond, ed. Adam Smith et al. (Los Angeles: Cotsen Institute of Archaeology University of California, 2003), 128-143; Kathleen Rachel Maxwell-Hyslop, Western Asiatic Jewellery c.3000-612 BC. (London: Methuen & CO LTD, 1971), 74-76.

არსებითი და რთული მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის გეოკულტურული განვითარების ისტორიაში. ამ საკითხების შესახებ არაერთი, მათ შორის განსხვავებული თვალსაზრისიც გამოითქვა<sup>10</sup>.

ისტორიული პროცესები, ცვლილებები თუ კატაკლიზმები და მათი მიზეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა განვითარებულ პრეისტორიულ ეპოქაში, არცთუ იშვიათად კვლავ ბუნდოვანი რჩება. შევეცდებით კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ და თვალი გავადევნოთ მათ, კულტურათა და ეპოქათა ცვლილებების ჭრილში. ეს საშუალებას მოგვცემს თრიალეთის კულტურის უშუალოდ წინამორბედი ისტორიულ-კულტურული რეალობა შევაფასოთ როგორც იმ ხასიათის ვითარება, რომელმაც თავის მხრივ გარკვეულწილად განსაზღვრა კიდევ ცოტა მოგვიანებით ამ კულტურის აყვავების მაღალი სტანდარტი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ წინარე პერიოდზეც გარკვეულად უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანაში გამორჩენილმა კულტურულმა ერთობამ, რომელსაც ბ. კუფტინის საეტაპო აღმოჩენათა შედეგად მტკვარ-არაქსის კულტურის სახელი ეწოდა, ძვ.წ. III ათასწლეულის მთელი პირველი ნახევრის მანძილზეც მეტ-ნაკლებად მდორედ, მაგრამ განვითარების აღმავალი გზით გააგრძელა არსებობა. კულტურას, რომელსაც ყველაზე მეტი რაოდენობით მკვლევარი აღმოაჩნდა<sup>11</sup>, განსაკუთრებით საინტერესო განვითარება ჰქონდა დასასრულ საფეხურზე. ინტერმედიალური პერიოდი, რომელიც ფინალურ მტკვარ-არაქსულ მასალებთან ერთად (უმთავრესად მაინც ნამოსახლარი ძეგლების საფუძველზე) წარმოაჩენს ახალ, ე.წ. ადრეყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას, ძირითადად ძვ.წ. XXVI-XXIV საუკუნეებს ემთხვევა<sup>12</sup>. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანა ვფიქრობთ, რომ გარდატეხების და მკაფიო შემობრუნების ნიშნული აღმოჩნდა ეპოქათა და, ამავე დროს, კულტურათა ცვლის თვალსაზრისით. მტკვარ-არაქსის ერთი ათასწლეულის მანძილზე არსებული მძლავრი და ფართოდ გავრცელებული კულტურა შეცვალა ინოვაციებით გამორჩეულმა რეალობამ, რომელიც დღეს ბედენის კულტურის სახელითაა ცნობილი. მან მოიტანა ცვილილებათა ის ნაკადი, რომელმაც ცალსახად მკაფიოდ შეცვალა წინარე კულტურის დროს დამკვიდრებული სტაბილური და მდორედ მიმდინარე ცხოვრების გეზი. მტკვარ-არაქსის კულტურა პრეისტორიულ სინამდვილეში ყველა სხვა ერთობებისაგან განსხვავებული აღმოჩნდა ფართო რადიაციის თვალსაზრისით, რადგან მან დაფარა კავკასიისა თითქმის მთელი და მახლობელი აღმოსავლეთის საკმაოდ დიდი არეალი<sup>13</sup>. ამის შემდეგ არც ერთი კულტურული ერთობა არ გავრცელებულა ასეთი გამორჩეული სივრცობრივი მასშტაბით, რისი მიზეზიც, ვფიქრობთ, თავად ამ კულტურის არსში დევს. მტკვარ-არაქსის კულტურა პრიორიტეტის მქონე აღმოჩნდა ბრინჯაოს პროდუქციის დამკვიდრების და, ასევე, მეთუნეობაში გარდამტეხი სიანსაზრისით. ამიტომ მან უდავოდ, შექმნა ის მდგრადი ბაზა, რომელზეც შემდგომ გარკვეულად დაეფუძნა კიდევ

10. Antonio Sagona, Paul Zimansky, Ancient Turkey, (London and New York: Routledge: 2009), 187-191, 210-224.

11. მარინე ფუთურიძე, “ადრეულითონების ხანის ანატოლიურ-სამხრეთ კავკასიური კავშირურთიერთობების კვლევა არქეოლოგიურ მეცნიერებაში და მისი პერსპექტივები”. კავკასიოლოგიური ძიებანი № 4 (2012): 219-223.

12. ჯაფარიძე, *ქართველი ერის ეთნოგენეზის*, 334

13. Кушнарева, Кавказ в 9-2 тыс., 51-54, Рис. 18.

ე.წ. ადრეეორღანული კულტურის ეტაპზე მომხდარი (თუმცა, სხვა ფაქტორებითაც განპირობებული) არსებითი ხასიათის წინსვლა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა მტკვარ-არაქსულმა მახასიათებელმა ნიშანმა თავი კიდევ უფრო ხანგრძლივადაც კი შემოინახა. თრიალეთის კულტურის თიხის ჭურჭელში ეს ტენდენცია პირველად ეგოგაძემ შენიშნა<sup>14</sup>. ამასთანავე, საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის პირველი, უადრესი ნიშნებიც სწორედ მტკვარ-არაქსულმა ძეგლებმა გამოავლინეს, თუმცა ამ მხრივ ყველაზე ერთგვარი ვითარება არ იყო. სოციალური დიფერენცირების პროცესი ყველაზე შორს წასული აღმოსავლეთ ანატოლიაში ჩანს, რასაც კარგად ადასტურებს ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხები არსლანთეფედან<sup>15</sup>. ამ კულტურის დასასრული ფაზა კი ბევრად აჩქარებული წინსვლით აღინიშნა, რაც, ვფიქრობთ, რომ ახალი ფენომენის – ე.წ. ადრეეორღანული კულტურის პირველი გამოჩენითა და მასთან შეხვედრით უნდა იყოს გამოწვეული. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ერთ მნიშვნელოვან, თუმცა, დღემდე სადისკუსიო თემად დარჩენილ ასპექტსაც უნდა შევეხოთ, რომელიც ადრეეორღანული კულტურის სრულიად დასაწყის, მის უადრეს ეტაპად მიჩნეულ მარტყოფის ჯგუფის ძეგლებს ეხება. ვფიქრობთ, რომ მარტყოფის ეტაპის კომპლექსები საგანგებოდ ღრმა კვლევას და ხელახალ გადააზრებას საჭიროებს ბრინჯაოს ხანის ქრონო-კულტურული მონაცვლეობის დადგენილ სქემაში მისი ადგილის დაზუსტების მხრივ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც შეიძლება დავასახელოთ, რომ მარტყოფისა და ბედენის ჯგუფის ძეგლებს, რომელთაც აკად. ოთარ ჯაფარიძე ერთი ფენომენის – ადრეეორღანული კულტურის წრეში აერთიანებს<sup>16</sup>, თითქმის არაფერი საერთო არ ეძებნებათ ყველაზე სადიაგნოსტიკო მასალაში-კერამიკაში. ე.წ. ადრეეორღანული კულტურის ამ ორი ჯგუფის სახვადასხვა ტიპის მონაცემთა ინტერპრეტირებისას, მარტყოფის ჯგუფის ძეგლების მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპად<sup>17</sup> ან მის უმუშალო გენეტიკურ გაგრძელებად (პოსტ-მტკვარ-არაქსად) ვარაუდი, რომელიც ახლებური პოზიციის სახით შემოგვთავაზეს ადრე ბრინჯაოს ხანის ქართველმა სპეციალისტებმა<sup>18</sup>, ამჯერად მე უფრო მართებულად მიმაჩნია. იქნებ დასაშვებაცაა, რომ სწორედ მარტყოფის ჯგუფის ძეგლები მივიჩნიოთ იმ მოკლე ინტერმედიალურ ფაზად, რომელმაც თავის თავში თითქოს გააერთიანა ორი სხვადასხვა კულტურული ფენომენი და ამით სიმბიოზის იმგვარი მაგალითი მოგვცა, რომელმაც ასახა ორი ქრონოლოგიური მონაკვეთისა და ორი კულტურული პლასტის (მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურების) მოკლე ხნით თანაარსებობა თუ შეხვედრის დრო. სწორედ ამ პროცესების საკვანძო საკითხების გახსნას სჭირდება მკვლევართა საგანგებო და გაცილებით დეტალური კვლევა. დღევანდელი მონაცემების საფუძველზე, ვფიქრობთ, ნათლად იკვეთება ის მონაცე-

14. ელგუჯა გოგაძე, *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი*. (თბილისი: მეცნ. აკად. გამომცემლობა: 1972), 39-47.

15. Marchella Frangipane, *Arslantepe*, (Roma: 2007), 469-477

16. ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისთვის ძვ.წ. მესამე ათასწლეულში (ადრეეორღანული კულტურა). (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998), 7-11, 167-179; ჯაფარიძე, *ქართველი ერის ეთნოგენეზის*, 309-340

17. Каринэ Кушнарева, Таризл Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа (Ленинград: (V-III). Ленинград: Издательство «Наука», Ленинградское отделение, 1970), 159; გიორგი მინდიაშვილი, ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში (სოციალ-ეკონომიკური ასპექტი), საკანდიდატო დისერტაცია, (თბილისი, 1993);

18. Зураб Махарадзе, Александр Орджоникидзе, Проблемы изучения т.н. «культуры ранних курганов» в Грузии, в: *Археология, Этнография и Фольклористика Кавказа*, (Махачкала, 2007), 83-84

მები, რაც საშუალებას იძლევა, რომ სწორედ ეს ეტაპი – ძვ.წ. 2500-2400 წწ მივიჩნიოთ არა მხოლოდ სიანხლეთა პირველი გამოჩენის, არამედ ეპოქათა ცვლის პერიოდადაც. შუა ბრინჯაოს ეპოქის დადგომა ან, სხვაგვარად გარიჟრაჟი, სხვადასხვა მკვლევართა მიერ სწორედ იმ ხანას უკავშირდება, როცა პირველად ჩნდება ე.წ. ადრეყორღანული კულტურის დამახასიათებელი ძეგლები<sup>19</sup>. შესაბამისად, ნათელია, რომ სწორედ ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანისათვის სამხრეთ კავკასიაში აშკარად იწყებს რღვევას მტკვარ-არაქსის საკმაოდ სტაბილური განვითარების მქონე კულტურა, ხოლო ცვლილებათა ბიძგი ბედენის კულტურის ეტაპზე, როგორც ვარაუდობენ, შესაძლებელია, სამხრეთ რუსეთის სტეპური არეალიდან მომდინარე გავლენასაც უკავშირდებოდეს<sup>20</sup>.

ბედენის კულტურასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ ის ძვ. წ. III ათასწლეულის შედარებით მოკლე პერიოდში (ძვ.წ. 2400/2300-2200 წწ) მომხდარი არსებითი გარდატეხების მქონე<sup>21</sup> კულტურული ერთობა აღმოჩნდა, ერთის მხრივ, ინოვაციათა და არქეოლოგიურ კულტურათა ცვლის, ხოლო, მეორეს მხრივ, კი სწორედ ეპოქათა ურთიერთმონაცვლეობის თვალსაზრისითაც. ადრე არსებული ვითარების მკაფიო ცვლა სოციალური და ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, ბედენის ეტაპზე ძალიან გამჭვირვალედ ჩანს. ნიშანდობლივია, რომ ცირკუმპონტოს პროვინციის სივრცეშიც შუა ბრინჯაოს ხანაზე გადასვლის თარიღად, ძირითადად მაინც ლითონწარმოების მასალებზე დაყრდნობით, მკვლევარები დაახლოებით ძვ.წ. 2300-2100 წლებს ასახელებენ<sup>22</sup>. განვითარებული ეტაპის მტკვარ-არაქსისა და ე.წ. ადრეყორღანული კულტურების პერიოდში სამხრეთ კავკასიის გარესამყაროსთან საერთაშორისო კავშირებისა და საკომუნიკაციო გზების გამოყენების შესაძლებლობაზე ღრმა კვლევა აქვთ ჩატარებული ქართველ მეცნიერებს, რომელთაც არსებითი შედეგები დადეს ამ მიმართულებით<sup>23</sup>. მათ მიერ გამოთქმული პოზიცია ჩემთვის სრულიად დამაჯერებელია, ამიტომ მათ დაწვრილებით აქ აღარ შევეხები, თანაც, ის ჩვენი ინტერესის ფარგლებში ქრონოლოგიურად არ ექცევა.

იმდენად, რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი ძვ.წ. III-II ათასწლეულების გზისგასაყარზე განვითარებულ პროცესებს ეძღვნება, უფრო დაწვრილებით შევჩერდები ამ პერიოდის კულტურაზე. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანიდან დაახლოებით ოთხი საუკუნის შემდეგ ანუ უკვე მის მიწურულს (ძვ.წ. 2200/2100 წწ), კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაცია და ახალი კულტურული ფენომენი ჩნდება სამხრეთ კავკასიის საკმაოდ ვრცელ რეგიონში<sup>24</sup>, რომელიც მკაფიოდ იდენტიფიცირდება თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დასაწყისთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ

19. Отар Джапаридзе, «Из истории археологического изучения Грузии», საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაზრე XXXVI-(1982): 37; Марина Путиридзе, «Традиции и инновации в Триалетской культуре эпохи Средней Бронзы», Кавказ в системе палеометаллических культур Евразии (1991):218-219; ნინო შანშაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი, ვიორგი ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) (თბილისი: მწიგნობარი, 2016), 77

20. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის, 335-340; აღექსანდრე ორჯონიკიძე, ადრეული ყორღანები საქართველოში (თბილისი: მწიგნობარი, 2015), 13, 28-34.

21. ჯაფარიძე, ქართველი ტომების, 166-188; Путиридзе, «Традиции и инновации», 213-216.

22. Евгений Черных, Горное дело и металлургия в Древней Болгарии. (София: издательство «Болгария», 1979), 271.

23. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 68-82.

24. Puturidze, “For the Assign of Middle Bronze. 278-285.



ეს პერიოდი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და გარდატეხების ხანად მოიაზრება მახლობელი აღმოსავლეთის განვითარების ისტორიული და კულტურული განვითარების რეგიონისთვისაც.

თრიალეთის კულტურის ყველაზე მეტად დამახასიათებელ წამყვან თავისებურებათა შორის გამორჩეულად აღვნიშნავთ: საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის თითქმის უმაღლეს სტრუქტურასთან მიხედვით საფეხურს, რაც კარგად გამოვლინდა მათი კუთვნილი სამარხეული ინვენტარისა და დასაკრძალავი კონსტრუქციის მიხედვით, ელიტური დარგების ცალკეული მიმართულებების (ლითონის ჭურჭელი) პირველად გამოჩენას, ხოლო ოქრომჭედლობის, მათ შორის ტორევიტიკის, არნახულად მაღალ დონეზე დაწინაურებას, კულტურის ყველა სფეროში გამორჩეულად დიდ მიღწევებს, საერთაშორისო კომუნიკაციების განსაკუთრებულ გააქტიურებას და სხვა. რასაკვირველია, ყველაფერმა ამან თრიალეთის კულტურა განსაკუთრებული სიკაშკაშით გამოკვეთა ძველი სამყაროს გეოკულტურული ლანდშაფტის საერთო რუკაზე. ამ თვალსაზრისით, მკვლევარები ყოველთვის საგანგებოდ მიუთითებდნენ თრიალეთური ოქრომჭედლობის უნიკალურობასა და უმაღლეს სტანდარტზე<sup>25</sup>.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ იმ ცვლილებებზე, რაც თვალსაჩინოა ყველა ზემოაღნიშნული დაწინაურებული დარგების მხრივ და რაც აშკარად მეტყველებს თრიალეთის კულტურის დადგომასთან ერთად მკვეთრი ინოვაციებისა და ცვლილებების დინამიკაზე. ეს სიახლეები შეეხო თრიალეთელთა საქმიანობის არაერთ სფეროს, რომელთა შორის, სამეთუნეო წარმოების პროდუქცია, უდავოდ, ერთ-ერთი სადიაგნოსტიკო მასალაა. თრიალეთური კერამიკა არსებითად ზურგს აქცევს და ბოლომდე ივიწყებს ყველა იმ მახასიათებელს, რაც წამყვანი იყო ბედენის კულტურის (ასევე, უფრო ადრეული ეტაპების – გვიან მტკვარ-აქისისა და მარტყოფის) თიხის ჭურჭლისათვის. იცვლება ჭურჭლის ტიპი, ზოგადად ფორმა, კორპუსის პროფილის კონტური, ორნამენტაცია, მისი შემკობის მონაკვეთები, კეცის სტრუქტურა და ფაბრიკაცია, ანუ არსებითად სხვაობაა ყველა პარამეტრში. თრიალეთის კულტურის ჭურჭელი განსხვავებული ნიშნების ერთობლიობით გამოირჩევა, კერძოდ კი იმით, რაც რადიკალურად განასხვავებს მას ბედენური კერამიკული კომპლექსების წამყვანი თავისებურებებისაგან. თრიალეთური კერამიკა<sup>26</sup> ტიპობრივ მრავალფეროვნებასთან (ჰიდრია, ქოთნისა და ბადიის სხვადასხვა ვარიანტები, ცალყურა ღოჭები) ერთად დეკორის მხატვრულ-სტილისტურად მდიდრული იერიითა (გეომეტრიული, ზოომორფული, კომბინირებული სახეები) და ორნამენტაციის დატანის ახალი ხერხებითაც გამოირჩევა, რომელთა შორის დომინირებს: ე.წ. “სავარცხლის კბილის შტამპით”, კოპებით, ნაჭდვეი ტექნიკით ფრიზებად შესრულებული გეომეტრიული სახეები, ზოომორფული სტილის გეომეტრიულ ორნამენტთან კომბინირებით გადმოცემული რთული სიუჟეტები და სხვა. ეს ყველაფერი სრულიად განსხვავებულია ბედენის კულტურის ნატიფი, თხელი, ზედმიწევნით კარგად განლექილი და ლითონისებური ბზინვარებით გამორჩეულ ზედაპირიანი, იდეალურად გამომწვარი კეცისაგან, რომლისათვისაც ფორმათა და ორნამენტთა ნაკლები მრავალფეროვნება

25. Maxwell-Hyslop, *Western Asiatic*. 74-76.

26. Куфтин, *Археологические раскопки*. Табл. LXXIII-LXXXIII ; Puturidze, “*Social and Economic Shifts*”, Fig. 5.6.



და მდიდრული იერი, ხოლო ორნამენტაციის მხრივ კი, გაცილებით მარტივი სახეები იყო დამახასიათებელი<sup>27</sup>. შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თრიალეთის კულტურის კერამიკა სრული ინოვაციაა დაწყებული ძვ.წ. XXI საუკუნიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის. რასაკვირველია, ისმის საკითხი თუ რა შეიძლება დასდებოდა საფუძვლად შუა ბრინჯაოს ხანის II, განვითარებულ ფაზაში თრიალეთის კულტურის ამგვარ სრულიად ინოვაციურ, გამორჩეულად მდიდრული ორნამენტისა და დახვეწილი ფორმების კერამიკას, რომელსაც, მიუხედავად მკვლევართა გულმოდგინე ძიებისა, არც წინამორბედი ეტაპების სამხეთკავკასიურ მასალაში მოეპოვება საერთო და, ამავე დროს, არც გარემომცველი ძველადმოსავლური სამყაროს, არც ჩრდილოეთის სტეპების თუ სხვა რეგიონების კულტურათა თიხის პროდუქციაში აქვს რაიმე, თუნდაც შორეული ანალოგები. ჩვენი აზრით, შავად გამოშვარი, გამორჩეულად დახვეწილი და მრავალფეროვანი თრიალეთური კერამიკა წარმოადგენს სამეთუნეო დარგის საკუთრივ ამ კულტურისათვის ნიშანდობლივ ერთ-ერთ დიდ მიღწევას (ისევე როგორც ხელოსნობის სხვა მიმართულებებისა), რომელიც მათი შემქმნელების მაღალ შემოქმედებით უნარსა და შესაძლებლობებზე მეტყველებენ და ამიტომაც ის, უდავოდ, ლოკალური ტრადიციის ნაწარმად უნდა განვიხილოთ.

საყურადღებოა კერამიკაში წარმოდგენილი ერთი საგანგებო მიმართულება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში წითელზე შავად მოხატული “წყლის სქემის” მოტივის სტილადაა ცნობილი<sup>28</sup>. ამ მასალის მრავალწლიანი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოხატული კერამიკის ეს ტიპი აშკარად წინააზიური, უფრო კონკრეტულად კი, ვანი-ურმიისპირეთის ზეგავლენის შედეგად შექმნილი ნაწარმია<sup>29</sup>. ის, ჩვენ იმ კატეგორიის ჯგუფად მიგვაჩნია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ნათლად ავლენს თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების ინტერკულტურულ კონტაქტებს მახლობელი აღმოსავლეთის ამ რეგიონთან.

რაც შეეხება, საკვლევი კულტურის ხელოსნობის სხვა დარგებისათვის დამახასიათებელ მასალებს, აქაც შეიძლება დიფერენცირდეს ლოკალური და უცხო სტილის ნაწარმი, თანაც გაცილებით ფართოდ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ტორევეტიკასა და სამკაულში. მათი რაოდენობა და ტიპობრივად მრავალფეროვანი ჯგუფები იმდენად ფართოა და, თანაც უკვე კარგად პუბლიცირებული, რომ აქ ზედმეტად მიგვაჩნია თითოეულ ნიმუშებზე ცალ-ცალკე ყურადღების შეჩერება. დაინტერესებულ მკითხველს მათი დახასიათება და დაწვრილებითი ინტერპრეტირება შეუძლია იხილოს ჩვენს მიერ ბიბლიოგრაფიულ ნაწილში მოტანილ ლიტერატურაში.

თრიალეთის კულტურისათვის ყველაზე საყვარელ სამკაულს მძივები წარმოადგენს, რომელთა ტიპობრივი და სტილისტური მრავალფეროვნება ფართოდაა წარმოდგენილი ამ კულტურის უმრავლეს სამარხეულ ძეგლებზე<sup>30</sup>. მათ შორის, ლო-

27. Puturidze, “Social and Economic Shifts, Fig. 5.3.

28. Куфтин, Археологически раскопки. 80,84-85, Табл. LXXVI, LXXVIII-LXXXIII; Кушнарева, Кавказ в 9-2 тыс., 123-127., 38,39, 42,43,47-49; გოგაძე, თრიალეთის ყორღანული. 55-61.

29. მარინე ფუთურიძე, “ურმიისპირეთის რეგიონის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე: თრიალეთის კულტურის ერთი ტიპის კერამიკის კვლევა”, აღმოსავლეთმცოდნეობა №8 (2019), 115-130.

30. მარინე ფუთურიძე, “თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის ნაწარმის ერთი ტიპის კვლევისათვის”, კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, “ძიებანი”, დამატებანი VI, (თბილისი: არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2001, 117-122.

კალურ სტილთან ერთად, საკმაო რაოდენობით გვხვდება წინააზიური ტიპის<sup>31</sup> და ეგეოსური სამყაროსათვის დამახასიათებელი მძივებიც<sup>32</sup>. არტეფაქტების ეს ჯგუფი ნათლად მიუთითებს აღნიშნული სივრცის ოქრომჭედლობის სხვადასხვა მოწინავე ცენტრებთან თრიალეთის კულტურის საზოგადოების გარკვეული სოციალური ფენის/ფენების (ოქრომჭედელი ხელოსნები, ვაჭრები) კომუნიკაციის სასარგებლოდ. ასევე, ის წინა აზიის ცალკეულ რეგიონთა (ტაბ. I<sub>2</sub>) სამხრეთ კავკასიის ამ დაწინაურებულ კულტურაზე სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ზეგავლენის მანიშნებელიცაა. ამგვარი პროცესების მაჩვენებელ მასალათა სხვადასხვა ტიპობრივი ჯგუფები (საკინძები, მრგვალი ფირფიტები, საკიდები, სასაფეთქლე ხვიები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ლითონის ჭურჭელი და სხვა) საკმაოდ მრავალფეროვანია და მკვლევართა ყურადღების საგანი ისინი, არა მხოლოდ კონკრეტული ნიმუშების საგანგებოდ განხილვის, არამედ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა სივრცეში არსებული ინტერკულტურული კავშირების გარკვევისა და შეფასების თვალსაზრისითაც არაერთხელ გამხდარა<sup>33</sup>. მკვლევართა ნაწილი კი, მიუხედავად წინა აზიის ცენტრებიდან მომდინარე გავლენების მითითებისა, თრიალეთის ოქრომჭედლობაში გაცილებით მეტად ხედავს ადგილობრივ ტენდენციებს და უშუალოდ აკავშირებს მას ოქრომჭედლობის ლოკალური ნიადაგის მქონე ტრადიციასთან<sup>34</sup>.

თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ არსებით კონტექსტზე ფართოდ საუბრისას აკად. ო.ლორთქიფანიძე, განსხვავებულ პოზიციათა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე გვთავაზობს დღევანდელი ჩვენი ცოდნის დონეზე ამ ფენომენის შესახებ, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მართებულ და გასაზიარებელ თვალსაზრისს, რომელიც მიხედვითაც უშუალოდ წინამორბედი ხანის სამხრეთკავკასიურმა კულტურულმა პლასტმა გარკვეული სუბსტრატის როლი შეასრულა, რომლის ნიადაგზეც ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში წინა აზიიდან მომდინარე უცხო გავლენებთან შეხებისა და ორგანული შერწყმის შედეგად ჩამოაყალიბდა “ამკარად ძველადმოსავლური იერის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა”<sup>35</sup>.

31. მარინე ფუთურიძე, “ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ”, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში №17-18 (თბილისი: არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2006), 66-76.

32. Marina Puturidze, “Some Evidences for the South Caucasian-Aegean World Relationship”, Aegean World and South Caucasus: Cultural Relations in the Bronze Age. Proceedings of the International Workshop (Tbilisi: “Mtsignobari”, 2016), 139-162.

33. Куфтин, Археологические раскопки. 78-100; გოგაძე, *თრიალეთის ყორღანული*. 79-94; ჯაფარიძე, *ქართველი ერის ენოგენეზის*, 341-259; Mikheil Abramishvili, “In search of the origins of Metallurgy – An overview of South Caucasian evidence”, Von Majkop bis Trialeti (Berlin, 2010), 167- 178; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები. 78-82; Devedjian, *Lori Berd II*. 397-402. 411-417; Sagona, Zimansky, *Ancient Turkey*. 225- 244; Rubinson, “Silver Vessels. 128-143; Karen Rubinson, “Actual imports or just ideas? Investigations in Anatolia and the Caucasus”, *Cultures in Contact. From Mesopotamia to the Mediterranean in the II Millennium B.C.* Edited by J. Aruz, S. Graff and Y. Radik, (New York: The Metropolitan Museum of Art, 2013), 12-25; Puturidze, “Social and Economic Shifts. 120-122, 127; ფუთურიძე, “ზოგიერთი მოსაზრებანი. 66-76; მარინე ფუთურიძე, “ანალოგიური ტენდენციების შედარებითი კვლევისათვის სამხრეთ კავკასიის და წინა აზიის შუა ბრინჯაოს ხანის მხატვრულ ხელოსნობაში”, ცივილიზაციური ძიებანი №9 (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011), 95-106.

34. ნანა ჯაფარიძე, *ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში (თრიალეთის კულტურა)*. (თბილისი: გამომცემლობა “ხელოვნება”, 1981), 81-82, 99-104; ნინო ლორთქიფანიძე, *ქართული ოქრომჭედლობა*, (თბილისი, 2015).

35. ოთარ ლორთქიფანიძე, *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან*, (თბილისი: თბილისის

არსებული მასალების მიხედვით, ვფიქრობთ, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე და მას შემდეგ, დაახლოებით კიდევ მეოთხედი საუკუნის მანძილზე, განვითარებული მოვლენები სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების განსაკუთრებულად გააქტიურების სასარგებლოდ მეტყველებს. ტორევეტიკისა და სამკაულის მრავალრიცხოვან ნიმუშთა შორის საგანგებოდაა აღსანიშნავი არტეფაქტთა არცთუ მცირე ჯგუფი (ოქროს ფუყე სასაფეთქლე ხვები, ოქროს მრგვალი, გეომეტრიული სახეებით ორნამენტირებული ფირფიტები, აშურის ტიპის წიბოიან-გვერდიანი მძივი, დედოფალ ფუ-აბის სამკაულის ანსამბლიდან ცნობილი მილაკის ფორმის, გავარსით შემკული შუმერული ტიპის მძივები, თოთხმეტმძივიანი ყელსაბამის ერთი კომპონენტი – ოქროს ჩარჩოში ჩასმული, თეთრძარღვიანი აქატის კულონი, წალკისა და ყარაშამბის ყორღანებიდან ცნობილი ვერცხლის სარიტუალო თასების ფრიზებში განაწილებული იკონოგრაფიული კომპოზიციები, ვერცხლის წყვილი, სადაზღვაპირიანი თასები, ვერცხლის ცილინდრული ფორმის, სახელურიანი ჭურჭელი ვანადორის (კიროვაკანის) №1 ყორღანიდან, ბრინჯაოს კალათისებური ტიპის ვაზა, გარდა ამისა, წინა აზიის ოქრომჭედლობაში ფართოდ გავრცელებული დეკორის - წვრილი ცვარათი შესრულებული, ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული სამკუთხედების რივის ორნამენტული სახის ხშირი გამოყენება თრიალეთურ ნიმუშებზე, დაკრძალვის ტრადიციის ინოვაციური სახე- კრემაცია და არაერთი სხვა შემთხვევა ტრადიციებსა თუ მატერიალური კულტურის ძეგლებში), რომელთაც პირდაპირი ანალოგები ეძებნებათ წინააზიური კულტურების კომპლექსთა შორის. რასაკვირველია, ასეთი რაოდენობისა და ამგვარი ანალოგიების მანიშნებელი ნიმუშების აღმოჩენა თრიალეთის კულტურის სამარხეულ ძეგლებში შემთხვევითობა ან იმპორტირებული ნივთის გამოჩენის შედეგად არ შეიძლება იყოს. როგორც ჩანს, სწორედ ძვ.წ. XXII/XXI საუკუნიდან ვიდრე ძვ.წ. XVII საუკუნის შუა ხანამდე, წინა აზიის ზოგიერთ რეგიონებთან (ცენტრალური ანატოლია, შუმერი, ვანი-ურმი-სპირეთი) კავშირურთიერთობების არსებული სქემა უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც მოხდა დაწინაურებული ცივილიზაციური ცენტრებიდან წამოსული კულტურული გავლენების, იმ ეპოქის სხვადასხვა მიღწევებისა და ახალი მოდის ნაკადის ფართოდ ადაპტირება თრიალეთის კულტურის ელიტის მიერ.

ვფიქრობთ, რომ პროცესები, რომლის შედეგადაც შუმერული კულტურული პლასტის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენა ჩანს, უკავშირდება ამ რეგიონში თრიალეთის კულტურის გამოჩენას, სადაც ოქრომჭედლობის მდიდარ რეპერტუარში საკმაოდ ჩნდება ისეთი ნიმუშები, როგორებიცაა: ფუყე, ერთნახევარბრუნიაანი სასაფეთქლე ხვები, თეთრძარღვიანი აქატი, გამოყენებული როგორც სარდიონით ინკრუსტირებულ ოქროს ჩარჩოში ჩასმული საკიდის მთავარი კომპონენტი<sup>36</sup> და, ასევე, დამოუკიდებელი გულსაკიდების სახითაც ყარაშამბისა და ლორი-ბერდის ყორღანების ყელსაბამებში, გავარსის ტექნიკით ორნამენტირებული ოქროს პატარა ზომის მილაკისებური მძივები და სხვა, რომლების ძალიან ტიპიურია ნიმუშებში სამხრეთმესოპოტამიური კულტურისათვის.

სამხრეთ კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის კავშირებისა და სავაჭრო-საკომუნიკაციო გზებზე საგანგებოდ მომუშავე სპეციალისტები ფიქრობენ, რომ შუ-

უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002), 99.

36. Куфтин, Археологические раскопки, 94, Табл. XCIV, XCV.

მერული კვალი სამხრეთ კავკასიაში ბევრად ადრე, ნეოლითის ხანაშიც ჩანს<sup>37</sup>. რაც შეეხება ადრე ბრინჯაოს ხანაში შენიშნულ კავშირებს, სრულიად მართებული მგონია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელთა დამკვიდრება აღმოსავლეთ ანატოლიის მდინარეთა დაბლობებში და ლითონით ვაჭრობაზე მონოპოლიზება ცხადი ხდება არსლანთეფეს VI B აღმოჩენების მიხედვით. ამ საკითხების გარშემო ჩატარებული დეტალური კვლევა, ცხადია, მნიშვნელოვნად წაადგება როგორც მტკვარ-არაქსის ფენომენის კიდევ უფრო ღრმად გააზრებას, ასევე, ამავე მკვლევართა მიერ შენიშნული ფაქტის – “რომ ბრინჯაოსთან ერთად ისინი შესაძლოა ოქროს მიმწოდებლებიც იყვნენ არსლანთეფეს საზოგადოებისათვის”<sup>38</sup> – მომავალში უტყუარ დასაბუთებასაც. აღნიშნული მოვლენების დეტალური ინტერპრეტირება ადრე ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასია – წინა აზიის სივრცის კულტურებისათვის<sup>39</sup> და მათზე დაყრდნობით კი, თითქმის ნახევარ ათასწლეულის შემდეგ განვითარებული მოვლენები, რომელიც უკავშირდება თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დასაწყისს (რომელიც ამჯერად ჩვენი ინტერესის უშუალო საგანია), ვფიქრობ, რომ ცვლის საერთაშორისო კავშირურთიერთობის ვექტორებს. უფრო კონკრეტულად კი, ამის განმაპირობებელი მიზეზი ის განსხვავებული ვითარება უნდა იყოს, რომელიც საკუთრივ შუა ბრინჯაოს ხანის II, განვითარებულ ეტაპზე შეიქმნა წინა აზიის ვრცელ არეალში სხვადასხვა პოლიტიკური და ეთნო-კულტურული ერთეულების გამოჩენისა და დომინირების გამო (ძველხეთური იმპერია, აშურის როლის წინ წამოწევა საერთაშორისო სავაჭრო ქსელში) რეგიონში, რომელთან კავშირებისაკენ სწრაფვაც, ბუნებრივია, რომ დიდი ექნებოდა სხვებთან ერთად სამხრეთ კავკასიაში მომძლავრებულ თრიალეთის კულტურასაც. მახლობელ აღმოსავლეთთან ინტერკულტურული ურთიერთობები და იქიდან მომდინარე გავლენებისა და მოდის შემოსვლა, უპირველესად საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელის განახლებას და/ან ახლის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. ეს განპირობებული იყო როგორც სხვადასხვა რესურსების მოპოვებისა და მზა პროდუქციის მოწოდება-გასაღების გზებთან წვდომის აუცილებლობით, ისე თრიალეთის კულტურის საზოგადოების ელიტური ფენის სოციალური დაკვეთებისა და მისი განხორციელების შესაძლებლობების ძიებით<sup>40</sup>. სიმდიდრის ხელში ჩაგდებისა და ეკონომიკური გაძლიერებისაკენ მკაფიოდ ორიენტირებული თრიალეთის ელიტა, ცხადია, ამ მიზეზითაც ეძიებს და ამყარებს ახალ კავშირურთიერთობებს და სრულად ითვალისწინებს მის სამხრეთ სამეზობლოში შექმნილ სავაჭრო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურად წამყვანი ერთეულების არსებობის ფაქტორებს. ამ პერიოდისათვის, როგორც ჩანს, უკვე დამყარდა გარკვეული ბალანსი მმართველი და, ასევე, მასთან უშუალოდ დაკავშირებული, სოციალური ჯგუფების მაღალი სტანდარტის მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის, რაც აისახა კიდევ იდეათა ტრანსლაციის ან/და უმთავრესად მხატვრული ხელოსნობის პრესტიჟული ნაწარმისათვის დამახასიათებელი მაღალი სტილის ათვისებითა თუ მიწოდებით.

37. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 67.

38. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 71-74.

39. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 67-77.

40. Puturidze, “Social and Economic Shifts”. 126-127; ფუთურიძე, “ზოგიერთი მოსაზრებანი”. 66-76; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 79.



აქედან გამომდინარე, სავსებით მისაღებად მიმაჩნია ის ვარაუდი, რომელსაც შუა ბრინჯაოს ხანის ამ ეტაპთან დაკავშირებით აღნიშნავენ მკვლევარები და ხაზს უსვამენ სხვადასხვა პრესტიჟული მასალის მოპოვებისაკენ სწრაფვასა და მათი არსებობის კონკრეტულ მაგალითებს თრიალეთის კულტურის ძეგლებში დადასტურებულ არტეფაქტთა შორის<sup>41</sup>.

შეჯამებისათვის აღვნიშნავთ, რომ იმდენად, რამდენადაც თრიალეთის კულტურის სხვადასხვა ტიპის არტეფაქტთა საკმაო რაოდენობა ადგილობრივთან ერთად, ასევე ნათლად ავლენს უცხო და ლოკალური გარემოსათვის ძალიან ნაკლებად დამახასიათებელ ტენდენციებსაც, რომლებიც არა მხოლოდ უეცრად იჭრება სამხრეთ კავკასიის ამ გეოგრაფიულ ნაწილში, არამედ უკვე სრულიად ჩამოყალიბებული და მზა სახითაც, ეს საფუძველს გვაძლევს მისი წარმომავლობის თავდაპირველი საწყისები მახლობელი აღმოსავლეთის დაწინაურებული ცენტრებისაკენ ვეძიოთ.

სამხრეთ კავკასიის გეოკულტურულ ლანშაფტში ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნასა და II –ის დასაწყისში დადასტურებული ყველა ზემოაღნიშნული სიახლე საკმაოდ არსებითი იყო და მათ თვალსაჩინოდ შეცვალეს მანამდე არსებული რეალობა. მათ შორის გადამწყვეტი აღმოჩნდა თრიალეთის კულტურის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა, მისთვის დამახასიათებელ სიახლეთა მთელი ანსამბლით, საზოგადოების სოციალიზაციის გართულება, ადრესახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ზღვრამდე მისვლა და სამეურნეო მექანიზმის მორგება ხელოსნობა-მესაქონლეობა-მიწათმოქმედების თანაარსებობაზე<sup>42</sup>;

რასაკვირველია, თრიალეთის კულტურაზე (ისევე როგორც სხვა შემთხვევებში), გარემომცველი გეოპოლიტიკურ-კულტურული ლანდშაფტი გარკვეულად ზემოქმედებდა მის დაწინაურებაზე. თუმცა, ნიშანდობლივი ფაქტორია ისიც, რომ გარემომცველი კულტურული გარემოს ზემოქმედების ხარისხი ყველა გარკვეულ შემთხვევაში განსხვავებულია ხოლმე და ის არ შეიძლება იყოს ერთნაირი სიძლიერისა და გავლენის მქონე, იქიდან გამომდინარე თუ რამდენად დაწინაურებული და როგორი ხასიათის ცივილიზაციათა გარემოცვაშია ესა თუ ის კულტურა, კერძოდ – მასზე ბევრად აღმატებული დონისა და პოლიტიკურად მძლავრი თუ მისი იდენტური განვითარების, ან უფრო ნაკლების, მქონე. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, ძველად-აღმოსავლური სამყაროს ისტორიულ გარემოცვაში მისი არსებობის ქრონოლოგიური მონაკვეთი ემთხვევა საკმაოდ არსებითი გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ძვრების (ცვლილებების) პერიოდს, რასაც არ შეიძლება გავლენა არ ექონია მის განვითარებაზე, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თრიალეთის კულტურის დამახასიათებელი ბუნებაა საკმაოდ გახსნილობა, ძიება და მზაობა ყოველგვარი უცხოთა და მოწინავე სიახლეების ათვისებისაკენ. ცხადია, აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია ამ ფენომენის საბოლოო სახის ჩამოყალიბების გააზრებისათვის.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი გამორჩეული პერიოდი აღმოჩნდა წინა აზიის სივრცეში საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემებში ცვლილებებისა<sup>43</sup> და ამავე დროს სავაჭრო-გაცვლითი კავშირების ახალი ქსელის გაჩენით. სწორედ ამ პე-

41. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 77-80.

42. Puturidze, "Social and Economic Shifts," 122-126.

43. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 81-82.



როდში აარსებს კულტურულ-ეკონომიკურად მომდღავრებული ასირია თავის სა-  
ვაჭრო კოლონიებს სხვადასხვა, მათ შორის მისგან მოშორებულ რეგიონშიც, რისი  
მაგალითიც ცენტრალურ ანატოლიაში დაფუძნებული მსხვილი სავაჭრო კოლონია  
კარუმ კანეშია. ძვ.წ. XIX საუკუნიდან ის ერთ-ერთი ყველაზე მძღავრი ეკონო-  
მიკურ-სავაჭრო ცენტრი იყო უძველეს მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც თავს  
იყრიდა იმდროინდელი ტექნიკური და მხატვრულ-სტილისტური მიღწევებითა და  
ახალი მოდის ნიმუშებით გამორჩეული პრესტიჟული პროდუქციის დიდი რაოდე-  
ნობა. თრიალეთის კულტურის ძეგლებში დადასტურებული არაერთი ნაწარმი<sup>44</sup>  
სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი სავაჭრო კოლონიის ცენტრში და, ასევე, აშურის  
მდიდარ ვაჭართა №№ 18, 20 და 21 სამარხებში<sup>45</sup> აღმოჩენილი მასალების ახლო  
ანალოგებია.

ზოგადად, თრიალეთის კულტურის ნიმუშთა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა  
ცხადს ხდის იმას, რომ ამ სამხრეთკავკასიური კულტურული ერთობისათვის საკმა-  
ოდ კარგად იყო ცნობილი მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო-გაცვლითი ქსელის  
ფართო მიმოქცევაში არსებული პრესტიჟული პროდუქცია. ცხადია, რომ ის ზედ-  
მიწევნით კარგად იცნობდა წინა აზიის კულტურათა სხვადასხვა მიღწევებსა და  
კულტურულ ტრადიციებს და ითავისებდა კიდევ მათ სიახლეებს. ვფიქრობთ, რომ  
თრიალეთის მდიდრულ ყორღანებში ამგვარი მასალის არსებობა მკაფიო ამსახვე-  
ლია შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე მჭიდრო კომუნიკაციისა და  
სამხრეთულ ცივილიზაციათა მასზე ზეგავლენის არსებობისა. ამგვარ ურთიერთობა-  
თა და სავაჭრო გზების წარმატებით დაწყებული ძიება<sup>46</sup>, ცხადია, პერსპექტიულია  
და სამომავლოდ უნდა გაფართოვდეს არა მხოლოდ წინა აზიასთან, არამედ მის  
მიღმა რეგიონების გაშუქების მხრივაც.

ამჯერად კი, იმ რეგიონთა შორის, რომლებთანაც თრიალეთის კულტურის მრავალ-  
ფეროვანი მასალები ამჟღავნებს უშუალო ანალოგებს მოვიანზრებთ ასირიულ  
სავაჭრო კოლონიას ცენტრალურ ანატოლიაში, შუმერსა და ვანი-ურმიდისპირეთის  
რაიონს (ტაბ. I<sub>2</sub>). ვფიქრობთ, რომ თრიალეთის კულტურის რეალობა უთუოდ ნაყო-  
ფიერი ნიადაგი აღმოჩნდა გარემომცველი წინააზიური ვრცელი გეოკულტურული  
ლანდშაფტისათვის მის მიღწევათა უფრო შორეულ რეგიონებში გავრცელება-გატა-  
ნისა და დანერგვის თვალსაზრისით, ხოლო საკვლევი სამხრეთკავკასიური კულტუ-  
რისათვის კი, ის აშკარად წინაპირობა გახდა მანამდე არნახული დაწინაურებისა და  
აყვავების გზაზე<sup>47</sup>.

როგორც ჩანს, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა, ხოლო შემდეგ კი, უკვე  
მისი მიწურულისათვის წინა აზიაში გააქტიურებული ტომთა მოძრაობა და ახალ,  
წინარესახელმწიფოებრივ და ადრესახელმწიფოებრივ გართიანებათა წარმონაქმნები  
მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა იმ გეოპოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და

44. Marina Puturidze, "On the Origins and Development of Gold Working in the Middle Bronze Age Trialeti CulTure". At the Northern Frontier of the Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and Anatolia in the Bronze Age. SUBARTU, XXXVIII (Turnhout: Brepols, 2017), 213-228.

45. Michael Müller-Karpe, *Zu den Erdgräbern 18, 20 und 21 von Assur. Ein Beitrag zur Kenntnis mesopotamischer Metallgefäße und -waffen von der Wende des 3. Zum 2. Jahrtausend v. Chr.* (Mainz: „Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz“, 1995), 260-270.

46. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, 79-83.

47. Puturidze, "On the Origins". 213-228.

კულტურულ კავშირთაერთობათა სისტემის შექმნას, რომელსაც უდავო ზეგავლენა უნდა მოეხდინა საკუთრივ ამ რეგიონის და ასევე, მისი ჩრდილო მეზობლის - სამხრეთ კავკასიის გეოკულტურული ლანდშაფტის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაცაა, რომ მის შესწავლას განმსაზღვრელი მნიშვნელობაც კი ენიჭება ამ უკანასკნელი რეგიონის არქეოლოგიურ პრობლემატიკაში.

არსებული ვითარება აშკარად იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სწორედ ძვ.წ. III-II ათასწლეულების გზისგასაყარიდან დაწყებული ადგილი აქვს კავშირთაერთობების განსაკუთრებულ გააქტიურებას, რაც, ცხადია, გარკვეული, მათ შორის ზემოაღნიშნული, მიზეზებითაც იყო განპირობებული. ამ მიზეზთა შორის, ცხადია, რესურსების მოპოვებასთან ერთად მნიშვნელოვანი იქნებოდა მზა პროდუქციის გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლა და ადგილის დამკვიდრება ხელსაყრელ რეგიონში.

სამწუხაროდ, წერილობით წყაროებთან ერთად, სხვა ხასიათის მონაცემების ნაკლებობაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს იმის მკაფიოდ წარმოჩენას თუ კონკრეტულად რა სახისა და ინტენსივობის კონტაქტები უნდა ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის თრიალეთის კულტურასა და მის სამხრეთით მეზობელ პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრებს შორის. ვფიქრობთ, რომ მომავალი კვლევა, არქეოლოგიური ხასიათის მონაცემებთან ერთად, საჭიროა რთული ისტორიული მოვლენების თუ წყაროების გაშუქების პარალელურად და უშუალოდ მის კონტექსტში ჩატარდეს. ამგვარ შედეგიანობასა და პერსპექტიულობაზე ჩვენს მიერ დასახელებული ნაშრომიც მეტყველებს<sup>48</sup>.

---

48. შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი, ვაჭრობა და სავაჭრო გზები.

## **The Trialeti Culture – Changeovers at the Turn of the III - II Millenniums BC.**

### **Summary**

The territory of spreading of Trialeti Archaeological Culture comprised the part of South Caucasus, which is the main core area of the Eurasian corridor . Trialetian population, about the ethnicity of which nearly nothing is clear, were inhabited in a great part of the Transcaucasia and, supposedly, toward the South-West direction as well.

The Caucasian cross-road area, where various cultural traditions were coming into contact and coexisted from the ancient times, had a close relation with southern neighboring civilizations of the Near East.

The presented article gives an attempt to point out those changeovers which began at the turn of III-II millenniums BC in the south Caucasian region and clearly indicates the most activated trade-economic connections and cultural influences from the ancient Near Eastern world.

Preceding to the Trialeti, prehistoric cultural unites were characterized by more or fewer interconnections with the neighboring regions but comparing to all of them, rather more intensified relations with various areas of the Near East became recordable exactly from the turn of the III and II Millenniums BC and afterward.

Impressive number of the Trialetian gold working samples and their contemplation on the background of the various near eastern assemblages indicate in favour of the existed cultural and trade-exchange relationship between the considering here culture with the located to south civilizations. Enough numerous cases of the “alien”, near eastern style items, are easily recordable in burial mounds of the ruling elite of Trialetian society. More acceptable seems the assumption about their produce locally in south Caucasus by jewellers of foreigner workshops, who temporarily were settled here or the local craftsmen who closely were acquainted with the near eastern gold working and freely adopted all achievements of it.

On the other hand, above mentioned communication is also reflected by such non-traditional for the south Caucasus burial rite, like it is the cremation ritual. Great accent on wealthy and producing of precious goods, which evidently were concentrated in the hands of local elite of the Trialeti culture, supposing that also stimulate the process of widening intercommunication with the outer world.

It is clear that one part of artifacts is totally differing from symptomatic features of the local tradition and have no any prototypes in Caucasian region, but the other part characterizes with the clear Near Eastern image.

The Trialeti culture beside the continuity of local traditional line of development, clearly reveals several innovations in some spheres of life and craftsmanship which serves as an evident argument to argue about the enough strong influences coming from the southern areas from the end of the XXII/XXI century and lasted until the mid XVII century BC.

To overview the main characteristics, it is possible to stress that the appearance of the new, flourishing Trialeti culture in the map of Old World means not only the II, developed stage of

Middle Bronze Age but also the beginning of great social and cultural changes in society. In our viewpoint this changes directly related with process of activated interrelation with outer world, first of all with central Anatolian region, Sumer, Assyria and Van-Urmian basin.

Supposing that as a result of the interaction of various mentioned cultural traditions might be considered the new Trialeti culture, created at the end of III and very beginning of the II millennium BC, where easily distinguishable influence of the different cultures and orientations with the local traditional line.

## ბიბლიოგრაფია:

- აბრამიშვილი მიხეილ**, „თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები „მაღალი ქრონოლოგიისათვის“)“, ძიებანი. დამატებანი X. კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები, (2003), 48-52.
- გოგაძე ელგუჯა**, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი: მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1972.
- ლორთქიფანიძე ნინო**, ქართული ოქრომჭედლობა. თბილისი, 2015.
- ლორთქიფანიძე ოთარ**, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
- მინდიაშვილი გიორგი**, ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში (სოციალ-ეკონომიკური ასპექტი), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1993.
- ორჯონიკიძე ალექსანდრე**, ადრეული ყორღანები საქართველოში, თბილისი: „მწიგნობარი“, 2015.
- ფუთურიძე მარინე**, „თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის ნაწარმის ერთი ტიპის კვლევისათვის“, კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატებანი VI, (თბილისი: არქეოლოგიური კვლევის ცენტრი), 2001, 117-122.
- ფუთურიძე მარინე**, „ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოვნობის განვითარების ტენდენციების შესახებ“, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში №17-18 (თბილისი: არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2006), 66-76.
- ფუთურიძე მარინე**, „ანალოგიური ტენდენციების შედარებითი კვლევისათვის სამხრეთ კავკასიის და წინა აზიის შუა ბრინჯაოს ხანის მხატვრულ ხელოვნობაში“, ცივილიზაციური ძიებანი №9 (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა), 2011, 95-106.
- ფუთურიძე მარინე**, „ადრეული ხანის ანატოლიურ-სამხრეთ კავკასიური კავშირურთიერთობების კვლევა არქეოლოგიურ მეცნიერებაში და მისი პერსპექტივები“. კავკასიოლოგიური ძიებანი № 4 (2012): 219-242.
- ფუთურიძე მარინე**, „ურმიისპირეთის რეგიონის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე: თრიალეთის კულტურის ერთი ტიპის კერამიკის კვლევა“, აღმოსავლეთმცოდნეობა №8(2019), 115-130.
- შანშაშვილი ნინო, ნარიმანიშვილი გოდერძი, ნარიმანიშვილი გიორგი**, ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ.წ. III-II ათასწლეულები), თბილისი: „მწიგნობარი“, 2016.
- ჯაფარიძე ნანა**, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში (თრიალეთის კულტურა). თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1981.
- ჯაფარიძე ოთარ**, საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
- ჯაფარიძე ოთარ**, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბილისი: არტანუჯი, 2006.



- Abramishvili Mikheil**, “In search of the origins of Metallurgy – An overview of South Caucasian evidence”, Von Majkop bis Trialeti (Berlin, 2010), 167- 178.
- Devedjian Seda**, *Lori Berd II (Bronze Moyen)*, Erevan:”Guitoutiun”,2006.
- Frangipane Marchella**, Arslantepe, (Roma: “Sapienza”), 2007.
- Maxwell-Hyslop Kathleen Rachel**, *Western Asiatic Jewellery c.3000-612 BC.*(London: Methuen & CO LTD), 1971.
- Müller-Karpe Michael**, *Zu den Erdgräbern 18, 20 und 21 von Assur. Ein Beitrag zur Kenntnis mesopotamischer Metallgefasse und –waffen von der Wende des 3. Zum 2. Jahrtausend v. Chr.* (Mainz: „Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz“), 1995.
- Puturidze Marina**, “Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age”, in *Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond*, edited by Adam T.Smith & Karen S.Rubinson, 111-127. Los Angeles: Cotsen Institute of Archaeology University of California, 2003.
- Puturidze Marina**, “On the Origins and Development of Gold Working in the Middle Bronze Age Trialeti Culture”. At the *Northern Frontier of the Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and Anatolia in the Bronze Age.* SUBARTU, XXXVIII (Turnhout: Brepols, 2017), 213-228.
- Rubinson Karen**, “Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of Economic Exchange in the Early Second Millennium BC”, in *Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond*, ed. Adam Smith et al. (Los Angeles:Cotsen Institute of Archaeology University of California, 2003),128-143.
- Rubinson Karen**, “Actual imports or just ideas? Investigations in Anatolia and the Caucasus”, *Cultures in Contact. From Mesopotamia to the Mediterranean in the II Millennium B.C.* Edited by J. Aruz, S. Graff and Y. Radik, (New York: The Metropolitan Muzeum of Art),2013, 12-25.
- Sagona Antonio, Zimansky Paul**, *Ancient Turkey*, London and New York:Routledge, 2009
- Джапаридзе Отар**, «Из истории археологического изучения Грузии», საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXVI-В (1982), 29-38.
- История Древнего Востока**, Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации. Часть вторая. Под. Ред. Г.М. Бонград-Левина. (Москва: «Наука»), 1988.
- Куфтин Борис**, Археологические раскопки в Тrialeti. Опыт Периодизации памятников, I. Тбилиси: Изд-во Академии Наук Грузинской ССР: 1941.
- Кушнарева Каринэ, Чубинишвили Тариэл**, Древние культуры Южного Кавказа (V-III). Ленинград: Издательство «Наука», Ленинградское отделение ,1970.
- Кушнарева Каринэ**, Кавказ в 9-2 тыс. до н.э. Этапы культурного и социально-экономического развития (Санкт-Петербург: изд-во «Петербургское Востоковедение»,1993.
- Кушнарева Каринэ**, «Памятники Тrialetской культуры на территории Южного Закавказья», в: Археология. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа, Ред.: К.Кушнарева, В. Марковин, 93-105. Москва: «Наука»,1994),1994.
- Кушнарева Каринэ, Рысин Михаил**, “Новые данные к проблеме датировки памятников «цветущей поры» Тrialetской культуры”, ძიებანი. დამატებანი VI. კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. (2001), 101-106.
- Путуридзе Марина**, «Традиции и инновации в Тrialetской культуре эпохи Средней Бронзы », *Кавказ в системе палеометаллических культур Евразии* (1991):208-223.
- Черных Евгений**, Горное дело и металлургия в Древней Болгарии. София: издательство «Болгария», 1979.

### **ტაბულის აღწერილობა:**


- I - 1. თრიალეთის კულტურის გავრცელების რუკა,
- 2. თრიალეთის კულტურასთან დაკავშირებული წინააზიის რეგიონები.

### **Illustrations:**

- I - 1. The map of distribution of the Trialeti culture,
- 2. Near Eastern regions culturally connected with the Trialeti culture.



1



2

## მტკვარ-არაქსის კულტურის კვლევის პრობლემები

ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის აღმოჩენისთანავე მრავალი კითხვა წამოიჭრა, რომელთა უმრავლესობაზე სრულყოფილი პასუხი დღემდე არ არსებობს: მეცნიერებს შორის არ არის ერთიანი აზრი ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების განვითარების ძირითადი საკითხების შესახებ; უცნობია ამ არქეოლოგიური კულტურის გენეზისი; კითხვებს ბადებს ქრონოლოგიის საკითხები; თავად ცნება „მტკვარ-არაქსის კულტურა“ საკამათოა. ამ დასახელების პარალელურად გაჩნდა ტერმინები: ადრეტრანსკავკასიური კულტურა, ქარაზის კულტურა, შენგავითური კულტურა და ჰირბეთ-კერაქის კერამიკა.

მტკვარ-არაქსის კულტურა სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ძეგლების საფუძველზე XX საუკუნის 30-40-იან წლებში გამოყო აკად. ბ. კუფტინმა. თრიალეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე 1936-38 წლებში მიკვლეული ე.წ. „ენეოლითური“ თიხის ჭურჭელი მან სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე ადრე აღმოჩენილ კერამიკულ კომპლექსებს დაუკავშირა და ამის საფუძველზე მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის ტერიტორიაზე ახალი კულტურის არსებობა ივარაუდა. ბ. კუფტინმა ახლად აღმოჩენილი კულტურა ძვ.წ. 3000-2200 წწ დაათარიღა და ორ ეტაპად დაყო: ენეოლითური და ადრე ბრინჯაოს ხანის<sup>1</sup>. მანამდე კი, 1910 წელს, საჩხერეში, ე. თაყაიშვილმა შეისწავლა ყორღანული სამაროვანი და ის მიაკუთვნა სპილენძის ხანას<sup>2</sup>. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ყორღანი მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნებოდა. მოგვიანებით, 1920 წელს, ე. ჰელინამ კიკეთის მახლობლად გათხარა სამარხი, რომლის ინვენტარიც საკმაოდ თავისებური იყო. უნდა აღინიშნოს, რომ კიკეთის ტიპის კერამიკა ჯერ კიდევ XIX ს მიწურულს იყო აღმოჩენილი კავკასიის სხვადასხვა რეგიონში (არმავირ-ბლური, მალაქლუ და სხვა) და ინახებოდა კავკასიის მუზეუმში (დღევანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი), თბილისში, თუმცა მათთვის სათანადო ყურადღება არავის მიუქცევია. შემდგომში მსგავსი კერამიკა აღმოჩნდა დიდუბეში, დაბლაგომში, ოჩამჩირეში და სამხრეთ კავკასიის სხვა ადგილებშიც: სომხეთში – ელარში, შრემ-ბლურში, შენგავითში; აზერბაიჯანში სტეპანაკერტში, კილიკ-დაღში. XX საუკუნის 30-იან წლებში ე. ბაიბურთიანმა შრემ-ბლურში აღმოჩენილი შავპრიალა („თითქოს ლაქით წასმული“: Байбуртян 1937: 211) კერამიკა დაუკავშირა ელარის ქვედა ფენაში, ფრანგანოცში და შენგავითში აღმოჩენილ კერამიკას და დაა-

1. Борис Куфтин, Археологические раскопки в Триалети. (Тбилиси: Издательство АН Грузинской ССР, 1941), 106-109; Борис Куфтин, «Урартский колумбарий у подошвы Арарата и куро-аракский энеолит». საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII-В (1944), 85-127; Борис Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкском районе. (Тбилиси: Издательство АН Груз ССР, 1948), 67-70; Борис Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. (Тбилиси: Издательство АН Груз ССР, 1949), 75-82.

2. Еквtime Такайшвили, «О Сачхерском кургане Шорапанского уезда». Известия Кавказского отделения Московского археологического общества, вып. III, (1913), Тбилиси, 167-172.

თარიღა „გაცილებით უფრო ძველი ეპოქით, ვიდრე ძვ.წ. XX-XVIII სს“<sup>3</sup>. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს დააკნინოს ბ. კუფტინის ღვაწლი არქეოლოგიაში და მტკვარ-არაქსის კულტურის გამოყოფა მიაწერონ ე. ბაიბურთიანს, ხოლო თავად კულტურას უწოდონ შენგავითური კულტურა. თუმცა, საზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთში ადრეული პერიოდის ძეგლების შესწავლისა და მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის ცენტრალურ და სამხრეთ რეგიონებში მოპოვებული და სამხრეთ კავკასიის მუზეუმებში დაცული მასალის შეჯერების საშუალებით მხოლოდ ბ. კუფტინმა შეძლო მძლავრი არქეოლოგიური კულტურის გამოყოფა<sup>4</sup>. ის არ მოერიდა რეპრესირებული ე. ბაიბურთიანის სახელის მოხსენიებას და მისი ნაშრომების მითითებას 1941 წელს გამოცემულ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში. ეს მაშინ როდესაც ე. ბაიბურთიანის სახელის ხსენებისაც კი ეშინოდა ყველას. მხოლოდ 1949 წელს ბ. პიოტროვსკი გაკვრით შეეხო ბაიბურთიანის დამსახურებას. ამდენად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ის, რომ კავკასიის სიძველეთა შორის ეს გამორჩეული არტეფაქტები, უძველესი ლითონების ეპოქას, ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა მიაკუთვნა 1910 წელს. ბ. კუფტინის უდიდესი დამსახურება კი ის არის, რომ მან ამ არტეფაქტების და იმ დროისათვის მწირი მონაცემების საფუძველზე სრულიად ახალი არქეოლოგიური კულტურა გამოყო, რომელსაც მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურა უწოდა. მან პირველმა მოგვცა ამ კულტურის დახასიათება და გამოყო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელემენტები.

მტკვარ-არაქსის კულტურის დათარიღების საკითხებს შემდეგშიც არაერთი მეცნიერი შეეხო. უკანასკნელ წლებში რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღების და ძეგლების სტრატეგრაფიის მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბება, განვითარება, აყვავება და ჩაქრობა ძვ.წ. 3500/3400-2500/2400 წწ. თავსდება<sup>5</sup>.

მნიშვნელოვანია რ. ბადალიანის მიერ შემოთავაზებული მტკვარ-არაქსის კულტურის ქრონოლოგია. მან სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკის და რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღების საფუძველზე, ამ კულტურაში ორ ეტაპი - ელარ-არაგაწის (ადრე ბრინჯაო I, 3350-2900 ძვ.წ.) და კარნუტ-შენგავითის (ადრე ბრინჯაო II, 2900-2500 ძვ.წ.) საფეხურები გამოყო<sup>6</sup>.

რ. ბადალიანის მიერ შემუშავებული ქრონოლოგია ნაწილობრივ გაიზიარა ჯ. პალუმბიმ. იმ განსხვავებით, რომ მან ადრე ბრინჯაო I-ს წაუშეშვარა გვიან ქალკოლითური და მტკვარ-არაქსული კულტურის თანაარებობის ეტაპი, რომელიც ძვ.წ. 3550-3350 წწ დაათარიღა. მისი აზრით, მტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციების გარკვეული ნიშნები შეიმჩნევა ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრის

3. Евгений Байбуртян, «По поводу древней керамики из Шреш-Блура». Советская археология, 1937, 3, 213.

4 . Борис Куфтин, «Урартский колумбарий у подошвы Арарата и куро-аракский энеолит». საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII-B (1944),85-127.

5. Giulio Palumbi and Christine Chatainger. “The Kura-Araxes culture from the Caucasus to Iran, Anatolia and the Levant: Between unity and diversity. A synthesis”. *Paleorient* 40.2(2014): 247-260; Giulio Palumbi. *The Early Bronze Age of the Southern Caucasus*. Oxford Handbooks Online DOI(2016): 10. 1093/oxford-hb/9780 1999 35413.013.14;9 Antonio Sagona. *The Archaeology of the Caucasus. From Earliest Settlement to the Iron Age*.(Cambridge University Press.2018),226.

6. Badalyan et all. “A preliminary report on the 2008, 2010, and 2011 investigations of Project ArAGATS on the Tsaghkahovit Plain, Republic of Armenia”. *Archaeologische Mitteilungen aus Iran und Turan*. Band 46.Dietrich Reimer Verlag. Berlin, 2014, 211-212



ისეთი ძეგლების კერამიკულ ნაწარმში, როგორებიცაა არენი, გოდედორი, არევიკი, ნაჭივჭაეები, ბერიკლდეები V<sup>7</sup>. გვინ ქალკოლითური არქიტექტურული ტრადიციები შესამჩნევია ადრე მტკვარ-არაქსულ წრიულ ერთოთახიანი სახლების გეგმარებაშიც (ბერიკლდეები IV, ხიზანანთგორა E, ნორაბაცი, მოხრა-ბლური, ნახჭევანის ქიულ-თიფე). ამ კავშირების ნიშნები წარმოჩნდა აგრეთვე ყორღანებში დაკრძალვის ტრადიციამაც, რომლებიც ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში დასტუდება (კავთისხევი, სოიულ ბულაღი). ჯ. პალუმბის აზრით, ჰიბრიდიზაციის ეს ელემენტები და გარკვეული კავშირები შესაძლოა ნიშნავს, რომ ზოგიერთი ქალკოლითური ერთობა, ან მისი ნაწილი წარმოადგენდა სოციოკულტურულ გარემოს, რომლის წიაღშიც წარმოიქმნა მტკვარ-არაქსული ტრადიციები<sup>8</sup>. მეცნიერთა ნაწილის აზრით, სწორედ ეს ქალკოლითური კულტურა ასრულებს სუბსტრატის როლს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაში<sup>9</sup>. საკუთრივ, ადრე ბრინჯაო I პერიოდს ჯ. პალუმბი ათარიღებს ძვ.წ. 3350 - 2950 წწ, ხოლო ადრე ბრინჯაო II – ძვ.წ. 2950 - 2550 წლებს მიაკუთვნა. ჯ. პალუმბის აზრით, ამ ეპოქას მოსდევს მტკვარ-არაქსის და ადრე ყორღანული კულტურის თანაარსებობის პერიოდი, რომელიც თავსდება ძვ.წ. 2550-2450 წწ.<sup>10</sup>

მტკვარ-არაქსის კულტურის ფენომენი პირველ რიგში მდგომარეობს მის ხანგრძლივობაში, უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებასა და თვისებების საოცარ ერთგვაროვნებაში. ეს კულტურა გამორჩეულია თავისი გავრცელების ძალზე ფართო არეალით და დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით. XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვეთა ამ კულტურის არეალი. ის გავრცელებულია კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან მოკიდებული, სამხრეთ-დასავლეთით ანატოლიაში, ელიაზიგ-მალათის რეგიონს მოიცავს და სირია-პალესტინაში ვრცელდება; სამხრეთით ვანის ტბამდე აღწევს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით - ურმიის ტბასა და ყაზვინის პლატოს მოიცავს. აღმოსავლეთით კი მილისა და ყარაბაღის სტეპებშია გავრცელებული (ტაბ. I).

მიუხედავად იმისა, რომ გავრცელების არეალით მტკვარ-არაქსის კულტურა ახლო აღმოსავლურ კულტურათა რიგს ეკუთვნის, ამ კულტურის პირველი ძეგლების აღმოჩენისთანავე, ბ. კუფტინმა შენიშნა, რომ მტკვარ-არაქსული კერამიკის ზოგიერთი ფორმა და კერამიკის დეკორი სრულიად განსხვავდება ახლოაღმოსავლური ნიმუშებისაგან. ბორის კუფტინი მიიჩნევდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტის დატანის ხერხები სრულიად უცნობია ახლოაღმოსავლური კულტურებისათვის. იგი წერს: “სამხრეთ კავკასიის მეთუნეებმა განავითარეს... ამოღარულ-რელიეფური დეკორატიული მოტივები, რაც ამ სახით სრულიად უცნობია ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე”<sup>11</sup>. ასევე, მთელი ახლოაღმოსავლური უძველესი ხელოვნებისათვის სრულიად უცხოა სპირალური მოტივი, გარდა არქაული ეგვიპტური კერამიკის ორნამენტაციისა<sup>12</sup>. ბ. კუფტინის აზრით, მტკვარ-არაქსუ-

7. Palumbi, "The Early Bronze Age", 10

8. Palumbi, "The Early Bronze Age", 10

9. მირცხულავა, გურამ; ჩიქოვანი, გურამ. „ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის შესახებ“. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19 (2010), 98

10. Palumbi, "The Early Bronze Age", 10 7

11. Борис Куфтин, «Урартский колумбарий у подошвы Арарата и куро-араксский энеолит». საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII-B (1944), 126.

12. Борис Куфтин, «Урартский колумбарий», 127.

ლი კერამიკის ზოგიერთი ტიპი მსგავსებას იჩენს დასავლეთანატოლიურ, ეგეოსურ და ცენტრალურევროპულ კერამიკასთან<sup>13</sup>. ის მიიჩნევა, რომ მტკვარ-არაქსული სამყურა ჭურჭელი ფორმალურად მსგავსია დასავლეთ ევროპის გვიანნეოლითური ამფორებისა. ამ ტიპის კერამიკის გაჩენას მტკვარ-არაქსის კულტურაში ის უკავშირებდა დუნაისპირეთის ნეოლითურ ხაზოვან-ლენტურ<sup>14</sup> (Linearbandkeramik, LBK) კერამიკას<sup>15</sup>. მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური სხვაობისა, მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ნეოლითური კულტურების და მტკვარ-არაქსის კულტურის ორნამენტს შორის. მაგალითად, სპირალური მოტივი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურისათვისაა დამახასიათებელი, ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ ევროპის თითქმის ყველა ნეოლითური და ქალკოლითური (ტაბ. III-6,8-10) კულტურის ძეგლებზე<sup>16</sup>.

შაჰპრიალა და წითელი კერამიკა (ტაბ. III-4,5), რომელიც ასევე მტკვარ-არაქსის კულტურისათვისაა დამახასიათებელი, გავრცელებულია ვინჩას კულტურის<sup>17</sup> ადრეულ საფეხურზე<sup>18</sup>. ბალკანეთის და დასავლეთ ევროპის ნეოლითური კულტურებისათვის დამახასიათებელია ზომორფული კერამიკა<sup>19</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ, არადეთის ორგორაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსისათვის უჩვეულო ზომორფული<sup>20</sup> ღვინის ჭურჭელი (ტაბ. III-2,3) მსგავსია ევროპის ნეოლითური კულტურების კერამიკისა. ხოლო ზომორფულსახელურიანი კერამიკული ხუფი (ტაბ. IV-2) მესხეთიდან<sup>21</sup> საოცარ მსგავსებას იჩენს ასევე დასავლეთ ევროპის Linearbandkeramik-ის და ბალკანეთის ნეოლითური კულტურების (ტაბ. IV-1) ზომორფულ

13. Борис Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Тбилиси: Издательство АН Грузинской ССР, 1941,111; Борис Куфтин. «Урартский колумбарий» 38.

14. დღესდღეობით ცნობილია როგორც ხაზოვან-ლენტური კულტურა (გერმ. *Linienbandkeramische Kultur*, ing. Linear Pottery culture - LBK) – ცენტრალური ევროპის ნეოლითური ხანის კულტურა. გავრცელებული იყო გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ავსტრიაში. თარიღდება 5500-4500 ძვ.წ. (Kris Hirst, Linearbandkeramik Culture – European Farming Innovators. 2014 <https://www.thoughtco.com/linearbandkeramik-culture-farming-innovators-171552>)

15. Борис Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкском районе. Тбилиси: Издательство АН Груз ССР. 1948,38

16. უნდა აღინიშნოს, რომ მ. გიმბუტასის აზრით, ვინჩას კულტურა სათავეს იღებს სტარჩევოს კულტურაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ხაზოვან-ლენტურ კერამიკას. ვინჩას და ხაზოვან-ლენტური კულტურის სიმბოლოა კი საფუძველი ჩაუყარა ლიანის კულტურას, ხოლო ხაზოვან-ლენტური კერამიკის მატარებელმა ხალხმა მოლდოვაში სათავე დაუდო კუკუტინის კულტურას (Мария Гимбутас. Цивилизация Великой Богини: Мир Древней Европы. (Москва: РОССПЭН, 2006),38, 80, 93, 97, 117).

17. ვინჩას კულტურა (Vinča culture) – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნეოლითური ხანის არქეოლოგიური კულტურაა, მოიცავს სერბეთს და ბულგარეთის, მაკედონიის და რუმინეთის. ნაწილს. თარიღდება 5700-4500 ძვ.წ., ან 5300-4700/4500 ძვ.წ.

18. Jakucs at all. “Between the Vinča and Linearbandkeramik Worlds: The Diversity of Practices and Identities in the 54<sup>th</sup>-53<sup>rd</sup> Centuries cal. BC in Southwest Hungary and Beyond”. Journal of Worls Prehistory, Vol. 29, #3 (September 2016): sur. 10.

19. Мария Гимбутас, Цивилизация Великой Богини, 77, 121, 248, 285, 345, 358, 410 (VI-V ათასწლეულების ვინჩას ნამოსახლარზე 2 ათასამდე ზოო და ორნიტომორფული ჭურჭელია აღმოჩენილი Мария Гимбутас. Цивилизация Великой Богини,358). Valeska Becker. “Rinder, Schweine, Mischwesen. Zoomorphe Funde der Westlichen Linearbandkeramik. in: Zwischen Mosel und Morava” Neue grabungen und Forschungen zur Vor- und Fruhggeschichte Mitteleuropas (Herausg. von Ralf Glesr). Dr. Rudolf Habelt Verlag GmbH. Bonn 2007, 28, ტაბ. 25. 35, სურ. 11, ტაბ. 5.

20. Iulon Gagoshidze and Elena Rova, “Two Seasons of Georgian-Italian Excavations at Aradeti orgora (Georgia)”. Rivista di Archeologia, 39 (2015), 5-28.

21. კახიანი და სვ. „ჭობარეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე და სამაროვანზე 2009 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება“. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20 (2011), ტაბ. IV-2.

აპლიკაციებთან<sup>22</sup>. მსგავსი აპლიკაციები მრავლად არის ნაპოვნი ვინჩას ნამოსახლარზე<sup>23</sup>. ზოონთროპომორფული ქანდაკება შენგავითიდან<sup>24</sup>, კი, Linearbandkeramik კულტურისათვის დამახასიათებელ ქანდაკებებს ემსგავსება<sup>25</sup>. სამფეხა სამსხვერპლო “მაგიდა” გელაროტიდან<sup>26</sup> მსგავსია ვინჩას კულტურის “მაგიდების (ტაბ. IV-6).”<sup>27</sup> ხოლო ორვოლუტიანი საკინძი ვარნას ნეკროპოლის №167 სამარხიდან (ტაბ. III-7), რომელიც ძვ.წ. 4400-4200 წწ. თარიღდება<sup>28</sup> საოცრად ემსგავსება მტკვარ-არაქსულ საკინძებს. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი ზოგიერთი არტეფაქტი ძალზე იშვიათია ამ კულტურისათვის, თუმცა დამახასიათებელია ევროპის ნეოლითური კულტურებისათვის, რაც ასევე გარკვეულ კითხვებს ბადებს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე დატანილი ნიშნები (ტაბ. IV-3) ყველაზე ახლო პარალელებს პოულობენ სწორედ ვინჩას კულტურის ნიშნებთან (ტაბ. IV-4). ცნობილი მეცნიერი მ. გიმბუტასი თვლიდა, რომ ვინჩას კერამიკულ ნაწარმზე დატანილი ნიშნები უძველესი ინდოევროპული დამწერლობაა, რომელიც შუმერულ და მინოსურ დამწერლობამდე დიდი ხნით ადრე შეიქმნა. მ. გიმბუტასის აზრით, ეს დამწერლობითი სისტემა ძვ.წ. VI ათასწლეულში წარმოიშვა და 4000 წლისათვის გაქრა. მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ვინჩას სიმბოლოებს რიტუალურ-საკულტო მნიშვნელობისად მიიჩნევს<sup>29</sup>.

ცნობილი პოლონელი არქეოლოგი იან მახნიკი თვლიდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის კერამიკა საოცრად მსგავსებას იჩენს კარპატების და მიმდებარე ტერიტორიების გვიან ნეოლითურ-ადრებრინჯაოს ხანის კულტურებთან. იან მახნიკი აგრეთვე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული პერიოდის კერამიკასთან მსგავსებას იჩენს სამხრეთ ესპანეთში ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს გავრცელებული ელ-არგარის<sup>30</sup> კულტურა<sup>31</sup>. ელ

22. Valeska Becker, “Rinder, Schweine, Mischwesen”, 28, tab. 25.

23. Eszter Banffy, “Notes on the Connection between Human and Zoomorphic Representations in the Neolithic.” *The Archeology of Cult and Religion* (Ed. by P.F. Biehl and F. Bertemes with H. Meller. Budapest: 2001), 55, 58, სურ. 14, 24.

24. Hakob Simonyan, “The Statuettes of the Shengavit culture”. *Yearbook of Academy of fine arts*, #4 (2016), Yerevan, სურ. 13.

25. Eszter Banffy, “Notes on the Connection”, 67, სურ. 28; Valeska Becker. “Rinder, Schweine, Mischwesen. სურ. 5.

26. Badalyan et all. “A preliminary report on the 2008, 2020, nd 2011 investigations of Project ArAGATS on the Tsaghkahovit Plain, Republic of Armenia”. *Archaeologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 46*. Dietrich Reimer Verlag. Berlin, 2014, 160, სურ. 10-2.

27. Marija Gimbutas, *The Living Goddesses*. (University of California Press. Berkley, Los Angeles, London. 2001), სურ. 60.

28 Vladimir Slavchev, “The Varna Neolithic Cemetery in the Context of the Late Copper Age in the East Balkans” *The Lost World of Old Europe. The danube Valley, 5000-3500BC* (Edited by David W. Antony, with Jennifer Y. Chl). Princeton University Press. Princeton and Oxford. 2010, 202, sur. g-15.

29. Мария Гимбутас, *Цивилизация Великой Богини*. 337-352.

30. Jan Machnik, „Bemerkungen zu den Kulturbeziehungen in Mitteleuropa am Anfang der Bronzezeit“. *Preistoria Alpina. Vol. 10* (1974), Trento, 191-207.

31. ელ არგარის კულტურა გავრცელებულია ძირითადად ალპურიის, გრანადის და ალიკანტეს პროვინციებში. ნამოსახლარები მაღლობებზე, ან მთების ფერდობებზეა განლაგებული. ამ დასახლებებს გამოკვეთილად თავდაცვითი ხასიათი ჰქონდათ. რასაც ადგილმდებარეობის გარდა ადასტურებს ქვის გალავნების ნაშთები. ელ არგარის კულტურის მატარებელი მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას სამთო საქმე და ლითონდამუშავება წარმოადგენდა. ამას ადასტურებს არა მხოლოდ დასახლებების ლოკალიზაცია სპილენძითა და ვერცხლით მდიდარ ადგილებში, არამედ ნამოსახლარებში ნედლეულის ტრანსპორტირების კვალი. 3. შუბარტის და ი. მახნიკის აზრით, მეტალურგია და ლითონის ნაკეთობებით ვაჭრობა იყო ელ არგარის კულტურის აყვავების საწინდარი (Hermanfried Schubart, “Mediterrane Beziehungen der El Argar-Kulture”. *Madridrer Mitteilungen*

არგარის კულტურის კავშირებს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან, კერძოდ კი ეგეოსურ-ანატოლიურ სამყაროსთან, ხედავდა გერმანელი არქეოლოგი ჰ. შუბარტი<sup>32</sup>. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურულ სამყაროს ბ. კუფტინი მიაკუთვნებდა მტკვარ-არაქსის კულტურას. მსგავსებას ის ხედავდა წრიულ არქიტექტურაში, სპირალურ ორნამენტსა და ე.წ. რქიან საკურთხევლებში<sup>33</sup>. ეს თვალსაზრისი გაიზიარეს სხვა მეცნიერებმაც. თუმცა ისინი საკუთრივ მტკვარ-არაქსის კულტურას კი არ ახსენებდნენ, არამედ „დამპყრობლებს“, ან „მიგრანტებს“ ანატოლიიდან, რომელთა მიერ ანტოლიიდან ეგეოსის კუნძულებზე ჩატანილ სიახლეებს შორის იყო აგრეთვე მუქი ფერის ნაპრიალები კერამიკა რელიეფური და ამოღარული ორნამენტით<sup>34</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურასა და ეგეოსის აუზის ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გარკვეული კონტაქტები, პირდაპირი, თუ არაპირდაპირი, შეინიშნება ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან. მტკვარ-არაქსის კულტურა სამხრეთით საკმაოდ შორს ვრცელდება. სამხრეთ კავკასიური შავპრიალა კერამიკა გავრცელებულია ამუქის ველზე და სირია-პალესტინაში, სადაც ხირბეთ-კერაქის კერამიკის სახელითაა ცნობილი. მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს ხირბეთ-კერაქის კერამიკის გავლენას კვიპროსის ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე<sup>35</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი ინოვაცია, როგორც პალესტინაში, ასევე ეგეოსის აუზის კუნძულებზე, როგორცაა შავ და წითელპრიალა კერამიკის წარმოება, წრიული გეგმარების პროლუქტის საწყობები, ანთროპო და ზომორფული სადგრები, ე.წ. რქიანი საკურთხევლები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტიპური სამხრეთ კავკასიური/ხირბეთ-კერაქული კერამიკული ფორმები და ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ამოღარული ორნამენტი არ გავრცელდა ეგეოსის კუნძულებზე<sup>36</sup>. შესაძლოა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კილიკიის (მერსინი, ტარსუსი), ან ლევანტის სანაპიროდან (უგართი) გადავიდა კვიპროსზე სპილენძის მადნის ძიებაში, თუმცა ეს კონტაქტი, ო. ნებბის აზრით, წარმოადგენდა “მარგინალურ ეპიზოდს, რომელსაც არ დაურღვევია ლევანტის ადრე ბრინჯაო II - ადრე ბრინჯაო III-ის ურბანული ცხოვრება და არანაირი კვალი არ დატოვა ხირბეთ-კერაქის კერამიკის გაქრობის (ძვ.წ. 2400 წ) შემდგომ დროინდელ თაობაზე. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია

14 (1973), 41-59; Jan Machnik, „Bemerkungen zu den Kulturbeziehungen in Mitteleuropa am Anfang der Bronzezeit“. *Preistoria Alpina*. Vol. 10 (1974), Trento, 191-207).

32. Hermanfried Schubart, “Mediterrane Beziehungen der El Argar-Kulture”. *Madrider Mitteilungen* 14 (1973), 41-59.

33. Борис Куфтин, Археологические раскопки 1947 года, 44

34. Theodore Burton-Brown, *Excavations in Azerbaijan, 1948*. (London : John Murray, 1951), 38-40; Гордон Чайлд. У истоков европейской цивилизации. (Москва: Издательство иностранной литературы, 1952), 66-101.

35. Porphyrios Dikaios and James R. Stewart, *The Swedish-Cyprus Expedition: The Stone age and early Bronze Age*. Vol. IV, part I, Lund. 1962, 200; James Mellaart, *The Chalcolithic and Early Bronze Age in the Near east and Anatolia*. (Beirut; Khayats, 1966), 76; Ruth Amiran, *Ancient Pottery in the Holy Land: From its beginnings in the Neolithic period to the end of the Iron Age*. (Rutger University Press. 1970), 69; Ora Negbi, “Beth Yarah and Philia Ware: Two Case Studies of Anatolian Connections with the Levant and Cyprus in the Third Millennium BCE”. *Eretz-Israel: Archaeological, Historical and Geographical Studies*, 2003: 161; Rose Washbourne, *Out of the Mouths and Pots*, 250-254

36. Rose Washbourne, *Out of the Mouths and Pots*, 254



კვიპროსის გვიან ენეოლითურ პერიოდზე და საფუძველი ჩაუყარა ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისს<sup>37</sup>.

XX საუკუნის მეორე ნახევარში და XXI საუკუნის დასაწყისში წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ სამხრეთ კაკასიაში და ეგეოსურ კუნძულებზე კიდევ უფრო გაამყარა ჰიპოთეზა კავშირურთიერთობის შესახებ ამ ორ რეგიონს შორის. XX საუკუნის 90-იან წლებში კვიპროსზე, ნამოსახლარ მარკი-ალონიაზე (ძვ.წ. III ათასწლ. მეორე ნახ.) ავსტრალიური არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი დ. ფრენკელი) მიერ ჩატარებული გათხრების დროს ნაპოვნი იყო ანთროპომორფული კერის სადგარი<sup>38</sup>, რომელიც დამზადებულია წითლად გაპრიალებული თიხისაგან და შემკულია ნაკაწრი გეომეტრიული ორნამენტით<sup>39</sup>. ის დიდ მსგავსებას იჩენს მტკვარ-არაქსულ ე.წ. ნალისებურ სადგრებთან. 1967-2005 წლებში აკროტირიში, კუნძულ სანტორინზე (თერა) არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ს. მარინატოსი. ნამოსახლარი არსებობდა ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნიდან - ძვ.წ 1628, ან 1520 წლამდე, ძლიერ ვულკანურ ამოფრქვევამდე. წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა თიხის ზომომორფული სადგარი<sup>40</sup>, რომელიც დიდ მსგავსებას იჩენს ზომომორფულ სადგრებთან შენგავითიდან<sup>41</sup> და კარნუტიდან<sup>42</sup>.

ჯ. უების და დ. ფრენკელის აზრით, კოლონისტები, როგორც წესი ცდილობენ ცხოვრების მოწყობას თავიანთი ჩვეულებებისამებრ და სამშობლოდან გამოყოფილი ცხოვრების წესის შენარჩუნებას<sup>43</sup>. მარკი-ალონიაში აღმოჩენილი კერის გადასატანი ანთროპომორფული სადგარი არ ჰგავს სხვა ნამოსახლარებზე დადასტურებულ კერებს და ის ჯერ-ჯერობით ერთადერთია ადრე კვიპროსულ I პერიოდში<sup>44</sup>.

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარება და მისი ფართოდ განფენა ლითონის მოპოვებასა და მის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსელთა ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა, რასაც მოწმობს მრავალფენიანი ნამოსახლარები შიდა ქართლში (ქვაცხელები, ხიზანანთ გორა), თრიალეთში (ბეშთაშენი), აზერბაიჯანში (ნახჭევანის ქიულ-თეფე), დაღესტანში (ველიკენტი), არსებობდა გარკვეული ჯგუფები (თემები), რომლებიც საბადოების ძიების გამო გადაადგილდებოდნენ, რადგან მათი ძირითადი საქმიანობა მადნის მოპოვება იყო.

37. Ora Negbi, "Beth Yarah and Philia Ware", 161.

38. David Frankel and Jennifer M. Webb, "Marki-Alonia: A prehistoric Bronze Age settlement in Cyprus". *Antiquity*, 74, issue 286 (2000), 763, სურ. 3

39. Rose Washbourne, *Out of the Mouths and Pots*. A thesis submitted in Fulfilment of the requirement for the Degree of Doctor of Philosophy in Classics in the University of Canterbury. University of Canterbury. 1998, 140-141, სურ. 61

40. Katerina Trantalidu, "Archaeozoological research at the Akrotiri excavation. The animal world in everyday life and ideology". *ΑΛΣ 6*. Periodical Publication of the Society for the Promotion Study on Prehistoric Thera (Ed. Ch. G. Doumas), Athen, 2008: 49, სურ. 29- c

41. Hakob Simonyan, "The Statuettes of the Shengavit culture". *Yearbook of Academy of fine arts*, #4 (2016), Yerevan, სურ. 11.

42. Рубен Бадалян, «Зооморфные надочажные подставки эпохи ранней бронзы из Карнута». *Вестник Обществанных Наук АН Арм. ССР*, 8 (1985), 92-97.

43. Jennifer M. Webb, and David Frankel, "Hearth and home", 30.

44. Jennifer M. Webb, and David Frankel, "Hearth and home as identifiers of community in mid-third millennium Cyprus" On cooking pots, drinking cups, loomweights and ethnicity in Bronze Age Cyprus and Neighbouring region. An International Archaeological Symposium held in Nicosia, November 6th-7th 2010(2011) (Ed. by Vassos Karageorghis and Ourania Kouka): 31.



ძვ.წ. IV ათასწლეულიდან სამხრეთ კავკასიაში მეტალურგია უკვე ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგად არის ჩამოყალიბებული. ხელოსანთა ნაწილი ლითონის დამუშავებით არის დასაქმებული, ნაწილი კი - მადნის მოპოვებით. სპილენძის საბადოების სიახლოვეს მდებარე ძეგლებზე (ბრდაძორი, ალავერდი, ლენინაკანი, სიმონიანთხევი, დმანისი) მრავლადაა აღმოჩენილი კომბინირებული იარაღი - ცულ-წერაქვა, რომელიც შესაძლოა მადნის მოსაპოვებლად იხმარებოდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების ტოპოგრაფიას რომ გადავავლოთ თვალი, ადვილი შესამჩნევია მათი კონცენტრაცია სპილენძით მდიდარ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სომხეთის ზეგანი, ერგანი-მადენი). იშვიათია მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლი, სადაც ლითონი და ლითონის წარმოება დამოწმებული არ იყოს. ნამოსახლარებზე მრავლადაა აღმოჩენილი მეტალურგიასთან დაკავშირებული ნივთები: ყალიბები (ხიზანანთ გორა, ამირანის გორა, გარნი, ბაბა-დერევიში II, ქიულ-თეფე, გეოი-თეფე), ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული ტიველები (ხიზანანთ გორა, გარნი, ბაბა-დერევიში II), ლითონის დამუშავების პროცესში დარჩენილი შლაკი (ხიზანანთ გორა, გარნი).

სამხრეთ ევროპაში სპეციალისტ-მეტალურგების არსებობა ივარაუდება ძვ.წ. V ათასწლეულიდან. სწორედ ამ პერიოდიდან მეტალურგია გავიდა ხარისხობრივად ახალ დონეზე, რადგან ლითონის მომხიბვლელობა მდგომარეობდა სწორედ მის გადადნობაში, მის გარდაქმნის უნარში, გარდასახვაში. ქვის ცული თუ გატყდებოდა, ახლის დასამზადებლად მასალა იყო მოსაძებნი, ლითონის გატყეხილი ნივთის კი გადადნობა შეიძლებოდა, რითაც ის ახალ სიცოცხლეს და შესაძლოა, ახალ დანიშნულებასაც იძენდა<sup>45</sup>.

ტექნიკური ინოვაციების გავრცელება ტრადიციულად დაკავშირებულია ხელოსნების მობილურობასთან. საბადოები იყო სპეციალისტი-ხელოსნების ტრადიციული შეხვედრის ადგილები, სადაც ხდებოდა ცოდნის გაზიარება. ლითონის დამუშავება და ჩამოსხმა მოდელების მიხედვით – ეს არის საკმაოდ რთული ტექნოლოგია, რომელიც დაკავშირებულია ნედლეულის (სპილენძი, კალა, ნიკელი, დარიშხანი) არჩევასა და მის დამუშავებასთან. აქ მნიშვნელოვან როლს გამოცდილება და სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენება ასრულებს. მეტალურგიის განვითარება ხდებოდა მუდმივი ექსპერიმენტის გზით. გამოცდილებით მიღებული ცოდნა კი გადაიცემოდა ხელოსანთა ჯგუფების მეშვეობით. ტექნიკური ცოდნის გადაცემა, სავარაუდოდ, ხდებოდა ტრადიციულად – პირადი კომუნიკაციების მეშვეობით<sup>46</sup>. არ არის გამორიცხული, რომ არსებობდა მელითონეების ჯგუფები, რომლებიც ინოვაციების პოტენციური მატარებლები იყვნენ. ეს ჯგუფები მადნის მოპოვებისას გადაადგილდებოდნენ და თან მიჰქონდათ თავისი რწმენა-წარმოდგენები, საკრალური არტეფაქტები, სიწმინდეები. მათი გავლენის სფეროში ავტოქტონური მოსახლეობა გარკვეულწილად ექცეოდა. სავარაუდოდ, რეგიონისთვის არააღმასახსიათებელი ცალკეული საკრალური მნიშვნელობის ნივთების გაჩენა სწორედ მომთაბარე მეტალურგების არსებობით შეიძლება აიხსნას.

45. Свенд Хансен, «Металл: Инновация, изменившая мир». Фундаментальные проблемы археологии, антропологии и этнографии Евразии. К 70-летию академика А.П. Деревянко (отв. ред. В.И. Молодин, М.В. Шуньков). (Новосибирск. Издательство Института археологии и этнографии СО РАН, 2013), 370-372.

46. Svend Hansen, "Innovationen und Wissenstransfer in der frühen Metallurgie der westlichen Eurasiens". Interactions, Changes and Meanings. Essays in honour of Igor Manzura on the occasion of his 60th birthday (Edited by Stanislav Terna and Blagoje Govedarica) Kishinev, 2016, 115-116.

მეტალურგიის გაჩენამ შეცვალა სამყარო. მეტალურგიის განვითარებას მოჰყვა ახალი სამუშაო და საბრძოლო იარაღების გაჩენა, რასაც თან სდევდა ახალი ტექნოლოგიების წარმოქმნა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო რთული სოციალური საზოგადოებების და იერარქიული სტრუქტურების წარმოქმნას<sup>47</sup> და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ახალი მსოფლმხედველობის, ახალი რელიგიის გაჩენას.

---

47. Свенд Хансен, «Металл», 376-377.

## **Problems of Study of the Kura-Araxes Culture**

### **Summary**

Discovery of the Kura-Araxes culture raised many questions and most of them have no complete answers. There is no common opinion between the scientists about social structure and economic development of the society of this culture. Genesis of this culture is unknown. Chronological issues raise more questions, even the term “Kura-Araxes Culture” is a subject to discuss.

Basing on the sites discovered in South Caucasus in the 30-40's of the 20th century, academician B. Kuftin singled out the Kura-Araxes culture. He connected the so called “Eneolithic” clay pottery, which was discovered on the Trialeti archaeological sites, to the earlier discovered ceramic complexes and, basing on this, he supposed the existence of a new culture in the region between the rivers Kura and Araxes. B. Kuftin was the first who singled out this strong archaeological culture. This distinguished artifacts of the Caucasus region, were attributed to the ancient metal period by E. Takaishvili in 1910. The great achievement of B. Kuftin is that, basing on these artifacts and poor data of that period he singled out completely new archaeological culture and named it Eneolithic culture of Kura-Araxes. He was the first, who described this culture and singled out its characteristic elements. B. Kuftin dated the new culture from the 3000-2200 BC and divided it into two periods: The Eneolithic and the Early Bronze ages.

According to the dates received using radio-carbon method and stratigraphy of the sites, the establishment, rise development and decline of the Kura-Araxes culture took place in the time period between 3500/3400-2500/2400 BC.

The Kura-Araxes culture was spread from the northern slopes of the Caucasus Mountains to south-west in Anatolia, cover the Eliazig-Malatya region and reaches Syria-Palestine, to south it reaches Lake Van, and to south-east covers Lake Urmia and Kazvin plateau. To the east it was spread in Mil and Karabagh steppes. In Syria-Palestine it is known as Khirbet-Kerak ware.

Kura-Araxes culture belongs to the Mediterranean cultural world. B. Kuftin, who first discovered the Kura-Araxes culture, saw some similarities in round architecture, spiral ornament and, so called, horned altars.

Some similarities are also observed between the ceramics, ornament (spiral motives) and single ritual artifacts (zoomorphic application, zoo-anthropomorphic ceramics etc.) of the central and south European cultures and those of the Kura-Araxes culture. Though, these cultures are located far from each other and there is a chronological difference between them as well.

Development and wide spread of the Kura-Araxes culture was connected to mining and metalworking. It is not impossible that there used to be groups of metallurgists, who were potential innovators. These groups used to move from place to place while mining and bring their beliefs, sacral artifacts and holy objects. It seems, that the local population fall under the influence of the migrants. Presumably, appearance of some sacral artifacts, which are uncommon for the region, could be explained by presence of the nomad metallurgists. Some artifacts discovered on the sites of Kura-Araxes culture are very uncommon for this culture, so this fact raises some questions as well.

## ბიბლიოგრაფია:

- კახიანი, კახა; საღრაძე, ვაჟა; ორჯონიკიძე, ალექსანდრე; ჯიბლაძე, ლერი; ძნელაძე, მე-  
რამ; ლლიღვაშვილი, ელგუჯა. „ჭობარეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარ-  
ზე და სამაროვანზე 2009 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება“.   
ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20 (2011), 33-46.
- მირცხულავა, გურამ; ჩიქოვანი, გურამ. „ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის  
შესახებ“. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19 (2010), 95-104
- Amiran, Ruth.** *Ancient Pottery in the Holy Land: From its beginnings in the Neolithic period to  
the end of the Iron Age.* Rutgers University Press. 1970.
- Badalyan, Ruben; Smith, Adam T.; Lindsay, Ian; Harutyunyan, Armine; Green, Alan;  
Marshall, Maureen; Monahan, Belinda; Hovsepian, Roman.** “A preliminary report on  
the 2008, 2020, and 2011 investigations of Project ArAGATS on the Tsaghkahovit Plain,  
Republic of Armenia”. *Archaeologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 46.* Dietrich  
Reimer Verlag, Berlin, 2014, 149-222.
- Banffy, Eszter.** “Notes on the Connection between Human and Zoomorphic Representations in  
the Neolithic.” *The Archeology of Cult and Religion* ( Ed. by P.F. Biehl and F. Bertemes  
with H. Meller. Budapest: 2001), 53-72.
- Becker, Valeska.** “Rinder, Schweine, Mischwesen. Zoomorphe Funde der Westlichen Linear-  
bandkeramik. in: Zwischen Mosel und Morava” *Neue grabungen und Forschungen zur  
Vor- und Fruhgeschichte Mitteleuropas* (Herausg. von Ralf Gleser). Dr. Rudolf Habelt Verlag  
GMBH. Bonn 2007: 9-95.
- Burton-Brown, Theodore.** *Excavations in Azerbaijan, 1948.* London : John Murray, 1951.  
1948: 38-40;
- Dikaios, Porphyrios and James R. Stewart.** *The Swedish-Cyprus Expedition: The Stone age  
and early Bronze Age.* Vol. IV, part I, Lund. 1962.
- Gagoshidze, Iulon and Elena Rova.** “Two Seasons of Georgian-Italian Excavations at Aradeti  
orgora (Georgia)”. *Rivista di Archeologia*, 39 (2015), 5-28.
- Gimbutas, Marija.** *The Living Goddesses.* University of California Press. Berkley, Los Angeles,  
London. 2001.
- Jakucs, Janos; Banffy, Eszter; Oross, Krisztian; Voicsek, Vanda; Bronk Ramsey, Christo-  
pher; Dunbar, Elaine; Kromer, Bernd; Bayliss, Alex; Hofmann, Daniela; Marshall,  
Peter and Alasdair Whittle.** “Between the Vinča and *Linienbandkeramik* Worlds: The Di-  
versity of Practices and Identities in the 54<sup>th</sup>-53<sup>rd</sup> Centuries cal. BC in Southwest Hungary  
and Beyond”. *Journal of World Prehistory*, Vol. 29, #3 (September 2016), 267-336.
- Frankel, David and Jennifer M. Webb.** “Marki-Alonia: A prehistoric Bronze Age settlement  
in Cyprus”. *Antiquity*, 74, issue 286 (2000), 763-764
- Hansen, Svend.** “Innovationen und Wissenstransfer in der fruhen Metallurgie der westlichen  
Eurasien”. *Interactions, Changes and Meanings. Essays in honour of Igor Manzura on the  
occasion of his 60th birthday* (Edited by Stanislav Terna and Blagoje Govedarica) Kishinev,  
2016, 107-120.
- Hirst, Kris.** *Linearbandkeramik Culture – European Farming Innovators.* 2014  
<https://www.thoughtco.com/linearbandkeramik-culture-farming-innovators-171552>
- Koşay H.Z.** *Keban Project. Pulur excavations 1968-1970.* Ankara. 1976.
- Lazarovici, Cornelia-Magda.** „Cucuteni Ceramics: Tecnology, Typology, Evolution, and Aestet-

- ics“. *The Lost World of Old Europe. The danube Valley, 5000-3500BC* (Edited by David W. Antony, with Jennifer Y. Chl). Princeton University Press. Princeton and Oxford. 2010, 128-161.
- Lull, Vicente; Mico, Rafael; Herrada Cristina Rihuete and Roberto Risch.** „El Argar and the Beginning of Class Society in the western Mediterranean“. *Archäologie in Eurasien* 24, 2011,381-413.
- Machnik, Jan.** „Bemerkungen zu den Kulturbeziehungen in Mitteleuropa am Anfang der Bronzezeit“. *Preistoria Alpina*. Vol. 10 (1974), Trento, 191-207.
- Marić, Miroslav.** “The Vinča Culture. Climate and Environment in the Danube Region in the 6th and 5th Millennium BC”. *Resources of Danubian Region.: the Possibility of Cooperation and Utilization* (Eds. Luka C. Popović, Melita Vidaković, Djorja S. Kostić). Belgrad. Humboldt-Club Serbien. 2013, 205-232.
- Mellaart, James.** *The Chalcolithic and Early Bronze Age in the Near east and Anatolia*. Beirut; Khayats,1966.
- Negbi, Ora** “Beth Yarah and Philia Ware: Two Case Studies of Anatolian Connections with the Levant and Cyprus in the Third Millennium BCE”. *Eretz-Israel: Archaeological, Historical and Geographical Studies*, 2003: 161-168.
- Palumbi, Giulio.** *The Early Bronze Age of the Southern Caucasus*. Oxford Handbooks Online DOI(2016): 10. 1093/oxfordhb/9780 1999 35413.013.14.
- Palumbi, Giulio and Chatainger Christine.** “The Kura-Araxes culture from the Caucasus to Iran, Anatolia and the Levant: Between unity and diversity. A synthesis”. *Paleorient* 40.2(2014): 247-260
- Pernicka, Ernest and David W. Antony.** “The Invention of Copper Metallurgy and the Copper Age of Old Europe”. *The Lost World of Old Europe. The danube Valley, 5000-3500BC* (Edited by David W. Antony, with Jennifer Y. Chl). Princeton University Press. Princeton and Oxford. 2010, 162-177.
- Sagona, Antonio.** *The Archaeology of the Caucasus. From Earliest Settlement to the Iron Age*. Cambridge University Press.2018.
- Schubart, Hermanfried.** “Mediterrane Beziehungen der El Argar-Kulture”. *Madrider Mitteilungen* 14 (1973), 41-59.
- Simonyan, Hakob.** “The Statuettes of the Shengavit culture”. *Yearbook of Academy of fine arts*, #4 (2016), Yerevan: 70-80.
- Slavchev, Vladimir.** “The Varna Eneolithic Cemetery in the Context of the Late Copper Age in the East Balkans” *The Lost World of Old Europe. The danube Valley, 5000-3500BC* (Edited by David W. Antony, with Jennifer Y. Chl). Princeton University Press. Princeton and Oxford. 2010, 192-211.
- Trantalidu, Katerina.** “Archaeozoological research at the Akrotiri excavation. The animal world in everyday life and ideology”. *AAΣ 6*. Periodical Publication of the Society for the Promotion Study on Prehistoric Thera (Ed. Ch. G. Doulas), Athen, 2008: 26-69.
- Turcanu, Senica.** „The Birds in the Imaginarium of Cucuteni-Trypolia World. New Plastic Representations“. *Materiality and Identity in Pre-and Protohistoric Europe. Homage to Cornelia-Magda Lazarovici* (Editors Senica Turcanu, Constantine-Emil Ursu). The Bucovina Museum, Suceava. Karl A. Romstorfer Publishing House. Suceava, 2018, 297-344.
- Washbourn, Rose .** *Out of the Mouths and Pots*. A thesis submitted in Fulfilment of the requirement for the Degree of Doctor of Philosophy in Classics in the University of Canterbury. University of Canterbury. 1998.



- Webb, Jennifer M. and David Frankel 2011:** “Hearth and home as identifiers of community in mid-third millennium Cyprus” On cooking pots, drinking cups, loomweights and ethnicity in Bronze Age Cyprus and Neighbouring region. An International Archaeological Symposium held in Nicosia, November 6th-7th 2010(2011)(Ed. by Vassos Karageorghis and Ourania Kouka): 29-42.
- Бадалян, Рубен.** «Зооморфные надочажные подставки эпохи ранней бронзы из Карнута». Вестник общественных наук АН Арм. ССР, 8 (1985), 92-97.
- Байбуртян, Евгений.** «По поводу древней керамики из Шреш-Блура». Советская археология, 1937, 3, 209-213.
- Гимбутас, Мария.** Цивилизация Великой Богини: мир Древней Европы. Москва: РОССПЭН, 2006.
- Куфтин, Борис.** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси: Издательство АН Грузинской ССР, 1941.
- Куфтин, Борис.** «Урартский колумбарий у подошвы Арарата и куро-араксский энеолит». საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII-V (1944).
- Куфтин, Борис.** Археологические раскопки 1947 года в Цалкском районе. Тбилиси: Издательство АН Груз ССР. 1948.
- Куфтин, Борис.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тбилиси: Издательство АН Груз ССР. 1949.
- Такайшвили, Еквтиме.** «О Сачхерском кургане Шорапанского уезда». Известия Кавказского отделения Московского археологического общества, вып. III, (1913), Тбилиси, 167-172.
- Хансен, Свенд.** «Металл: Инновация, изменившая мир». Фундаментальные проблемы археологии, антропологии и этнографии Евразии. К 70-летию академика А.П. Деревянко (отв. ред. В.И.Молодин, М.В. Шуньков). Новосибирск. Издательство Института археологии и этнографии СО РАН, 2013: 366-378.
- Чайлд, Гордон.** У истоков европейской цивилизации. Москва: Издательство иностранной литературы., 1952.


### ტაბულების აღწერა:


- I. მტკვარ-არაქსის-კულტურის გავრცელების რუკა;
- II. ლითონის საბადოები ევროპას, ანატოლიასა და კავკასიაში (Pernicka, Ernest and David W. Antony. “The Invention of Copper Metallurgy”, 164 მიხედვით);
- III. 1. ფრინველის ქანდაკება. კუკუტენის კულტურა (Turcanu, Senica. „The Birds in the Imaginarium“ Fig. 1, 8. მიხედვით); 2, 3. არადეთის ორგორა (Gagoshidze, Rova “Two Seasons of Georgian-Italian Excavations” მიხედვით); 4,5. ვინჩას კულტურის შაჰპრიალა და წითელპრიალა კერამიკა (Jakucs et all. “Between the Vinča and Linearbandkeramik Worlds”, fig. 10 მიხედვით); 6,8-10. სამხრეთ ევროპის სპირალურ გამოსახულებიანი კერამიკა (Lazarovici, „Cucuteni Ceramics“ სურ. 6-10, 19, 21,22 მიხედვით); 7. ორვოლუტიანი საკინძი ვარნის ნეკროპოლიდან (Slavchev, “The Varna Eneolithic”, სურ. 9-15 მიხედვით).
- IV. 1. ზომორფულაპლიკაციებიანი კერამიკა. კარანოვო VI (Gimbutas, *The Living Goddesses*. სურ. 24 მიხედვით); 2. ჭობარეთის ნამოსახლა-

რი. ზოომორფულ აპლიკაციანი ხუფი (ფოტო კ. კახიანის); 3. ნიშნებიანი ჭურჭელი ამირანის გორის №36 სამარხიდან (ფოტო დ. ნარიმანიშვილის); 4. ვინჩას კულტურის ნიშნებიანი კვირისტავები (Gimbutas, *The Living Goddesses*. სურ. 45 მიხედვით); 5. ანთროპომორფული კერა. მარკი ალონია (Washbourne, *Out of the Mouths and Pots*, სურ. 61 მიხედვით); 6. სამსხვერპლო „მაგიდა“. ვინჩას კულტურა (Gimbutas, *The Living Goddesses*. სურ. 60 მიხედვით); 7,8. ანთროპომორფული კერები პულურიდან (Koşay, *Keban Project*, 24, tab. 19, 21 მიხედვით).

### Illustrations:

- I. Map of the Kura-Araxes culture spread area.
- II. Metal deposits in Europe, Anatolia and Caucasus (according to: Pernicka, Ernest and David W. Antony. “The Invention of Copper Metallurgy”, 164).
- III. 1. Statue of a bird. Cucuteni culture (according to: Turcanu, Senica. „The Birds in the Imaginarium“ Fig. 1, 8); 2, 3. Aradeti's Orgora (according to: Gagoshidze, Rova “Two Seasons of Georgian-Italian Excavations”); 4, 5. Black polished and red polished ceramics of the Vinča culture (according to: Jakucs et al. “Between the Vinča and *Linearbandkeramik* Worlds”, fig. 10); 6, 8 - 10. Ceramics with spiral image from the Southern Europe (according to: Lazarovici, „Cucuteni Ceramics“ sur. 6-10, 19, 21,22); 7. Double volute pin from Varna necropolis (according to: Slavchev, “The Varna Eneolithic”, pic. 9 – 15).
- IV. 1. Ceramics with zoomorphic applications. Karanovo VI (Gimbutas, *The Living Goddesses*, I, pic. 24); 2. Chobareti settlement. Lid with zoomorphic applications (K. Kakhiani's photograph); 3. Vessel with signs from Amiranis Gora grave #36 (D. Narimanishvili's photograph); 4. Spindle whorl with signs from the Vinča Culture (according to: Gimbutas, *The Living Goddesses*, pic. 45); 5. Anthropomorphic hearth. Marki Alonia (according to: Washbourne, *Out of the Mouths and Pots*, pic. 61); 6. Sacrifice “table”. Vinča Culture (according to: Gimbutas, *The Living Goddesses*, pic. 60); 7, 8. Anthropomorphic hearths from Pular (according to: Koşay, *Keban Project*, 24, tab. 19, 21).





III



1



2



3



4



5



6



7



8




9



10







1




2




3




4




5



6



7



8

**არქეოლოგიური გათხრები გადაჭრილ გორაზე -  
შედგები და პერსპექტივა  
(მოკლე მიმოხილვა)**

ნეოლითური ხანის ნასოფლარი, „გადაჭრილი გორა“ აღმოჩენილია 1960-იანი წლების დასაწყისში ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ო. ჯაფარიძისა და ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1965-71 წწ. ს. იმირსა და ს. შულავერს შორის არსებულ ვრცელ ვაკეზე (მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირი) ექსპედიციამ დააფიქსირა და შეისწავლა ადრესამიწათმოქმედო კულტურის რამდენიმე ძეგლი: შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა და გადაჭრილი გორა (ტაბ. I.1)<sup>1</sup>.

არქეოლოგიური გათხრები შულავერის გორასა და იმირის გორაზე ჩატარდა, დანგრეულ გორაზე შესწავლილი იქნა ერთადერთი გადარჩენილი სამეურნეო ორმო, ხოლო გადაჭრილ გორაზე მხოლოდ მცირე ზომის საკონტროლო თხრილი იქნა გავლებული და აიკრიფა ზედაპირული მასალა (ტაბ. I.2)<sup>2</sup>.

უკვე მაშინ, ჩატარებული კვლევის შემდეგ, მოხერხდა ნეოლითური ხანის ახალი ადრესამიწათმოქმედო კულტურის გამოყოფა, რომელსაც მკვლევართა მიერ შულავერი-შომუთეფეს კულტურა ეწოდა (ალ. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი). აქედან იწყება ამ კულტურის ძირეული კვლევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. შემდგომ წლებში კი გარკვეული მიზეზების გამო სავსე სამუშაოები შეწყდა და მხოლოდ 2000-იანი წლების დასაწყისში განახლდა (არუხლოს გორა, გადაჭრილი გორა).

2006 წლიდან გადაჭრილ გორაზე არქეოლოგიურ გათხრებს იწყებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციამ იმუშავა 2007 წელსაც. მცირე განათხარი ფართობის მიუხედავად, გაირკვა ძეგლის გავრცელების სავარაუდო არეალი, სტრატეგრაფია და ქრონოლოგია<sup>3</sup> (ტაბ. II.1).

2012-2013 წლებში ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა ფრანგ კოლეგებთან ერთად ქართულ-ფრანგული პროექტის (საქართველოს ეროვნულ მუზეუმის და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) პროექტის – LIA (Laboratory International Associate) - GATES project (2012-2015 წწ.) – ფარგლებში. პროექტი ითვალისწინებდა ერთობლივი არქეოლოგიური და ინტერ-

1. ოთარ ჯაფარიძე და ალექსანდრე ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისი: 1971); Александр Иванович Джавахишвили. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н. э. (Тбилиси: 1973); ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.) (თბილისი: 1975).

2. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, 124-125

3. მინდია ჯალაბაძე და სხვები. გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, “ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში” 19 (2010): 17-32

დისციპლინარული კვლევის ჩატარებას. ამ წლებში გათხრების ფართობმა მნიშვნელოვნად მოიმატა და გამოჩნდა ნასოფლარის როგორც გვიანდელი, ისე ადრეული ფენები, მათთვის დამახასიათებელი ალიზის ნაგებობებით (ტაბ. II. 2; III. 1, 2)<sup>4</sup>.

2013 წელს ფრანგი გეომორფოლოგების მიერ შესწავლილი იქნა მდ. შულავერის ღელეს ხევი და უშუალოდ გადაჭრილი გორის მიმდებარე ტერიტორია, რის შედეგად მოხერხდა მდინარის ძველი კალაპოტის რეკონსტრუქცია და ნეოლითის ხანის მოსახლეობის მიერ წყლის რესურსის მოხმარების სურათის აღდგენა. ჩატარებული კვლევის შედეგად დაფიქსირდა ძლიერი წყალდიდობის კვალი, რომელმაც სოფელი საგრძნობლად დააზიანა. ეს პროცესი კარგად გამოჩნდა ნასოფლარის გათხრების დროს. ასევე გამოჩნდა, რომ დასახლების ადრეული ფენები მცირე ხნით იყო მიტოვებული და მისი ხელახალი ათვისება მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო<sup>5</sup>.

2014-2015 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის“ ფარგლებში, ძეგლზე გააგრძელა არქეოლოგიური სამუშაოები. შესაბამისად, გაიზარდა გათხრების ფართობი და გამოჩნდა ახალი ალიზის ნაგებობები: საცხოვრებელი შენობები, დამხმარე სათავსოები, ორმოები და სხვ. (ტაბ. IV. 1-3; V. 1, 2). გაითხარა ძეგლზე არსებული როგორც ადრეული, ისე მისი გვიანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი შენობები, რითაც შესაძლებლობა მოგვეცა, დაგვეჩვენა ნეოლითური სოფლის უადრეს და გვიანდელ დასახლებებს შორის არსებული განსხვავებები. ქვედა, ადრეული ფენის შენობები ძირითადად ნახევრადმიწურ კონსტრუქციებს წარმოადგენს: გრუნტში ამოღებულ დაახლოებით 60-80 სმ სიღრმის წრიულ ორმოებზე დაშენებული ალიზის აგურის კედლებით, ხოლო ზედა ფენის (გვიანდელი ეტაპის) ნაგებობები სპეციალურად მოსწორებულ მოედანზეა აგებული (ტაბ. V. 1, 2; VI. 1, 2).

2016 წლიდან დღევანდლამდე, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებს ტორონტოს უნივერსიტეტი (კანადა). ამ პერიოდში გათხრების ფართობმა მკვეთრად მოიმატა და კიდევ უფრო დაზუსტდა ნასოფლარის გავრცელების არეალი და მისი საზღვრები (ტაბ. VII. 1, 2; VIII. 1, 2). აღსანიშნავია, რომ კანადური პროექტი საზაფხულო სეზონის ფორმას ატარებს და მასში კანადელ სტუდენტებთან ერთად ქართველი სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას. ამ პერიოდში მცირე მასშტაბის საძიებო თხრილები გაეკვლო შულავერის გორასა (ტაბ. IX. 1, 2) და იმირის გორაზე, რაც ძეგლების სტრატეგრაფიის და ქრონოლოგიის კორელაციის საშუალებას იძლევა. პარალელურად მიმდინარეობს მარნეულის ველზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების ფიქსაცია და GPS კოორდინატების მიხედვით მათი GIS პროგრამაში დამუშავება და ზუსტი რუკების შედგენა<sup>6</sup>.

4. Caroline Hamon et al., Gadachrili Gora: Architecture and organization of a Neolithic settlement in the middle Kura Valley (6th millennium BC, Georgia). *Quaternary International* 395 (2016): 154-169

5. Vincent Ollivier et al., Neolithic water management and flooding in the Lesser Caucasus (Georgia), *Quaternary Science Reviews*, 197 (2018): 267-287

6. Stephen D. Batiuk et al., The Gadachrili Gora Regional Archaeological Project: 2016 preliminary report, *Anatolica*, XLIII (2017): 173-202; Stephen D. Batiuk et al., The 2017-2018 Gadachrili Gora Regional Archaeological Project (GRAPE): second preliminary report, *Anatolica* XLV (2019): 43-76; მინდია ჯალაბაძე. გადაჭრილ გორასა და შულავერის გორაზე 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური

საკვლე სამუშაოების გარდა, გრძელდება ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი სამეცნიერო ლაბორატორიებიდან (საქართველო, აშშ, კანადა, ისრაელი, საფრანგეთი, იტალია, დანია და ა.შ.). ჩატარებულია მოპოვებული საანალიზო ნიმუშების რადიოკარბონული, პალინოლოგიური, პალეობოტანიკური, პალეოზოოლოგიური, ბიომოლეკულური და ქიმიური, იზოტოპური, გეომორფოლოგიური კვლევა, რომელთა შედეგები გვეხმარება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის სრულყოფილად გააზრებასა და მეცნიერულ ინტერპრეტაციაში. მაგალითად, დადგენილია უძველესი მევენახეობისა და მეღვინეობის კვალი, რაც ძველზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელში იქნა დადასტურებული<sup>7</sup>. განსაზღვრულია გადაჭრილი გორის რადიოკარბონული თარიღები, რომელიც ნამოსახლარის არსებობის ზუსტ თარიღს ვკადლევს (5920 - 5720 Cal BC)<sup>8</sup>.

როგორც ცნობილია, იმ პერიოდის სოფელი შედგებოდა ალიზის (მზეზე გამოშრალი, გამოუწვავი თიხისგან დამზადებული) აგურებისაგან აგებული წრიული შენობებისაგან, რომელთა ფუნქცია მათი ზომების მიხედვით და უშუალოდ ნაგებობაში აღმოჩენილი არტეფაქტების ანალიზის საშუალებით შეიძლება დადგინდეს. ალიზის აგური არ არის მყარი და მუდმივი სამშენებლო მასალა და სოფლის მოსახლეობას ნაგებობების მუდმივი განახლება უწევდა. სწორედ ამის გამო, ძველ, გამოუსადეგარ კონსტრუქციას ისინი ხშირად ანგრევდნენ და მათ მოსწორებულ ნანგრევებზე ახალს აშენებდნენ. განახლების ხანგრძლივი პროცესის გამო დასახლება თანდათან მალდებოდა და ბორცვის სახეს იღებდა. ეს კარგად გამოჩნდა გადაჭრილი გორის არქეოლოგიური გათხრების დროს. ძველზე საკვლე სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება და დროთა განმავლობაში უფრო გასაგები გახდება ნეოლითური ხანის (8000 წლის წინანდელი) სოფლის გეგმარება, სტრატეგია და დაშინდელი საზოგადოების განვითარების ზოგადი სურათი.

დღესდღეობით, „გადაჭრილ გორაზე“ გათხრილი ფართობები დაკონსერვებულია (დაფარულია წყალგაუმტარი ქსოვილით და მიწის თხელი ფენით) და მეტ-ნაკლებად დაცულია წვიმისა და ქარის ზემოქმედებისაგან. ცნობილია ამ ძველისადმი საზოგადოების დიდი ინტერესი, რის გამოც ბევრი მსურველი ცდილობს, დაათვალიეროს გათხრილი ნაგებობები, თუმცა ჯერჯერობით მათი ნახვა მხოლოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში, უშუალოდ არქეოლოგიური გათხრების დროს თუ შეიძლება. ამის გამო საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები (პირველ რიგში გადახურვა და შემდგომ - ჩატარდეს ალიზის ნაგებობების კონსერვაცია-რესტავრაცია), რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ ამ უნიკალური დასახლების გაცნობა მნახველისთვის მუდმივად იყოს შესაძლებელი, ხოლო ძველზე აღმოჩენილი ნივთიერი თუ ვიზუა-

გათხრების მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული (2018): 212-216; მინდია ჯალაბაძე. გადაჭრილ გორასა და შულავერის გორაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული (2019): 298-302

7. Patrick McGovern at al., Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus, PNAS 114, no. 48(2017); Eliso Kvavadze at al., Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palynological and chemical analysis. Proceedings of 33-rd World Congress of Vine and Wine, 8-th General Assembly of the OIV, 20-25 June 2010, Tbilisi, Georgia (2010)

8. Caroline Hamon at al., 158

ლური მასალა ბანერებისა და მონიტორების საშუალებით, ძეგლთან ერთიან კონტექსტში იყოს ხელმისაწვდომი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის - მარნეულის მერიის ხელშეწყობით, მოწყობილია ქვის გაბიონი, რომელიც მდინარის ზემოქმედებისაგან იცავს ძეგლს. ასევე შემოიღობა ძეგლის ტერიტორია და მომზადდა მისი საკონსერვაციო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გადახურვას და მის მახლობლად მცირე სავიზიტო ცენტრის მოწყობას.



*Mindia Jalabadze*  
*Georgian National Museum*  
*(Georgia, Tbilisi)*

## **Archaeological excavations at *Gadachrili Gora* – results and perspective**

### **Summary**

The article briefly describes the archaeological excavations carried out in *Marneuli* Valley, at the site of *Gadachrili Gora*, where a significant part of the Neolithic settlement was studied from 2006 to 2019. The stratigraphy of the site was defined, architectural remains, ceramics, various stone and bone tools and jewelry were retrieved. An interdisciplinary study is currently underway, involving Georgian, American, Canadian, Jewish, French, Italian and Danish specialists.

Under the support of Marneuli Municipality, work is underway on a project for the conservation and restoration of the site, which provides for covering the archaeological site with a roof and creating a small center for visitors.

## ბიბლიოგრაფია:


- ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.) (თბილისი, 1975).
- ჯალაბაძე მინდია. „გადაჭრილ გორასა და შულავერის გორაზე 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში“. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბილისი. 2018, 212-216.
- ჯალაბაძე მინდია. „გადაჭრილ გორასა და შულავერის გორაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში“. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბილისი. 2019, 298-302.
- ჯალაბაძე მინდია, ესაკია ქეთევან, რუსიშვილი ნანა, ყვავაძე ელისო, ქორიძე ირაკლი, შაყულაშვილი ნიკოლოზ, წერეთელი მიხეილ. „გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში“. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 19 (თბილისი, 2010): 17-32.
- ჯაფარიძე ოთარ, ჯავახიშვილი ალექსანდრე. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისი, 1971)
- Джавахишвили Александр. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н. э. (Тбилиси, 1973).
- Batiuk Stephen D., Jalabadze Mindia, Graham Andrew, Koridze Irakli, Jayyab Khaled A.**, with contributions by Savulov Cristina. “The Gadachrili Gora Regional Archaeological Project: 2016 preliminary report”, *Anatolica*, XLIII (2017): 173-202.
- Batiuk Stephen D., Jayyab Khaled A., Jalabadze Mindia, Graham Andrew, Rhodes Stephen., and Losaberidze Levan**, with contributions by Glasser Arno and Chilingarashvili Giorgi. “The 2017-2018 Gadachrili Gora Regional Archaeological Project (GRAPE): second preliminary report”. *Anatolica* XLV, 2019, 43-76.
- Hamon Caroline, Jalabadze Mindia, Agapishvili Tata, Baudouin Emmanuel, Koridze Irakli, Messager Erwann.** “Gadachrili Gora: Architecture and organization of a Neolithic settlement in the middle Kura Valley (6th millennium BC, Georgia)”. *Quaternary International* 395 (2016): 154-169.
- Kvavadze Eliso, Jalabadze Mindia, Shakulashvili Nikoloz.** “Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palynological and chemical analysis”. *Proceedings of 33rd World Congress of Vine and Wine, 8-th General Assembly of the OIV, 20-25 June 2010, Tbilisi, Georgia.* (2010b).
- McGovern Patrick, Jalabadze Mindia, Batiuk Stephen, Callahan Michael P., Smith Karen E., Hall Gretchen R., Kvavadze Eliso, Maghradze David, Rusishvili Nana, Bouby Laurent, Failla Osvaldo, Cola Gabriele, Mariani Luigi, Boaretto Elisabetta, Bacilieri Roberto, This Patrice, Wales Nathan, Lordkipanidze David.** “Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus”. *PNAS* 114, no. 48 (2017).
- Ollivier Vincent, Fontugne Michel, Hamon Caroline, Decaix Alexia, Hatte Christine, Jalabadze Mindia.** “Neolithic water management and flooding in the Lesser Caucasus (Georgia)”. *Quaternary Science Reviews* 197 (2018): 267-287.

## ტაბულების აღწერილობა:

- I. 1. მარნეულის ველზე 1960-იან წლებში დაფიქსირებული არქეოლოგიური ძეგლები (ალ. ჯავახიშვილის მიხედვით); 2. გადაჭრილი გორა. 1968 წელი.
- II. 1. გადაჭრილი გორა. 2006 წელი. ნამოსახლარის ჭრილი; 2. გადაჭრილი გორა. 2012 წელი. I თხრილში გამოჩენილი ქვედა ფენის ნაგებობებისა და ორმოების ნაშთები.
- III. 1-2. გადაჭრილი გორა. 2013 წელი.
- IV. 1-3. გადაჭრილი გორა. 2014 წელი. ნასოფლარის ქვედა ფენის ნაგებობების ნაშთები.
- V. 1. გადაჭრილი გორა. 2014 წელი. ნასოფლარის ქვედა ფენაში აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთი; 2. გადაჭრილი გორა. 2014-2015 წწ. ქვედა ფენის ნაგებობების ნაშთები.
- VI. 1. გადაჭრილი გორა. 2014 წელი. ქვედა ფენის ნახევრადმიწური ნაგებობის პროფილი; 2. გადაჭრილი გორა. 2014 წელი. ქვედა ფენის ნახევრადმიწური ნაგებობის კედლის წყობა.
- VII. 1-2. გადაჭრილი გორა. აეროფოტოები.
- VIII. 1. გადაჭრილი გორა. 2019 წელი. გათხრების საერთო ხედი; 2. გადაჭრილი გორა. 2019 წელი. გათხრების გენერალური გეგმა.
- IX. 1. შულავერის გორა. 2019 წელი. საერთო ხედი; 2. შულავერის გორა. 2019 წელი. ძეგლის დასავლეთ ნაწილში გათხრილი სტრატეგრაფიული ჭრილი და ნასოფლარის უადრესი ფენა.

## Illustrations:

- I. 1. Archaeological sites revealed in the Marneuli Valley in 1960-s (by A. Javakhishvili); 2. *Gadachrili Gora*. 1968.
- II. 1. *Gadachrili Gora*. 2006. Settlement incision; 2. *Gadachrili Gora*. 2012. Remains of lower layer buildings and pits in Trench I.
- III. 1-2. *Gadachrili Gora*. 2013.
- IV. 1-3. *Gadachrili Gora*. 2014. Remains of lower layer buildings.
- V. 1. *Gadachrili Gora*. 2014. Remains of a building found in the lower layer; 2. *Gadachrili Gora*. 2014-2015. Remains of lower layer buildings.
- VI. 1. *Gadachrili Gora*. 2014. Profile of the lower layer semi-subterranean building; 2. *Gadachrili Gora*. 2014. Wall structure of a lower layer semi-subterranean building.
- VII. 1-2. *Gadachrili Gora*. Aerial photos.
- VIII. 1. *Gadachrili Gora*. 2019. General view of the excavation; 2. *Gadachrili Gora*. 2019. General plan of excavation.
- IX. 1. *Shulaveris Gora*. 2019. General view; 2. *Shulaveris Gora*. 2019. Stratigraphic trench, excavated in the western part of the site and the earliest layer of the site.



1



2



II



1



2





1



2





1



2



3





1



2






1



2





1




2





1



2



1



2



## ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა მუხრანიდან

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით და შემთხვევითი აღმოჩენებით, ბრინჯაო-ადრერკინისა და კლასიკური ხანის მეღვინეობასთან დაკავშირებული არაერთი რქის, ხის, თიხის, ვერცხლისა და ოქროს სასმისია მოპოვებული<sup>1</sup>. არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის, ასევე, გვხვდება მცირე ზომის ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებები, რომელთაგან ზოგიერთს ხელში ყანწი უჭირავს<sup>2</sup>. ეს არქეოლოგიური არტეფაქტები საფუძვლიანადაა შესწავლილი, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. შევჩერდებით მხოლოდ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. მუხრანში ახლახან აღმოჩენილ ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებაზე, რომელსაც ორივე ხელით სასმისი უჭირავს. მუხრანის ანთროპომორფული ფიგურის დახასიათების ფონზე განვიხილავთ ამ ტიპის არტეფაქტების გავრცელებას საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა მხარეში.<sup>3</sup>

2018 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების ძირითად ფონდში შემოვიდა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკება (საინვენტარო №GN MI-47-2018/1; ტაბ. I). ეს არტეფაქტი შემთხვევით აღმოჩნდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. მუხრანში; ანთროპომორფული ქანდაკება საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადასცა „მატო მუხრანის“ გენერალურმა დირექტორმა პატრიკ ჰონეფიმ. სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია ბრინჯაოს ფიგურის აღმოჩენის ვითარება და მისი შესაძლო თანმხლები ინვენტარი.

ბრინჯაოს ანთროპომორფული სკუპლტურა წარმოადგენს სტილიზებულ მცირე ზომის ქანდაკებას; მისი სიმაღლეა 7.6 სმ, წონა - 105 გრ. არტეფაქტი მასიურია და დაუზიანებლადაა შემონახული. ფიგურა წარმოადგენს ფეხზე მდგომ მამაკაცს,

1. ალექსი ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, (თბილისი, 1963), 108-191; რევაზ რამიშვილი, ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, (თბილისი, 2001); გელა გამყრელიძე, „ღვინის სასმისები საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო-პოპულარული აღმანახი აია №1, (თბილისი, 2008), 15; გელა გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (თბილისი, 1982), 73-81; რევაზ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე, „თიხის სასმისების ერთი ჯგუფი ცენტრალური კოლხეთიდან“, ჟურნალი იბერია-კოლხეთი №10, (თბილისი 2013), 80-84; ლერი ჯიბლაძე, „მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები კოლხეთის დაბლობიდან და მათი ურთიერთმიმართების საკითხები ეთნოგრაფიულ მონაცემებთან“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე-კრებული ამირანი, №25 (თბილისი-მონრეალი, 2014), 42-64. ნინო ხოშტარია, „სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, №1-2, (თბილისი, 1946), 77-83; ლერი ჯიბლაძე, რევაზ კვიციანი, „საყურადღებო არტეფაქტები ცენტრალური კოლხეთიდან“, ძიებანი, 21, (თბილისი, 2013), 241-247.

2. სულხან ხარაბაძე, „ღვინის მსმელის ფიგურა სოფელ ინაშაურიდან (ვანის რ-ნი)“, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №17-18, (თბილისი 2006), 145-150

3. გიორგი ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, (თბილისი 1984), 45-77, ტაბ. IX-XX; Владимир Марковин, “Культурная пластика Кавказа”, Новое в археологии Северного Кавказа, (Москва, 1986), 74-124; Ольга Брилева, Древняя бронзовая Антропоморфная пластика Кавказа (XV в. до. н.э.-X в. до. н.э.) (Москва, 2012).

რომელიც მყარად დგას ოდნავ განზე გადგმულ ფეხებზე, ბეჭებგანიერია; შეინიშნება სხეულის კუნთების მსუბუქი მოდელირება. მამაკაცს პირი-სახე ზემოთ აქვს აწეული, სახის ყველა ნაკვთი უხეშადაა გამოკვეთილი: აქვს მოგრძო ცხვირი, ღარისებურად ჩაკვეთილი პირი და წინ წამოწეული, მასიური ნიკაპი. თვალები გადმოცემულია კოპისებური დანაძერწებით; მხოლოდ ყურები არ ჩანს გამოსახული. ორივე ხელი იდაყვში აქვს მოხრილი და ზეაწეული, გაშლილი ხელის მტევნებით კი, მჭიდროდ უჭირავს საკმაოდ მოზრდილი, წელში გამოყვანილი ბრტყელძირიანი ჯამისებურად ჩაღრმავებული სასმისი (სიმაღლე 2.1 სმ, დმ 1.3 სმ). მამაკაცს თავზე ახურავს სვანური ქუდის მსგავსი თავსაბურავი, ხოლო კეფაზე, ქუდის ქვემოთ თმები აქვს შეკრული. ქანდაკება წელს ზემოთ შიშველია, ხოლო წელს ქვემოთ მუხლებამდე მოკლე კაბითაა შემოსილი; ოთხკუთხაგანიკვეთიანი, თოკისებური ფორმის სარტყელი წელზე შემოვლებული აქვს ორჯერ ისე, რომ მათ შორის მცირე მანძილია დატოვებული. სავარაუდოდ ჯერ ფიგურაა ჩამოსხმული, შემდეგ კი კაბაა მირჩილული ზედ. გადაბმის ადგილი კარგად იკითხება თოკისებურ სარტყელთან.

ქანდაკების ოვალური მოყვანილობის თავი, გაშლილი ხელის მტევნები და სასმისი ტანთან შედარებით არაპროპორციულია, რაც გარკვეულ ექსპრესიულობას სძენს სკულპტურას. მინიატურულობის მიუხედავად ფიგურა მეტყველია; იგი ისე დგას, თითქოს სადღეგრძელოს ამბობს, ან რაღაცას შესთხოვს სასმისს.

კავკასიის ტერიტორიაზე ლითონისგან ჩამოსხმული მცირე ზომის ადამიანის მოცულობითი გამოსახულება გავრცელებულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ეს ფიგურები, მუხრანის ქანდაკების მსგავსად, რიტუალური დანიშნულებისაა. ზოგადი ნიშნების ერთგვაროვნების მიუხედავად, მათ ფორმის, შინაარსის გამოხატვის, დანიშნულებისა და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით ბევრი რამ აქვთ განსხვავებული. ფიგურების უმეტესობა შემთხვევითი მონაპოვარია; ზოგჯერ გვხვდება განძებში, სამარხებში და საკულტო (სამლოცველო) ადგილებში<sup>4</sup>.

საქართველოში ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები აღმოჩენილია ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე: ერგეტას, ნიგეზიანის, მუხურჩას, დღვაბას, ცაიშის სამაროვნებზე.<sup>5</sup> ზოგიერთ ანთროპომორფულ ფიგურას ხელში ყანწი

4. გერმანე ვობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, (თბილისი, 1952), 130, ტაბ. XXIII-I; ოთარ ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, (თბილისი, 2002), 188, სურ.165-167; რევაზ პაპუაშვილი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით, საკანდიდატო დისერტაცია, (თბილისი, 1998); ლეილა ფანცხავა, ბესარიონ მაისურაძე, „ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები შილდის სამლოცველოდან“, კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის საკითხები, ძიებანი, VI, დამატება (თბილისი, 2001), 147-155; ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა; დავით ბერძენიშვილი, „სამი ანთროპომორფული ქანდაკება ქუთაისის მუზეუმიდან“, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები V, (ქუთაისი, 1988), 62-68; Ярослав Доманский, Древняя художественная бронза Кавказа. (Москва, 1984), 64-67, სურ. 180, 181, 187-191; Степан Есаян, Скульптура древней Армении. (Ереван, 1970), 157-168, სურ. 2-1-4, 8; Валентина Козенкова, Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. – САИ, вып. В2-5, (Москва, 1982) 6, ტაბ. X, LII- 25-30.

5. Теймураз Микеладзе, и др. “Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции”, ПАИ в 1982, (1985), 37-40; Теймураз Микеладзе, и др. “О работах Колхидской археологической экспедиции”, ПАИ в 1984-1985 гг., (1987), 39-42; Теймураз Микеладзе и др. “Колхидская экспедиция”, ПАИ в 1986 г., (1991), 59-65; თეიმურაზ მიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, (თბილისი, 1985), 62; გივი ელიავა, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები II, თბილისი, 2017, 65; Теймураз Микеладзе, и др. “Колхидская экспедиция”. ПАИ в 1987 г., Тбилиси, 1995, 130; რევაზ პაპუაშვილი და სხვ. ცაიშის სამაროვანი, თბ., 2015, 15.

უჭირავს. ასეთი არტეფაქტები ცნობილია მელანის სამლოცველოდან, რომელიც თარიღდება ძვ.წ VIII-VII სს-ით<sup>6</sup>, ინაშაურიდან (ძვ.წ.VII-VIს.)<sup>7</sup>, ბომბორადან (ძვ.წ. VIII ს.)<sup>8</sup>, ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ყაზბეგის განძიდან<sup>9</sup>. ასეთივე ფიგურები ცნობილია დალესტნიდან<sup>10</sup> და სომხეთიდან<sup>11</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუხრანის ანთროპომორფულ ფიგურას ხელში უჭირავს ცილინდრული ფორმის, წელში გამოყვანილი სასმისი. ყველაზე ადრეული გამოსახულება მსგავსი ფორმის სასმისისა მოცემულია შუა ბრინჯაოს ეპოქით დათარიღებულ თრიალეთის თასზე<sup>12</sup>. მუხრანის ფიგურის სასმისი, ასევე, ძალზე წააგავს თლიას №74-ა სამარხში (ძვ.წ. VIII-VII სს.) აღმოჩენილ ბრინჯაოს გრავირებულ სარტყელზე გადმოცემულ პურობის პროცესზე გამოსახულ სასმისს, რომელსაც ზედაპირი ორნამენტით აქვს დაფარული<sup>13</sup>; ყაზბეგის შტანდარტის თავზე მოთასებული მამაკაცის ფიგურასაც მარცხენა ხელში უჭირავს წელში გამოყვანილი, ცილინდრული ფორმის სასმისი<sup>14</sup>.

თიხის წელში გამოყვანილი სასმისები, რომლებიც ფორმის მიხედვით ძალზე ახლოს დგანან ბრინჯაოს სასმისთან, რომელიც მუხრანში გამოვლენილ ქანდაკებას უჭირავს ხელში, ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე: სამთავროს სამაროვანის N18 სამარხსა და ბაიერნის მიერ გათხრილი № 601 სამარხში<sup>15</sup>, თრიალეთის სამაროვნებზე<sup>16</sup>, ასევე ბამბების ნამოსახლარიდან, ლორი-ბერდი № 21 სამარხში<sup>17</sup> და სხვ.

კავკასიაში აღმოჩენილი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს ფიგურების უმრავლესობა შიშველი და ითიფალურია. მათ შორის იშვიათად გვხვდება ტანსაცმლით შემოსილი და თავდაბურული არტეფაქტები<sup>18</sup>.

ამრიგად, მუხრანის მცირე პლასტიკის ნიმუში არცერთ, ჩვენთვის ცნობილ ანთროპომორფულ ქანდაკებას არ ჰგავს, თუმცა ცალკეული დეტალების მიხედვით ზოგადად ეძებნება პარალელები ძვ.წ. I ათასწლეულის ანთროპომორფულ ფიგურებთან. მაგალითად: სახის ნაკვეთით ყაზბეგის შტანდარტზე გამოსახულ ღვინის მსმელ ანთროპომორფულ ქანდაკებასთან, ხოლო სიუჟეტის მიხედვით ინაშაურის

6. კონსტანტინე ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, 83, ტაბ. XVI.1.

7 ხარაბაძე, „ღვინის მსმელის ფიგურა“, ტაბ. II-1.

8. Юрий Воронов, Археологическая карта, Абхазии. Сухуми, 1969, 20, ტაბ. XLVIII-11.

9 ლეილა წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1976, 33-38, 104-105, ტაბ. VIII-VII.

10 Марковин, Культурная пластика Кавказа, Москва, 1986, 86-90, სურ. 10-2, 5, 7, 9.

11 Степан Есаян, А. Мнацаканян, Находки новых бронзовых статуэток в Армении, 1970, სურ. 2-1-4, 8;

Степан Есаян, Скульптура древней Армении. Ереван 1980: 40-59, ტაბ. 59-1, 2, 4, 5.

12. Куфтин, Археологические раскопки, таб. 89, XCI.

13. მანანა ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრერკინის ხანაში (თბილისი, 1982), ტაბ. I, X, XXXVIII, XXIX

14. ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა, 11, ტაბ. XX-54

15. ალექსანდრე კალანდაძე, სამთავროს წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტომი IV, (თბილისი, 1980), 142 სურ. 687; ალექსანდრე კალანდაძე, სამთავროს სამაროვნის წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, (თბილისი, 1981), 70, სურ. 300, 301

16. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, (Тбилиси, 1941), 66-67, 341, სურ. 66, 67, ტაბ. LIII

17. Брилева, Антропоморфная пластика, 109, 124-5

18. ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა, 62-63, ტაბ. XV-43; Марковин, Культурная пластика Кавказа, სურ. 10-5, 7, 8, 9, 14-5; Брилева, Антропоморфная пластика; ხარაბაძე, ღვინის მსმელის ფიგურა, 146, ტაბ. II-1, 6, 8-11, 20-22; გივი ელიავა, „ბეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა“, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები II, (თბილისი, 2017), 41-100.



ქანდაკებასთან<sup>19</sup>. ასევე მსგავსება გამოიხატება დაღესტანში (სოფ. სორგატლი) ნაპოვნ ბრინჯაოს ქანდაკებასთან პოზით, რომელსაც იდაყვმოხრილი ხელებით წელში გამოყვანილი ფორმის სასმისი უჭირავს; ზოგიერთი დეტალით ემსგავსება არღუნის ხეობიდან მომდინარე მონადირის ფიგურას, რომელსაც აცვია წინა და უკანა მხრიდან ქობაშეჭრილი კაბა, წელზე შემორტყმული აქვს ბრტყელი ქამარი, თუმცა თავზე ახურავს მუხარადი, რომლის წვერი ნისკარტივითაა მოხრილი<sup>20</sup> და ა.შ.

მუხრანის ბრინჯაოს ფიგურას ჩაუტარდა ლაბორატორიული გამოკვლევა არადესტრუქციული რეტენოფლოუორესცენტრული ELVAX სპექტრომეტრით. ანალიზები ჩატარდა 45 კილო-ელექტრონვოლტით (KEV) 0.100 ცოცხალი დროით. კონცენტრაციის ხარისხი (წონის %-ში) განისაზღვრა რეგრესიის კვადრატული მოდელის საშუალებით, შერჩეული მასალის შესაბამისი სტანდარტების ანალიზის საფუძველზე<sup>21</sup>. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ მუხრანის ბრინჯაოს ქანდაკების ქიმიური შემადგენლობა ასეთია: Cu - 91.26 %, Zn - 6.46 %, Sn - 1,31 %, Pb - 0,45 %, Ag - 0,52 %.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მუხრანის ბრინჯაოს სკულპტურა შემთხვევითი მონაპოვარი ნივთია. როგორც ცნობილია, უპასპორტო ნივთების დათარიღება გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. დიდი ალბათობით, იგი უნდა მომდინარეობდეს სამარხეული კომპლექსიდან, ან საკულტო (სამლოცველო) ადგილიდან. სავარაუდოა, რომ მუხრანში აღმოჩენილი ბრინჯაოს სკულპტურა, რომელსაც ხელში სასმისი უჭირავს, განკუთვნილი უნდა ყოფილიყო არა ყოველდღიური მოხმარებისათვის, არამედ საგანგებო შემთხვევისათვის, სარიტუალო სადღესასწაულო პურობისათვის.

ამრიგად, განხილული პარალელების გათვალისწინებით, მუხრანის ანთროპომორფული სკულპტურა სავარაუდოდ შესაძლებელია დათარიღდეს დაახლოებით ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით.

19. ხარაბაძე, „ღვინის მსმელის ფიგურა“, ტაბ. I-1, II-1.

20. Марковин, Культурная пластика Кавказа, სურ. 10-6

21. კვლევა ჩატარდა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საკონსერვაციო-კვლევით ლაბორატორიაში (ხელმძღვ. ისტ. დოკ. ნინო ქებულაძე).

*Leri Jibladze, Nino Chkartishvili*  
*Georgian National Museum,*  
*(Georgia, Tbilisi)*

## **Bronze Anthropomorphic Figurine from the Village Mukhrani**

### **Summary**

A small-sized figurine was acquired by the Georgian National Museum in 2018 year. It is preserved in the main depository of the archaeological collections of the Simon Janashia Georgian Museum. The figurine is made of bronze.

This artifact was found accidentally on the territory of Mukhrani village (Mtskheta municipality). The bronze anthropomorphic figurine is a small-sized sculpture depicting a man in a standing position. Its weight is 105 gm, height -7,6 cm. The figurine's hands are raised up, elbows bent. The man carries a flat-bottomed wine drinking cup (length 2,1 cm, d- 1,3 cm). All elements of the man's face are well-defined, facial features are proportionate and realistically expressed. The figurine is naked above the waist and has a short clothing in the lower part of the body. The clothing has a string-like bell on the waist.

Small-sized, metal figurines were found in Georgia and in Caucasia in the first half of the 1<sup>st</sup> millennium. All those figurines had ritual purposes. Though they had common and similar marks, they differed greatly from each other according to their forms assignments and fabricating technique. Most of such figurines were found by accident as well as in hoards, burial grounds and in cultic places.

Those artifacts should be dated back to the 7<sup>th</sup> – 6<sup>th</sup> centuries B.C.

## ბიბლოგრაფია:

- ბერძენიშვილი დავითი**, „სამი ანთროპომორფული ქანდაკება“ ქუთაისის მუზეუმი-დან-ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები V, (ქუთაისი, 1988), 62-68.
- ბოზოჩაძე ალექსი**, მევენახეობა-მელვინეობა საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, (თბილისი, 1963).
- გამყრელიძე გელა**, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. (თბილისი, 1982).
- გამყრელიძე გელა**, „ღვინის სასმისები საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან“. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო-პოპულარული აღმანახი აია, №1, (თბილისი, 2008), 14-16.
- გობეჯიშვილი გერმანე**, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, (თბილისი, 1952).
- ელიავა გივი**, „პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა“, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები II, (თბილისი, 2017), 41-100.
- კალანდაძე ალექსანდრე**, სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტომი IV, (თბილისი, 1980).
- კალანდაძე ალექსანდრე**, სამთავროს სამაროვნის წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, (თბილისი, 1981), 7-114.
- ლორთქიფანიძე ოთარ**, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, (თბილისი 2002).
- მიქელაძე თეიმურაზ**, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, (თბილისი, 1985).
- პაპუაშვილი რევაზ**, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით, საკანდიდატო დისერტაცია, (თბილისი 1998).
- პაპუაშვილი რევაზი, ჯიბლაძე ლერი**, „თიხის სასმისების ერთი ჯგუფი-ცენტრალური კოლხეთიდან“. იბერია-კოლხეთი № 10 (თბილისი, 2013), 80-84
- პაპუაშვილი რევაზი, ესებუა თენგიზი, ჯიქია ლაშა, პაპუაშვილი იოსები**, ცაიშის სამაროვანი, თბილისი
- რამიშვილი რევაზი**, ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია (თბილისი, 2015)
- ფანცხავა ლეილა, მაისურაძე ბესარიონი**, ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები შილდის სამლოცველოდან, კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის საკითხები. ძიებანი, დამატება VI (თბილისი, 2001), 147-155.
- კონსტანტინე ფიცხელაური**, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა (თბილისი, 2002).
- წითლანაძე ლეილა**, ხვეის არქეოლოგიური ძეგლები, (თბილისი, 1976)
- ხარაბაძე სულხანი**, „ღვინის მსმელის ფიგურა სოფელ ინაშაურიდან (ვანის რ-ნი)“, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, № 17-18, (თბილისი, 2006), 145-150
- ხიდაშელი მანანა**, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (თბილისი, 1982).
- ხოშტარია ნინო**, „სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, №1-2, (თბილისი, 1946), 77-83.

- ჯავახიშვილი გიორგი**, ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, (თბილისი, 1984)
- ჯიბლაძე ლერი, კვიციანი რევაზი**, „საყურადღებო არტეფაქტები ცენტრალური კოლხეთიდან“. ძიებანი, № 21, (თბილისი, 2013), 241-247.
- ჯიბლაძე ლერი**, „მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები კოლხეთის დაბლობიდან და მათი ურთიერთმიმართების საკითხები ეთნოგრაფიულ მონაცემებთან“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. კრებული ამირანი, (თბილისი-მონრეალი, 2014), №25, 42-64. caucasology.com E.
- Брилева Ольга**, Древняя бронзовая антропоморфная пластика Кавказа (XV в. до н.э.-X в. до н.э.), Москва, 2012.
- Воронов Юрий**, Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.
- Доманский Ярослав**, Древняя художественная бронза Кавказа. Москва, 1984.
- Есаян Степан, Мнацаканян А.** “Находки новых бронзовых статуэток в Армении”. – СА, № 2, 1970, стр. 157-168.
- Есаян Степан**, Скульптура древней Армении. Ереван. 1980
- Козенкова Валентина, 1982:** Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры. – САИ, вып. В2-5, Москва.
- Куфтин Борис**, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
- Марковин Владимир** “Культовая пластика Кавказа”. Новое в археологии Северного Кавказа, Москва, 1986, 74-124.
- Микеладзе Теймураз, Мигдисова Нана, Папуашвили Реваз.** “Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции”. – ПАИ (1982), Тбилиси, 1985, 37-40.
- Микеладзе Теймураз, Мигдисова Нана, Папуашвили Реваз, Чубинишвили Николоз,** “О работах Колхидской археологической экспедиции”, ПАИ в 1984-1985 гг., Тбилиси, 1987, стр. 39-42.
- Микеладзе Теймураз, Папуашвили Реваз, Чубинишвили Николоз,** “Колхидская экспедиция”, ПАИ в 1986 г., Тбилиси, 1991, 59-65.
- Микеладзе Теймураз, Мигдисова Нана, Папуашвили Реваз.** Чубинишвили Николоз, “Колхидская экспедиция”, ПАИ в 1987 г., Тбилиси, 1995

### ტაბულის აღწერილობა:

I. ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა სოფ. მუხრანიდან.

### Illustration:

I. Bronze Anthropomorphic Figurine from the Village Mukhrani.



1



2



3



4



5



6



7



8